

თავდაპირველი  
ფირმა



K 52041  
წილი: 2

ქართული  
ენციკლოპედია  
ნომერი



თავაზ ჭირაძე



კახლის  
უნივერსიტეტის  
ნოქანტი



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“-  
თბილისი — 1984

გაგონი [საგონი, შ.]



871  
83.37p  
899.962.1.092 [რუსთაველი შ.]  
3462

საგონი შ.

თამაზ კილაძის წიგნი „ვარდის ფერცლობის  
ნიშანი“ რუსთაველის პოემის ახლებურად წა-  
კითხვის კიდევ ერთი ცდაა. ამავე დროს გათ-  
ვალისწინებულია თითქმის ყველა ის საუერა-  
დლებო მოსაზრება, რაც ამ პოემასთან დაკავ-  
შირებით ჩვენსა თუ უცხოელ მეცნიერებს გა-  
მოუთქვამთ.

140257

სკეპ-2000  
შეგონებულა

ბაქ სარ. კ. მარტოის  
სახ. ...  
ბიბლიოთეკა

4 275-84

M601(08)84

~~ქვეყნის ორდენი Трудового  
Червоного Прапора  
საზოგადოებრივი ცენტრი  
УРСР № 01 КИРС~~

201

16


ბ.ს



ვეფხისტყაოსანი დღეს ერთ-ერთი ყველაზე ცოცხალი წიგნია. ასეთ ხანგრძლივ სიცოცხლეს კი უკვდავება პქვია. დღითი დღე უამრავ ახალ მკითხველს იზიდავს და ხიბლავს ეს წიგნი თავისი უჭკნობი მშვენიერებით, თავისი ერთადერთობით, რაც ასე ასხვავებს მას მრავალი და მრავალი დიადი ნაწარმოებისაგან და რაც, ამავე დროს, აახლოვებს, ანათესავებს კიდევ სხვა ხალხთა უკვდავ ქმნილებებთან. ამით იმის თქმა მინდა, რომ ასაზრდოვებს რა თავისი მშობლიური ხალხის სულს, ეს პოემა ამდიდრებს კაცობრიობის კულტურულ საგანძურსაც, როგორც „ობოლი“, — ერთ-ერთი ყველაზე ძნელად მოპოვებული მარგალიტი.

ამ პოემის წყალობით, ქართველებისათვის მახლობელია მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ყველა დიდი კულტურული ძეგლი. ასევე, ამ პოემის წყალობით, განათლებული მსოფლიოს თვალი დღეს მოპყრობილია იმ უძველესი ხალხისაკენ, რომელმაც ასე ფრთხილად, ასე სრულად მოიტანა აქამდე თავისი ტანჯული ცხოვრება, აღბეჭდილი არა მარტო ნახანძრალითა თუ ნაიარევით, არამედ იმ იდუმალი შუქითაც, რასაც წარსულის, დღემდე ჩაუმჭრალი, ქმნილებები ასხივებენ.

დიდ პრეტთან შეხვედრა, განსაკუთრებით კი ისეთ



პოეტთან, როგორც რუსთაველია, იმითაც არის მნიშვნე-  
ლოვანი, ჩვენს თავს, ჩვენს საკუთარ არსებას ტყვეობის  
დავით ბუნებისა და ცხოვრების შუაგულში, გვიხსნის  
ნებულს, აღგზნებულს, ფრთაშესხმულს — გააზრებუ-  
ლი. შეგნებული არსებობის დიადი იდეით. ჩვენს სულში  
სამუდამოდ აღბეჭდილი ეს ხილვა ძალას გვაძლევს, გვა-  
თამამებს, გვაქეზებს გავიდეთ იმ გზაზე, მომავლისაკენ  
რომ მიემართება, ვიცნოთ და განვიცადოთ ჩვენი თავი  
ხალხის აუცილებელ ნაწილად, ანუ დიადი ადამიანური  
საქმის თანამონაწილედ, საქმისა, ადამიანთა ცხოვრება  
რომ ჰქვია.

სიტყვა „პოეტი“ ერთნაირი საიდუმლო ძალით მოჭ-  
მედებს ყველაზე, მასზეც კი, ვინც ამ სიტყვის მნიშვნე-  
ლობას ღრმად ვერ წვდება, მაგრამ გულუბრყვილოდ თუ  
ინსტინქტურად მიილტვის იმ ვარსკვლავისაკენ, იმ კო-  
ნონისაკენ, ანდა უფრო ზუსტად — იმ შექურასაკენ,  
რომელიც, მისი გუმანით, სწორედ იმ ნაპირისაკენ მიუხ-  
მობს, იმ ნავსადგურს მიასწავლის, სადაც ეზიარება ყვე-  
ლაზე დიდ ადამიანურ ბედნიერებას — იპოვნის საკუ-  
თარ თავს, ყოველდღიურ ჯაფასა თუ ფუსფუსში თით-  
ქმის უიმედოდ რომ დაჰკარგვია და აჰა, გამოჩნდა ვიღაც  
მადლიანი, ვინც ხელს ჩაჰკიდებს, წაიყვანს, ეტყვის, ჩაა-  
გონებს, გაამხნევებს, დაარწმუნებს, რომ ის გაცილე-  
ბით უკეთესია, ვიდრე ჰგონია, გაცილებით მეტი შეუ-  
ძლია, ვიდრე წარმოუდგენია და გაცილებით მეტი ეკუ-  
თვნის, ვიდრე აქვს.

რუსთაველმა ქართული სიტყვის, აზრის მადნეულში  
იპოვა და გამოარჩია მთავარი ძარღვი, აორტა ჩვენი ერო-  
ვნული სულისა, ხასიათისა, თვისებისა. ერთმა ბრძენმა  
თქვა: საბერძნეთი პომეროსის პომეებმა გააერთიანესო.



ასევეა რუსთაველიც — მისმა ნათელმა ნიჭმა იდეურად გააერთიანა საქართველო. მისი პოემის ასეთი პექტიური ზემოქმედების უნარი შეიძლება შევადაროთ მხოლოდ რომელიმე რელიგიას ანდა პოლიტიკურ მოძღვრებას.

ამასთანავე, რუსთაველის გენიამ გავიყვანა საკუთარი არსებობის კედლებს იქითაც, გადაგვახედა იმ მაღალ ღობეზე, უფრო სწორად — ჩამოანგრია ის მაღალი ღობე, აქამდე ჩვენს წარმოდგენასა თუ ოცნებას რომ ერტყა.

„ვინ მოყვარესა არ ეძებს,  
იგი თავისა მტერია“.

ეს, რა თქმა უნდა, მარტო ეფექტური პოეტური ფრაზა არ არის, იგი მთელი ჩვენი ხალხის მორალური კოდექსის, სულიერი კონსტიტუციის ერთ-ერთი ძირითადი პარაგრაფია, რომელიც, მხოლოდ და მხოლოდ, თანასწორთა, თანაბარუფლებიანთა მეგობრობას, ურთიერთგაგებასა და პატივისცემას გულისხმობს და არა ძლიერი მფარველის ძებნას.

მას მერე, რაც ეს პოემა მოგვევლინა, საქართველოში არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ადამიანი, ამ ნაწარმოებზე თავისი აზრი რომ არ გამოეთქვას. ზოგიერთის აზრი დასტამბულია, ყველასთვის ცნობილია, უმრავლესობისა კი — ერთად შეკრული — ხალხის საერთო აზრადაა ქცეული.

ქართველ ადამიანს ვეფხისტყაოსანზე ძვირფასი არაფერი გააჩნია. ამ უკვდავ ნაწარმოებში თავმოყრილია ჩვენი ხალხის უზარმაზარი ცხოვრებისეული გამოცდილება და სიბრძნე. ამ წიგნის მიხედვით, უცხოელს შეუძლია ქართველებზე თითქმის სრული წარმოდგენა იქო-



ნოს. ჭაჭა-ფშაველამ თქვა: „შოთა რუსთაველი იკვებება ქართველო“-ო. სხვა როს არაფერი შეეძინა ჩვენს ხალხს. ამ წიგნის წყალობით, მაინც ღირსი იქნებოდა ყველაზე კულტურულ ერთა შორის მოხსენიებისა. |

ვინც არ უნდა იყოს პოემის ავტორი, ქართველმა ხალხმა მას შოთა რუსთაველი უწოდა. შოთა რუსთაველი დღეს მარტო პოეტის სახელი და გვარი არ არის, აღმატებულობას, უზენაესობას, თითქმის ღვთაებრიობას აღნიშნავს. მეტიც — შოთა რუსთაველი უკვე მთელი ქართველი ხალხის აღმნიშვნელი ცნებაა, რამდენადაც ამ ცნებაში თავმოყრილია ჩვენი ხალხის ყველა მთავარი თვისება: ნიჭი, სიკეთე, სიმტკიცე, მეგობრობა, სიყვარული, პიროვნების პატივისცემა. როგორცაა შოთა რუსთაველი, ისეთივეა ქართველი ხალხი, როგორცაა ქართველი ხალხი, ისეთივეა შოთა რუსთაველი...)

ისევე, როგორც ტაძრისა თუ მონასტრის კედლებია აქრელებული ტურისტთა წარწერებით, პოემის ტექსტის პერანგზეც მრავლად ვხვდებით სიმარტოვისაგან გაოგნებული გადამწერების გულისთქმასა თუ ამ დიადი პოეზიით აღფრთოვანებული და წათამამებული მკითხველის ლიტერატურულ ცდებს. როგორც ცნობილია, რუსთველოლოგიაში ეს ჩამატებლები და ინტერპოლატორები საერთო ტერმინით „ნ ა ნ უ ჩ ა თ ი“ აღინიშნებიან. არჩილ მეფეს ეკუთვნის ეს სიტყვები: „ნანუჩას რუსთავლის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია“, „ნანუჩაობაც“ მისივე გამოთქმაა. თეიმურაზ ბაგრატიონი, ერთი უშესანიშნავესი რუსთველოლოგი, ნანუჩას შესახებ წერდა: „ღმერთმა აცხონოს, მაგრამ დიახ ცუდი პიიტკოსი ბრძანებულა“-ო. ჩვენი რუსთველოლოგია ვეფხისტყაოსნიდან — პოეზიის ამ ღვთაებრივი ბალიდან — დღემდე

გამწარებული გლეჯს სარეველას, ხვეტავს „დამატებათა ნაგავს“, მაგრამ, მიუხედავად მისი წარმატებულობისა, ეს საქმე დღემდე დაუმთავრებელია და აწვევს ვე დარჩება ძალიან დიდხანს.

როგორც უკვე ვთქვი, ვეფხისტყაოსნის ტექსტი აკრელებულია უამრავი წარწერით, ჩამატებული სიტყვით, სტრიქონითა თუ მთელი ეპიზოდით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დიდებული და მიუწვდომელი უბრალოების გამო ამ პოემამ სიმღერის გუნებაზე დააყენა მთელი ერი, ანუ თვითგამოხატვის, თვითგამოთქმის მწველი სურვილი წაუვიდა ყველას — მაღალსა თუ მდაბალს, ნიჭიერსა თუ უნიჭოს. ყველას დააწყებინა საკუთარ პიროვნებაზე ფიქრი. |

ადამიანი, რომელიც ზეპირად სწავლობდა ამ პოემას, არა მარტო საკუთარ მახსოვრობას წვრთნიდა, არამედ იმ უჩვეულო სიხარულსაც განიცდიდა, ცხოვრებისათვის აუცილებელი რამის შეძენას, პოენას რომ მოსდევს. მას უხაროდა, რომ შეეძლო ამ სიმღერის გათავისება, შენახვა და ტარება. ამ ძვირფასი ტვირთით უკვე ძნელი აღარ იყო ცხოვრება.

დაიწყო რა ფიქრი საკუთარი პიროვნების მნიშვნელობაზე, მან ამის ნაღდი და ურყევი საზომიც იპოვა — ისევ რუსთაფელის პოემა! თითოეულმა ჩვენგანმა მოინდომა თავისი სულის ნაფლეთი, შელოცვილი ჰინჭივით, მაინცდამაინც ამ პოემის რომელიმე ტოტისათვის შეება. მთელი ხალხის ცხოვრებაში მოხდა დიადი მოვლენა — ვიპოვეთ ყველაზე ნამდვილი გზა ხსნისა, ამქვეყნიდან უკვალოდ რომ არ გავმქრალიყავით. მართლაც, მიუხედავად ქართულ სინამდვილეში არსებული უამრავი მატერიალურ-კულტურული ძევლისა, არაფერი ისე აშკა-





რად არ ქმნის, არ იწვევს უკვდავების განცდას, რომ გორც ვეფხისტყაოსანი. ასე რომ, თავისთავად ბევრად უფრო სულ აქტს (ვგულისხმობ პოემის ჩამატებებს, შესწორებებს, გაგრძელებებს) აქვს მეორე მხარეც, მე ვიტყვოდი, მეტად ტრაგიკული გარემოებისაგან გამოწვეული გამართლებაც, და ვინც ჩვენი ერის ისტორია იცის, დამეთანხმება, რომ ეს ინტერპოლაციური ცდები, შეიძლება, ხელის იმ ანაბეჭდებად წარმოვიდგინოთ, წყალში ჩაცვენილთ მათი გადამრჩენი მორისთვის რომ შეუტოვებიათ.

ამრიგად, ჩვენამდე მოღწეული, უამრავი ჩამატებითა თუ შესწორებით აკრელებული, სწავლულთათვის ასეთი რთული, თავსატეხი რებუსებით სავსე ტექსტი იმიტაც არის მნიშვნელოვანი, რომ არ არსებობს მეორე ნაწარმოები ქვეყნად, რომელსაც ამდენი, მისი ავტორობის პრეტენზიით აღბეჭდილი ავტოგრაფი ახლდეს თან. ის თითქოს უკვდავების საბუთია, რომელზედაც მთელ ხალხს მოუწერია ხელი.

ვეფხისტყაოსანში ქართველმა ხალხმა თავისი სახე დაინახა, თავისი ხმა გაიგონა, თავისი გულის ცემა იგრძნო: უფრო მეტიც — თავისი ბედის ამოხსნაც სცადა (ჩვენში არსებობდა და დღესაც არსებობს ეგრეთწოდებული ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი თ მ კ ი თ ხ ა ო ბ ა!). მეტად საყურადღებოა თეიმურაზ ბატონიშვილის ფრაზა „მდაბალი ხალხი ძალიან კითხულობს ვეფხისტყაოსანსა!“ — „ძალიან კითხულობს“ ხომ იმასაც ნიშნავს, რომ ეს მის კიდეც!

ცოტათი გადავაკეთებ და ვეფხისტყაოსნის მისამართით გავიმეორებ ამერიკელი მწერალი ქალის ჯონის კეროლ ოუტისის სიტყვებს, ერთ-ერთი ამერიკელი რომანის შესახებ რომ თქვა: როდესაც ამ ნაწარმოებს ბოლო-



მდე ჩავიკითხავთ, მაშინ მივხვდებით, მხოლოდ ახლა რომ ვართ ნამდვილად მზად მის წასაკითხად. ვეფხისტყაოსანთან დაკავშირებით, შეგვიძლია გავთქვათ: ლექსით მეტი მნიშვნელობა მივანიჭოთ ამერიკელი მწერლის ამ აზრს და ვთქვათ: ვეფხისტყაოსნის წაკითხვის შემდეგ ზღები ღირსი მისი წაკითხვისა! აქ, რასაკვირველია, უკუგდებულა წიგნის წაკითხვის ჩვეულებრივი გაგება და საკუთარი პიროვნების ზრდის დაუსრულებელ პროცესზეა საუბარი. ასეთი წიგნები, ანუ ვეფხისტყაოსნის მსგავსი წიგნები, კაცობრიობას, რა თქმა უნდა, აქვს, მაგრამ ძალიან ცოტა, თუმცა, ასეთი წიგნი არც შეიძლება ბევრი იყოს. ამით მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, ვეფხისტყაოსნის წაკითხვა არ შეიძლება ამ ცნების ჩვეულებრივი გაგებით — ვეფხისტყაოსნით უნდა იარსებო!

ამავე დროს, უსათუოდ უნდა ითქვას ისიც, რომ რუსთაველი თითქმის მთლიანადაა დამოკიდებული მკითხველზე, რუსთაველი ენობა მკითხველს, ოღონდ ისეთს, რომელსაც არა მარტო სიუჟეტის გაგება, არა მარტო მისი მელოდიებითა თუ აფორიზმებით აღტაცება შეუძლია, არამედ წარმოსახვის უნარიცა აქვს, ძალა შესწევს წარმოიდგინოს პოეტური სივრცის უსასრულობა, უწყვეტობა, დანტეს სიტყვით რომ ვთქვათ, განიცადოს „სიამოვნება იმ უკაცურ ქვეყნის ზღვისა, მანათობელი მზის გადაღმა რომ მდებარეობს“. და, რაც მთავარია, არა მარტო კითხულობს ტექსტს, ანუ არა მარტო იმას სწვდება, რაც მის ზედაპირზე დევს, არამედ უსმენს და უქკრეტს იმ უხმოსა და უჩინარს, პოეტური შუქი, პოეტური აზრი რომ ჰქვია და ნაწარმოების სიღრმეში საიდუმლო არსებასავითაა ჩაბუდებული. ამ თვალსაზრისით, შეიძლება დაგვაინტე-

რესონს იულიანეს შემდეგმა მოსაზრებამ: „რაც უფრო მეტად პარადოქსალური და ზღაპრულია გამოცანა, მით უფრო გვაეაღივლებს ვირწმუნოთ არა ის, რასაც გვეუბნება, არამედ — რასაც გვიმალავს!“

პოემის მკვლევარები, უმთავრესად კი ტექსტოლოგები, ფრთხილად ფხეკდნენ რა პოემიდან, როგორც უძველესი ტაძრის კედლიდან, დროისა თუ უვიცობის დანაშორებს, ამავე დროს, მის გარშემო აგებდნენ ფილოლოგიურ ხარაჩოებს. პოემა თითქოს რამდენიმე ტექსტოლოგი-განდობილის საკუთრებად, ფილოლოგიური ექსპერიმენტების საგნად იქცა. პოემასა და მის მკითხველს შორის ინტელექტუალური ჯებირი აღიმართა. მკითხველმა თანდათანობით თავისი მოუშაადებლობა და უცოდინარობა ირწმუნა, პოემა კი ლამის ჩაიკარგა მასზე დაწერილი გამოკვლევების ზღვაში.

ფილოლოგიური ხარაჩოები, ნებისმიერ ხარაჩოსავეთ, საჭირო და აუცილებელია, ოღონდ, როგორც ყველა ხარაჩო, ისიც თუ დროზე არ ჩამოხსენი, თავის მნიშვნელობას უსათუოდ დაკარგავს. ამასთანავე, აქვე უნდა ითქვას, რომ ტექსტოლოგების ტიტანურმა შრომამ — მართლაც, სხვა სიტყვა არ გამოიძებნება ჩვენი ბევრი შესანიშნავი მეცნიერის დაუღალავი გარჯის აღსანიშნავად — არაჩვეულებრივი ნაყოფი გამოიღო: დღეს გაცილებით უკეთესი რექსტი გვაქვს ხელთ, ვიდრე რომელიმე, ცალკე აღებული, ჩვენთვის ცნობილი ხელნაწერია.

ფილოლოგიური ხარაჩოები მხოლოდ ერთი წყებაა ინტელექტუალური ჯებირისა. მეორე წყება — ფილოსოფიური ხარაჩოები გახლავთ. თუმცა, ფილოსოფოსებმა, ბუნებით უფრო თამამებმა და შეუპოვრებმა, ხარაჩოები არ იკმარეს და ვეფხისტყაოსნის ტერიტორიაზე

რამდენიმე საფეოდალო დააარსეს: ნეოპლატონიზმი, არისტოტელიზმი, პანთეიზმი, მანიქეველიზმი... ამ „საფეოდალოებს“ მაღალი გალავანი შემოარტყეს და ამ მაღალი გალავნიდან შუბების ტყორცნა დაუწყეს ერთმანეთს, რაც, რატომღაც, ბრძოლას კი არ გავდა, არამედ — ვირტუოზთა გართობას, ტურნირს, რის საყურებლადაც დიდი სიამოვნებით ვიკრიბებოდით ჩვენც, „საქმის უცოდინარი მკითხველები“ (მ. გოგიბერიძის გამოთქმა).

გატაცებით ვადევნებდით რა თვალს ფილოსოფოსთა ამ ტურნირებს, სავსებით დავივიწყეთ პოემა და ისიც ნელ-ნელა, თითქმის შეუმჩნევლად გაქრა ჩვენი თვალსაწიერიდან. არა, კი არ გაქრა, დანაწილდა, გადაიწონ-გადმოიწონა, გადაიღვარ-გადმოიღვარა სხვადასხვა დისერტაციასა თუ მონოგრაფიაში. ჩვენ კი, რიგით მკითხველებს, ყავლგასული საბუთივით, ხელში შეგვრჩა მოგონება, რომ ჯერ კიდევ ჩვენმა ბებიებმა ეს პოემა თავიდან ბოლომდე ზეპირად იცოდნენ და მათ, უბრალო დიასახლისებს, ესმოდათ, ალელუებდათ, ცრემლსა გვრიდათ ავთანდილისა და ნესტანის ბრძნული წერილები... რომ ჯერ კიდევ გუშინ მწყემსები, გუთნისდედები, კალატოზები რუსთაველის ლექსით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს... ჭაბუკი თავის სატრფოს რუსთაველის სიტყვებით უმცლავნებდა სიყვარულს... ასე კი იმიტომ ხდებოდა, რუსთაველმა ქართული სულის „მეტაფიზიკური ენა“ რომ შექმნა, რომლის რაობაც შესანიშნავად ამოხსნა გალაკტიონ ტაბიძემ: „საქართველომ პოეტისაგან და პოეტმა საქართველოსაგან ისესხეს მანერა საუბრის, მანერა სულის გაქანების, მანერა ბრძოლის. საქართველომ შეისისხლხორცა პოეტის გემოვნება, მისი ჩვეულებები, მისი ალერსი, მისი სასიყვარულო სიტყვები. საქართვე-

ლო და პოეზია თანაბრად არიან რთული, გაწვრთნილი და ამალღებულები მრავალფეროვანი და მდიდარი წყაროებით. აქ შოთა რუსთაველი ლეგენდა კი არ არის, არამედ ისტორიაა“.

ზოგიერთმა ჩვენმა ფილოსოფოსმა თუ ტექსტოლოგმა-მკვლევარმა ლოდიდან ქანდაკება კი არა, ქანდაკებიდან ლოდი გამოთალა და იმით ჩახერგა კარი იმ მშინანი, სიკეთით სავსე სახლისა, ვეფხისტყაოსანი რომ ჰქვია. რასაკვირველია, ეს სიტყვები ყველას ერთნაირად არ ეხება. ჩვენ დიდი მადლიერების გრძნობით ვახსენებთ ამ პოემის ისეთ მკვლევარებს — ვახტანგ VI დაწყებული ჩვენი თანამედროვე ყველაზე ახალგაზრდა მეცნიერის ჩათვლით — რომელთა შრომებმაც ჩაგვინერგეს რწმენა, გვაჩუქეს იმედი, რომ ეს პოემა ჩვენთვის არის მოვლინებული, როგორც ამქვეყნიური ადამიანური შეება.

პოემა რომ მეცნიერებისათვის არ არის დაწერილი, ამასზე ლაპარაკი, რა თქმა უნდა, ზედმეტია. ამასთანავე, ვერავინ დამარწმუნებს (თუკი საერთოდ გამოჩნდება ასეთი ვინმე!), თითქოს ნებისმიერი ტექსტოლოგი, ენათმეცნიერი ან ფილოსოფოსი პოემაში გაცილებით მეტ პოეზიას პოულობდეს, ვიდრე ამავე პოემის რომელიმე არამეცნიერი მკითხველი. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ვერც ერთი ენათმეცნიერის, ფილოსოფოსისა თუ ტექსტოლოგის ნარკვევში ვერ ვხედავთ ამის კვალს; მეტსაც ვიტყვი—ზოგიერთი მეცნიერული ნარკვევის მიხედვით, ვეფხისტყაოსანი პოეზიის ნიმუში კი არა, ჩვეულებრივი, განსაზღვრული ინფორმაციის შემცველი ტექსტია, ანუ ისეთი ტექსტი, სადაც პოეზიის ნატამალიც კი არ არის, როგორცაა, ვთქვათ, მეოთხრმეტე საუკუნის რომელიმე სიგელი, ნუსხა ან წერილი...

რუსთველოლოგები, საერთოდ, ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. რაც უფრო დიდია მეცნიერი, მით უფრო ნამდვილი პოეტია, რამდენადაც პოეზიის მდგომარეობა სულისა, ის იდუმალი კონტაქტის შეგონება სამყაროსი, იმ საიდუმლო ნიშანთა დანახვის, შემჩნევის უნარი, რომელიც ერთმანეთის გვერდით აყენებს შექსპირს, კოლუმბსა და კოპერნიკს. ამიტომაც, ვისაც მეტად შეუძლია განიცადოს პოეზია, ვინც მეტად არის პოეტი, მას უკეთესად შეუძლია ამოხსნას (თუკი ეს, საერთოდ, შესაძლებელია!) ან ეცადოს მაინც ამოხსნას პოემაში ჩამარხული საიდუმლო, ყოველშემთხვევაში, შეუძლია ჩაწვდეს მისი პოეტური სისტემის ორგანიზაციის თავისებურებას.

იმედია, არავინ იფიქრებს, რომ რუსთაველის პოემის იდეალურ მკვლევარად ის მიმაჩნია, ვინც ლექსებს წერს, ვისაც დღეს ჩვენ პოეტს ვეძახით მისი საქმიანობის გამო. არა — მე ვგულისხმობ უნარს, პოეტურ სმენას, მუდმივ მზადყოფნას პოეზიასთან შესახვედრად, მოკლედ, ბედნიერ, თანდაყოლილ თვისებას. ტყუილად როდი ამბობდა ჰეგელი: „ისტორიაზე სერიოზულად ვერ იმსჯელებ, თუკი ესთეტიკური გრძნობა არა გაქვს“-ო, სამართლიანი მოსაზრებაა, არა მარტო ისტორიის, არამედ, საერთოდ, მეცნიერებასთან დაკავშირებით.

პოეზიაზე საუბრის დროს, ზოგ შემთხვევაში, გვავიწყდება, რომ ეს სწორედ პოეზიაა, ანუ ხელოვნებაა. ზოგჯერ შეგნებულადაც კი ვივიწყებთ, რადგან ჩვენი სწავლულების გარკვეულ, მეტად გავლენიან წრეში პოეზიისადმი ასეთი მიდგომა უკვე დაკანონებულ ნორმად ითვლება და მისგან ოდნავი გადახვევაც კი ამ სწავლულთა

რისხვას თუ არა, ირონიულ ლიმილს მაინც უსწავლოდ იწვევს.

პოეზიას, რასაკვირველია, მარტო წაკითხვით იკვებება, პოეზიას უნდა გრძნობდე. ა. ფეტის რომლებიც ახლა მინდა გავიხსენო, შეიძლება, პოეზიის მკვლევართა მისამართით არ იყო ნათქვამი, მაგრამ აშკარად მათაც ეხება: „თუკი ისევე არ ხედავ და ისევე არ ვგრძნობ, როგორც ხედავდნენ და ვგრძნობდნენ ფირდოუსი, შექსპირი და ბეთჰოვენი, მაშინ დაგვანებეთავი, მოგვშორდით!“

ვეფხისტყაოსნის შესანიშნავმა მკვლევარმა შალვა ნუცუბიძემ თქვა: „ტექსტს ფილოლოგიური წაკითხვის გარდა, პოეტური წაკითხვაც უნდა“-ო, რასაც, სამწუხაროდ, ზოგჯერ თვითონაც ივიწყებდა ეს ყველაზე პოეტური ფილოსოფოსი ჩვენს ახალ ფილოსოფოსებს შორის. მაგრამ მან პირველმა თქვა ეს, ხოლო მსგავსი აზრი მერე სხვა მეცნიერებმაც გამოთქვეს, ისეთებმაც კი, პოეტურობას ნამდვილად რომ ვერ დაეწამებთ.

ახლა დროა, ისევე „საქმის უცოდინარ მკითხველს“ დავუბრუნდეთ. ნუთუ მართლა, რაც მას ვეფხისტყაოსანში მოსწონს, ტყუილად მოსწონს? ნუთუ, რაც მოსწონს, პოეზია არ არის? ნუთუ ეს მკითხველი, მხოლოდ და მხოლოდ, არასწორი გავების, არასწორი გრამატიკული ფორმების, ჩამატებების, გადამწერთა კალმის შეცდომათა მსხვერპლია და რუსთაველის კემარტი გენია მისთვის მიუღწეველი რჩება? არა, ასე რომ იყოს, საბოლოო ტექსტის დადგენამდე, პოემა სეიფში უნდა გამოვეყავტა და არავინ მიგვეკარებინა. მაგრამ განა მართლა შესაძლებელია ერთხელ და სამუდამოდ დადგინდეს პოემის ტექსტი? პოემის ერთ-ერთი ტექსტოლოგი —

მკვლევარი ფიქრობს, ამ მიმართულებით მუშაობა, შეიძლება, „ასეული წლობით“, გაგრძელდესო. რა შედეგები იქნება ამის შემდეგ ვთქვათ? რასაკვირველია, ეს ასევე მზარამ, ამავე დროს, ისიც ხომ ფაქტია, რომ პოემა ჯიუტად განაგრძობს უამრავი და უამრავი ახალი გულისა და გონების მონადირებას, საოცარი ცოცხალი ძალით მოქმედებს ადამიანებზე და ნუთუ ეს ძალისხმევა პოეზიისა, მხოლოდ და მხოლოდ, შეცდომების საფუძველზე დგას? ნუთუ თვით ტექსტის სირთულეს, გადამწერების შეცდომებსა თუ ეპიგონების მცდელობებს ასეთი საბედისწერო როლის შესრულება შეუძლია? ნუთუ, მართლაც, ასეთი გაუგებარია პოემა „საქმის უცოდინარი მკითხველისათვის“? აკაკი წერეთლისა არ იყოს, „ნუთუ ეს გატაცება და ხალხის აღტაცება უბრალო შემთხვევის ბრალი იყო“ მხოლოდ?.. „ხომ ვკითხულობდით ცალმხრივ „ვეფხისტყაოსანს“ საუკუნეთა განმავლობაში?“—წერს შალვა ნუცუბიძე და იქვე დასძენს,—„ამით ბევრი არაფერი დაშავებულა და იგი თავის როლს ასრულებდა ქართული კულტურის ისტორიაში“-ო.

მართალია, მკითხველს პოემაში ბევრი რამ არ ესმის, აქ ბევრი გაუგებარი სიტყვა, გამოთქმა ან მეტაფორაა, მაგრამ განა როდისმე ყველაფერი ნათელი გახდება? განა ეს, საერთოდ, შესაძლებელია? ან განა აუცილებელია, პოემაში ყველაფერი ნათელი იყოს, როგორც ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოში? და ბოლოს, განა ვეფხისტყაოსნის ტექსტი ფილოლოგიურად დადგენილიც რომ გვქონდეს, პოეზიის მხრივ, ყველაფერი გარკვეული იქნებოდა?

ერთხელ და სამუდამოდ ამოხსნილი ლექსი არ არსებობს და თუკი არსებობს, ნამდვილი ლექსი არ არის.





პოეზია ცოცხალი არსებაა იმ თვალსაზრისით, რომ ვა-  
 ნუწყვეტლივ წარმოშობს თავის წიაღში ახადრწმუნულ  
 ლოდნელ თვისებებს. (ი. ტინიანოვიმა კარგად შექმნილია  
 სი, ადამიანისაგან განსხვავებით, ცოცხლდება ხოლმე და  
 თანაც არაერთხელო.)

იმ წიგნს, რომელსაც პოეზია ეწოდება, არითმეტიკის  
 სავარჯიშოსავით, პასუხები არა აქვს დართული, არ შეგ-  
 იძლია შეამოწმო, სწორია თუ არა შენი შთაბეჭდილება,  
 მიხვედრა, აზრი... მაგრამ საქმე ეს არის, რომ პოეზიაში  
 ყველაფრის ბოლომდე გარკვევა არც სავალდებულოა და,  
 უფრო მეტიც — არც სასურველი!

პოემის თავდაპირველი ტექსტის დადგენა, რა თქმა  
 უნდა, შეიძლება, ჩვენი რუსთველოლოგია დიდ წარმატე-  
 ბას აღწევს ამ მხრივ, ბოლოს და ბოლოს, შეიძლება პო-  
 ემის დედანიც ვიპოვოთ, მაგრამ აი, პოემის პოეტური  
 ტექსტის და, ამდენად, მისი გაგების დადგენა ყოველად  
 შეუძლებელია.

მეცნიერული ტექსტი, მართლაც, ერთი უნდა იყოს  
 (სასურველია!), პოეტური კი იმდენი, რამდენიც მკითხვე-  
 ლია (ესეც სასურველია!).

საინტერესოა, მაინც ვინ უნდა ვიგულისხმოთ „საქ-  
 მის უცოდინარი მკითხველის“ ცნებაში? იქნებ ის, ვინც  
 პოემის კითხვის დროს წინასწარ არ ფიქრობს, რომ ეს  
 პოემა არისტოტელეს, პლატონის თუ ფსევდო-დიონისე  
 არეოპაგელის იდეების გავლენითაა შექმნილიო; რომე-  
 ლიც ყოველი ტაეპის, სტროფის, სიტყვის მიღმა რაიმე  
 ალეგორიას, სიმბოლოს ან ეზოტერიულ ნიშანს არ გუ-  
 ლისხმობს, ვინც რუსთაველის ღვთაებრივ უბრალოებას  
 ენდობა და სულის კარს უხსნის მის მუსიკას, ვისაც  
 სწამს, რომ პოეტი ფილოსოფიურ-მისტიკურ მახეს კი



არ უგებს, პოეზიისა თუ თეოლოგიის წესების ცოდნით  
 კი არ ზომავს და არჩევს თავის მკითხველს (ესევე უნდა იყოს, ღმერთი ეკლესიაში მართო სასულიერო მოღვაწის რეპტორებს შეუშვებდა!), არამედ ასწავლის ამ ქვეყნად ყველაზე ძვირფასი განძისაკენ, ანუ საკუთარი პიროვნებისაკენ მიმავალ ყველაზე სწორ გზას, ასწავლის მეგობრის სიყვარულს, სუსტის შებრალებას, ღირსეულის დაფასებას, სხვა ხალხთა პატივისცემას, ჭირთა თმენას, მოკლედ — ყველაფერ იმას, რაც კი ამქვეყნიური ცხოვრებისთვისაა აუცილებელი. დიახ, ცხოვრებისთვის და არა მხოლოდ არსებობისთვის!

ვეფხისტყაოსანმა სამყარო კი არ ამოხსნა, არამედ სამყარო დაანახვა ქართველ კაცს, მის სულს შესძინა ხალხი თვისება — სამყაროს უსაზღვროების განცდისა; დაანახვა ცა, რომელიც ჩვენს ლიტერატურაში და, ამდენად, ჩვენს სინამდვილეში, პირველად გამოჩნდა არა როგორც ღმერთის კუშტი, იდუმალი სამფლობელო, არამედ, როგორც უკიდვგანო, ვარსკვლავებით მოჭედული სივრცე, სადაც თითოეულ პლანეტას, ადამიანივით, თავისი თვისება და ხასიათი გააჩნია. ეს კი რუსთაველის შეუდარებლად დიდი და ნოვატორული ქმედება იყო, შეუდარებლად მნიშვნელოვანი მიღწევა პოეტური სულისა, ვიდრე რომელიმე ასტრონომიული თეორიის ჩამოყალიბება. თუმცა, არ შეიძლება არ ვთქვა, რომ ისინი, ვინც კი ჩვენს პოეტს მეცნიერულ ნიჭსა და შრომებსაც კი მიაწერენ, მხოლოდ და მხოლოდ კეთილშობილური განზრახვით იღვწიან და რუსთაველის კიდევ უფრო განდიდება სწადიან, ისევე როგორც მორწმუნეს — ღმერთისა, თითქოს ღმერთის კიდევ უფრო განდიდება შეიძლებოდეს...

K 52.091

2. თ. ჰილაძე

მ. აქ. სსრ კ. მარქსის  
 სახ. საბ რესპუბ.  
 ბიბლიოთეკა

საქართველოში, ამ „პოეტების ქვეყანაში“, როგორც მას უწოდებენ და რასაც სიამოვნებით ვიფერებთ, კიდევ ერთი უცნაური რამ შეიმჩნევა — პოეტის პოეტობა აშკარად არ გვაკმაყოფილებს და ვცდილობთ რაიმე თანამდებობით „დავაწინაუროთ“ იგი. აი, რუსთაველი ჩვენი მკვლევარების წიგნებში ხან მეჭურჭლეთუხუცესია, ხან მხედართმთავარი, ხან ეპისკოპოსი და ა. შ. ასეთ „მზრუნველებს“ შორის ხშირად გვხვდებიან მეტად სერიოზულა მკვლევარებიც, რომელთა მსჯელობაც, ალბათ მკვლევართა პირადი ავტორიტეტის გამო, განსაკუთრებული კატეგორიულობით გამოირჩევა. ჩვენ კი, ანუ „საქმის უცოდინარი მკითხველები“, ცოტათი დაბნეულებიც კი ვართ ჩვენი პოეტის ამდენნაირი პროფესიით, თანამდებობითა და საერთოდ, მრავალმხრივობით, რაც ვერ დაგვიჯერებია, იმიტომ კი არა, დაჯერება რომ არ გვინდა — ვერ დაგვარწმუნეს, ეს კატეგორიული მსჯელობანი ფოლკლორულ წარმოდგენებზე უფრო სანდო რომაა.

რუსთაველის „ბიოგრაფები“ ამტკიცებენ, პოეტი, უპირველეს ყოვლისა, დიდი კარისკაცი იყო და პოეტობას გასართობად მისდევდაო. ისევე როგორც შექსპირის ბიოგრაფებს, არც მათ სჯერათ, რომ პოეტს, თანაც უბრალო წრიდან გამოსულს, შეეძლო შეექმნა პოეტური აზროვნების ასეთი საოცრება; აშკარად არ აკმაყოფილებთ ამ გენიალური ქმნილების ავტორის მხოლოდ პოეტობა; მათ წარმოდგენაში ასეთი პოეტი უსათუოდ დიდი გვარის შვილიც უნდა იყოს, დიდი თანამდებობაც უნდა ეჭიროს.

როგორც ვიცით, შექსპირის პიესების ნამდვილ ავტორად ჯერ ფილოსოფოსი ფრენსის ბეკონი მიაჩნდათ, მერე გრაფი დერბი, მერე ლორდი რეტლენდი და მაღალი



წოდების კიდევ მრავალი სხვა წარმომადგენელი, ოღონდ ამ ბრწყინვალე ტრაგედიების ავტორი უბრალოდ არაა ტ. ი. მსახიობი არ ყოფილიყო!

რუსთაველთან დაკავშირებით, ჩვენშიაც ასე იყო და, საკვირველია, რომ დღესაც ასევე გრძელდება: ძალიან უნდათ, პოემის ავტორი უსათუოდ რომელიმე დიდი კარისკაცი იყოს, ეთქვათ, მეჭურჭლეთუხუცესი. კი მაგრამ, რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ისეთი გამჭრიახი მეფე, როგორც გიორგი III გახლდათ, თავისი ასულის გამეფებასთან დაკავშირებით და ამიტომაც განსაკუთრებული მნიშვნელობის პოემის დაწერას პროფესიონალ პოეტს კი არ დაავალებდა, არამედ ფინანსთა მინისტრს!

იქნებ ვინმემ თქვას, როგორც ადრეც არაერთხელ უთქვამთ, რომ შეიძლებოდა ფინანსთა მინისტრი, მხედართმთავარი თუ ეპისკოპოსი, პოეტური ნიჭითაც ყოფილიყო დაჯილდოებულიო, მითუმეტეს, რომ საქართველოში ეს არავის უნდა გაუკვირდეს, რადგან აქ მეფეებიც კი პოეტები იყვნენო.

რა უნდა ვუპასუხოთ ამ, ერთი შეხედვით, რკინისებური ლოგიკით განმტკიცებულ მოსაზრებას? ჭერ ერთი, პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი სხვაა და ნამდვილი პოეტი კი სულ სხვა. ეს პოემა ამჟამად არ არის დამატებითი გატაცების, ანუ ეგრეთწოდებული „პობის“ ნაყოფი. მეორეც — ისეთი პოეტი მეფე, რომელიც პოეტური ნიჭით რუსთაველს ოდნავადაც კი შეიძლება შევადაროთ, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიო ლიტერატურაში არ მოიძებნება.

უდავოა, რომ რუსთაველის კარისკაცობის ამბავი ლეგენდა და, თანაც, აღორძინების ხანაში შეთხზული. ნიკო მარი ფიქრობდა, ლეგენდა რუსთაველის დიდებულობის,



ვეზირობის, მეჭურჭლეთუხუცესობის შესახებ მაშინ შეიქმნა, როცა მეფეები და დიდებულები პოეტები ეყენნო.

ვფიქრობ, უმჯობესია, ერთხელ და სამუდამოდ შევურიგდეთ იმ აზრს, რაც უნდა ძნელი იყოს, რომ რუსთაველი პროფესიონალი პოეტია და არა პოეტური ნიჭით დაჯილდოებული კარისკაცი. სხვათაშორის, ხელმწიფის კარზე მოსამსახურე პოეტს კარისკაცზე არანაკლებად ეცოდინებოდა ყველაფერი ის, რაც ამ პოემის დასაწერად იყო საჭირო. მეტსაც ვიტყვი—პოეტს უსათუოდ გაცილებით უკეთესად ეცოდინებოდა, თუნდაც, სარაინდო წესები, მიუხედავად იმისა, თვითონ პირადად იყო თუ არა რაინდი. ბოლოს და ბოლოს, მეფის კარზე მოსამსახურე პოეტი შეიძლებოდა თვითონაც რაინდი ყოფილიყო...

ღიახ, რუსთაველი პროფესიონალი პოეტია, „სპეციალური პოეტური გილდიის“ წევრია, ანუ, როგორც ცნობილი რუსთველოლოგი ვუკოლ ბერიძე ამბობს, ხელმწიფის კარზე არსებული „მთელი ლიტერატურული დეპარტამენტის“ აქტიური მოღვაწე.

ასეთი „პოეტური გილდიები“ მაშინ ევროპაში მრავლად იქმნებოდა და არა მარტო ხელმწიფისა თუ მთავრის კარზე. გავიხსენოთ, თუნდაც, მინეზინგერები გერმანიაში. ასეთი პოეტური ამქრების წევრთა ერთადერთი შემოსავალი, საარსებო წყარო და სახსარი ლიტერატურული საქმიანობა იყო. ასეთი „გილდიები“ უსათუოდ საქართველოშიც არსებობდა, რომლის იმდროინდელი ყოფა ძალიან ჩამოგავს დასავლეთ ევროპის ცხოვრების წესსა და ყოფას. ასეთი „გილდიებიდან“ ალბათ საუკეთესო პოეტებს არჩევდნენ და ხელმწიფის კარის „ლიტერატურულ დეპარტამენტში“, გადაჰყავდათ. შეიძლება ეს ძალიან სა-

ინტერესო მოსაზრება აღმოჩნდეს რუსთაველის პროფესორის გარკვევისათვის.

პოეზია საქართველოშიც უსათუოდ ხელობად ვლებოდა. „მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა“! — ზე, რუსთაველი, ვაკეთებ იმ საქმეს, რომელიც ჩემი ხელობააო. „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს“-ო, ესეც მისი სიტყვებია. როგორც ჩანს, ჩვენი ზოგიერთი მკვლევარისაგან განსხვავებით, თვითონ პოეტი კმაყოფილი იყო თავისი ხედრით.

ამავე დროს, სრულებითაც არ არის საკვირველი, რუსთაველისათვის ყველაფერი რომ გვემეტება: მხედართმთავრობაც, მექურჭლეფუხუცესობაც, ეპისკოპოსობაც, ასტრონომობაც, მხატვრობაც, კომპოზიტორობაც... უპირველეს ყოვლისა, ეს არის, როგორც უკვე ვთქვი, პოეტისადმი უღრმესი თაყვანისცემისა და აღტაცების, ანდა, თუ გნებავთ, მადლიერების ერთგვარი გამოხატვა.

რა თქმა უნდა, თაყვანისცემა და მადლიერება კარგია, რუსთაველი ჩვენგან სხვა არაფერს იმსახურებს, მაგრამ ერთიცაა — გენია ხელოვნურად არაფრის მიმატებას არ საჭიროებს.

ფსიქოლოგიურად იგივე მიზეზი უდევს საფუძვლად ჩვენი ზოგიერთი მკვლევარის მიერ რუსთაველის ფილოსოფოსად წარმოდგენის ცდასაც.

ჩემი აზრით, როცა ვეფხისტყაოსანზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ეს პოეზიის სიბრძნეა და არა რომელიმე ფილოსოფიურ სკოლაში დამუშავებული ტრაქტატი. აკი თავად რუსთაველმა თქვა: პოეზია „სიბრძნის დარგია“-ო (დანტესთვისაც ორფეოსი „ბრძენია“! ხოლო მეფე პოეტი არჩილი წერდა: „რუსთველი სიბრძნის ტბა არის“-ო).

ზოგი მკვლევარი ცნობილ სტრიქონს: „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“ ისე კითხულობენ თითქოს რუსთველი პოეზიას ფილოსოფიის ფილოსოფიის თვლიდეს. არადა, როცა რუსთველი ვინმეზე ამბობს, ბრძენიაო, სრულებითაც არ გულისხმობს ფილოსოფოსს (ერთი შემთხვევის გარდა: „ბრძენი დივნოს გააცხადებს“).

პოემაში ბრძენია დავარი, ნესტანი, მექარავნეთა წინამძღოლი უსამი... რუსთაველისათვის პოეზია სიბრძნის ისეთივე დარგია, როგორც ფილოსოფია. დიახ, რუსთაველი პოეზიასა და ფილოსოფიას ერთი ძალით წარმოადგენს სიბრძნის დარგებად.

რუსთაველი პოეტია, ამიტომ ის აზროვნებს პოეზიით ისევე, როგორც ლეონარდო და ვინჩი აზროვნებს ფერწერით, ბეთჰოვენი კი — მუსიკით. მაგრამ ზოგიერთ მკვლევარს ვეფხისტყაოსანი მაინც წარმოუდგენია, როგორც ფილოსოფიური ციტატების კრებული, ერთგვარი გალექსილი „დამაკვირდი“. არადა, არც ერთ ფილოსოფიურ აზრს, სენტენციას პოეზიაში მნიშვნელობა არა აქვს, თუკი თვითონაც არ იქცევა პოეზიად. რილკე ერთ-ერთ პირად წერილში წერდა: ჩემს ცხოვრებაში რანაირ ფილოსოფიასაც კი არ შევხვედრივარ, მას ყოველთვის ისე ვეპყრობოდი, როგორც პოეზიას, მაქსიმალური ესთეტიკური მოთხოვნილებით და მინიმალური კეთილსინდისიერებითო. ხოლო, რაც შეეხება რუსთაველს, მან უზარმაზარი შემკვიდრეობა („ფილოსოფოსნი წინანი“), ფილოსოფიური ნააზრევი პოეზიად აქცია, ფილოსოფია გადაადნო პოეზიად. აზრს ერთი თვისების, მნიშვნელობის ნაცვლად, მიანიჭა მეორე, განსხვავებული თვისება, მნიშვნელობა. ლოგიკა შეაყენა ოცნების კიბეზე.



რუსთაველი მისთვის ცნობილ ფილოსოფიის ყველა-  
 რ მიმდინარეობას ერთ ჯაღოსნურ ქვაბში აქცევს, როგორც  
 ზიის ცეცხლზე დგამს და იმ ნექტარს ხდის, რომელიც  
 შეუძლია უკვდავება მიანიჭოს მთელი ხალხის სულს. ეს  
 არ არის პოეტური ალქიმია, ეს ქმედება ბუნებრიობითა  
 და გულწრფელობითაა აღბეჭდილი: მეტაფიზიკური წარ-  
 მოდგენების მიღმა დღემდე ჩვილი სამყარო სუნთქავს,  
 ყველაფერს ახალგამომცხვარი პურის სუნი ასდის.

რუსთაველის იდეები და აზრები, სიღრმისა და სი-  
 ღიადის გამო, ზოგჯერ, მართლაც, გვახსენებს ყველაზე  
 ცნობილსა და გახმაურებულ იდეებსა და აზრებს კაცო-  
 ბრიობის ინტელექტუალური საგანძურიდან, მაგრამ ნა-  
 თესაობა აქ მხოლოდ სიღიადეშია. რასაკვირველია, რუს-  
 თაველი კაცობრიობის კულტურულ მემკვიდრეობას იც-  
 ნობს. უსათუოდ ზოგი რამ აღებულიც აქვს ანტიკური  
 თუ შუა საუკუნეების ფილოსოფოსთა თხზულებებიდან,  
 იცის საფუძვლიანად და ახსენებს კიდევ დიდი მწერლე-  
 ზის ნაწარმოებებს, მაგრამ წინამორბედ დიდ მწერალთა  
 თუ ფილოსოფოსთა მიმართ მისი დამოკიდებულება,  
 უპირველეს ყოვლისა, შემოქმედებითია. რუსთაველის  
 პოემის გმირები პატრონები არიან მსოფლიო ფილოსოფ-  
 იური აზრისა და ისინი ამ აზრს ადამიანისათვის გამოსაყ-  
 ენებელს, ადამიანისათვის სასარგებლოს ხდიან, პოეტურ  
 სიბრძნედ გარდაქმნიან, დანიშნულებისამებრ იყენებენ  
 საუკუნოობით დაგროვილ ცოდნას, ანუ ადამიანს უბრუ-  
 ნებენ იმას, რაც მას ეკუთვნის. სხვათაშორის, ისიც უნდა  
 ითქვას, რომ პოემის გმირების აზროვნების მიხედვით,  
 თავისუფლად შეგვიძლია დავადგინოთ გენიალური პოე-  
 ტის განათლების დონე. რასაკვირველია, არც ესაა ცოტა,  
 ტრადიციული კატეგორიის მკვლევარებს ამ მიმართუ-





ლებით მეტად საინტერესო აღმოჩენები მოელოთ. საერთოდ კი, ვეფხისტყაოსანთან დაკავშირებით, არ შეიძლება გადაჭრით ითქვას, ეს ნამდვილად პოემა ოკეანეა, რომელიც თავისი წილიდან ახალ-ახალ საიდუმლოებებს ამოისვრის ხოლმე. ამიტომაც, ყოველ ახალ თაობას თავისი გამოცანა ხვდება ამ პოემაში და ალბათ კიდევ მრავალი მეცნიერი თუ პოეტი დაშვრება პოემის ტექსტის დასადგენად თუ ამოსახსნელად და მათი შრომა არასოდეს ამაო არ იქნება.

ედუარდ იუნგს (1683—1765) შექსპირზე უთქვამს: პოეტი თავისი წინამორბედების შვილი კი არა — ძმააო. ეს აზრი რუსთაველის მისამართითაც შეგვიძლია გავიმეოროთ. იუნგს ეკუთვნის ეს მახვილგონივრული ფრაზაც: ვეშმარიტი პოეტი აზროვნებს და ქმნის, სხვები კი კითხულობენ და წერენო. და ესეც იუნგისაა: „რაც ამაღლებს ისტორიკოსს, ის ამდაბლებს პოეტს!“ იქნებ ნახევრად ხუმრობით ჩვენც გვეთქვა — რაც ამაღლებს ფილოსოფოსს, ამდაბლებს პოეტსო...

„არც შექსპირი, არც დანტე სერიოზული მოაზროვნეები არ იყვნენ“-ო, ეს ტომას ელიოტის სიტყვებია, და რადგანაც ციტატებზე მიდგა საქმე, ბარემ ფეტის საყურადღებო აზრიც გავიხსენოთ, ტიუტჩევის ლექსებთან დაკავშირებით რომ გამოთქვა: „შეიძლება იყო უდიდესი მსატვარი-პოეტი და არ იყო მოაზროვნე ცხოვრებისეული ან ფილოსოფიური გაგებით“...

საინტერესოა, რომ შექსპირის შემოქმედების ზოგიერთი მკვლევარი, როდესაც ამ დიდი ინგლისელის ფილოსოფიაზე ლაპარაკობს, სიტყვა ფილოსოფიას ბრჭყალებში სვამს.

იქნებ როგორმე, ერთხელ და სამუდამოდ შევეურიგდეთ



იმ აზრსაც, რომ რუსთაველი ფილოსოფოსი კი არაა, პოეტია, რომ პოეზიაც „სიბრძნისაა ერთი დარგი, არავეთარო საფუძველი არ გაგვაჩნია, ფილოსოფიურ სიბრძნეზე უმაღლესად მივიჩნით, თანაც ჩვენ, ვისაც პოეტური სიბრძნის ისეთი მაგალითი გვაქვს, როგორც ვეფხისტყაოსანია, ხოლო ისეთივე დონის ქართულ ფილოსოფიურ ნაწარმოებს კი, ჯერჯერობით, ვერ დავასახელებთ.

და მაინც, პოეზია და ფილოსოფია გაცილებით ახლოს დგას ერთმანეთთან, ვიდრე სიბრძნის სხვა დარგები. სწორედ რუსთაველი ამტკიცებს, პოეტური აზრი ისევე რომ არ გამორიცხავს ფილოსოფიურს, როგორც ფილოსოფიური აზრი — პოეტურს. მაგრამ ვეფხისტყაოსნიდან ჩვენ კიდევ ერთ, უფრო მნიშვნელოვან ჭეშმარიტებასაც ვიგებთ: ფილოსოფოსი კი არ არის ბრძენი, არამედ — ა დ ა მ ი ა ნ ი!

2

ნამდვილად საკვირველია და, ამავე დროს, სამწუხაროც, ამ უკვდავი პოემის ავტორის შესახებ თითქმის არავითარი სარწმუნო ცნობა რომ არა გვაქვს. ამ საკითხს დღემდე ოდნავადაც კი არ მოჰფენია შუქი და, საერთოდ, არც ერთი ლიტერატურული მოვლენა, უფრო აღრინდელიც კი, ისეთი გაურკვეველობით, იდუმალებით არ არის მოცული, როგორც ეს — ჩვენი ისტორიის ყველაზე განათებულ, გაკაშკაშებულ ხანაში წარმოშობილი და ქართველი ხალხისთვის ყველაზე საყვარელი ძეგლი.

ეტყობა, რუსთაველთან დაკავშირებით, მართლაც მომხდარა რაღაც დიდი კატასტროფა, ალბათ პოლიტიკური

ხასიათისა, რადგან სხვანაირად ძნელ ასახსნელია ზის  
სახელის სრული გაქრობა იმდროინდელი დოქტორების  
ბიდან, სადაც თამარის ორი დესპანი ქალის სახელითაა  
შემონახული. თანაც, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ  
რუსთაველი იმდროისათვის თავის კოლეგებს შორის გა-  
მორჩეულია — პოემის დაწერა ხომ სწორედ მას შეუკ-  
ვეთეს და არა სხვას! ეს ამბავი ნამდვილად ვიცით, რადგან  
პოემაში სწერია!

თამარის გამეფებას, როგორც ცნობილია, წინ უძღო-  
და სისხლიანი პერიპეტეიები. პოემის დაწერა ბრძანებით კი  
უბრძანებიათ, მაგრამ რუსთაველს, ეტყობა, თავიდანვე სი-  
ხარული არ გამოუთქვამს ამის გამო, ერთგვარი წინააღ-  
მდეგობაც კი გაუწევია, მაგრამ ბოლოს მაინც დათანხ-  
მებულია: „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა  
ლბილისა!“...

აუცილებელი არ არის ეს წინააღმდეგობა პოეტის  
პოლიტიკური მრწამსით, პოზიციით აიხსნას, თუმცა, ამ  
თვალსაზრისითაც უსათუოდ საგულისხმოა. შეიძლება,  
პოეტი თავმდაბლობის გამოც კი ამბობდა უარს ასეთ  
გრანდიოზულ, საამაყო დაკვეთაზე. შეიძლება, ეს ერთ-  
გვარი ლიტერატურული სვლაც კი იყო, იმდროინდელ  
კარის პოეტებს შორის გავრცელებული.

ასეა თუ ისე, მთავარია და ჩვენთვისაც სწორედ ეს  
არის საინტერესო, რომ დამკვეთებს უნდოდათ, მაინცდა-  
მაინც რუსთაველს დაეწერა პოემა. ეს კი, როგორც უკვე  
ვთქვი, იმას ნიშნავს, რომ რუსთაველი უკვე ცნობილი, გა-  
მორჩეული პოეტია იმდროისათვის, მას უკვე ისეთი რამ  
აქვს დაწერილი ან თარგმნილი, მისი პოეტური შესაძლებ-  
ლობანი უკვე ყველასათვის ცნობილია, სახელგანთქმული  
შემოქმედია. ამასთანავე, ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა,



დამკვეთის გემოვნებასა და გამჭრიახობაზეც  
 ლებს.

დამკვეთებს ნაწარმოების მიზანი და ხასიათი  
 წარ გაუნდვიათ პოეტისათვის: „მიბრძანეს მათად საქებ-  
 რად თქმა ლექსებისა ტკბილისა“. მიაქციეთ ყურადღე-  
 ბა — ამ ერთ სტრიქონში თითქმის მთლიანადაა გადმო-  
 ცემული იმ პროგრამის შინაარსი, რომელიც სავარაუ-  
 დებელია, გამზადებული დაუდეს წინ პოეტს. შეიძლება  
 აშინაც გამოიწვია პოეტის პროტესტი, თუმცა კი, ნაყ-  
 ლებად დასაშვებია, კარის პოეტს ასეთი რამ გაჰკვირ-  
 ვებოდა. ჩვენთვის ამ შემთხვევაში ის უფრო საინტერე-  
 სოა, თუ ვინ არის პოემის დამკვეთი. მე, პირადად, ის  
 შეხედულება უფრო სარწმუნოდ მიმაჩნია, რომლის მი-  
 ხედვითაც, დამკვეთი თამარი კი არ არის, არამედ — თა-  
 მარის მამა, მეფე გიორგი III.

თამარის გამეფება სრულებითაც არ ნიშნავს, ქალის  
 ტახტზე დასმა საქართველოში ჩვეულებრივი ამბავი რომ  
 იყო. პირიქით, თამარის გამეფების მერე დაკანონდა  
 (ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ა დ!) ქალის კულტი საქართველოში.  
 სხვანაირად რუსთაველი არ იტყოდა: „თუცა ქალია, ხელ-  
 მწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია“-ო. /რუსთაველის პო-  
 ემას ხელი უნდა შეეწყო საქართველოში ქალის კულ-  
 ტის დამკვიდრებისთვის, რამდენადაც თავდაპირველად ის  
 ალბათ ძალით თავს მოხვეული წესი გახლდათ. ამრიგად,  
 თამარის გამეფებასთან დაკავშირებით დაიწყო დიდი,  
 აქტიური პოლიტიკური აქციები ამ კულტის შესაქმნელად,  
 რაც, თავისთავად, იმ დროისათვის უდავოდ პროგრესუ-  
 ლი მოვლენა იყო: მაშინდელი აღმოსავლეთისათვის წარ-  
 მოუდგენელი, ევროპისთვის კი — სამაგალითო! სწორედ  
 ამ კულტის შექმნისთვისაა მოწვეული რუსთაველი, პოე-  
 ტთა პოეტი, საუკეთესო საუკეთესოთა შორის.

გარკვეული თვალსაზრისით, ვეფხისტყაოსანი პრობანდისტული ნაწარმოებია. რუსთაველის ვენის წყალობით, ქალის კულტმა შეიძინა რენესანსული დღეისა ჟღერა და მნიშვნელობა. მართალია, მე ვთქვი, ქალის კულტი საქართველოში თავდაპირველად იბუღებითი აქცია იყო-მეთქი, მაგრამ არც იმის უგულებელყოფა შეიძლება, რომ ამ კულტის დასაანერგავად საქართველოში მაშინ ალბათ უკვე არსებობდა სათანადო ნიადაგი და განწყობილება, რა თქმა უნდა, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში.

შოთა რუსთაველის ბიოგრაფიასთან დაკავშირებულ მრავალ ლეგენდას შორის, ჩემი აზრით, არის ერთი, განსაკუთრებით საინტერესო, პოეტის სამშობლოდან განდევნის ამბავს რომ მოგვითხრობს. აქვე უნდა ითქვას, ამ ლეგენდების სათავეები, ფოლკლორის ცხოველყოფელი წიაღის გარდა, რაც უნდა საკვირველი და მოულოდნელი იყოს, ჩვენი მეცნიერების ბიოგრაფიული ხასიათის შრომებშიც უნდა ვეძებოთ.


პირველად აკადემიკოსმა მარი ბროსემ სცადა ვეფხისტყაოსნის შინაარსში იმდროინდელი ისტორიული სინამდვილე აღმოეჩინა. ამ დიდად ღვაწლმოსილმა სწავლულმა პოემამ ალევორიულ ნაწარმოებად წარმოიდგინა. მარი ბროსეს მეთოდი ბევრი ჩვენი მკვლევარისთვისაც მომხიბლავი და მაცდური აღმოჩნდა. ბევრი გაჰყვა მის გზას და რუსთაველოლოგია შეუდგა განძის მაძიებლის მძიმე, გამაწამებელ შრომას — დაიწყო პოემაში მისი ავტორის ბიოგრაფიისა და იმდროინდელი ცხოვრების ანალოგიების ძიება.

ბიოგრაფიული მეთოდით ნაწარმოების განხილვა, როგორც ვიცით, მაინც და მაინც, სანდო არ არის, მა-

შინაც კი, როცა ავტორის ბიოგრაფია თითქმის ზუსტადაა ცნობილი. ჩვენ კი ამ მეთოდს ვიყენებთ ვეფხისცხის მიმართ, როცა მისი ავტორის შესახებ ხალხური ლეგენდების მეტი არაფერი გვაქვს ხელთ. ამიტომაცაა, რომ ზოგჯერ მეტად უცნაურ დასკვნებამდე მივდივართ ხოლმე, როგორცაა, მაგალითად, ერთ-ერთი რუსთველოლოგის შემდეგი განცხადება: „და თვით შოთა, როდესაც იგი უფრო გვიან წერდა თავის ღვთაებრივ პოემას ვეფხისცხაოსანს, უკვე არის სხვა შოთა. შოთა ამ დროს არ არის ორეული ტარიელისა. შოთა არის ბრძენი ავთანდილი!“ ასეთი უცნაური მოსაზრება კი მკვლევარმა, ეტყობა, იმიტომ გამოთქვა, ძალიან რომ უნდოდა შოთა, მისი აზრით, ჰერეთის ერისთავი, პოემაში ეპოვნა როგორმე და იპოვა კიდევ ტარიელის სახით. შოთა და ტარიელი, ამ შემთხვევაში, ორივე „მეშიდე სამეფოს“ (რუსთველოლოგის აზრით, პირველი, ანუ შოთა — საქართველოს „მეშიდე სამეფოს“ — ჰერეთის, მეორე კი, ანუ ტარიელი — ინდოეთის მეშიდედის) მფლობელია. ამ აღმოჩენამ ისე გაიტაცა მკვლევარი, თამარიც იპოვა პოემაში, რასაკვირველია, ნესტან-დარეჯანის სახით!

დღემდე ცნობილი ერთადერთი წყარო, თამარისა და შოთას სამიჯნურო ამბავზე რომ მიუთითებს, ფოლკლორია! სხვა არავითარი ცნობა არ გავაჩნია. ეს არის ჩვენი ხალხის კეთილშობილური სურვილი თავისი ორი საუკეთესო, დიდებული პიროვნება, ერთსა და იმავე დროს რომ ცხოვრობდნენ, როგორმე დაუკავშიროს ერთმანეთს.

ზემოთ მოყვანილი განცხადების ავტორმა (და არა მარტო მან) ხალხურ მთქმელზე მეტი სითამამე გამოიჩინა და ლამაზი, სენტიმენტალური ლეგენდის საფუძ-



ველზე შექმნა ბელეტრისტული გამოკვლევა, რომელშიც შოთა რუსთაველი თავდაპირველად, ანუ სანამ დაიწერებოდა, ტარიელია, „ამარი კი“ — ესტანდარტული პოემის დაწერის შემდეგ „თვით შოთა... უკვე არის სხვა შოთა“, შესაბამისად ალბათ თამარიც... არის სხვა თამარი და ახლა მას ნესტან-დარეჯანი კი არ ასახიერებს, არამედ თინათინი...

უნებურად გვახსენდება ბრძენი აკაკი წერეთლის სიტყვები: „...ეს თხზულება არც ზნეობითი ალეგორიაა, როგორც გვიმტკიცებს ვახტანგ მეფე, არც ამოა რამ საავზნო ზღაპარი, როგორც ამბობს ანტონ კათალიკოსი და არც საკუთრით თამარის ქება და რუსთაველის პირადი გრძნობები, როგორც ზოგიერთებსა ჰგონიათ!“

„...საფუძველი არ არსებობს ვიფიქროთ, რომ ჩახრუხაძე და რუსთაველი სპეციფიკურად და ნამდვილად იყვნენ გამიჯნურებულნი თამართან. სინამდვილეში ეს იყო კარის პოეტების მიერ მეფის ტრადიციული გაღმერთება“-ო, წერდა აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე.

ვეფხისტყაოსანი უმაღლესი პოეზიაა, „ადამიანისათვის გადაკეთებული, გადააზრებული ხელოვნება“ და არა ავტობიოგრაფიული ფაქტების მხატვრული ხორცშესხმა, როგორც ზოგიერთს შეცდომით წარმოუდგენია. ამ შეცდომის თავი და თავი კი იქ მარხია, საიდანაც ამოზრდილია და ხალხურ წარმოდგენაში ლაღადაა გაფურჩქნილი თამარისა და შოთას მიჯნურობის ლეგენდა. სწორად არის ნათქვამი, ნაწარმოები ავტორის ბიოგრაფიის საბუთად არ გამოდგებაო. ამიტომ, ჩემი აზრით, ამ პოემაში ფანტაზიას, ოცნებას, ხილვას, გამომგონებლობას გაცილებით მეტი მნიშვნელობა უნდა მივაკუთვნოთ, ვიდრე ავტობიოგრაფიულ მოტივებსა თუ აღსარებას, რისი

არსებობაც, მართლაც რომ, ძნელი წარმოსადგენია ვეფ-  
ხისტყაოსანში.

ეროვნული

პოემის შინაარსში პოეტის ბიოგრაფიის ძეგლი — ჩვენი თველოლოგიისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ბელეტ-  
რისტულმა გზნებამ თითქმის სრულიად დაიპყრო მრავალი მეტად მნიშვნელოვანი მკვლევარის ყურადღება, როდესაც ცხადზე უცხადესია, რომ ის, რაც ჩვენ სიყვარულის გამოხატვად მიგვაჩნია, მიძღვნის სტანდარტული ფორმა და მეტი არაფერი: მასთან დაკავშირებული ყველა ეპითეთი თუ მეტაფორა სტანდარტია, კლიშეა, ოფიციალური ცენზურის მიერ ნებადართული და უფრო მეტიც — დაკანონებული! კარის ყველა პოეტი, რომელთა რიცხვს შოთა რუსთაველიც ეკუთვნოდა, ალბათ ასე მიმართავდა თამარს თავის ნაწარმოებებში. ამას ამტკიცებს თუნდაც ჩახრუხაძის პოემა.

სხვაგვარი რამეა ვეფხისტყაოსანში სტანდარტული, ტრადიციული, დაკანონებული. რუსთაველის სიდიადე ისიცაა, რომ გაქვავებულ პოეტურ კლიშეს ახალ სიცოცხლეს ანიჭებს, ახალ აზრს, ახალ მნიშვნელობას აძლევს, ქმნის ახალ სახეს, ახალ სიტყვას, რომელსაც რუსთაველის სახე, რუსთაველის მეტაფორა, რუსთაველის სიტყვა ეწოდება.

ფოლკლორული წარმოდგენები, ზოგჯერ ჩვენდამეუმიჩნეველადაც, ღრმად იღვამენ ფესვებს ჩვენს არსებაში და უსათუოდ ზეგავლენას ახდენენ ჩვენს აზროვნებაზე. თუნდაც ის ფაქტი, რომ მეცნიერები რუსთაველის საფლავს მისი სამშობლოს გარეთ ეძებენ („სად არის შოთას საფლავი?“ — აი, ქართველი კაცის მარადიული საფიქრალი!), უკვე იმაზე მეტყველებს, თითქმის მთლიანად რომ მივიჩნიოთ ერთადერთ გზის მაჩვენებელს, რომელსაც, არ-



სებითად, ფოლკლორის წალკოტში შევყავართ და არა  
რუსთაველის ნამდვილ ბიოგრაფიასთან დაკავშირებულ  
გარიგოში.

რუსთაველის სამშობლოდან ვანდევის ამბავი, რა  
თქმა უნდა, დასაშვებია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს  
ამბავი, ჯერჯერობით, ფოლკლორულ ვერსიას არ შორდებ-  
ბა. ამავე დროს, არ არსებობს ლეგენდა, ზღაპარი, მითი,  
რომლის წარმომქმნელი, სულის ჩამდგმელი ბიძგი რო-  
მელიმე ცხოვრებისეული მოვლენა არ იყოს, ანდა სხვა-  
ნაირად რომ ვთქვათ, ყველა ზღაპრის საფუძველი სიმა-  
რთლეა. ზემოთ აღნიშნული ლეგენდაც ალბათ მართა-  
ლი ამბიდან იღებს სათავეს, ოღონდ, მერე და მერე  
სახეს იცვლის და სულ სხვა გზით ვითარდება.

პოეტს ნამდვილად განუცდია დევნა თავისი პოემის  
გამო და ამის ორი უტყუარი საბუთი გვაქვს: ვახტანგ VI  
„კომენტარი“ და თვით პოემის პროლოგი!

პოეტის დევნა, ნაწარმოების გამო, სრულებითაც არ  
არის გასაკვირი და არც იშვიათი შემთხვევაა, მაგრამ  
მაინც საინტერესოა, რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ,  
როგორც უკვე ვთქვი, რუსთაველის სახელი სრულიად  
გამქრალიყო ჩვენი ისტორიის ფურცლებიდან?

არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ვახტანგ VI უფრო შო-  
რსა დგას რუსთაველისაგან, ვიდრე ჩვენ, ის რუსთვე-  
ლოლოგიის დამწყებია, მას მერე ეს მეცნიერება განუ-  
ზომლად გაიზარდა და გამდიდრდა. ამიტომაც, დღეს გა-  
ცილებით მეტი ვიცი რუსთაველის ეპოქის, პოემის ტექ-  
სტების თაობაზე, ვიდრე ვახტანგმა იცოდა. და მაინც  
უზარმაზარია ვახტანგის დამსახურება ქართული კულტუ-  
რის, კერძოდ, რუსთაველის პოემის შესწავლის საქმეში.

პირველი საერო ხასიათის წიგნი, რომელიც ქართულ



სტამბაში დაიბეჭდა, ვეფხისტყაოსანი იყო და ეს ვახტანგის თავდადებული გარჯის წყალობით მოხდა. მისი თონ მშვენიერმა პოეტმა, უაღრესად განსწავლულმა პოეტმა, როგნებამ, არაჩვეულებრივი პოეტური სმენის პატრონმა, რასაკვირველია, მშვენივრად იცოდა ვეფხისტყაოსნის ჰუმანიტატი ფასი, ამიტომაც, პოემისათვის მის ზიერ დართული კომენტარები უაღრესად საინტერესოა ჩვენთვის.

პირველი, ყველაზე მკაფიო გრძნობა, „კომენტარის“ წაკითხვის შემდეგ რომ გვეუფლება, სიფრთხილის გრძნობაა. ვახტანგმა გაცილებით მეტი იცის რუსთაველის შესახებ, ვიდრე წერს, თუმცა, ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ მას არ შეეძლო ყველაფრის დაწერა. საერთოდ, „კომენტარის“ კითხვისას, ისეთი განწყობილება იქმნება, თითქოს შოთა რუსთაველის რეაბილიტაცია ხდებოდეს!

„რუსთველისა წიგნი სულ სასწავლებელი არის“-ო, ამბობს ვახტანგი. „კომენტარის“ მიხედვით, შეიძლება ისიც დავასკვნათ, რომ რუსთაველის დევნა დიდხანია გრძელდება, დღეს არ დაწყებულა და გუშინ. ვახტანგი, არსებითად, იგერიებს, აშოშმინებს რუსთაველის მტრებს, ამავე დროს, „კომენტარი“ განსაზღვრული პოლიტიკური ტენდენციის აშკარა ანაბეჭდსაც ატარებს — რედაქტორი ხაზს უსვამს პოეტის ეროვნულობას, ქრისტიანულ ხასიათს და მის ანტიალმოსაველურ, კერძოდ, ანტისპარსულ სულისკვეთებას.

თითქოს დამდგარა დრო, მზეზე რომ ამოიტანონ და პოლიტიკური ბრძოლისთვის გამოიყენონ ყველაზე ანტიალმოსაველური, ყველაზე ძლიერი ნაწარმოები, რაც კი ქართულად შექმნილა — ვეფხისტყაოსანი! და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, თითქოს დამდგარა ხელ-


საყრელი უკვე იმისათვის, პოემის პოლიტიკური დევნა რომ შეწყდეს. ამჟამად ის ჩვენთვის განსაკუთრებით ინტერესოა: ვახტანგმა აშკარად იცის, თუ რისთვის იღვწებოდა ვეფხისტყაოსანი. მართალია, ამის შესახებ „კომენტარში“ დუმს, მაგრამ მის მიერ საგანგებოდ აღნიშნული პოემის ანტიპარსულობა დევნის ნამდვილ მიზეზზე ერთგვარ მინიშნებად გაისმის.

ვახტანგის ასეთი გონივრული ქმედების შემდეგ, ანუ ვეფხისტყაოსნის დაბეჭდვის შემდეგ, ერთი რამ ისევ ცხადი გახდა: ჩვენი ხალხის ერთადერთი ქეშმარიტი იარაღი, რომელმაც ის ბედნიერ ხანაში საერთაშორისო ასპარეზზე გაიყვანა, ხოლო ძნელბედობის უკვე დაღუპვას გადაარჩინა, იყო ქართული წიგნი!

ამ „კომენტარის“ მიხედვით, შეიძლება, იმდროინდელი საქართველოს ძალზე მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობაზეც ვილაპარაკოთ. მდგომარეობაზე, რომელიც არა მარტო გარეშე მტრების მიერ დატრიალებულ უბედურებაში გამოიხატებოდა, არამედ შინაგან განხეთქილებებსა და მტრობაშიც. ამ თვალსაზრისით, „კომენტარი“ დაქვეითების ეპოქის ერთ-ერთი ტიპური დოკუმენტია.

მართლაც რამ, მძიმე ეპოქა იყო! არასოდეს არ ყოფილა იმდენი ლაპარაკი, იმდენი შეგონება, ქადაგება, მსჯელობა, იმდენი დიდაქტიკური დამოძღვრა საჭირო სწავლა-აღზრდისა თუ ზნეობის საკითხებზე, როგორც იმ დროს. გავიხსენოთ საბა, არჩილი, გურამიშვილი...

რუსთაველის ქვეყანაში აუცილებელი გახდა სწავლის, სიკეთის, უფრო მეტიც — საერთოდ, ადამიანობის აგიტაცია! ქვეყანაში, რომელსაც მათე, მეთერთმეტე, მეთორმეტე საუკუნეების მანძილზე ევროპაში ექსპორტად გაჰქონდა თავისი კულტურა! ქვეყანაში, სადაც თი-



თოეული მონასტერი აკადემიის სიმაღლეზე იდგას ასე რომ, გურამიშვილის ფრაზა: „ისწავლე, სწავლე, მშობ-  
ნელო“ — უფრო ტრაგიკულად ელერს, ვიდრე დიდაქ-  
ტიკურად.

ერთი კია, ამ დროს საქართველოში უკვე შეიძინევა აღმოსავლური ბანგისგან მისი საუკეთესო შვილების გამოფხიზლება. იწყება საკუთარი ეროვნული ფესვების ძიება. ვეფხისტყაოსნის წიგნად გამოცემა და საბას ევროპაში გამგზავრება, ამ მხრივ, ერთი კატეგორიის მოვლენებია.

მაგრამ ამჟამად ის გვაინტერესებს, რაც ვახტანგის „კომენტარიდან“ ამჟარად ჩანს — საქართველოში რუსთაველი იდეენებოდა და, თანაც, ეს დევნა დიდიხნის წინ იყო დაწყებული!

რუსთაველის დევნის მეორე საბუთი თვით მის პოემაშია, პოემის პროლოგში. მაგრამ ვიდრე ამის შესახებ სიტყვას გავაგრძელებდე, „პროლოგზე“ მინდა ჩემი აზრი მოკლედ მოგახსენოთ.

მკვლევარი ნანანა გიგინეიშვილი სტატიაში „ჩვენი ქვეყნის სიყვარულით“, ინგლისელი მწერალი ქალის ქეთრინ ვივიანის მიერ ვეფხისტყაოსნის ინგლისურ ენაზე თარგმნის ფაქტს რომ ეძღვნება, წერს: „პოემის ქეთრინ ვივიანისეული ახალი თარგმანი პროზაული და ე. წ. თავისუფალი თარგმანია. პოემის მხოლოდ პროლოგი და ეპილოგია თარგმნილი ლექსად. ვივიანის აზრით, პოემის პროლოგის ლექსად თარგმნა აუცილებელია, რადგან მას რუსთაველის პოეტურ-სამყაროში შეჰყავს მკითხველი, მასში გადმოცემულია ესთეტიკური იდეალები. ლექსად თარგმნილმა პროლოგმა მკითხველს უნდა აგრძნობინოს რუსთაველის პოეტური სიტყვის ძალა და გარკვეული შთაბეჭდილება შეუქმნას პოემის ლექსთწყობაზეც“.



თუმცა, პროლოგი, ეპილოგთან ერთად, დღემდე ით-  
 ვლება პოემის ყველაზე გაურკვეველ, ყველაზე დაუდ-  
 გენელ ნაწილად, მაინც აშკარაა მისი დიდი მსგავსება  
 ევროპული სარაინდო კოდექსისა თუ ლექსთწყობის  
 ტრაქტატებთან. სწორედ ამ გარემოებამ მისცა ჩვენს  
 ზეგლევარებს საშუალება, ყოფილიყვნენ კატეგორიულე-  
 ბი დასავლეთევროპული და ქართული სარაინდო ინსტი-  
 ტუტების ხასიათისა თუ რაობის ინდენტურობის სა-  
 კითხში. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ  
 მართო ჩვენი მთარგმნელი არ არის ასეთი მაღალი შეხე-  
 დულებისა პროლოგზე. მაგალითად, ნიკო მარი ფიქრო-  
 ბდა, რომ პროლოგში შოთა რუსთაველის ყველაზე საუ-  
 კეთესო სტროფებიაო. ყოველ შემთხვევისათვის, დავი-  
 ხსომოთ, რომ ნიკო მარი მთლიანად პროლოგს კი არ  
 აძლევდა მაღალ შეფასებას, არამედ მისგან რამდენიმე  
 სტროფს გამოჰყოფდა მხოლოდ! პროფესორი სარგის  
 ცაიშვილი წერს: „რუსთაველისეული პროლოგი «ვეფ-  
 ხისტყაოსნის» მშვენიერია. აქ პოეტის მიერ დასმულია  
 ბევრი ისეთი საკითხი, რაც შემდეგ მხატვრულად ხორც-  
 შესხმულია პოემაში“-ო. ამასთანავე, ს. ცაიშვილსაც  
 მიაჩნია, რომ „პროლოგის იმ ტექსტში, რომელიც ახლა  
 საყოველთაოდ არის გავრცელებული, რამდენიმე ჩანარ-  
 თი უეჭველად შეინიშნება“.

ჩემი აზრით, არც ერთი ნაწილი პოემისა არ არის  
 ისე აპოკტიური, როგორც პროლოგი, თუკი, რა-  
 საკვირველია, რუსთაველის ქმნილების მიმართ ამ სიტ-  
 ყვის ხმარება საერთოდ დასაშვებია! „რუსთაველის პოე-  
 ტური სიტყვის ძალას“ პროლოგის საშუალებით ვერ  
 იგრძნობს უცხო მკითხველი. პროლოგი წარმოადგენს  
 პოემისთვის თვით რუსთაველის მიერ შემდგომში დარ-

თულ ერთგვარ თეორიულ ტრაქტატს, აი, თუნდაც, ნესტანის წერილი რომ ეთარგმნა ქეთრინ ვივიანსა და დარწმუნებული ვარ, უსათუოდ აგრძნობინებდა ინგლისელ მკითხველს „რუსთაველის პოეტური სიტყვის ძალას“.

ეს არ არის უბრალო საკითხი. არიან მკვლევარები, რომლებიც რუსთაველის პოეტურ ძალას ხედავენ პოემის ეგრეთწოდებულ თეორიულ-ფილოსოფიურ მხარეში, თითქოს რუსთაველის ადგილი მსოფლიო კულტურის საგანძურში იმით განისაზღვრებოდეს, რომ იგი მტკიცედ დგას, დაუშვათ, არეოპაგიტის საფუძველზე. ეს, გარკვეული თვალსაზრისით, საყურადღებო მოსაზრებაა კი, რა თქმა უნდა, არავითარ ღირსებას არ წარმოადგენს პოეტისათვის. ჩვენთვის ცნობილია საკმაოდ მრავალი ქართველი ფილოსოფოსის სახელი, რომლებმაც თავიანთ შრომებში, გულწრფელად რომ ვთქვა, რუსთაველზე უკეთესად გადმოგვეცეს არეოპაგიტის არსი, მაგრამ მათზე არავის უთქვამს — პოეტები არიანო, რაც, ამავე დროს, სრულებითაც არ ამცირებს მათ, როგორც ფილოსოფოსებს.

ამასთანავე, უსათუოდ დიდი მადლობით უნდა მოვიხსენიოთ ინგლისელი მთარგმნელის მიერ გაწეული შრომა. ყოველი ახალი თარგმანი, თუნდაც პროზაული (თუმცა შეიძლება სწორედ პროზაულმა თარგმანმა ყველაზე მეტად გაამართლოს ამ შემთხვევაში!), უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში. ხოლო, რაც შეეხება ინგლისელი მთარგმნელის შეხედულებას, თითქოს პროლოგს „რუსთაველის პოეტურ სამყაროში შეჰყავდეს მკითხველი“, — იგი უსათუოდ შექუშავებული და ჩამოყალიბებულია ქართველ მეცნიერ-



თა კონსულტაციების შედეგად, რადგან ეს აზრი თითქმის საყრდენ თეზისად არის უკვე ქცეული ქართულ-საბჭოთა ველოლოგიაში: „პროლოგი უდავოდ არის ვეფხისტყაოსნის იდეათა სამყაროს შესავალი კარი“, „კლიტე-გასაღები“, რომ „ვეფხისტყაოსნის იდეურ-მხატვრული რაობა განხილულ და შეფასებული უნდა იქნას პროლოგის მოთხოვნილებათა პოზიციებიდან“.

პროლოგი მრავალი მკვლევარისათვის პოემის კომპასად არის ქცეული, მაგრამ არაფერს შეეშვებულა, ის, მართლაც, კომპასად ჩაიფიქრა პოეტმა თუ არა უდავოა, პროლოგში პოეტი იდეალური სახით წარმოგვიდგენს ყველაფერს, განსაკუთრებით, რაც პოლიტიკურ მხარეს შეეხება, ასევე იდეალური სახითა აქვს წარმოდგენილი სარაინდო ყოფის ნორმებიც, ამიტომაცაა სწორედ, რომ ვინც პროლოგს პოემის სახეთა და იდეათა „გასაღებად“ აღიარებს, ის აიდეალებს კიდევ პოემის გმირებს, აცლის მათ ადამიანურ თვისებებს და გაყინულ სქემებად და სიმბოლოებად გარდაქმნის. ცოცხალი ადამიანის ნაცვლად. გვაწვდის მის ქანდაკებას.

ახლავე უნდა ვთქვა, რომ თუკი პროლოგი, მართლაც, რაიმეს „გასაღებია“, აშკარად იმ კარის არა, რომელსაც ვეფხისტყაოსნის სამყაროში შევყავართ. მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველის სტროფები პროლოგში აქა-იქ მართლაც ვარსკვლავებივით ბრწყინავენ, არსად, მთელი პოემის მანძილზე ისე მკაფიოდ არ ჩანს ინტერპოლატორების, ნანუჩასა და მისი ძმობილების, ხელი, როგორც აქ. პროლოგში ისინი გაცილებით უფრო თამამები არიან, იმდენად თამამები, რომ არა მარტო ერთმანეთს, თვით რუსთაველსაც კი ეკამათებიან, როგორც სამართლიანად ფიქრობს პავლე ინგოროყვა.



საერთოდ, პროლოგის სტროფები ჰადრაკის ფიგურებსა ჰგავს, რომლებითაც ყველა მკვლევარი მისთვის ხელსაყრელ პარტიას თამაშობს.)

პროლოგში უსათუოდ დარჩენილია რუსთაველის „საუკეთესო სტროფები“, რომელთა მიხედვითაც, ერთი, ამჟამად ჩვენთვის მეტად საინტერესო ვითარება იკვეთება: პროლოგი პოემის ნაწილი კი არ არის, არამედ, პროლოგი და პოემა ორი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული, სხვადასხვა პოეტური თუ ფილოსოფიური და, რაც მთავარია, სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის გამომხატველი ნაწარმოებია!

აი, მივადექით კიდევ რუსთაველის დევნის მეორე საბუთს, ანუ დავეუბრუნდით მთავარ სათქმელს!

ნოდარ დუმბაძე, საერთოდ, პროლოგს პოემის შემდეგ დაწერილ „ახსნა-განმარტებად“ თვლის, რაც, პირადად მე, საყურადღებო მოსაზრებად მიმაჩნია.

პროლოგი რომ მერეა დაწერილი, ანუ პოემის ძირითადი ტექსტის შემდეგ, რუსთაველოლოგიაში ცნობილი მოსაზრებაა. ამჟამად გაცილებით საინტერესოა ის ფაქტი, პროლოგი, „ახსნა-განმარტებად“ რომაა წარმოდგენილი.

რატომ დასკირდა „ახსნა-განმარტების“ დაწერა პოეტს, რომელსაც პოემა შეუკვეთეს, გამოაჩივებს სხვა პოეტებს შორის? რა უნდა დაებრალეზინათ ასეთი დიდებული ქმნილების ავტორისათვის? ახსნა-განმარტებას ზომ ის წერს, ვინც დამნაშავეა, ვისაც ბრალს სდებენ, ვინც იძულებულია, თავი იმართლოს?

ნოდარ დუმბაძეს მიაჩნია, რომ „ბრალმდებლებმა“





პრემიაში ვერ შენიშნეს ის, რისთვისაც, საერთოდ, შეუ-  
კვეთეს რუსთაველს პოემის დაწერა, ანუ ვერ შენიშნეს ქებათა-ქება თამარისა, რაც, ღუმბაძის აზრით, მამინ, მანუქა  
„ბრალმდებლების“ სიბეცის, ტექსტის არასწორი წაკით-  
ხვის გამო მოხდა, რამდენადაც პოემა აშკარად თამარის  
ქებაა, პოემაში თამარს განასახიერებს როგორც ნესტან-  
დარეჯანი, ასევე თინათინიც...

მე კი მგონია, „ბრალმდებლები“ ნამდვილად არ ცდებოდნენ, რადგან ეს პოემა მართლა არ იყო თამარის ქება, ანუ პოემა არ გამოვიდა ისეთი ნაწარმოები, როგორსაც რუსთაველისაგან მოელოდნენ. მესმის, ძნელია ამის თქმა, მაგრამ მაინც ვამბობ, რადგან ისეთი ავტორიტეტები მიმაგრებენ ზურგს, როგორც ვახტანგ VI და იუსტინე აბულაძე, უკანასკნელი ამ პოემას არა თუ „ვისიმე საქებრად დაწერილად“, არამედ საერთოდ არ თვლის ხოტბად.

ამავე დროს, უსათუოდ უნდა აღინიშნოს ისიც, საწინააღმდეგო მოსაზრებას რიცხობრივად შეუდარებლად მეტი და ასევე სერიოზული მკვლევარი რომ იცავს.

ცნობილია, რომ პირველი რუსთველოლოგი ვახტანგ VI ამ პოემას თამარის ქებად არ აღიქვამდა.

ვახტანგ VI ძალიან დაკვირვებული კომენტატორია პოემისა. ალბათ სწორედ ამიტომაც ვერ ამბობს იმას, რაც იქ არ სწერია და არც იგულისხმება. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვახტანგი თუკი პოემაში თამარის ქებას ამოიკითხავდა, ეს მხოლოდ გააძლიერებდა მის შეხედულებას პოემის ქვეტექსტში საღვთო აზრის არსებობის შესახებ. როგორც ცნობილია, ჩვენი ძველი ლიტერატურა თამარს ღვთაებრივად მიიჩნევდა. ჩახრუხაძეც და „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორიც თამარს წმინდა სამების მეოთხე პიპოსტასის სიმბოლოდ თვლიდნენ.



ამდენად, თითქმის ყველაფერი ხელს უწყობდა ვახტანგს, ეს პოემა თამარის ქებად გამოეცხადებინა, რაც მხოლოდ მეორე, თავისთავად, პოემის ქვეტექსტში საღიბობის არსებობის დამტკიცებაც იქნებოდა. ეს ხომ ნამდვილად დაეხმარებოდა ვახტანგს, პოეტი მოწინააღმდეგეთა შემოტევებისაგან დაეცვა, რაც ალბათ გულითაც ეწადა! მაგრამ ვახტანგმა ამ პოემაში არა თუ თამარის „შეფარვით“ ქება, საერთოდ, თამარის სახე ვერ დაინახა! სწორედ ამის ბრალია, მეტად ხელოვნური ვერსია რომ გამოიგონა — ტექსტის ამოკითხვა „მისტიკური ალეგორიზმის“ საშუალებით სცადა, რაც იძულებითი გზა იყო და არა პოეტი-მეფის პირადი პოზიცია.

მკვლევარები ფიქრობენ, ვახტანგი ასე იმიტომ იქცეოდა, რუსთაველის პოემა „კლერიკალური წრეების თავდასხმისაგან“ რომ დაეცვაო. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ხშირად „კლერიკალურ წრეებზე“ მეტად, ჩვეულებრივი, რიგითი ობივატელია თავგამოდებული დამცველი ორთოდოქსული შეხედულებისა, შეუდარებლად ბრმაა და დაუნდობელი, ვიდრე სამღვდლოება. აკი თქვა იუსტინე აბულაძემ, სამღვდლოებას ამ ნაწარმოებისათვის ხელიც კი არ უხლიათ!

ქართულ ეკლესიას საერო ხასიათის ნაწარმოების მისამართით, საერთოდ, არ გამოუთქვამს ისეთი ქათინაური, ანტონ კათალიკოსისაგან რომ მოვისმინეთ: „ამაოდ დაშვრა, საწუხ არს ესე“.

სინანული ხომ მხოლოდ იმის გამო შეიძლება, რასაც აღიარებ! კათალიკოსს სხვანაირად თქმა არ შეეძლო...

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედელზე შოთა რუსთაველის სურათის პოვნა, თავისთავად, იმ მეტად საგულისხმო ფაქტს ამტკიცებს, რომ რუსთაველი ეკლე-



სიას არც არასოდეს მოუკვეთია და არც ერეტიკოსად შეურაცხავს. ამავე კედელზე, რომელზედაც რუსეთის ხატია, ქრისტიანული ეკლესიის ორი ვარსკვლავი მსხვერპლად რათიცაა — იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლისა...

რა თქმა უნდა, პოემის დამკვეთისათვის არ უნდა ყოფილიყო სასიამოვნო, ნაწარმოებში თამარი რომ არ იყო შექმნილი, მაგრამ ეს არ შეიძლებოდა პოლიტიკურ ბრალდებად წაეყენებინათ პოეტისათვის. წყენა წყენად დარჩებოდა, სამაგიეროდ კი ერთი მაღალმხატვრული, თუნდაც, აპოლიტიკური, ნაწარმოები შეემატებოდა კარის მწერლობას. მაგრამ საქმე ის არის, რომ „ბრალმდებლებმა“ ზუსტად იგრძნეს, ეს ნაწარმოები აპოლიტიკური რომ არ იყო და არც იმაში შემცდარან, იგი ქებად რომ მიიჩნიეს, ოღონდ, თამარის კი არა, არამედ სხვა პიროვნებისა. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვი, რომ ეს პოემა რომელიმე რეალურად არსებული, კონკრეტული პიროვნების ქება კი არ არის, არამედ — მის მიერ დამკვიდრებული აზრისა, იდეისა, რწმენისა...

თავიდანვე უნდა დავაზუსტოთ, რომ ტერმინი „დამკვეთლები“ იდენტური არ არის ტერმინ „ბრალმდებლებისა“, რომ ამ პოემის „დამკვეთლები“ სხვები იყვნენ, ხოლო, მიმღებები, ანუ „ბრალმდებლები“ კი სულ სხვა.

ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ გიორგი III თავისი ქალიშვილის — თამარის გამეფება უცებ, მოულოდნელად არ გადაუწყვეტია. ეს იდეა მას თამარის გამეფებამდე დიდხინით ადრე დაებადა. იმდროისათვის ეს გრანდიოზული იდეაა. მის განხორციელებას დიდი ძალა, დრო და სახსარი სჭირდება. ამიტომაც დაიბარეს სასახლეში რუსთაველი ალბათ ჟერ კიდევ მაშინ, როცა ძლევამოსილი

გიორგი III შემეკვიდრეზე საუბარი უგუნურებადაც მიიჩნდათ კარისკაცებს. მაგრამ გიორგი III არა მარტო ძლევამოსილი, არამედ წინდახედული და გამჭვირვიანი მეფეც იყო. მას კარგად ჰქონდა გათვალისწინებული ამ დიდი პოლიტიკური, იმდროისათვის მეტად მოულოდნელი აქციის განხორციელების მთელი სიძიძივე. ამავე დროს, მეფემ ალბათ ისიც იცოდა, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სიძლიერის წყალობით რომ მიადწევდა მიზანს, ანუ მიზნის განხორციელებაზე მაშინ უნდა ეფიქრა, სანამ ჯერ კიდევ ძალა შესწევდა.

ამდენად, სავარაუდებელია, რომ ეფთხისტყაოსანი თუ დაწერილი არა, დაწყებული მაინცაა თამარის გამეფებამდე, როგორც ამ აქტის მომამზადებელი ნაწარმოები! და თუნდაც ამიტომ, პოემის თავდაპირველ ტექსტში, წარმოუდგენელია ყოფილიყო „თამარს ვაქებდეთ მეფესა“! — ამას გიორგი III არ დაუშვებდა: მას პოემა სჭირდებოდა ქალის კულტის პროპაგანდის მიზნით და არა კონკრეტული ფაქტის გასამეღავენებლად. პოემის თავდაპირველ ტექსტში სახელი „თამარი“ არ უნდა ყოფილიყო ნახსენები, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ პოემის თავდაპირველ ტექსტს არ ჰქონდა პროლოგი...

თამარი გამეფდა გიორგი III სიცოცხლეში, 1178 წელს. გიორგი III გარდაიცვალა 1184 წელს. ამ ექვსი წლის განმავლობაში, რასაკვირველია, ისევ გიორგი განაგებდა სახელმწიფოს, მაგრამ როგორც ჩანს, არც თამარი მჯდარა გულხელდაკრეფილი, მომავალი ნამდვილი ხელმწიფობისთვის ემზადებოდა. სავარაუდებელია, რომ სწორედ იმ ექვსი წლის „არალეგალური“ მეფობის დროს იქმნებოდა თამართან დაახლოებულ პირთა წრე-

ში ის ახალი პოლიტიკური პოზიცია, რომელიც თამარს თავისი მეფობის საყრდენად უნდა გამოეყენებინა, როდესაც 1184 წელს თამარი ნამდვილად გამეფდა, მზად იყო კიდევ, ახლებურად ემართა სახელმწიფო. ეს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში იმას ამტკიცებს, თუ რა გონიერი პიროვნება იყო თამარი, მაგრამ ამავე დროს, გიორგი III ალღოსა და ჭკუის დამადასტურებელიცაა.

„გიორგი III-ის პოლიტიკური კურსის მარცხი“ უწოდა ერთმა დღევანდელმა ისტორიკოსმა მოვლენებს, იმდროინდელ საქართველოში რომ ვითარდებოდა („საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. III), ხოლო მეორე ისტორიკოსი მართებულად წერდა: „თამარის მეფობის დროს საქართველოს საგარეო პოლიტიკა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა დავით აღმაშენებლისა და გიორგი III-ის საგარეო პოლიტიკური ხაზისაგან“ (იქვე). ქვეყნის საგარეო პოლიტიკა კი, როგორც ცნობილია, საშინაო პოლიტიკის ანარეკლია.

ვიმეორებ, რუსთაველს პოემის დაწერა შეუკვეთა თამარის მამამ, გიორგი III, პოემის წერა კი დასრულდა მაშინ, როცა საქართველოს სამეფო ტახტზე უკვე თამარი იჯდა და ერთ პოლიტიკურ მრწამსს, ერთ პოლიტიკურ პოზიციას უკვე დაპირისპირებოდა მეორე პოლიტიკური მრწამსი, მეორე პოლიტიკური პოზიცია.

ღიახ, მამა-შვილი სხვადასხვა ორიენტაციის ხელმწიფეები იყვნენ...

### 3 .

საკმარისია, თვალი გავადევნოთ XI—XII საუკუნეების ქართული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური აზრის მოძრაობას, რომ მაშინვე ნათელი გახდეს, რამდენად

ორგანული, ღვიძლი მოვლენა იყო იმდროინდელი ქართული სინამდვილისათვის რუსთაველი, რამდენადაც აშკარაა კავშირი ორ ბუმბერაზ პიროვნებას ალმაშენებელსა და შოთა რუსთაველს შორის. რუსთაველის დიად პოეტურ იდეად გარდაქმნილი მოქალაქეობრივი მრწამსი დავით აღმაშენებლის პოლიტიკური პოზიციიდან იღებს ბიძგს. დავით აღმაშენებლის ბრძოლა მაღალზნეობრივი, ღირსეული პიროვნების, როგორც საზოგადოების საფუძვლისათვის, რუსთაველის პოემაში იქცა მთავარ მამოძრავებელ იდეად, ძირითად პოეტურ გელოდიად. ამავე დროს, ერთგვარ ერეტიკულ აზრადაც, რამდენადაც თამარის დროს, როცა რუსთაველი მოღვაწეობდა, უკვე საწინააღმდეგო შეხედულება იყო დაკანონებული.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების (1103 წ.) მასალებში ჩაწერილია ჭეშმარიტად რენესანსული ფრაზა ა დ ა მ ი ა ნ ი ს ღ ი რ ს ე ბ ა ზ ე: „და პირველად ეპისკოპოსნი ვინმე ვერ ღირსებით შემოსრულნი პატივსა მღვდელთმთავრობისასა და უღირსნი ქრისტეს პირველისა მის მწყემსმთავრისანი განჯუეთენით და უცხო ვყვენით მღვდელობისაგან“ — ეს გახლავთ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერის“ პირველი პარაგრაფი!

რუის-ურბნისის კრების მომზადება, ფაქტიურად, გიორგი მთაწმინდელმა დაიწყო, როცა ის ბაგრატ IV მოწვევით 1060 წელს საქართველოში ჩამოვიდა. საგულისხმოა, რომ ეს ფაქტი, გიორგი მთაწმინდელის ეს იდეა, ეს ისტორიული გამოცდილება შეუმჩნეველი არ დარჩა დავითს — პრაქტიკულად გამოიყენა და ბრწყინვალედ განახორციელა კიდევ. გიორგი მთაწმინდელის იდეა გუ-



ღისებობდა ადამიანის ჭეშმარიტ ღირსებას, რომელიც  
 ნაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა არც ჩამომავლობას და არც სოციალურ რაიზე უპირატესობას.

ზემოთ მოყვანილი „მეგლისწერის“ ფრაზა, საეკლესიო დოკუმენტში, რომელიც ქართული ეკლესიის ზნეობრივი თუ პოლიტიკური ორიენტაციისათვის ბრძოლის ქვაკუთხედად იქცა, უნდა ვიფიქროთ, ჩაწერილი იყო საერო პიროვნების — მეფის ხელით, ისეთი მეფისა, როგორც დავით აღმაშენებელი გახლდათ.

ვეფხისტყაოსანი ლოგიკური გაგრძელებაა იმ ძალისხმევისა, რომლითაც, ბაგრატიისა და დავითის წყალობით, ქართველმა ხალხმა ერთიანი გულისთქმა, ერთიანი აზრი და, რაც მთავარია ერთიანობის განცდა შეიძინა.

ჩვენი ხალხის მახსოვრობაში სამუდამოდ ჩარჩა დავით აღმაშენებლის ცოცხალი ხატი. აი, ის, რუის-ურბნისის კრებაზე ბოლო რიგში დგას, „ვითარცა მონა“, აი, ქსენონში ავადმყოფებს ესაუბრება და სათითაოდ კოცნის კიდევ: „მოიხილნის, მოიკითხნის და ამბორს უყვის თვითთვეულსა“, — ამბობს მემატთანე. სხვათაშორის, თამარის მიერ საკუთარი ნახელავის გაყიდვის ამბავიც ასეთივე ხასიათისაა. უდავოა, რომ პაპამაცა და შვილიშვილმაც ორივემ იცის მეფობა...

დიდგორის ბრძოლაში გაიმარჯვა თაობამ, რომელიც აღიზარდა რუის-ურბნისის კრების, საერთოდ, დავითის სახელმწიფოებრივი პოლიტიკური სულისკვეთებით. თურქ-სელჩუკთა ურდოს შეეჯახა, დაუპირისპირდა ლაშქარი, რომელიც თავისუფლების, პირადი ღირსების, უკეთესი ნომადლის რწმენით იყო შეკრული, გარდა ამისა,

შთავიწყებულიც და აღფრთოვანებულიც იმ მესიანისტურ იდეით, რაც იმდროინდელი საქართველოსათვის გრესულია, რამდენადაც დამოუკიდებლობისათვის ტურული საქმიანობის გაშლისაკენ მოუწოდებს.

შეიძლება ითქვას, დიდგორის ველზე დავითმა გამოიყვანა ღირსეულთა ლაშქარი, გაცილებით უფრო პროგრესული იდეით შეიარაღებული, ვიდრე თურქები იყვნენ. აი, ამას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა და არა ყივჩაყთა დაქირავებულ ჯარს. ჩვენი თანამედროვე ისტორიკოსების ცნობით, ამ გრანდიოზულ ბრძოლაში დავითმა გამოიყვანა მხოლოდ თხუთმეტი ათასი ყივჩაყი იმ ორმოცი ათასიდან, რომელიც საქართველოში ჩამოსახლა...

მგონია, ვეფხისტყაოსნის ერთი სტრიქონი: „ალაფობდეს საჭურჭლესა მისსა, ვითა ნათურქალსა“, ხალხის მახსოვრობაში ჯერ კიდევ ცოცხალ დიდგორის გამარჯვების შედეგად მოპოვებულ ნადავლს გულისხმობს...

დიდგორის ბრძოლაში მონაწილეობდნენ „ფრანგებიც“, ანუ ევროპელი ჯვაროსნები. მართალია, ისინი ამ ბრძოლაში ძალიან ცოტანი იყვნენ, სულ ორასი კაცი, მაგრამ ეს მაინც საკმარისი იყო იმისათვის, მტერსაც და მოყვარესაც დავითი ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილედ რომ ჩაეთვალა, ანუ ევროპული ინტერესების პოლიტიკოსად.

ჯვაროსნულ ლაშქრობებში საქართველოს მონაწილეობის იდეა დავით აღმაშენებელს ეკუთვნოდა და, როგორც ვიცით, ბრწყინვალედ ახორციელებდა კიდევამ იდეამ საქართველოში, დავითის სიკვდილის შემდეგაც, დიდხნის განმავლობაში შეინარჩუნა აქტუალობა, თვით XIV საუკუნის პირველ ნახევრამდეც კი...



ასე რომ, ამ ხნის განმავლობაში ეს იდეა ერთგვარი დროშა იყო, რომელსაც ყველა ქართველი მეფე მცდე რედი გამონაკლისის გარდა, ერთგულად ემსახურებოდა (როგორც ქვემოთ დავინახავთ, სიტყვა „მცირედი“ დავითის მომდევნო მეფეთა შორის ყველაზე ბრწყინვალე ხელმწიფის მისამართითაა ნათქვამი...).

ჯვაროსნული ომის დაწყებისთანავე (1095 წ.). და განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ერთი დროშით გაერთიანებულმა ევროპელმა რაინდებმა ზედიზედ აიღეს ქალაქები — ედესა, ანტიოქიას (1098 წ.), იერუსალიმი (1099 წ.), ნათელი გახდა საქართველოს პოზიციაც. დავითმა ზუსტად გაანალიზა შექმნილი პოლიტიკური ვითარება, 1097 წელს სულთანს ხარკის გადახდაზე უარი შეუთვალა და ამით, რასაკვირველია, ჩადგა ჯვაროსანთა რიგებში. დავითის ჭკვიანი ისტორიკოსი ჯვაროსნულ ლაშქრობასა და საქართველოს ბედს ასე უკავშირებს ერთმანეთს: „ამას უამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალიმი და ანტიოქია, და შეწევნითა ღმრთისათა მოეშენა ქვეყანა ქართლისა“.

დავითის ასეთი პოლიტიკა იყო გზა, რომლითაც საქართველო ევროპას უერთდებოდა, უფრო ზუსტად — კიდევ უფრო ამტკიცებდა კავშირს თავის მშობლიურ სამყაროსთან. ეს ხელოვნური, იძულებითი აქცია კი არა, კონკრეტული პოლიტიკური ვითარებისა და, რაც მთავარია, მომავლის სწორი განჭვრეტა იყო. ამდენად ჯვაროსანთა გუნდი დიდგორის ომში დავითის პოზიციის დემონსტრაცია უფროა, ვიდრე სამხედრო ძალა...

ასი წლის მერე თამარი პაპის საპირისპირო ნაბიჯს გადადგამს და, მართალია, არაპირდაპირი გზით, მაგრამ მაინც აშკარად გაილაშქრებს ჯვაროსნების წინააღმდეგ

სულთან სალადინის სასარგებლოდ, რომელიც არც თავის მხრივ დააყოვნებს და სასტიკად დაამარცხებს კიდეც ჯვაროსნებს. საქართველოს მხარდაჭერა მაშინ გამარჯვების გარანტიას უდრიდა...

დავითის ეპოქა ეს არის ბრძოლის, შემართების, ქმედების, შენების, სიფხიზლის ეპოქა, თამარისა კი — დამშვიდების, კმაყოფილების, მიღწეულით ტკბობისა და განცხრომისა, რაც მოსალოდნელი იყო.

ივანე ჯავახიშვილს ჩვეული გამჭირახობით აქვს შემჩნეული თამარის ეპოქის მეორეული, დამოკიდებული, შედეგობრივი ხასიათი დავითის ეპოქასთან მიმართებით (თუმცა, ეს ხაზგასმულად არა აქვს აღნიშნული), თამარის ყველა სამხედრო გამარჯვებას ის დავითს მიაწერს და სამართლიანადაც: „ეს უფრო დავით აღმაშენებლისა და გიორგი III სამხედრო მოღვაწეობის ნაყოფიერი შედეგი იყო, ვიდრე თვით თამარ მეფის პირადი ღვაწლი“-ო, წერს დიდი ისტორიკოსი.

სწორედ მეთორმეტე საუკუნის ბოლოს გამოიღო ბრწყინვალე ნაყოფი დავითის მიერ დაწყებულმა ბევრმა საქმემ, იქნებოდა ეს რეგულარული ჯარის შექმნა თუ კულტურის ეროვნული სახელმწიფოს სამსახურში ჩაყენება.

როგორც ჩვენმა ისტორიკოსებმა აღნიშნეს, თამარის მეფობის დროს საქმე იქამდე მივიდა, რომ დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკა გააკრიტიკეს კიდეც. თამარის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოდვარი დავითის საგარეო პოლიტიკას „წურბლისა მსგავს ვერ მადღრისობას“ უწოდებს. თამარის პოლიტიკური კურსი დაუპირისპირდა დავითის პოლიტიკურ კურსს და ეს იყო პირველი დიდი მარცხი, რომელმაც განაპირობა კიდეც

ქვეყნის მომავალი დაქვეითება. რასაკვირველია, ამისათვის პირადად თამარისთვის ბრალის დადება არ იქნება სწორი. ამის მიზეზი თამარის პირად სურვილებსა და გუნება-განწყობილებაში არ უნდა ვეძებოთ.

„ბოროტად გარდავხედ საზღვართა და შევპრთე სახლი სახლსა, და აგარაკი აგარაკსა, და უუძღურესთა მივპხუეჟე ნაწილი მათი, და ვიღუწოდ უმეზობლობასა, ვითარმცა ზარტოი ვმკვიდრობდი ქვეყანასა ზედა“, — აი, დავითის ლექსის ამ სტრიქონს შეეკამათება თამარის ისტორიკოსი ბასილი, დაუპირისპირებს მას თამარის პოლიტიკას, არ მოერიდება, რომ ეს დიდი დავით აღმაშენებლის სიტყვებია. ეს კი იმას ამტკიცებს, რომ თამარის კარი ოფიციალურად უარყოფდა დავითის პოლიტიკას.

ბასილის სიტყვით: თამარი „არ იღუწიდა უმეზობლობასა, არცა შერთვიდა სახლსა სახლსა ზედა, აგარაკსა აგარაკსა ზედა უცხოსა, არამედ თვისი მამული კმა იყო, რათა არა უსამართლოდ ჰგონონ და მომხუეჟელად... შორს განიოტა წურბლისა მსგავსი ვერ მაძღრისობა... ბჰედ ჯდა შორის თავისა და მეზობელთა მეფეთა“. როგორც ხედავთ, „გალობანი სინანულისანი“ უღევს წინ და დავითის მოღვაწეობას დავითისავე სიტყვებით აკრიტიკებს.

სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემულ ბასილი ეზოსმოძღვარის მატიანეში — „ცხოვრება მეფეთა-მეფისა თამარისი“ — ფრაზა: „არ შერთვიდა სახლსა სახლსა ზედა, არც აგარაკსა აგარაკსა ზედა უცხოსა“ — ბრჭყალებშია ჩასმული, როგორც ციტატი და სქოლიოში მითითებულია მის წარმომავლობაზეც: „იხ. ესაია 5,8: „ვაი რომელნი შეაყოფენ სახლსა სახლსა მიმართ, და აგარაკსა აგარაკისა მიმართ შეაახლებენ“.



ჩემი აზრით. ღვაწლმოსილი მეცნიერისა და რედაქტორის მიერ წყარო, ამ შემთხვევაში, სწორად არის მიითითებული, რადგან ბასილს ესაიას ციტატა მოჰყავს, არამედ ფრაზა დავით აღმაშენებლის „გალობანიდან“. სადაც ეს ბიბლიური სტრიქონი ძლიერი ლირიკოსი პოეტის მიერ სრულიად ახალი თვისებით გამობრწყინდა და სრულიად ახლებურად აქდერდა.

თამარის საგარეო პოლიტიკა დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკისაგან რომ განსხვავდებოდა, ამის შესანიშნავი მაგალითია თამარის ერთ-ერთი წერილი „ფიც“, რომელიც ქართულად გამოაქვეყნა და ადრესატის ვინაობაც გამოიკვლია პროფესორმა მაგალი თოდუამ. ეს ადრესატი გახლავთ ჩვენს მიერ ზემოთ უკვე ნახსენები სალაპ-ად-დინი, იგივე სალადინი, ჯვაროსნებისგან უკიდურესად შევიწროებული ეგვიპტის სულთანი.

სალადინი ჭკვიანი დიპლომატია, ხვდება, რომ საქართველოში რაღაც შეიცვალა. დღეს თითქოს წარმოუდგენლად გვეჩვენება და მაშინ ალბათ დაუჭერებელიც კი იყო, რომ თამარი დაივიწყებდა პაპამისის პოლიტიკას, მის მეგობრობას ჯვაროსნებთან, მონაწილეობას ჯვაროსნულ ლაშქრობებში, თუნდაც დიდგორის ბრძოლას, და ზურგიდან არ დაარტყამდა ჯვაროსნებისაგან კუთხეში მიმწყვდეულ სულთანს, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაესწორებინა მიწასთან ჯვაროსნებისა და საქართველოს (რამდენადაც საქართველო ჯვაროსნული ლაშქრობების მონაწილე ქვეყანა იყოს!) ყველაზე დიდი მტერი — იშვიათად თუ შეიძლება შექმნილიყო ასეთი ხელსაყრელი მომენტები!

მაგრამ ამის ნაცვლად სულ სხვა, თითქოსდა მოულოდნელი რამ მოხდა — თამარმა ჯვარზე შეჰფიცა ჯვა-

როსნების მტერს, შენზე ხელს არ აღვმართავო! ეს იყო 1185 წელს! მალე სალადინს ჯვაროსნებისგან განთავისუფლებულ იერუსალიმში ვიხილავთ (1187 წ.) საინტერესო ამბის ლოგიკურ დასასრულად წარმოგვიდგება. ჩვენი მემატიანეებისა თუ სხვათა წიგნების ფურცლებზე ერთ-ორ ადგილას გაკრთება თავის მართლების მაგვარი რალაც: ჯვაროსნები იერუსალიმში ჩვენს მონასტრებს ავიწროებდნენო.

ჯვაროსნები, მართალია, ბერძნულ ეკლესიას ებრძოდნენ, მაგრამ ქართველთა მიმართ თავი მორიდებულად ეჭირათ და პატივისცემის მეტს არაფერს ამკლავებდნენ: „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ III ტომში ვკითხულობთ: „იერუსალიმში ჯვაროსნების ბატონობის ხანაში ჯვრის მონასტერი კვლავ ქართველთა ხელში იყო და ლათინთა დიდი პატივისცემით სარგებლობდა“-ო. ეს 1099—1187 წლებია, თითქმის მთელი საუკუნე სალადინის მიერ იერუსალიმის აღებამდე.

ამრიგად, მართალია, თამარის წერილი-ფიცი საქართველოს სამხედრო ძლიერების უდავო დამამტკიცებელია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ქრისტიანთა „წინაბურჯი“ თავის ისტორიულ მოწინააღმდეგეს დაუმეგობრდა. ეს, აშკარად დროებითი დიპლომატიური მანევრი, თავისთავად მაინც ძალიან მოულოდნელი ფაქტი იყო.

კი მაგრამ, რა მოხდა მაინც ამისთანა? ნუთუ თამარს, თვითონ ბრწყინვალეებით მოსილ ხელმწიფეს, პაპის სახელი შეეშურდა? გულუბრყვილონი ვიქნებოდით, ასე რომ გვეფიქრა. ან იქნებ მართლა ისეთი გულნაზი იყო თამარი, რომ სხვა ქვეყნების დაპყრობას ვერ იტანდა? იქნებ ბედნიერი გამონაკლისი იყო ყველა დროის სახელმწიფო მმართველთა შორის? მაგრამ, განა სწორედ მის

დროს არ შემოიერთა საქართველომ ანისი, ამბერდი, ბი-  
ჯნი, დივნი, კარი? ან იქნებ თამარმა თავის დიდსა და  
მრისხანე პაპას სისხსტიკე ვერ აპატია? მართალია მემ-  
ტიანეს სურს, თამარი მეტისმეტად სათნოდ წარმოგვიდ-  
გინოს — თამარის მეფობაში მათრახი არ დაუკრავთ არა-  
ვისთვისო, მაგრამ განა, თუნდაც, მთიელების აჯანყების  
სისხლში ჩახშობა საპირისპიროს არ მეტყველებს? ისიც  
გავიხსენოთ, ამ ეგზეკუციას ივანე მხარგრძელი რომ  
მეთაურობდა. წარმოდგენაც კი გვზარავს, რა დღეს დაა-  
ყრიდა აჯანყებულ მთიელებს თავისი შეუპოვრობით  
სახელგანთქმული ეს მხედართმთავარი!..

ზოგჯერ თვითონ მემპტიანესაც გაეპარება ხოლმე თა-  
ვისივე ნათქვამის საწინააღმდეგო აზრი. ბასილი ეზოს-  
მოდღვარი წერს: თამარი „მბორგაღეთა თუალ-უხუაგად  
მგუემელ“-ი იყოო...

თამარის დროს აშკარად გამოიკვეთა პოლიტიკური  
პრეტენზია — ქრისტიანულ სამყაროში საქართველოს  
დაეკირა ბიზანტიის ადგილი. ამ დროს საქართველოს  
დროშაზე „გორგასალიანისა“ და „დავითიანის“ გვერდით,  
„ალექსანდრიანის“ და „ავლუსტიანეც“ გაჩნდა (ს. ჯანა-  
შია).

ნათელი გახდა ისიც, რომ საქართველო უპირისპირ-  
დებოდა ჯვაროსნულ ლაშქრობათა იდეას. ესეც მოსალო-  
დნელი იყო: აღმოსავლეთისა და დასავლეთის, კონსტან-  
ტინეპოლისა და რომის ბრძოლას უსათუოდ აქამდე  
უნდა მივეყვანეთ.

პიერ ბეილის შესანიშნავ წიგნში „ისტორიულ და  
კრიტიკულ ლექსიკონში“ წერია: აზიაში, სარკინოზებისა  
და თურქების ნაცვლად, დასავლეთელ ქრისტიანებს რომ  
ემატონათ, დღეს იქ ბერძნული ეკლესიის კვალიც  
კი აღარ იქნებოდაო...

ქართული ეკლესია ბიზანტიურს უჭერდა მხარს, არა მარტო იმიტომ, რომის კათოლიკური ეკლესიისგან განსხვავებით, თვითონაც რომ მართლმადიდებლური იყო, არამედ იმიტომაც, განზრახული რომ ჰქონდა (და ამ განზრახვას სრულებითაც არ მალავდა!), ახლო მომავალში თავად დაეჭირა ბერძნული ეკლესიის ადგილი! რომის მსგავსად, მასაც ეწადა ერთგვარი რელიგიური იმპერიის ჩამოყალიბება!

აი, ეს იდეა, სამოქმედო პროგრამის სახით, გამოიტანა თამარმა ექვსი წლის „არალეგალური“ მეფობიდან და ამ იდეას მომავალშიც ისეთი მონდომებით უჭერდა მხარს, არავითარი ევროპულის გაგონებაც კი არ სურდა. მისი ყოველი ნაბიჯი, ამ თვალსაზრისით, უაღრესად მაქსიმალისტური იყო. თამარმა შეიფარა და ტრაპიზონის სამეფოში გაამეფა თავისი ანტიევროპულობით ცნობილი ბიზანტიელი კეისრის — ანდრონიკ კომნენოსის ვაჟი ალექსი.

ქართული ეკლესიის ასეთი აღზევების იდეა თამარის ყველაზე გაბედულ, ყველაზე აქტიურ და, ამავე დროს, ყველაზე მასშტაბურ პოლიტიკურ იდეად უნდა მივიჩნიოთ.

ამ მიზნამდე საქართველო არც ისე შორს იყო, მაგრამ მიზნის სიდიადე და სიახლოვე ერთგვარ თავბრუსხვევასაც იწვევდა, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატებოდა საკუთარი შესაძლებლობების შეუფასებლობაში, ანდა, უფრო სწორად — საკუთარი შესაძლებლობების არასწორი კალაპოტით წარმართვაში.

ზემოთ გაბედულება ვახსენე. მართლაც, ასეთი იდეის განხორციელებას დიდი გაბედულება სჭირდება. გაბედულება თამარს არ აკლდა, გონიერი მმართველიც

იყო, მაგრამ, ამ შემთხვევაში, აშკარად გაუთვალისწინებელი დარჩა ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი: ვაიღუა სიახლით არ გამოიჩინებოდა! საქართველოში ტიურად უნდა გაემეორებინა ბიზანტიის სეკულარული სამყარო ერთმანეთთან სამკედრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულ, ქვის ყრუ კედლით გაყოფილ ორ ნაწილად აქცია.

როდესაც ასეთი გრანდიოზული მიზანი გაქვს, რასაკვირველია, არ შეიძლება ჯვაროსნებთან იმეგობრო, უფრო მეტიც, არ შეიძლება არ გეშინოდეს ჯვაროსნებისა, რომლებმაც თავიანთი დაუნდობლობა მთელი სისრულით არაერთხელ გამოავლინეს: მათ ხომ კონსტანტინეპოლი ისევე აიღეს და დააქციეს, როგორც ნებისმიერი, მტრული, მაჰმადიანური ქალაქი! სწორედ ამ უქრისტიანესი ქალაქის ნანგრევების ფონზე ბუნებრივად გვეჩვენება სხვა სიტუაციაში თითქმის წარმოუდგენელი რამ — თამარის მიერ მუსლიმან მმართველებთან მეგობრული ურთიერთობის ძიება! თამარის ჩანაფიქრით, ეს მეგობრობა საიმედო ჯებირად უნდა ქცეულიყო ჯვაროსნების ძლევამოსილი მსვლელობის გზაზე და ეს ჩანაფიქრი შეიძლება მართლაც სიცოცხლისუნარიანი აღმოჩენილიყო, თუკი ჯვაროსნებისგან შევიწროებული და დამფრთხალი სულთნები სულ ისეთ უცოდველ ბატკნებად დარჩებოდნენ, როგორადაც თამარს აჩვენებდნენ თავს.

მუსლიმანურ სამყაროსთან თავისი „მეგობრობის“ ამბავს თამარი, რა თქმა უნდა, საქვეყნოდ დროშასავით ვერ ააფრიალებდა: ჯვაროსანთა მსგავსად, მის დროშაზეც ჯვარი იყო გამოსახული. ამიტომ მან ერთგვარი სებარატიული სვლა აიჩრია — საქართველო შეიმალა ეგრეთწოდებულ „ჩაურველობის“ ნიჟარაში. მაგრამ დაუსაბუთე-



ბელი, ყოველმხრივ გაუმართლებელი იმედი და რწმენა მეზობელი მაკმადიანური სახელმწიფოების ერთგულებისა მას მალე გადააცდენს სწორი გზიდან. საკვირველი და სამწუხაროა ისიც, რომ „ჩაურევლობის“ პოლიტიკისკენ საქართველოს უბიძგა სისუსტემ კი არა, სიძლიერემ, რომელსაც ის ზედმეტი თვითდაჯერებით მიენდო. მას ეს სიძლიერე მარადიული ეგონა, ამიტომაც თამარის ძლიერი სახელმწიფო მოულოდნელად აღმოჩნდა იმ საფრთხის წინაშე, რომელზე დიდი საფრთხეც იმდროინდელ სამყაროში არ არსებობდა და რომელსაც ბოროტების აღმნიშვნელი ზოგადსახელი „მონღოლები“ ჰქვია. ცნობილია, რომ მათი არსებობა საქართველომ იქამდე არც კი იცოდა, სანამ უშუალოდ არ შეეჯახა. მონღოლებს კი იმდროისათვის უკვე თითქმის ნახევარი მსოფლიო ჰქონდათ დაპყრობილი.

თამარი ძლიერი, მტკიცე ნებისყოფის ქალი გახლდათ, სხვათა დარწმუნების საკვირველი უნარით იყო დაჯილდოებული, ადვილად ერკვეოდა ადამიანის ფსიქიკის ურთულეს თავისებურებებში, იცოდა, რა მოქმედებდა ყველაზე უფრო ადამიანის სულზე, რა ახდენდა მასზე ყველაზე უფრო კმედით, წარუშლელ შთაბეჭდილებას. სხვა ნრავალ მის გამონათქვამსა თუ ნამოქმედარს შორის, სამუდამოდ დაგვამახსოვრდა ქალური სინაზითა და, ამავე დროს, რკინისებური სიმტკიცით აღსავსე ფრაზა, რითაც რუქნ-ად-დინისადმი გაგზავნილი წერილი დაამთავრა: „იყავნ ნება ღმრთისა, ნუ შენი! სამართალი მისი, ნუ შენი!“

თუკი, თუნდაც მხოლოდ ხელოვნების იმ ნიმუშების მიხედვით ვიმსჯელებთ, რომლებიც დღესაც ამშვენებს და აღდიდრებს ჩვენი ეროვნული კულტურის საგანძურს,

შეგვიძლია ვთქვათ, რომ თამარი უნატიფესი გემოვნების, ღრმად განათლებული, დიდად ნიჭიერი და მტკიცე მბრძანებელი იყო. მაგრამ ზოგჯერ მათიანეში აღწერილი მხედრული გამარჯვებების, ხელმწიფური ძლევამოსილების, საკვირველი დიპლომატიური სვლების ფონზე მაინც ილანდება მეფე-ქალის პირადი დრამატული ბედი, ბედი ქალისა, რომელსაც სხვები ურჩევდნენ საქმროებს, თვითონ კი „იძულებულია... მორჩილი იყოს“, მაგრამ მათიანეს ფურცლებიდანვე ისმის ასეთი ზვიადი ფრაზაც: „სამეფო განუხეთქლად დაიცვა“-ო. ეს კი, დამეთანხმებით, არც ისე ადვილი იყო და ვერც ყველა ქართველმა მეფემ შესძლო... აი, რას შესწირა მან პირადი ბედნიერება!

ზემოთ ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ თამარის მიერ უკვე ტრადიციად ქცეული პოლიტიკის შეცვლა, რათქმუნა უნდა, მისი ბუნებით ან პირადი სურვილით არ იყო გამოწვეული, იგი პოლიტიკურ-სოციალური ხასიათისაა და ჩვენს დღევანდელ ისტორიკოსებს ზუსტადაა აქვთ შემჩნეული. აი, რას წერს ივანე ჯავახიშვილი: „თამარის მეფობის დროს საქართველოში დამყარდა შეზღუდული მონარქია“-ო. დავითის მიერ დამხობილმა დიდგვაროვან ფეოდალთა ოჯახებმა ისევ დაიბრუნეს ძალაუფლება. საერთოდ, ძალიან გაიზარდა „დიდგვარ თავადთა“ გავლენა სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის აპარატზე, ამირსპასალარი ზაქარია რუქნ-ად-დინის თავხედ დესპანს სილას რომ გააწნავს, ეს, ცხადია, მის პატრიოტულ გრძნობაზე ლაპარაკობს, მაგრამ იმაზეც ხომ ნათლად მეტყველებს, თუ რა დიდ უფლებას აძლევდა საკუთარ თავს მეფის თანდასწრებით!

თამარის დროს გიორგი მთაწმინდელისა და დავით

აღმაშენებლის სახელმწიფოებრივმა იდეამ ღირსეული ადამიანის შესახებ დაკარგა თავისი აქტუალობა, თავისი განმსაზღვრებითი მნიშვნელობა.

ამიტომაცაა, რომ სწორედ დავით აღმაშენებლისა და სახელმწიფოებრივი ქმედების ფონზე ხდება აშკარა რუსთაველის კავშირი მშობლიურ ნიადაგთან, როგორც ნ. მარი იტყვოდა: „არა მხოლოდ ფორმალური ან ენობრივი, არამედ იდეური“!

შეიძლება ვთქვათ, რუსთაველი იწყება დავით აღმაშენებლით და დავით აღმაშენებელი გრძელდება რუსთაველით.

მართლაც, იშვიათია, ისე ჰგავდეს ერთი პიროვნება მეორეს, როგორც რუსთაველი ჰგავს დავით აღმაშენებელს. ორივე აღმაშენებელია, შემოქმედი! ერთი — ქართველი ადამიანის სულისა, მეორე — ქართველთა ქვეყნისა...

შეიძლება თამამად ითქვას, რუსთაველის პოემა თამარის კი არა, დავით აღმაშენებლის ეპოქის გენიალური ფინალური აქორდია, რომელიც აპოთეოზური დიდებულებით გადმოგვცემს მომავლის რწმენასაც, მომავლისაკენ დაუოკებელ ლტოლვასაც, ანუ უფრო ზუსტად — უკვდავების განცდას!

#### 4

პირველი მკვლევარი, რომელმაც განსაკუთრებით აღნიშნა პოემის ევროპული ბუნება, ალიარა ეს, როგორც ანტიკლემოსავლური მოვლენა, იყო ვახტანგ VI. ეს აზრი მან მკაფიოდ და სხარტად ჩამოაყალიბა თავის „კომენტარში“ (ვახტანგზე ადრე კი მეორე მეფე პოეტმა შეამჩნია იგივე, უფრო სწორად, საკუთარ თავზე იწვინა

რუსთაველის ქეშმარიტი ბუნება, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ ვილაპარაკებ). ქართული ლიტერატურა თავიდანვე მკვეთრად გამოკვეთილი ევროპული ხასიათისაა. ამას განსაკუთრებით იმიტომ ვუსვამ ხაზს და, ერთი შეხედვით, ღია კარს იმიტომ ვამტვრევ, რომ ჩვენს მკვლევარებს შორის არიან ისეთებიც, რომლებიც პოლარულად საპირისპირო პოზიციაზე დგანან, ანუ ქართულ კულტურას წარმოადგენენ, როგორც აღმოსავლური კულტურის შემადგენელ ნაწილს.

კარგი იქნება, სწორედ ახლა თუ გავიხსენებთ ვეფხისტყაოსნის იტალიურ ენაზე მთარგმნელის, მარიო პიკის სიტყვებს: საქართველოს „მუდამ თვალი ჰქონდა მიპყრობილი დასავლეთისაკენ, რომლის თითქმის უკიდურეს განშტოებას წარმოადგენდა ირანსა და თურქეთს შორის“.

მართალია მარიო პიკი, საქართველო „უკიდურესი განშტოებაა“ ევროპისა, მაგრამ აქაც, ისევე როგორც ყველა მაღალკულტურულ ქვეყანაში, ხდებოდა მოვლენები, რომლებიც არა მარტო საერთო-აღმოსავლურ ნორმებს უპირისპირდებოდა, არამედ საერთო-ევროპულსაც, ოღონდ, ეს ღრმად ეროვნული მოვლენები კიდევ უფრო მჭიდროდ აკავშირებდნენ საქართველოს კაცობრიობის საერთო ინტელექტუალურ ცხოვრებასთან.

ისიც უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა დაპირისპირების დროს, რასაკვირველია, მთლიანად გამორიცხულია რომელიმე მათგანის რაიმე უპირატესობის აღიარება. ეს დაპირისპირება, იმდროინდელი თვალსაზრისით, შეიძლება ერთგვარად პირობითადაც კი წარმოვიდგინოთ, რადგან მაშინ უფრო ნაკლებად იგრძნობოდა განსხვავება, ვიდრე დღეს. თანაც,

აღმოსავლური კულტურა გაცილებით თვითმყოფადი მო-  
ჩანს, ვიდრე ევროპულს, რომელმაც უსათუოდ ბევრი  
რამ შეიძინა აღმოსავლური, კერძოდ, არაბული ნიშნე-  
ნებისა თუ მეცნიერებისაგან.

„ესე ამბავი სპარსული“-ო, თქვა რუსთაველმა და  
აწით მიგვანიშნა, მოთხრობილი ამბავი არარეალურია,  
ზღაპრულიაო, რადგან მისთვის სპარსეთი ისეთივე გა-  
მოგონილი ქვეყანაა, როგორც არაბეთი, ინდოეთი, მულ-  
ლახანზარი ან გულანშარო. „ესე ამბავი სპარსული“ პოე-  
ტისათვის ნიშნავს უცხო, ზღაპრულ, იდუმალებით მო-  
ცულ ამბავს — აღმოსავლურ, აზიურ ამბავს და არა  
პოემის წყაროს მითითებას, როგორც ეს ზოგიერთ  
მკვლევარს ჰგონია და დღესაც სპარსეთში დაექმტს  
პოემის დედანს. ეს იგივეა, რომ დღევანდელ არაბეთში  
ვეძებოთ როსტევეანის საფლავი, ანდა გულანშაროში  
(ზოგმა კიდევ დაადგინა, სად მდებარეობდა ეს ქალა-  
ქი!) — ავთანდილის ბუშები!

ვახტანგ VI სიტყვებია: „სპარშიდ ეს ამბავი არსად  
იპოვება“... რუსთაველისათვის დამახასიათებელია რეა-  
ლურად არსებული ქვეყნებისათვის ზღაპრული ამბების  
მიწერა: არაბეთი, ინდოეთი, ხატაეთი... ასეთივე კატეგო-  
რიაა მისთვის სპარსეთიც, რომელიც ამ შემთხვევაში  
ისევე ისმის, როგორც, ვთქვათ, გულანშარო. რუსთავე-  
ლისათვის კონკრეტული გეოგრაფიული გარემო არ არ-  
სებობს, რუსი და სპარსი, ფრანგი და ეგვიპტელი —  
ერთად გამორბიან ავთანდილის სიმღერის მოსასმენად.

„ვეფხისტყაოსანში“ არაბეთს პირობითი ხასიათი აქვს  
და იგი არ შეესაბამება არაბეთს არც რეალურად და არც  
კოლორიტით“-ო, — წერს აღმოსავლეთმცოდნე კ. წე-  
რეთელი. ვეფხისტყაოსნის „სპარსეთსაც“ ასევე პი-

რობითი ხასიათი აქვს: შეიძლება, ამ შემთხვევაში, ისიც გავიხსენოთ, რომ პოემაში არ არის უდაბნო. ზღვით, მდინარეებით, დაბურული ტყეებითა თუ მწვეან მინდორებით სავსე ამ სამყაროში უდაბნოს სურათს, ისიც ფიქრში, შექარავნეთა ხსენება თუ წარმოქმნის მხოლოდ.

სივრცეს, რომელშიაც გაშლილია რუსთაველის ზღაპრული სამყარო, შეიძლება ფანტასტიკური გოგრაფია ვუწოდოთ. ამასთანავე, ამ ზღაპრულ სამყაროს ის უცნაურობა ახასიათებს, რომ მასში არაფერია ზღაპრული, აქ ყოველი უმცირესი დეტალიც კი იშვიათი დამაჯერებლობით, თუ შეიძლება ასე ითქვას, იშვიათი ნამდვილობით გამოიჩნევა.

ცნობილი მეცნიერის ა. მიხაილოვის აზრს თუ გავიზიარებთ, აუცილებელი არ არის, სარაინდო რომანის გმირები რეალურ ცხოვრებისეულ გარემოში მოქმედებდნენ, მათ შეუძლიათ იმოქმედონ ფსევდოისტორიულ, ფანტასტიკურ, თუ პირობით ორიენტალურ გარემოში. ეს ნეტად საგულისხმო აზრია! სწორედ რომ, ფანტასტიკურ ან პირობით ორიენტალურ გარემოში მოქმედებენ ვეფხისტყაოსნის გმირები ისევე, როგორც დასავლეთ-ევროპული სარაინდო რომანის გმირები. სხვათაშორის, ის შეხედულება, რომელიც ჰქონდათ შუა საუკუნეებში საფრანგეთის მცხოვრებლებს აღმოსავლეთზე და რომელზედაც ა. მიხაილოვი მოგვითხრობს, ძალიან მოგვაგონებს ვეფხისტყაოსანში გადაშლილ ნახევრად ზღაპრულ მხარეს. მართალია, საქართველოში აღმოსავლეთს ძალიან კარგად იცნობდნენ, მაგრამ მასთან ისეთივე დამოკიდებულება ჰქონდათ, როგორც ევროპის ნებისმიერი ქვეყნის მცხოვრებლებს.

ფრანგული პროზაული ნაწარმოების „ტრისტანის

რომანის“ ავტორად დასახელებულია ვინმე ლეოს დელ  
გატი. წიგნი დაამთავრა სხვა მწერალმა, ვინმე ელი დე  
ბორონმა. ორივე მწერალი დაბეჭდვით აცხადებს, წი-  
გნი ლათინურიდან ვთარგმნეთო, მაგრამ მკვლევარები არ  
უჯერებენ, ასეთი წიგნი ლათინურად არ არსებობდაო.  
+ რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ვეფხისტყაოსნის „სპა-  
რსულობაც“ ასეთივე ტიპის მოვლენაა? საგულისხმოა  
ვაჟა-ფშაველას სიტყვები: „...ბევრი ამბავი და ზღაპარი  
მე შევქმენ და იოტისოდენა იმათში ხალხის თქმულებისა  
არაფერი ურევია, თუმცა ფრჩხილებში ვსვამდი: „ძვე-  
ლისძველი ამბავიო“, „ზღაპარიო“, „თქმულებაო“...

ქართული კულტურა ევროპული რომ იყო, ეს აზრი  
XII საუკუნეში უფრო ბუნებრივად, შეიძლება ითქვას,  
აქსიომად აღიქმებოდა, ვიდრე, ვთქვათ, XVII საუკუ-  
ნეში, ანდა, თუნდაც დღეს.

სტატიაში „ჩვენი ქვეყნის სიყვარულით“ რომელიც  
ზემოთ ვახსენე და რომელიც ეძღვნება ჩვენგან უალრე-  
სად პატივსაცემი პიროვნების, ინგლისელი მწერალი ჭა-  
ლის — ქეთრინ ვივიანის მიერ ვეფხისტყაოსნის ინგლი-  
სურ ენაზე თარგმნის მეტად მნიშვნელოვან ფაქტს, მა-  
ნანა გვიგინეიშვილი წერს: „ტარიელის მრავალგზისი დაბ-  
ნედის სცენები და ცრემლთა ღვრა — აღმოსავლური  
მწერლობისათვის ესოდენ ბუნებრივი და შესაფერი, ხო-  
ლო ევროპელი მკითხველისათვის უჩვეულო ეს ეპიზო-  
დები, მთარგმნელს შეუქვეცავს“-ო.

საერთოდ, როგორც ცნობილია, მთარგმნელები, თუკი  
შეკვეცაა, რაც თავისთავად მისასალმებელი ამბავი არ  
არის, ტექსტში ამცირებენ მკითხველისათვის ჩვეულებ-  
რივ, ნაცნობ და არა „უჩვეულო“ ეპიზოდებს. ამავე  
დროს, იმ ეპოქის ევროპული მწერლობისათვის, რომელ-

საც, მიახლოებით მაინც, ვეფხისტყაოსანი ეკუთვნის, აღმოსავლურზე არანაკლებად და მახასიათებელი „ცრემლთა ღვრა“. ასე რომ, უფრო სავარაუდოდ, ჩვენი პატივცემული მთარგმნელი პოემაში ამცირებდა ევროპელი მკითხველისათვის ნაცნობ მოტივებს.

სამწუხაროდ, ამ თარგმანის წაკითხვა მე არ შემიძლია, მაგრამ თუკი ამ თარგმანში მართლაც შემცირებულია „აღმოსავლური მწერლობისათვის ესოდენ ბუნებრივი და შესაფერი“, ანუ „დაბნელის სცენებისა და ცრემლთა ღვრის“ ეპიზოდები, მაშინ ჰაერში გამოკიდებული დარჩენილა ის დიდებული და იმდროისათვის სრულიად ახალი, ამ ეპიზოდების ფონზე და მათი საშუალებით მკაფიოდ გამოკვეთილი აზრი, რომელიც ერთ-ერთ დიდ აღმოჩენად შეიძლება ჩაითვალოს მაშინდელი ადამიანის სულიერი ცხოვრების სფეროში:

„ბედითი ბნელა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?  
სჯობს, საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია!“

ეს არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გასაოცარი ფრაზა იმ დროისათვის, როცა სწორედ „ბედითი ბნელა“ იყო აღმოსავლური თუ ევროპული კურტუაზიულობის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი. ვეფხისტყაოსანში კი „ცრემლის ღვრასა“ და „დაბნელას“ ებრძვიან! ეს არაჩვეულებრივი ფაქტია იმდროინდელი ევროპული მწერლობისათვის!

ასე რომ, თუკი პოემის თარგმნის დროს „ცრემლთა ღვრის“ სცენებს გამოვტოვებთ, ქართველი პოეტის ამ შესანიშნავ, მთელს ევროპულ ლიტერატურაში თვისობრივად ახალ აზრს ვეღარ ჩავწვდებით. პოემაში ზომ ამდენი ცრემლი მხოლოდ იმიტომ იღვრება, ნესტანისა და



ავთანდილის გონიერი ქმედება, ახალი სულისკვეთება რომ შევამჩნიოთ! აქ ავტორის მიერ პედალიზებულ კონტრასტთანა გვაქვს საქმე, რომელიც ძალიან დიდძალ რევებასა და სიფრთხილეს თხოულობს სწორედ მისი სხვა ენაზე გადატანის დროს.

ჩვენი ისტორიის შავბნელი პერიოდის სპარსული ორიენტაციის, „სპარსული ენის მუსიკობის“ მოტრფიალე გადამწერებს (ან პოეტებს!) ალბათ ძალიან უკვირდათ, „სპარსულ ამბავში“ (როგორც რუსთაველს უწერია) არაფერი არ იყო სპარსული და რაკი მათ მართლაც „ესე ამბავი სპარსული“ ეგონათ (ისინი ხომ ლიტერატურული განათლებით, აზროვნების მასშტაბით და გემოვნებით გაცილებით დაბლა იდგნენ, ვიდრე პოემის შემდეგდროინდელი მკვლევარები!), ცდილობდნენ თვითონ გაესპარსულებინათ პოემა, ჩაემატებინათ ტექსტში სპარსული ტერმინები, რომელთა არარსებობაც წინა გადამწერთა შეცდომად მიაჩნდათ. ამავე დროს, და მთავარიც სწორედ ეს არის, ღრმად იყვნენ დარწმუნებულები, კარგ საქმეს რომ აკეთებდნენ, პოემის სასიკეთოდ რომ ეწეოდნენ ასეთ საქმიანობას. მათთვის ხომ ცნება „სპარსული“ უმაღლესი ხარისხისნი შანსუდრიდა!

შეიძლება, პოემამ ჩვენამდე იმიტომაც მოაღწია, იმიტომაც გადაურჩა სრულ განადგურებას იმ უსასტიკეს ხანაში, რომლის დაკანონებული სახელწოდება — „აღორძინება“, სხვა თუ არაფერი, ირონიულად ეღერს, მართლა სპარსული ამბავი რომ ეგონათ, ან ასე რომ ნიღბავდა ვიღაც ღვთისნიერი, ვინც სიტუაციის ტრაგიკულობას გრძნობდა და გულისტკივილით ამატებდა ტექსტში, თუნდაც, სიტყვა „მიზგითას“, მხოლოდ და მხოლოდ, რჯულგამოცვლილი მეფის გულის მოსაგებად, იმ გაპირუტყვებულ მბრძანებელს პოემის დაწვა რომ არ ებრ-

ძანებინა. ნადვილად იყვნენ ასეთი გადამწერებიც და ასეთი მეფეებიც. წარმოიდგინეთ, რა შვება იქნებოდა რჯულგამოცვლილი მბრძანებლისათვის ის ამბავი, ს. ვ. თ. ა. ნ დ ი ლ ი ც, მასავეთ, მიზგითაში რომ შედიოდა!

ვაჟა-ფშაველა ამბობდა, ამ პოემაში „...ერთ მოქმედ პირზედაც ვერ იტყვი, ქართველი არ არისო.“ „ჰამლეტის“ მოქმედება დანიაში ხდება, პიესის მიხედვით, ჰამლეტი დანიის პრინცია, მაგრამ არავის უთქვამს, თვით დანიელსაც კი, ჰამლეტი დანიელიაო, თუმცა დანიელი უფრო გავს ინგლისელს, ვიდრე ქართველი — არაბს! მიხეილ მოროზოვი, შექსპირის შემოქმედების ცნობილი მკვლევარი, წერს: „მაყურებლისთვის, ბოლოს და ბოლოს, სულერთი იყო, სად მიმდინარეობდა მოქმედება, რადგან, არსებითად, ის მიმდინარეობდა ინგლისში“-ო. ენგელსმა შექსპირზე თქვა: „აქ ყველაფერი, მხოლოდ და მხოლოდ ინგლისის ცის ქვეშ ხდება“-ო. ვეფხისტყაოსანში, მიუხედავად ავტორის ცდისა, ვაჟა-ფშაველას თქმით, „მოქმედ პირთა ქართველობა, მოპარულს მამალივით მაინც ბოლოს აჩენს“. მაგალითად, მართლაც ნამდვილ მაჰმადიანებს — ბაღდადეგ ვაჭრებს — მაინცდამაინც ავთანდილთან საუბრის დროს ახსენდებათ მ ა ქ ა რ ი!

„ცნობა ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის „სპარსულობაზე“ არ შეეფერება სინამდვილეს“-ო, წერს პავლე ინგოროყვა და დასძენს: ...ყველა ის ადგილი ვეფხისტყაოსნისა, რომლებიც ეხება ვეფხისტყაოსნის „ამბავის“ საკითხს, და რომლებიც მოიპოვება ვეფხისტყაოსნის ნაგვიანებ ხელნაწერებში, არ ეკუთვნის თვით ავტორს, არამედ წარმოადგენს ინტერპოლაციას, გვიანი დროის ჩამატებას“.

ამასთან დაკავშირებით, დასაშვებია ასეთი ვერსია: გვიანდელი დროის (ანუ დაქვეითების ხანის!) ინტერ-პოლატორი იმდენადაა აღფრთოვანებული სპარსული პოეზიით, რომ ვეფხისტყაოსანზე ამბობს, ისეთივე შალალი, ნამდვილი პოეზიაა, როგორც სპარსულიო. დარწმუნებულია, ქართულ პოემას დიდი ქათინაურით ამკობს.

ზემოთ ვთქვი, ვახტანგ VI აღრე მეორე მეფე-პოეტმა შეამჩნია ვეფხისტყაოსნის ანტიადმოსავლური ბუნება, უფრო სწორად, საკუთარ თავზე იწვნია რუსთაველის ევროპულობა-მეთქი. ეს მეორე მეფე-პოეტი თეიმურაზი იყო!

რუსთაველისაგან განსხვავებით, თეიმურაზისათვის ცნება „სპარსული“ კონკრეტული შინაარსის შემცველია. თეიმურაზმა შეამჩნია, იგრძნო, თუ რა გამანადგურებელი ძალისაა გენია, თუ რა მხურვალე და დამლუპველია მზე, რომლის გარშემოც ეპიგონი ტრიალებს. ამიტომ სცადა გაებრძოლა საკუთარი თავის, საკუთარი პოეტური მე-ს გადასარჩენად, მას უნდა მოეძებნა ისეთი ჯებირი, რომელიც ოდნავ მაინც შეანელებდა რუსთაველის ცეცხლოვანი ზვირთის მოწოლას და იპოვა კიდევ: სრულიად სხვა, უცხო პოეზიის სამყარო — დიდი სპარსული პოეზია!

არსებითად, ეს არის ფსიქოლოგიურად ყველაზე დამაჯერებელი საბუთი იმისა, რომ რუსთაველის პოემა ანტისპარსული მოვლენაა. „სპარსთა ენისა სიტყბომან მასურვა მუსიკობანი“! — გამწარებული, წონასწორობადაკარგული პოეტის ნათქვამია. ოღონდ, აქ „ენა“ უნდა გავიგოთ, როგორც პოეზია, იგივე „მუსიკობა“! ეს არის აღმოსავლური პოეტური აზროვნების აღიარება ევროპულის საწინააღმდეგოდ.

სხვათაშორის, მარტო თეიმურაზი არ წასულა ამ გზით. პატარ-პატარა, უმნიშვნელო პოეტებს რომ თავი დავანებოთ, უკვე ჩახრუხადის პოემაში შეინიშნება ადმოსავლური პოეტური სამყაროს მძლავრი გამოსხივება, ხოლო ქართული სადღევგმირო რომანი „ამირანდარეჯანიანი“ სპარსულ ქარგაზე მოჭრილი ნაწარმოებია. ერთი კია, ლიტერატურული გავლენა პოეტის მსოფლმხედველობით პრობლემებს არ უნდა დაუკავშირდეს, ის ფორმალური, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების პარალელურად უნდა განიხილებოდეს. ამას ყველაზე ნათლად თვით თეიმურაზის მაგალითი ასაბუთებს: ის, როგორც მეფე, დავანებოთ თავი მის მეფობას, როგორც ადამიანი — მტერი იყო სპარსეთისა, მაგრამ როგორც პოეტი, სპარსული პოეზიით იყო მონუსხული. ამდენად, თეიმურაზის გაბრძოლება რუსთაველის გავლენის წინააღმდეგ, ტრაგიკული იყო და ტრაგიკულად დასრულდა კიდევ, სპარსული პოეზია მისთვის ხუნდად იქცა — ერთის ეპიგონობა მეორის ეპიგონობამ შესცვალა, ეს იყო და ეს. ამას სინანულით ვაიმობ, თუნდაც იმიტომ, რომ თეიმურაზი ნამდვილად დიდი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება იყო, ამას ამტკიცებს ის მარგალიტები, მის შემოქმედებაში აქა-იქ რომ გამოანათებს ხოლმე: „რად, სოფელო, სხვა არ დასწვი...“

თეიმურაზი მაინც საგრძნობლად განსხვავდება იმ პოეტებისაგან, რომელთაც არც კი გაუბრძოლიათ, არც კი უცდიათ თავის დაღწევა რუსთაველის ცეცხლოვანი სამყაროდან, შეგნებულად დარჩნენ იქ, სრულიად დაჯარგეს თავიანთი სახე და დღემდე ქართული ლიტერატურის ისტორიაში რუსთაველის ეპიგონებად იწოდებიან (არ არსებობს პოეტისათვის ეპიგონზე უფრო დამამცირებე-

ლი ეპითეტი!). ეს პოეტები რუსთაველის პოემაში უმთავრესად სიუჟეტის ვირტუოზულმა არქიტექტონიკამ მოხიბლა. პოემის ქსოვილიდან ერთი ძაფის ბოლო ვამბობლავიეს და იმ ძაფით დაიწყეს საკუთარი პერანგის ქსოვა. ქართული ლიტერატურის ისტორიის ფურცლებზე დღემდე მშვიდად განისვენებს ბევრი ერთნაირპერანგინი პოეტი...

შეიძლება ითქვას, რუსთაველი პირველად მთელი სიღრმით წაიკითხა ვახტანგ VI თაობამ და, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, დავით გურამიშვილმა, ალბათ უფრო ღრმად, ვიდრე რუსთაველის რომელიმე თანამედროვე მკითხველმა.

გურამიშვილის შემდეგ კი, ნიკოლოზ ბარათაშვილმა ამ უკვდავ პოემაში მრავალი ახალი, მანამდე შეუმჩნეველი მაცოცხლებელი წყარო აღმოაჩინა. ბარათაშვილის ლირიკა ვეფხისტყაოსნის წიაღიდანაა ამოზრდილი. ბარათაშვილს ვეფხისტყაოსნის ფარული მელოდიები თუ სახეები მზეზე ამოაქვს და ამით ერთგვარ ლირიკულ კომენტარს უკეთებს პოემას.

რუსთაველის ნამდვილმა მიმდევრებმა (გურამიშვილი, ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი...) ვეფხისტყაოსანი განიცადეს, როგორც მუსიკა, „მუსიკა ჩვენი სულისა“! გაიარა რა, საუკუნეების მანძილზე, უამრავი თაობის გონებისა და გულის ცხრაკლიტურები, რუსთაველის სახელი თანდათანობით გაიზარდა და ჩვენთვის დღესდღეობით ღმერთის სინონიმად იქცა. მაგრამ იყო დრო, როცა ის, მართალია, ასევე დიდ პოეტად მიაჩნდათ, მაგრამ მასთან პაექრობას, გაბაასებას, კამათს, შეჯიბრებასაც კი ბედავდნენ. ძალიან ლმობიერად რომ ვთქვა, ეს სითამამე, უფრო სწორად — გამწარებული

სიამავე, როგორც წესი, ისევ და ისევ რუსთაველის ეპი-  
გონებს ახასიათებდათ და, ამიტომაც, დღეს სევდიან დი-  
მილს თულა იწვევს მათ მიმართ.

საერთოდ, რუსთაველისადმი ქართველი პოეტების  
დამოკიდებულების ევოლუცია ძალიან საინტერესო და  
მრავლისმთქმელი საკითხია ქართულ ლიტერატურაში.  
რუსთაველი თანდათანობით იზრდებოდა, მალდებოდა,  
მაგრამ ამავე დროს, კი არ გვწორდებოდა, არამედ, პი-  
რიქით, უფრო მახლობელი ხდებოდა ჩვენთვის. დარწმუ-  
ნებული ვარ, რამდენიმე საუკუნის მერე ქართველი ადა-  
მიანისათვის რუსთაველი კიდევ უფრო მახლობელი იქნე-  
ბა...

ქართული მწერლობა თავიდანვე გენეტიკურად იყო  
დაკავშირებული ევროპულ მწერლობასთან. ამაზე მეტყვე-  
ლებს თუნდაც მისი ბრწყინვალე აგიოგრაფია და ჰიმ-  
ნოგრაფია, ამ შემთხვევაში, ბიზანტიურ ლიტერატურას  
არ გამოვყოფთ დასავლეთევროპული მწერლობიდან,  
როგორც ეს მიღებულია ბიზანტიოლოგთა შრომებში,  
რასაც დ. ლიხაჩოვი „გაუგებრობას“ უწოდებს და სამა-  
რთლიანადაც. ქართულ ლიტერატურას განვითარების  
თითქმის ისეთივე კანონზომიერება ახასიათებს, როგორც  
საერთოდ ევროპულ ლიტერატურას, რასაკვირველია,  
მეტნაკლები ფორმითა და ეროვნული თავისებურებების  
გათვალისწინებით.


ვფიქრობ, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ილია ჭა-  
ვეჭავაძის გაგებით, ევროპეიზმი ქართულ მწერლობაში  
ეროვნულ ფესვებთან დაბრუნებას ნიშნავს და იგი ქარ-  
თული მწერლობის ჭეშმარიტი ბუნების აღდგენა და გა-  
მოვლენაა.



იმდროინდელ საქართველოში დიდი კულტურული აღმშენებლობითი საქმიანობა მიმდინარეობდა, რომელიც დაიწყო რა დავითის დროს, წარმატებით გაგრძელდა თამარის მეფობის ხანაშიც. აშენებდნენ ციხე-დარბაზებს, ეკლესიებს, მონასტრებს, საავადმყოფოებს, ხანაგებს, ხიდებს... გაპყავდათ გზები; კლდეში იკვეთებოდა მთელი ქალაქები. კედლებსა და თალებს ფრესკებით ამკობდნენ ჭეშმარიტად დიდი მხატვრები; ხატებს ბეჭა ოპიზარი ჭედდა და მასთან ერთად, მრავალი და მრავალი მაღალნიჭიერი ოსტატი, თუნდაც „მეფის მხატვარი თევდორე“.

მართლაც, განსაკუთრებით აღსანიშნავია კულტურული ძეგლები, რომლითაც ასე მდიდარია დავითისა და თამარის ეპოქები. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მეთორმეტე საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ძლიერების საფუძველს ივანე ჯავახიშვილი სწორედ კულტურულ საქმიანობაში ხედავს, რომელიც წინ უძღოდა ამ ეპოქას.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ფილოლოგიის აღზევება. ეს არის ერთ-ერთი პირველი შემთხვევა, როცა ფილოლოგიური მეცნიერება სახელმწიფოს პოლიტიკურ ინსტიტუტადაა გადაქცეული, მისი მიზანია დიდი თურქობის შედეგად ევროპასთან შერყეული კავშირის აღდგენა და თავის მოწოდებას დიდი წარმატებითაც ახორციელებს. ამის წყალობაა ის ამბავიც, რომ ქართული ენა აღიქმება, როგორც ერის გამაერთიანებელი იარაღი. გიორგი მერჩულეს ცნობილი თქმა: „ქართლად ფრიალი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა



ენითა ქამი შეწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულე-  
ბის“ — იდეოლოგიურ მნიშვნელობას იქნის. **უპროვინციო**  
მეცნიერების სხვადასხვა დარგების ორგანიზაციების  
ბისა და მიზანდასახულობის საკვირველი მაგალითია  
გელათის აკადემიის დაარსება დავით აღმაშენებლის  
მიერ. ეს აკადემია, თავისი საქმიანობის მასშტაბურო-  
ბისა და ხასიათის ვაშო, ფაქტიურად, კარველი ქართული  
უნივერსიტეტია. ხოლო იოანე პეტრიწი ქართული უნი-  
ვერსიტეტის პირველი რექტორი — „მოძღუართ-მოძ-  
ღუარი“!

პუშკინი ლომონოსოვს „დიდი პეტრეს დიდ თანა-  
მებრძოლს“ უწოდებდა. იოანე პეტრიწი დიდი დავით  
აღმაშენებლის დიდი თანამებრძოლია, „თანაგანმკაფ-  
ველი“.

გელათის უნივერსიტეტში თავმოყრილია ჩვენი იმ-  
დროინდელი მეცნიერების ყველა საუკეთესო წარმომა-  
დგენელი. ჯერ კიდევ დიდმა ხანმა უნდა გაიაროს, ვიდრე  
რიშელიე მის მიერ დაარსებულ საფრანგეთის აკადემიის  
წევრებს ეტყოდეს, დროა, სახელმწიფოებრივად აზროვ-  
ნება ისწავლოთო.

ზემოთ ვთქვი, საქართველო კულტურულ სამყაროში  
ბიზანტიის ადგილის დასაკავეებლად ეშხადებოდა-მეთქი.  
ხოლო ქვეყანა, რომელიც აპირებს გახდეს დიდი სახელ-  
მწიფო, სხვა ქვეყნებს საკუთარი ნება მოახვიოს თავს,  
რასაკვირველია, მიზანს ვერ მიაღწევს, თუკი, უპირველეს  
ყოვლისა, კულტურას არ განავითარებს, არ დადგება  
იმდროინდელი აზროვნების ყველაზე მაღალ საფეხურზე.  
მან შეიძლება შეაკოწიწოს იმპერიის მსგავსი რამ, მაგ-  
რამ ეს უსათუოდ დროებითი მოვლენა იქნება...

იმდროინდელ საქართველოში ლამის სახელმწიფო



პრინციპად იყო ქცეული ტოლერანტული, ანუ შემწყნარებლური დამოკიდებულება გაისხვავებული მარჯმოსისა თუ რწმენის მიმართ, რაც თავისთავად უკვე მაღალი კულტურისა და ამასთანავე, პოლიტიკური სიძლიერის უტყუარი ნიშანია.

იმდროინდელი ცხოვრება გამოირჩევა კეთილშობილებით, ღირსეული მოწინააღმდეგის გულწრფელი პატივისცემით, ადამიანთა ურთიერთობა დამყარებულია გაგებაზე, მოთმინებაზე, საქმის ცოდნაზე.

მეცნიერები გადმოგვცემენ, თურმე, იოანე პეტრიწი გელათის აკადემიის მსმენელებს ეკითხებოდა, არსებობს თუ არა ღმერთიო, და ვინც ამ კითხვაზე უარყოფითად უპასუხებდა, მას ჯოჯოხეთით კი არ ემუქრებოდა, არამედ უმტკიცებდა „უჯერობამდე“, ანუ ლოგიკურ წინააღმდეგობამდე მიდიხარო. როგორც ხედავთ, იოანე პეტრიწის დამოკიდებულება ურწმუნოებისადმი ძალიან განსხვავდება დასავლეთეუროპელ სქოლასტიკოსთა დამოკიდებულებისაგან, საკუთარ შეხედულებებს ცეცხლითა და მახვილით რომ აკანონებდნენ.

გელათის უნივერსიტეტში, ეტყობა, სწავლობდნენ ან მოღვაწეობდნენ ისეთი პირებიც, რომელთაც ღმერთის არსებობაში ეჭვი ეპარებოდათ! ეს მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო ფაქტია. აქვე უნდა ითქვას, რომ მაშინდელ საქართველოში წარმოუდგენელია ისეთი საშინელი რელიგიური ხოცვა-ჟლეტა, როგორიც ევროპის შუაგულში — საფრანგეთში მოხდა.

ქართულ საზოგადოებაში კარგ ტონად ითვლებოდა და მისი ყველა წევრისთვის (რა თქმა უნდა, იგულისხმება საზოგადოების ყველაზე მაღალი ფენა!) თითქმის სავალდებულო იყო, ნატიფ ხელოვნებასთან ერთად, ფილო-

სოფიის, ასტრონომიისა თუ მათემატიკის ცოდნა. ითარგმნებოდა და კომენტარი უკეთდებოდა მრავალ სახელგანთქმული ფილოსოფოსის, თეოლოგისა თუ სტატისტიკოსის ნაშრომს. ქართული ფილოსოფიური აზრი ნაზიარები იყო იმდროისათვის ასე თუ ისე საინტერესო ყველა მოძღვრებას.

იმ მრავალ თეოლოგსა თუ სქოალსტიკოსს შორის, რომელთა წიგნებიც ქართულ ენაზე ითარგმნა, როგორც უმნიშვნელოვანესი შრომები, ჩვენმა დღევანდელმა რუსთველოლოგმა მკვლევარებმა გამოარჩიეს ფსევდოდონისე არეოპაგელი, ქრისტიანული ეკლესიის მართლაც რომ ვარსკვლავი. ერთი შეხედვით, მან ეს პატივი იმიტომაც დაიმსახურა, თვით რუსთაველი რომ იხსენიებს პოემაში („ბ რ ძ ე ნ ი დ ი ვ ნ ო ს“!). ეს — ერთადერთი მისი ხსენება — თუ რა ძვირად დაუსვენს ჩვენმა მკვლევარებმა რუსთაველს, ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვილაპარაკებ.

მტკიცება, რენესანსი მხოლოდ ის არის, რაც დაიწყო იტალიაში XIV საუკუნეშიო, მეცნიერების მიერ მთლად ერთსულოვნად არ არის გაზიარებული, მას საკმაოდ გავლენიანი მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. „ორი რენესანსის“ კონცეფცია, როგორც ჩანს, ძალიან მკვეთრადაა გამოსახული მედიევისტური და რენესანსული ძიებების ფონზე. ჩვენთვის ძალიან საინტერესოა XII საუკუნის განსაკუთრებულობის აღიარება ამ თვალსაზრისით. „XII საუკუნის რენესანსის“ იდეა დღემდე ინარჩუნებს აქტუალური პრობლემის ხასიათს. რაც შეეხება რენესანსის „მედიევიზაციის“ მომხრეთა იმ შეხედულებებს, რომელთა მიხედვითაც ერთმანეთს უკავშირდებიან თომა აქვინელი და დეკარტი, ეს უსათუოდ მოგვაგონებს ჩვენი

ზოგიერთი რუსთველოლოგის ცდას, რენესანსული იდეებზე გამოაცხადონ შუა საუკუნეების თეოლოგის, სქოლასტიკოსისა და მისტიკოსის ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრების მთავარი მუხლები და ამით უსწავლოდ გაავლონ „პირდაპირი ხაზი“ ფსევდო-დიონისე არეოპაგელსა და რუსთაველს შორის. თითქოს განგებ ივიწყებენ იმ ფაქტს, რომ რენესანსი კულტურულ-ლიტერატურული მოვლენა იყო და არა ფილოსოფიური, უფრო ზუსტად — არა თეოლოგიური!

შუა საუკუნეების თეოლოგიის გავლენა აღორძინებაზე, თავისთავად, რასაკვირველია, მეტად ძლიერია და საყურადღებო, მაგრამ ფაქტია, რომ აღორძინების მთავარი, ფუძემდებლური ფილოსოფიური თეორია ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრება არ ყოფილა. რენესანსის დიდი მხატვრებისა და მოაზროვნეების დაინტერესება არეოპაგეტიკული მოძღვრებით, მართლაც, დიდი იყო და საკმაოდ დიდხანსაც გრძელდებოდა, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს მათ მიერ ამ მოძღვრების აღიარებასა და მიღებას. წარმოუდგენელიც კი იქნებოდა, ისეთ მოაზროვნეებს, როგორიც რენესანსული პიროვნებები იყვნენ, ინტერესი არ გამოეჩინათ არეოპაგეტიკისადმი, რაც, ამავე დროს, არავითარ საფუძველს არ გვაძლევს ვიფიქროთ, ისინიც ამ მოძღვრების მიმდევრები იყვნენო.

მაგრამ, რასაკვირველია, არც არეოპაგეტიკის როლისა და მნიშვნელობის დამცირება შეიძლება.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელი ის სქოლასტიკოსია, რომელიც თავის მოძღვრებაში აერთიანებდა ქრისტიანობასა და ნეოპლატონიზმს. ის, რა თქმა უნდა, ამ საქმეში არც პირველი იყო და არც უკანასკნელი. ისტო-



რამ მასზე მეტი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, არანაკლები თეოლოგების სახელები იცის, იმავე მიზნით რომ იღვწოდნენ და მეტად მნიშვნელოვან შედეგსაც აღწევდნენ. მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენმა მკვლევარებმა ფსევდო-დიონისე არეოპაგელი სხვა ნიშნით აირჩიეს და არა იმიტომ, მართლაც რომ შეამჩნიეს მაინცდამაინც მისი გავლენის კვალი ვეფხისტყაოსანში. ეს ნიშანი გახლდათ მისი, ანუ ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერის იდენტურობის ამბავი, რომელსაც ასე მხურვალედ დაუჭირა მხარი ზოგიერთმა ქართველმა ფილოსოფოს-რუსთველოლოგმა. ასე შეიქმნა რუსთველოლოგიაში ფსევდო-დიონისე არეოპაგელის კულტი! ყველა, ვინც კი ამ კულტს აღიარებს, იძულებული გახდება, ანდა, ბოლოს და ბოლოს, უეჭველად მივა იქამდე, რომ ფსევდო-დიონისე არეოპაგელზე ილაპარკოს, როგორც რენესანსული იდეების შემოქმედზე.

შალვა ნუცუბიძე, რომელსაც ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრება, თუნდაც, მისეული გაგება „სილამაზის პლატონური იდეისა“, რენესანსის ამოსავალ წერტილად მიაჩნია, იმდენად გატაცებულია ამ აზრით, ვერც კი გრძნობს, წინააღმდეგობაში რომ ვარდება, როცა ამტკიცებს: არც პეტრარკას, არც ფლორენციის აკადემიის მოღვაწეებს და არა მართო მათ, არამედ ყველას „მარსილიო ფიჩინოდან პიკო დელა მიჩიანდოლამდე“, აგრეთვე კრისტიფორო ლანდინოსაც, რომელიც დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ კომენტატორი იყო — ეს დიონისესეული გაგება პლატონის სილამაზის იდეისა არ ჰქონდათ, მართო ქართველებს, კერძოდ, ჩახარუხაძეს ჰქონდათ. აქედან ერთი ნაბიჯილია დარჩენილი ასეთ გამონათქვამებამდე: „არათანაბრად მიმდი-

ნარეობდა რენესანსის განვითარება იტალიაში“, ხოლო „გარემოებათა ბედნიერი დამთხვევის გამო საქართველოში რენესანსის განვითარება სრულიად კანონზომიერად მიმდინარეობდა“. ასე შეიძლება, იტალიური რენესანსი, საერთოდ, ზედმეტი აღმოჩნდეს...

ზემოთ ჩამოთვლილი იტალიელები რენესანსის ნამდვილად დიდი, შეიძლება ითქვას, ქრესტომათიული წარმომადგენლები არიან, ჩახრუხაძის რენესანსულობას კი, ჯერჯერობით, აშკარად უფრო საფუძვლიანი დამტკიცება სჭირდება. ხოლო — თუკი ისეთ უდავოდ რენესანსულ პიროვნებებს, როგორებიც იყვნენ პეტრარკა, მარსილიო ფიჩინო, პიკო დელა მირანდოლა, კრისტიფორო ლანდინო, „არ ჰქონდათ სილამაზის პლატონური იდეის არეოპაგიტული გაგება, რაც საშუალებას მისცემდა მათ ზეციური და ამქვეყნიური ერთმანეთთან დაეკავშირებინათ“ და მაინც, ანუ უამიდეოდ რენესანსული მოღვაწეები იყვნენ, — ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრება, მისი გაგება სილამაზის პლატონური იდეისა რენესანსული არყოფილა!

შ. ნუცუბიძე ფიქრობდა, რომ ფსევდო-დიონისე არეოპაგელის სახელს პეტრე იბერი ეფარებოდა. როგორც ცნობილია, ამ თეორიას მრავალმა მეცნიერმა დაუჭირა მხარი როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთაც. ამ ბოლო დროს კი ა. ლოსევმაც მის სასარგებლოდ გამოთქვა აზრი. პირადად მე შ. ნუცუბიძის ეს მეტად მნიშვნელოვანი შეხედულება სრულ ჭეშმარიტებად მიმაჩნია, მაგრამ ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა, თავისთავად მეტად საყურადღებო. ბოლოს და ბოლოს, როგორმე უნდა შევეურიგდეთ იმ ამბავს, რომ პეტრე იბერმა, ნებსით თუ უნებლიეთ, სხვა ენა, სხვა სამშობლო აირ-

ჩია და იმ სხვა ენამ, სხვა სამშობლომ მისცა მას ყველა  
ფერი, რითაც ის საქვეყნოდ ცნობილი პიროვნება გახდა.  
ამ შეხედულებას კატეგორიულად იცავდა კ. კეკელიძე.

შ. ნუცუბიძის „ფილოსოფიის ისტორიაში“ წერია:  
ი. პეტრიწს უთქვამს თურმე პეტრე იბერის შესახებ:  
„ქართველებს არ გამოადგაო!“ არავითარი საფუძველი  
არა გვაქვს არ ვერწმუნოთ იოანე პეტრიწს, რომელიც  
უცხოეთიდან იმიტომ ჩამოვიდა, მთელი თავისი ცოდნა  
და უნარი საქართველოსთვის რომ მოეხმარებინა, მხარ-  
ში ამოსდგომოდა დავით აღმაშენებელს, გამხდარიყო  
მისი „თანაგანმკაფველი“, — ასე უწოდებს დავითის ის-  
ტორიკოსი გიორგი ჭყონდიდელს, ეს ეპითეტი, სრული  
ძალით, შეიძლება იოანე პეტრიწზეც გავავრცელოთ.

უნდა აღინიშნოს ერთი საინტერესო ნიუანსიც: ყვე-  
ლა ხალხს, რომელსაც შუა საუკუნეებში სამშობლოდან  
გადახვეწილი თეოლოგი ჰყავდა, შეუძლია მისი სახელი  
თამამად დაუკავშიროს ფსევდო-დიონისე არეოპაგელის  
სახელს, რადგან არ არსებობს უფრო კოსმოპოლიტური  
მოდერება, ვიდრე ამ ბერძენი სქოლასტიკოსის სწავლე-  
ბა გახლავთ და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, თავისი პროპა-  
განდისტული ხასიათისა და დანიშნულების გამო: „ამას  
თავად ქრისტიანული რელიგიის სპეციფიკა განაპირობებ-  
და“-ო, აღნიშნავს ამ საკითხის ერთ-ერთი ქართველი  
მკვლევარი.

როგორც ცნობილია, ფსევდო-დიონისე არეოპაგელს  
მხოლოდ სიკეთის არსებობა სწამს, ბოროტება მისთვის  
არ არსებობს. „ბოროტება არცა არსთა შორის არს, არცა  
არა არსთა“. — ეს მისი სიტყვებია, ფსევდო-დიონისე  
არეოპაგელის ეს აზრი ზუსტად გამოთქვა რუსთაველმა:

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადეს.  
ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს“.  
მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ რუსთაველი კატეგორიულად  
ლად არ იზიარებს ამ აზრს, რაც თუნდაც, მსხვერპლთა  
ლი აფორიზმიდან ჩანს: „ბოროტსა სძლია კეთილმან...“  
ეს, თავისთავად, უკვე ბოროტების არსებობის აღიარე-  
ბაა, რადგან მხოლოდ მისი დაძლევაა შესაძლებელი, რაც  
არსებობს. ამდენად, ეს არის აშკარა, შეუნიღბავი კამა-  
თი ფსევდო-დიონისე არეობაგელთან. ფსევდო-დიონისე  
არეობაგელი და რუსთაველი ამ საკითხთან დაკავშირე-  
ბით (რაც, სხვათაშორის, არეობაგეტიკის ერთ-ერთი  
ფუძემდებლური საკითხია!) უდავოდ სხვადასხვა პოზი-  
ციაზე დგანან. ამ საკითხით დაინტერესებული ფილოსო-  
ფოსი მკვლევარები, რასაკვირველია, ამას ჩემზე უკეთე-  
სად ხედავენ, ამიტომაცაა, გამოსავალს რომ ეძებენ ჩიხი-  
დან და, როგორც ყოველთვის, პოულობენ კიდევ, ყოველ  
შემთხვევაში, მიაჩნიათ, რომ გამოსავალს უსათუოდ  
იპოვნიან, თუკი წამოჭრიან პრობლემას რუსთაველის  
მიერ არეობაგეტიკისათვის „რ ა ლ ა ც დ ა მ ა ტ ე ბ ა ზ ე“.  
ეს პრობლემა კი, თავისთავად, საოცრად თამამია, რადგან  
„რ ა ლ ა ც“ სხვა არაფერია, თუ არა ბოროტების არსებო-  
ბის დაშვება.

მაგრამ თუკი ამ თეორიას ბოლომდე თანმიმდევრუ-  
ლად გავყვებით, ისევ ჩიხში ამოვყოფთ თავს, დავინა-  
ხავთ, დავრწმუნდებით, რომ „ა ხ ლ ი ს“ დართვა არეო-  
ბაგეტიკისთვის არ შეიძლება, რადგან თეოლოგიურ-მისტ-  
იკური სისტემისათვის, რომლის მიხედვითაც, ვიმეორებ,  
ბოროტება საერთოდ არ არსებობს, ასეთი ხელოვნური  
ჩარევა ახლის დართვა კი არ იქნებოდა, არამედ მის სა-  
ძირკველში ნ ა ლ მ ი ს ჩადება, რომელიც შიგნიდან ააფე-

თქებდა ჭეშმარიტად დიდი სქოლასტიკოსის მთელ მიმ-  
ღვრებას.

აი, ეს გახლავთ ახალი ჩიხი, საიდანაც არტეზიანული  
ვილია გამოსვლა, რამდენადაც აღნიშნულ მკვლევარებს  
თავიანთი თეორია უშლით ხელს. მათ არ შეუძლიათ,  
ერთი წამითაც კი დაუშვან ის ამბავი, რომ რუსთაველი  
ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრებას უპირისპირ-  
დება, მათ ხომ მთელი თავიანთი კონცეფცია იმაზე აქვთ  
დამყარებული, რომ ვეფხისტყაოსანი „...ფსევდო-დიო-  
ნისეს მსოფლგაგების პოეტური განსახიერება იყო!“ ეს  
არის და ეს, მეტი არაფერი. სიმართლე რომ ვთქვა, არც  
თუ ისე დიდი ქათინაურია ისეთი პოეტისათვის, როგო-  
რიც რუსთაველია...

გარდა ამისა, ამ მკვლევარების შეხედულებით, არსე-  
ბობს მზამზარეული „ნააზრევი“, ანდა „საჭირო მსოფლ-  
გაგების“ ნახევარფაბრიკატები. პოეტმა უნდა აიღოს ეს  
გამზადებული „მსოფლშეგრძნება“ და მისი საქმე, ფი-  
ლოსოფიური აზროვნების მხრივ, დამთავრებულია. გულ-  
დასაწყვეტია, ასე თუა, მაგრამ საბედნიეროდ, ასე არ  
არის. ასე შეიძლება კალატოზზე ვილაპარაკოთ, რომე-  
ლიც სხვისი დამზადებული, მზამზარეული აგურით აშე-  
ნებს კედელს. პოეტი თავის „კედელს“ ისე ვერ ააშ-  
ენებს, თუ „აგურიც“ მისი დამზადებული არ იქნება!

„პოეტი... ფილოსოფოსი არაა!“ — ეს ჭეშმარიტება  
შ. ნუცუბიძეს ეკუთვნის. შეიძლება ითქვას, ყველა ფილო-  
სოფოსი მკვლევარი, ანდა უმრავლესობა მაინც, ასე იწ-  
ყებს ვეფხისტყაოსანზე საუბარს, მაგრამ ყველა ასევე...  
მაღე ივიწყებს ამ ჭეშმარიტებას. მათი თეორიის მიხედ-  
ვით, რუსთაველს აუღია უკვე არსებული „საჭირო  
მსოფლგაგება“, ანუ ფსევდო-დიონისე არეოპაგელის (ნუ-



ცუბიძის თეორიის მიხედვით — პეტრე იბერის ფილოსოფიური თუ თეოლოგიური მოძღვრება და მისი საშუალებით აუგია ის „წარმოსახული სინამდვილე“ როგორც საც ჩვენ — „საქმის უცოდინარი მკითხველები“ ზღაპრითაა წარმოდგენილი. უნებლიეთ გვახსენდება ისევ შალვა ნუცუბიძის მიერ, მართლაც, ბრძნულად ნათქვამი ფრაზა: „სადაც მხატვრული შემოქმედების დონე ფილოსოფიით გამაგრებას საჭიროებს, იქ საქმე უკვე ცუდადაა“!

ჩვენმა ფილოსოფოსმა მკვლევარებმა შესაძლებლად მიიჩნიეს რა არეოპაგიტიკისათვის „რაღაც ახლის“ დართვა, ანუ არეოპაგიტიკის მიერ ბოროტების არსებობის დაშვება, დაიწყეს კიდევ პოემაში ბოროტების ძებნა და რადგან მხოლოდ საკუთარი თეორიის თვითნაკეთებლობა კატორებს იყვნენ მინდობილნი, ბოროტებად გამოაცხადეს ამ თვალსაზრისით ყველაზე უფრო წარმოუდგენელი რამ — „სავაჭრო კაპიტალის“ გარემო და ავთანდილისა და ფატმანის რომანი, რომელიც საგანგებოდ ამისთვის, ფილოსოფიური კატეგორიის სიმალლემდე აიყვანეს.

ვეფხისტყაოსანში ვაჭრათა სოციალური ჯგუფისადმი დამოკიდებულება აშკარად განსხვავდება დასავლეთ-ევროპულ სარაინდო რომანებში გამჟღავნებული, დაკანონებული დამოკიდებულებისაგან, თუნდაც იმით, რომ აქ ავტორის პოზიცია არა მარტო უარყოფითია, არამედ დადებითიც. ეს კი, გარკვეული თვალსაზრისით, უკვე პროგრესული ნაბიჯია და ამ სოციალური ჯგუფის მიერ საქართველოში ერთგვარი გავლენის მოპოვებაზე მიგვანიშნებს.

ავთანდილი რომ ვაჭრად გადაიცივამს, ეს იმის დამამტკიცებლადაც გამოდგება, რომ ავთანდილი ამ შემთხვე-

ვაში მიმართავს არისტოკრატიისათვის ყველაზე უფრო შეუფერებელ, მოულოდნელ ნიღაბს, რათა უკეთესად დაფაროს თავისი ნამდვილი ვინაობა, მაგრამ ამბვე დროს იმ ფაქტსაც ამტკიცებს, რომ არისტოკრატთა და ვაჭართა შორის არსებული ჯებირი დადაბლებულია. თანაც, ამ შემთხვევაში, ვაჭრად კეთილი „ძალა“ წარმოგვიდგება და არა ბოროტი, როგორც ეს დასავლურ რომანშია მიღებული, რამდენადაც ავთანდილია ვაჭრად გადაცმული! ეს ამბავი, თავისთავად, უკვე ვაჭრის ცნებისადმი დამოკიდებულების შეცვლაზე მეტყველებს. ვეფხისტყაოსანში ვაჭრები საქმიანი, უწყინარი (თუ არ ჩავთვლით უსენს, რომლის უარყოფითი თვისებები, რა თქმა უნდა, სოციალური მიზეზით არ უნდა აიხსნას) ხალხია, ხოლო მექარავენთა წინამძღოლი უსამი რუსთაველისთვის ბრძენია: „უსამ იყო ქარავენისა უხუცესი, კაცი ბრძენი“!

რუსთაველს არც სძულს და არც უყვარს ვაჭრები, მათი დადებითი მხარეც იცის და უარყოფითიც. თუკი ვაჭრების მისამართით პოემაში გავიგონებთ სიტყვა „ჯაბანს“, ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ვაჭრებისადმი ზიზლით ავხსნათ. ავთანდილი, რომელიც ამ სიტყვას წარმოსთქვამს, მხოლოდ ფაქტს აღნიშნავს, მას ფიქრადაც კი არ გაუვლია დასცინოს, დაამციროს ვაჭრები, რაც, სხვათაშორის, უმალ თავად დაამცირებდა ჩვენს თვალში ამ ბრწყინვალე პიროვნებას, ამ სიტყვას („ჯაბანს“) მაშინვე მოსდევს კიდევ სიტყვები: „ომისაცა უმეცარნი“! ე. ი. ვაჭრების სიჯაბანე აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო საქმის უცოდინარობით. ამის გულისთვის კი ავთანდილი არავის დასცინებს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მან თვითონ ძალიან კარგად იცის სამხედრო საქმე, მეორეც — მან ისიც კარგად იცის, რომ ყვე-

6. თ. კილაძე

ლას თავისი საქმე აბარია, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს და მას „დასჯერდეს“ კიდევ, და რადგან ეს იცის, არ შეუძლია სხვა საქმიანობის, სხვა ხელობის დასაწყისი დასცინოს.

გვიწოდებენ

ჩვენი გმირები დევების აბჯარს რომ იპოვნიათ, რუსთაველი იტყვის, ამ თვალსაზრისით, მეტად საინტერესო ფრაზას: „შევატყვე, არ გაპყიდიანო“-ო. აბჯარი ისე მოეწონათ, თავისთვის დაიტოვებენ, არ გაპყიდიანო. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ იმ დროს რაინდებისათვის ვაჭრობა სრულებითაც არ ითვლებოდა სამარცხვინო საქმედ. პირიქით, მიღებული და გავრცელებულიც იყო რაინდების მიერ აბჯრის ყიდვა-გაყიდვა. ისტორიიდან ცნობილია, დასავლეთევროპელი რაინდები ქალაქების პატრიციატებთან ვაჭრობდნენ და, საერთოდ, საქმიანი ურთიერობა ჰქონდათ მათთან.

ავთანდილი რომ ბალდადელ ვაჭრებს ბაღრაგად მიჰყვება, ესეც, ეტყობა, სინამდვილიდან აქვს აღებული პოეტს: ქართველი რაინდები ალბათ იცავდნენ კიდევ მათთვის ხელსაყრელი ქარავნების უსაფრთხოებას.

ამავე დროს, დაუშვებელია ვეფხისტყაოსანში ვაჭრებსა და რაინდებს შორის სრული თანხმობისა და სიამტკბილობის ძიება. ვაჭრები ხომ „სხვები“ არიან და რაინდები კი სრულიად „სხვანი“, ამას ფატმანიც არჩევს — მისი კაეშნის მიზეზი, გარკვეული თვალსაზრისით, ისიცაა, ვაჭრის ცოლი რომ არის, რაინდი რომ არ უწევს გვერდით. ავთანდილს რომ უამრავ ტანსაცმელს გადმოუღებს და წინ დაუწყობს, გამოტეხვა კი არ უნდა მისი, ძალიან სურს გამართლდეს მისი ოცნება — ავთანდილი ნამდვილად რაინდი აღმოჩნდეს და არა ვაჭარი, როგორც მისი კანონიერი ქმარია.

ჩვენი მკვლევარების უმრავლესობა ფატმანს ამორალურ პიროვნებად თვლის, თუმცა, გულწრფელად რომ ვთქვა, ფატმანი ამორალურად მხოლოდ მის დედამთილს ან მულს თუ შეიძლება მოეჩვენოს, ანუ ისეთ ადამიანს, ვისაც უსენი ნათესაურად უყვარს და ამის გამო ეს სიტყვის გამტეხი, ფლიდი, ვერაგი კაცი ანგელოზი ჰგონია. ზოგიერთ ჩვენს მკვლევარს დღემდე ვერ უპატიებია ფატმანისათვის ქმრის ღალატი (თუკი შეიძლება ამას ღალატი ვუწოდოთ!), თუმცა, ამ ღალატის ფსიქოლოგიური ან, თუნდაც, სოციალური საფუძველი შეუსწავლელი დარჩათ.

ფატმანის გამომწვევი უदारდელობა კი მოჩვენებითია! სინამდვილეში ფატმანი უსიყვარულობითაა („უგულობით“ — როგორც თვითონ ამბობს!) დაჭრილი, ფართქალეზს, იბრძვის, გამუდმებით სინათლისკენ მიილტვის, რადგან აქამდე, მიუხედავად მის ოჯახში გამეფებული მორალური თუ ეთიკური ნიჰილიზმისა, შენარჩუნებული აქვს საუკეთესო ადამიანური თვისებები: სიკეთე, გაჭირვებულის დახმარების სურვილი...

ყველაზე მეტად ფატმანმა იცის, რომ ამქვეყნიური ბედნიერება ერთის სიყვარულია და პოემაში, რომელიც ერთი არსებისადმი უწმინდესი, დიადი ადამიანური ერთგულებითა და სიყვარულითაა გაკაშკაშებული, ფატმანი, რასაკვირველია, მსხვერპლია, თითქოს ავტორის მიერ იმის საჩვენებლად განწირული, თუ რა საშინელია უსიყვარულოდ ცხოვრება. ვანა ის ირონია, ის სარკაზმი, ფატმანი საკუთარ თავზე, საკუთარ ბედზე რომ ლაპარაკობს, არ ამელავნებს, თუ რა მწარედაა დაჭრილი ბედისაგან? არ ამელავნებს სულის იმ კეთილშობილებასაც,

რომელიც სრულიად უმაქნისი და ზედმეტია იქ, სადაც  
თავად ცხოვრობს?

როგორი თავდავიწყებით მიეკვრება, მიეწებება სისხლხორცება ფატმანი ავთანდილს, როგორც სინათლის სხივს, რომელიც თითქოს სულიერი სამშობლოდანაა გამოტყორცნილი. სინათლემ დააბრმავა, რადგან სწორედ მას შეეძლო ამ სინათლის შემჩნევა, დანახვა, მიღება, გათავისება. ეს სინათლე მისთვის უცხო არ იყო! ფატმანი და ავთანდილი ისე ხვდებიან ერთმანეთს, როგორც საერთო სულიერი ბიოგრაფიის ადამიანები. ვაჭრად გადაცემულ ავთანდილში სწორედ ფატმანი დაინახავს იმას, რასაც მთელი არსებით ელოდება, რისი ნოსტალგიაც ახრჩობს, რის შესახვედრადაც გამუდმებით არის მზად გულით, გონებით, სხეულით... მან იცის, რომ არსებობს სხვა, უკეთესი ქვეყანა, რომ იმ ადამიანების გარდა, გარს რომ ახვევია, არსებობენ სხვა, უკეთესი ადამიანები და თვითონაც ამ ქვეყნის კი არა — მეორის, სხვის, ოცნებაში წარმოდგენილი, ღამით დასიზმრებული, დღისით მოლანდებული ქვეყნის შვილია, იმათი მეგობარია, ვისი სახელიც არ იცის, მაგრამ არსებობას კი გრძნობს გულთან, როგორც ფეხმძიმე ქალი — ნაყოფს, გაიხსენეთ, როგორ გამოეთიშება ხოლმე საერთო მხიარულებას, როგორ სტოვებს სტუმრებს და, თვითონაც რომ არ იცის — სად, ალაღბედზე, ოცნების ამარა, ოცნებით შეპყრობილი, იგივე ოცნება შარავანდედით რომ დასდგომია თავს, მიჰყვება, მისდევს უხილავ ძალას.

ფატმანი ნესტანის, თინათინის, ტარიელისა და ავთანდილის „ცალია“, მეგობარია, მეორე ქაჯეთის ციხეში — გულანშაროში — სამუდამოდ ჩარჩენილი სხივი. ვინ გამოიხსნის ფატმანს? — აი, ეს კითხვა დღემდე მოს-

დევს და მოპყვება პოემის მკითხველს, როგორც „ტიკი-  
ლი სამარადისო“.

ჩვენს ზოგიერთ მკვლევარზე ძალიან დიდ ზეგავლენას  
დღეობა მოუხდენია XIX საუკუნის ქართველ დრამა-  
ტურგებისა თუ მწერლების მიერ დახატულ ვაჟართა ტი-  
პებს. ამიტომ, რომ რუსთაველის ეპოქის სოცდაგრებ-  
საც იმავე კუთხიდან უყურებს, შეიძლება ითქვას —  
იმავე ადლით ზომავს. არადა, XIX საუკუნის საქართვე-  
ლოსთვის (ჩვენი მწერლობის მიხედვით) ფსიქოლოგიუ-  
რად გაცილებით უცხოა ვაჟართა სოციალური ჯგუფი,  
ვიდრე XII საუკუნის საქართველოსათვის. ვეფხისტყაოს-  
ნის დიდვაჟართა გვერდით XIX საუკუნის ვაჟრები დუქ-  
ნის ბიჭებივით მოჩანან.

როდესაც ფატმანს „ვეულგარულს“ ვუწოდებთ, ჩემი  
აზრით, სრულიად დაუმსახურებლად ვამცირებთ ამ შესა-  
ნიშნავ ქალს, მით უფრო, რომ ფატმანისადმი ჩვენი ამ-  
დაგვარი დამოკიდებულება განპირობებულია, როგორც  
უკვე ვთქვი, მხოლოდ და მხოლოდ, XIX საუკუნის ვაჟ-  
რებსა და მათ ცოლებზე ერთხელ და სამუდამოდ შემუ-  
შავებულ შეხედულებათა ინერციით.

რუსთაველმა პოემაში ახალი სოციალური ხასიათების  
მოძრაობა, მისწრაფება და სულისკვეთება აღნიშნა, დიდ-  
სულოვნება და კეთილშობილება აღმოაჩინა იქ, სადაც  
ამას თითქოს არავინ ელოდა. რაც შეეხება პერსონაჟთა  
მიმართ სიმპათია-ანტიპათიის საკითხს, ის ყოველთვის  
უსათუოდ ისტორიზმის თვალსაზრისით უნდა განიხილე-  
ბოდეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი,  
რომ რუსთაველი ფეოდალური, ანუ ტრადიციული კი  
არა, არამედ, უკვე სხვა სიმაღლიდან უყურებს ახალი სა-  
მყაროს დაბადებას.

ფატმანისა და ავთანდილის ამბავი, რაც უნდა ძნელი დასაჯერებელი იყოს ზოგიერთი მკვლევარისათვის (ასეთები კი არც ისე ცოტანი არიან!) სწორედ რომელია ან სიყვარულია! მათი ურთიერთობის დასახასიათებლად თვითონ შ. ნუცუბიძეს აქვს შესანიშნავი გამოთქმა: „მოულოდნელი სიყვარული“! რა ზუსტად არის გამოხატული ამ ფრაზით ეს დღემდე ამოუხსნელი ურთიერთტოლვა ორი მშვენიერი არსებისა— ფატმანისა და ავთანდილისა.

ფატმანი ვეფხისტყაოსანში სიკეთეს ასახიერებს! განა ფატმანი არ მფარველობს ნესტანს, განა ფატმანის დახმარებით არ იგებს ავთანდილი ნესტანის ამბავს, და, საერთოდ, განა ფატმანის დახმარებით არ ეწევიან გმირები საწადელს?

ფატმანი მეტად საინტერესო ადამიანური ხასიათია, რომელიც, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, მშვენებაა რუსთაველის პოემისა. რუსთველოლოგიამ, რატომღაც, ფატმანს თავიდანვე ცუდი თვალით შეხედა, თუმცა, რათქმა უნდა, ამ აზრის ყველა რუსთველოლოგზე გავრცელება არ შეიძლება, არსებობს მკვლევართა შეხედულებებიც, რომლებიც ძალიან ამაღლებს ფატმანს. მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველების“ ავტორი წერს: „არსებითად ვეფხისტყაოსანში ორი რომანი გვაქვს: 1) ნესტანისა და ტარიელისა, 2) ფატმანისა და ავთანდილისა“-ო. საერთოდ კი, ჩვენი ზოგიერთი მკვლევარისაგან სასტიკად გაკიცხულ ამ ქალს თავისი ცხოვრების პრინციპად უქცევია სხვისი დახმარება, სიკეთე. შეიძლება ითქვას, ფატმანი იმ ჰუმანურობის განსახიერებაა, რომელსაც როგორც რენესანსის ათინათს, სხვა ხასიათებში ეძებენ ჩვენი ფილოსოფოსი მკვლევარები,

როდესაც მდიდარი სოცდაგრის ცოლი მისი სხივებითა  
სავსე და გაბრწყინებული.

რუსთაველი თავის პერსონაჟებს, საერთოდვე, მორალურ და ამორალურ პირთა ბანაკად, როგორც ზოგიერთს მიაჩნია. რუსთაველისათვის უცხოა მორალური გეტო, რადგან მისთვის უცხოა ყველაფერი, რაც ნამდვილად ადამიანურ ვნებას ზღუდავს. ამ პოემაში არაფერია ისეთი, რაც ნორმალურ ადამიანურ ვნებათაღელვის ფარგლებს შორდებოდეს და ჩვენს გაკიცხვას იმსახურებდეს.

ვეფხისტყაოსნის გმირები — ავთანდილი, თინათინი, ნესტანი, ტარიელი, ფატმანი თუ ასმათი — გაცილებით მაღალ წოდებას ეკუთვნიან, ვიდრე „იდეალიზებული გმირის“ წოდებაა — ისინი ადამიანები არიან. ნურავის მოეჩვენება ეს პათეთიკურ განცხადებად, ამის თქმის აუცილებლობა გამოიწვია ზოგიერთი მკვლევარის მიერ რუსთაველის სიყვარულის სქემატურმა გაგებამ.

პოემა ადამიანური სიყვარულის ჰიმნია, ამიტომაცაა ყურს რომ გვჭრის რუსთაველოლოგიაში ხელოვნურად შექმნილი, სრულიად გაუგებარი ტერმინი „დიაცური სიყვარული“, ვეფხისტყაოსანთან დაკავშირებით ისეთივე უადგილო, როგორც „პლატონური“, „მხეცური“, „ანგელოზური“ სიყვარული. რასაკვირველია, მართალია ა. ბარამიძე, როცა ეკამათება „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველების“ ავტორს, რომელსაც ფატმანის საქციელი ახსნილი აქვს „სქესობრივი დაუკმაყოფილებლობით“ და ამისთვის იშველიებს ფატმანისავე ნათქვამს: „მით არ ჯერ ვარ ქმარსა ჩემსა მჟღე არის და თვალად ნასი“-ო. ფატმანის ეს ნათქვამი საერთოდ გაუგებარი დარჩება, ამავე დროს, შეიძლება ცინიკურადაც კი გაისმას, თუკი დავივიწყებთ ფატმანის ლაპარაკის მანერას, ფატმანის



ხნას, მისი მეტყველების თავისებურებას პოემაში: ფატ-  
მანისათვის ხომ დამახასიათებელია საკუთარ თავზე დაწვეული  
ნდობელი, დამცინავი კილოთი საუბარი!

ყველა სალანძღავი ეპითეტი, რაც  
მკვლევარებს საშუალებას აძლევს ფატ-  
ტმანის „მსუბუქ ყოფაქცევაზე“ ილაპა-  
რაკონ — თვითონ ფატმანის ნათქვამია!

ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ფატმანს იუმორის  
გრძნობა აქვს, რაც, თავის მხრივ, იმაზე მიგვანიშნებს,  
რომ ფატმანი ფიქრობს, სევდიანია... საერთოდ, ვეფხის-  
ტყაოსნის გმირებს იუმორის საოცარი გრძნობა აქვთ.  
იუმორი, ირონია საკუთარი თავის მიმართ პოემის გმირ-  
ებს კიდევ უფრო ამალღებს, ამდიდრებს, ამშვენიერებს.  
ამ თვალსაზრისით, მათ შორის პირველი ფატმანია, რომ-  
ლის, მართლაც, „კარნავალური“ გამოთქმები ძალზე  
შთამბეჭდავად მოქმედებს მკითხველზე.

ფატმანის პირდაპირობასა და სიტყვიერ უხეშობაში  
არის რაღაც არისტოკრატიული, ეს არის მომზიბლავი  
სულიერი სილამე, თავისუფლება, ამავე დროს, გასაო-  
ცარი ნდობა, რწმენა, მეორე ადამიანის სულიერი წესიე-  
რებისა, კეთილშობილებისა. სულიერი არისტოკრატიზმი  
ღირსეულთა პარტნიორობას გულისხმობს და ეს არ  
არის დამახასიათებელი მხოლოდ მაღალი წოდების წარმო-  
მადგენლებისათვის.

პოემის 1081-ე სტროფი, როგორც გახსოვთ, ასე  
იკითხება:

„სჯობს სიშორე ღია ცისა, ვისგან ვითა დაითმობის:  
გილიზღებს და შეგიკვეთებს, მიგინდობს და მოგენდობის.  
მართ ანაზღად გილაღატებს, — გაჰკვეთს, რასცა დაესობის, —  
მით ღია ცსა სამალავი არასთანა არ ეთხრობის“.

მკვლევარებმა ეკვი გამოთქვეს, ეს სტროფი თავის  
ადგილას არ ზისო, მაგრამ ამის იქით არავინ წასუღლავს  
არადა, ამ სტროფმა, შეიძლება ითქვას, საბედისწიო  
როლი შეასრულა ფატმანის ხასიათის განსაზღვრისას —  
ფატმანის საწინააღმდეგოდ!

ჩემი აზრით კი, ეს სტროფი იმ გზისნიშანს ჰკავს,  
რომელიც განგებ თუ შემთხვევით სხვა ადგილას გადა-  
უტანიათ, ადგილი შეუცვლიათ და ამით ბევრისთვის  
გზაკვალიც აურევიათ.

რამდენადაც პოემას ვიცნობთ, აშკარაა, რომ ზემოთ  
მოყვანილ სტროფში გამოთქმული აზრი არ არის ავტო-  
რის შეხედულება საერთოდ ქალზე. ეს პერსონაჟის  
სიტყვები უნდა იყოს, თანაც, თავის თავზე ნათქვამი.  
ასეთი პერსონაჟი პოემაში ფატმანია, სწორედ მის-  
თვისაა დამახასიათებელი საკუთარი თავის მიმართ დაუ-  
ნდობელი, ბილწი სიტყვების ხმარება. ამ შემთხვევაში კი  
ნამდვილად თავის თავზე გაბრაზებული, არა, გაბრაზება  
ცოტაა — გაცოფებული ქალი ლაპარაკობს, რომელ-  
მაც ვერ შეინახა ნესტანის საიდუმლო, ქმარს გაანდო,  
თუმცა, „შესმენისა ჰქონდა რიდი“, მაინც უთხრა „ყვე-  
ლაკი უსენს“. ასე რომ, ეს სტროფი აზრობრივადაც და  
მხატვრული ლოგიკის მიხედვითაც, სულ სხვა ადგილას  
უნდა იჯდეს, ჩემი აზრით, იმ ეპიზოდს უნდა უძლოდეს  
წინ, სადაც მოთხრობილია, როგორ ანდობს ფატმანი  
უსენს ნესტანის საიდუმლოს, ანუ სტროფის ნუმერაცია  
უნდა იყოს 1149 და არა 1081!

თუკი ამ სტროფს ისე არ წავიკითხავთ, როგორც სი-  
ნანულს, რატომ გავანდებ ჩემს ქმარს საიდუმლო მე ასე-  
თმა და ასეთმაო, მაშინ, რასაკვირველია, ეს სტროფი

სრულიად ზედმეტადაც კი შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ მელიმე ქალების მოძულე ინტერპოლატორის ჩანართადაც, რადგან თავის ადგილას ნამდვილად არ უნდა იდგას გორც გახსოვთ, ამ სტროფით იწყება თავი „ფატმანისაგან ავთანდილის გამიჯნურება“ და ისიც გახსოვთ, რომ ვის არ უღალატა ფატმანმა და სწორედ ავთანდილი!

როდესაც პოემის ამ ნაწილს კითხულობ, შეიძლება გაგახსენდეს სტენდალის, ფლობერის, ბალზაკის, ტოლსტოის კლასიკურად ქცეული სასიყვარულო სამკუთხედები, სწორედ ბურჟუაზიულმა ურთიერთობამ რომ წარმოშვა (ნ. მარი ფატმანს „ბურჟუა ქალს“ უწოდებდა!), თორემ ადიულტერი არც ფეოდალური საზოგადოებისთვისაა უცხო და არც მონათმფლობელურისათვის. ფატმანის ღალატი რა არის იმასთან შედარებით, რასაც რომელი კეისრების ცოლები სჩადიოდნენ, ანდა გაიხსენეთ სახელგანთქმული რაინდი მეფის — არტურის ცოლი განიევრა, ანდა ვისი, ჩვენი ვისი, ან კიდევ იზოლდა! ფატმანი მათ გვერდით უმწიკვლო გოგონასავით გამოიყურება.

ფატმანის მიერ „ოჯახური სიწმინდის“, „ოჯახური საფუძვლების რღვევაზე“ საუბარი ცოტათი კომიკურადაც კი უღერს. განა უსენის ოჯახის „სიწმინდეზე“ სერიოზულად შეიძლება ილაპარაკო? ეს ხომ გარიგებაზე, ურთიერთუნდობლობაზე, სიძულვილზე დაფუძნებული ოჯახია? ის, აი, ახლა, ამ წუთას ჩვენს თვალწინ წარმოიშვა, მთლად ახალია, სიცოცხლითაა დატენილი, მას ჯერ კიდევ დიდი ვზა უდევს წინ. რუსთაველის სიდიადის კიდევ ერთი ნიშანი ის არის, ეს ახალი ოჯახი რომ დაინახა, შეამჩნია მისი ახალი ხასიათი, ახალი თავისებურე-

ბა. ამჟვე დროს, დაინახა ისიც, რომ ფატმანი ტრაგიკული პიროვნებაა, მახეში გაბმული ლამაზი ჩიტია, რომელსაც ფრთები კი აქვს, მაგრამ გასაფრენი არა აქვს. ალსად. ამით ძალიან ჩამოგავს იგი თავის მომავალ დებს მსოფლიო ლიტერატურაში. ასეთი ქალები რამდენიმე საუკუნის მერე (დიახ, ფატმანი პირველი მერცხალია, რაც ერთხელ კიდევ ამტკიცებს, თუ რა ბუმბერაზ პოეტთანა გვაქვს საქმე!) თავიანთი დრამატული ცხოვრებით შეაშფოთებენ და შესწრავენ ევროპელი და არა მარტო ევროპელი მკითხველის გულსა და გონებას. დიდი მწერლების წიგნებიდან ცეცხლივით ამოენთებიან სახეები უსიყვარულობით გატანჯული, გულგრილობის საკანში გამოკეტილი ქალებისა. ათასნაირ მიზეზს გამოუჩხრეკენ მკვლევარები მათ საქციელს, ათასნაირ სამსჯავროზე გამოიტანენ მათ ვნებას (ლიტერატურულ სასამართლოზე ზოგს სიკვდილსაც კი მიუხჯიან!), მაგრამ არც ერთი მკვლევარი, თვით კეთილშობილ ქალთა პანსიონის ინსპექტორიც კი, არ იხმარს ამ ქალების მიმართ ისეთ ტერმინებს, მკვლევარებმა ფატმანი რომ „შეამკეს“, აი, ნიკოლოზ ზაბოლოცკიმ ფატმანს „ბებერი მეძავი“ უწოდა, რაც ნამდვილად მოულოდნელია ამ შესანიშნავი პოეტისაგან.

არ უნდა იყოს შემთხვევითი ის ამბავიც, რომ პოემის გმირი ქალის სახელს — ფატმანს ჩვენს შვილებს არქმევდნენ, რაც იმაზე მეტყველებს, ჩვენი ხალხი ამ სახელში უფრო მეტსა და სამაგალითოს ხედავდა, ვიდრე ზოგიერთი მკვლევარი.

მკვლევარებმა შეამჩნიეს, ფატმანი სევდიანიაო. ერთმა ასეთი საინტერესო აზრიც კი გამოთქვა, ფატმანი მოტაცებული ხომ არ არის, სხვა ქვეყნიდან გულანშაროში ჩამოყვანილიო. ამით უნდოდა, ფატმანის უცხოობისათვის



გავსვა ხაზი. მაგრამ ფატმანის სევდა, ასე ზუსტად შემ-  
ჩნეული, მაინც სხვა ხასიათის სევდაა, ეს სიყვარულის  
კაეშანია, სიყვარულის მონატრებაა, სიყვარულის ტალღაა;  
ეს არის უგულობით, უსულგულობით გა-  
მოწვეული სევდა. გულანშაროში — ყვეაილების უბრუ-  
ნველ ქალაქში — მართლაც ყველაფერია, სიყვარუ-  
ლის გარდა.

გავიხსენოთ, რას ამბობს ფატმანი:

„კაცსა დასვრის უგულობა  
და დიაცსა ბოზი ნაცი“-ო.

ამ სტრიქონის მეორე ნაწილი — „და დიაცსა ბოზი  
ნაცი“ — ყველას ახსოვს (უფრო მეტიც, ფატმანის სა-  
წინააღმდეგო ბრალდებად იქცა მკვლევარების ხელში!),  
პირველი კი — „კაცსა დასვრის უგულობა“ — ძალიან  
ცოტას! მაგრამ პირველი სტრიქონი გაცილებით მნიშ-  
ვნელოვანია მეორეზე, რადგან ნამდვილი პოეტური აღ-  
მოჩენაა სამყაროსადმი ახალი დამოკიდებულებისა, ახა-  
ლი სევდის ძირისა, ახალი საშინელი სენის — სიმარ-  
ტოვის პირველი სიმპტომების აღნიშვნაა.

საყურადღებოა, რომ ამ „გულობით“ გაძეძგილ პოე-  
მაში მხოლოდ ფატმანი უჩივის უგულობას! ორი  
ცნება: „უგულობა“ და „სიძვა“ ამ პატარა ლექსში  
რადაც ფატალური დრამატულობით უკავშირდება ერთი-  
მეორეს. ამდენად, ფატმანის სევდა პირველი ტალღაა  
გულგრილობის იმ ზღვისა, რომელშიაც დაღუპვა მოუ-  
წევთ მის მომავალ დობილებს...

ამვე დროს, ეს უსიყვარულო სამოთხე —  
გულანშარო — პოეტს კონტრასტისთვის სჭირდება,  
ანუ იმ „გარდარეული სიყვარულის“ წარმოსადგენად,

რომლითაც შეპყრობილნი არიან მისი სხვა გმირები, გა-  
მუდმებთ რომ იწვიან „ცეცხლითა ცხელითა“ (მარსილბო  
ფიჩინო სიყვარულს „ღვთაებრივ სიგიყეს“ უწოდებდა!)  
თუკი რაიმე აახლოვებს ფატმანს პოემის სხვა გმირებთან,  
უპირველეს ყოვლისა, სევდა, ანუ ლტოლვა სიყვარული-  
საკენ და არა მარტო აახლოვებს, ანათესავენს კიდევ!  
დააკვირდით ფატმანს, როცა მას ნამდვილად უყვარს —  
ეს არის სინაზის, კეთილშობილების განსახიერება. მას,  
შეყვარებულს, სიყვარულის დიდებულ, რუსთაველის  
რწმენით — გამაადამიანებელ გრძნობას ნაზიარებს, შეუ-  
ძლია გაუგოს ავთანდილს, დაუჭეროს, რომ ის სხვისი სი-  
ყვარულის გადასარჩენად იბრძვის და წვალობს. ფატ-  
მანს ავთანდილი უყვარს, მაგრამ ეხმარება მოძებნოს ნეს-  
ტანი, რათა დაუბრუნდეს თინათისს (ასევეა ასმათიც,  
რომელსაც „ჩუჰად, გულში უყვარდა ტარიელი“, რო-  
გორც გოლცევემა თქვა, მაგრამ ეხმარებოდა მას ნეს-  
ტანის ძებნაში!).

რუსთველოლოგიაში ხშირად გაიგონებთ, ფატმანი  
დაუნდობელიაო. მართლაც, ხშირად გაიძახის ფატმანი  
ამ სიტყვას: „დახოცეთ“-ო! ნესტანის მხლებელი ქაჯები  
ხომ მისი ბრძანებით დახოცეს! ფატმანი ჭაშნაგირსაც მო-  
ჰკლავს ავთანდილის ხელით, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყ-  
დეს, რომ ამას, მხოლოდ და მხოლოდ, თავდაცვის მიზ-  
ნით გააკეთებს. და არა მარტო ფატმანი, ფაქტიურად, ავ-  
თანდილიც თავს იცავს ჭაშნაგირისგან. გავიხსენოთ ფატ-  
მანის სიტყვები, ავთანდილს რომ ეუბნება: „ვეჰვ, რომე  
ჩემთა ცოდვათა შენცა აგავსონ ჳირითა“, თუ ჭაშნაგირს  
არ მოჰკლავ, გირჩევნია, ამაღამვე გაიპარო აქედანო:  
„თვარა ლამითვე ტვირთები შენი წაილე ვირითა“. ფატ-  
მანის დაუნდობლობა მოჩვენებითია და იგი სრულიად

სხვანაირად იკითხება იმდროინდელი ყოფა-ცხოვრების ფონზე, იმდროინდელ ურთიერთობათა გაანალიზების შემდეგ. და ბოლოს, თუკი მართლაც ასეთი დაუსწრებელი ფაქტმანი, რატომ ავთანდილს არ ჰკლავს, რომელიც შეიძლება ითქვას, მას შერე, რაც საიდუმლო გაანდო — სხვა მიყვარსო, ჭაშნავიჩე მეტად იმსახურებს მისი ხელით სიკვდილს! მაგრამ საქმე ის არის, რომ ფაქტმანს ჭაშნავიჩი არ უყვარდა, ავთანდილი კი უყვარს და, რაც მთავარია, იცის, რომ მისი სიყვარული ცალმხრივი არ არის!

ავთანდილს, რასაკვირველია, შეეძლო ფაქტმანისთვის დაემალა თინათინის ამბავი, მაგრამ ფაქტმანს ვერ აკადრა ტყუილი. ამ ფაქტს კეთილშობილური სულის კიდევ ერთი მძლავრი გამონათება შეიძლება ვუწოდოთ, რომელიც ასევე კეთილშობილურად იქნა გაგებული. ასე გადაიქცევა ფაქტმანი სოვდაგრის ცოლიდან ერთ-ერთ იმ გმირ ქალად, რომელიც არა მარტო საკუთარ, არამედ, საერთოდ, ადამიანის ღირსებას სწევს მალა. ორივენი — ფაქტმანიცა და ავთანდილიც — როცა ერთიმეორეს შორდებიან, აშკარად ისინი აღარ არიან, ვინც შეხვედრამდე იყვნენ, ორივეს შინაგანი ბუნება გამდიდრებულია, გაზრდილია, შეტრიალებულია უკეთესისაკენ. მათ ერთმანეთს ბევრი რამ ასწავლეს, ბევრი რამ გადასცეს, დაეხმარნენ ერთმანეთს — აღმოეჩინათ საკუთარი თავი!

უსათუოდ უნდა გავიხსენოთ ფაქტმანისა და ავთანდილის სიყვარულის ერთი, მართლაც რომ ბრწყინვალე ეპიზოდი: როცა ავთანდილი ჭაშნავიჩს მოჰკლავს და ფაქტმანთან დაბრუნდება, ფაქტმანი ნესტანის ამბავს მოუყვება. ავთანდილი ცას ეწევა სიხარულით — გათავდა!

იპოვნა! შეასრულა ძმისთვის მიცემული სიტყვა! „მის  
ამბისა ცნობისათვის ცრემლით ღმერთსა აღიდებ-  
და“...

ეროვნული  
გეგლიერთა

ფატმანი ავთანდილს გაკვირვებული შესცქერის, ავ-  
თანდილი კი ტირის, ცრემლით უხდის მადლობას  
ღმერთს. აი, ამ ცრემლმა გაამართლა ფატმანის ეჭვი —  
ავთანდილი ვაჭარი კი არა, რაინდია! ფატმანმა აღრევე  
შეატყო ეს — „ფატმან ეჭვდა თავისათვის...“

ღილით ფატმანი ერთგვარ გამოცდას მოუწყობს ავ-  
თანდილს, შეიძლება ითქვას, ხაფანგს დაუგებს, რომელ-  
შიაც ეშმაკი ავთანდილი აღვილად გაებმება, თუნდაც  
იმიტომ, რომ მისმა ნილაბმა უკვე აზრი დაკარგა, ავთან-  
დილმა თავისი მოვალეობა უკვე შეასრულა, ახლა უკვე  
დროა, აქედან წავიდეს, ერთი წელია, რაც გულანშარო-  
შია, „დრო მოსრულა შარშანდელი“! ახლა თინათინიც  
კი გაახსენდა ჩვენს რაინდს. ფატმანის გვერდით წევს  
და ჰკლავს „თინათინის გონება“ და უფრო მეტიც —  
ხვდება, თითქოს ახლა ეხილება თვალი, რომ თურმე თი-  
ნათინს დალატობდა („ძრწის იღუმლითა ძრწოლი-  
თა“). ავთანდილის ასეთი „ძრწოლა“ კი იმაზე მეტყვე-  
ლებს, რომ მას ფატმანი თინათინის სიმაღლეზე ჰყავს  
აყვანილი: შემთხვევით ქალთან კი არ წოლილა, არამედ—  
საყვარელთან!

და აი, ერთდროულად ბედნიერიცა და შეძრწუნე-  
ბულიც (შეიძლება, თავისი ახალი „გულიანი სიყვარულის“  
აღმოჩენის გამო!), ავთანდილი ფატმანის სწოლში ტი-  
რის: „მუნ ცრემლნი, მისგან ნადენნი, ქვათაცა დასაა-  
ბონია“.

ფატმანიც ბედნიერია („იხარებს“), ოღონდ, მის ბედ-



ნიერებას სხვა მიზეზი აქვს: ავთანდილი ვაჭარი არ არის, სხვაა, რაინდია. „ქაბუკია“! ამიტომაც ეჩურჩულება ავთანდილს თვითონაც ნეტარების ცრემლმდენი: „თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია“-ო. კი მაგრამ, ეს ხომ სწორედ ის სიტყვებია, ფატმანის პირველი სამიჯნურო ბარათით გაკვირვებულმა ავთანდილმა, რომელიც ჯერ არ იყო შეჩვეული თავის ახალ მდგომარეობას, ის-ის იყო იწყებდა ვაჭრის როლის თამაშს და ამიტომაც იუკადრისა სოვდაგრის ცოლის ბარათი — დაუფიქრებლად წამოიძახა (თუ წამოცდა!): „...ყვავი ვარდსა რას აქნევს, ანუ რა მისი ფერია?“ დიახ, ეს სწორედ ის სიტყვებია, რომლებიც ეტყობა, წერილის მომტანმა შიკრიკმა მაშინვე მიუბრუნინა ფატმანს. აი, მაშინ დაექვდა პირველად ფატმანი, მართლაც, რატომ უნდა აღშფოთებულიყო ასე ავთანდილი, თუკი ის მართლა ვაჭარი იყო, ვაჭართა უხუცესის ცოლის სატრფიალო წერილზე? შეიძლება აქვე ისიც თქმულიყო, რომ ფატმანის ეს წერილი ყურადღებას იპყრობს გულწრფელობით და იმ „ქრელი“ ლაპარაკის ფონზე, რომელსაც ყური შევაჩვიეთ არაბეთისა თუ ინდოეთის სასახლეებში. აშკარად გამოიჩინა. ტყუილად კი არ ამბობს რუსთაველი ამ წერილის შესახებ: „უსტარი შესანახავი, არ ცუდად დასახვევლი“-ო. აქ გული მოუხმობს გულს ისეთივე მარტივი და მეტყველი ენით, თითქოს გემი მეორე გემს საშველად ეძახისო. სხვათაშორის, ავთანდილი ფატმანს პასუხად, როგორც მოსალოდნელი იყო, სწორედ „ქრელ“ წერილს გაუგზავნის.

„შენ ვარდი ხარ, მე კი, საცოდავ ყვავს, თავი ბულბული მგონიაო“, — ეჩურჩულება ფატმანი ავთანდილს. ნახეთ, როგორ დაუმახსოვრებია, როგორ ჩარჩენია გულ-

ში ავთანდილის პირველი დაუფიქრებელი წამოძახილი:  
„ყ ვ ა ვ ი“!

ბოლოს, გათენდა ის ღამეც, მართლაც რომ დღევანდელი ფათერაკებით, აღმოჩენებით, ვნებითა თუ სინარულის ცრემლებით...

დილით ფატმანმა უამრავი ტანსაცმელი „უძღვნა“ სასურველ სტუმარს და მათ შორის, ერთი ხელი „საჭაბუკოც“, ანუ რაინდის ტანსაცმელი.

ახლა ეს უამრავი სამოსი ავთანდილის წინაა გაშლილი, ფატმანი მეორე ოთახში საუზმის სუფრას დასტრიალებს, თან ცალი თვალი, უფრო სწორად — გულის თვალი აქეთა აქვს: აი, ახლა ავთანდილი თვითონ გათქვამს თავის საიდუმლოს, გაამჟღავნებს ვინაობას და... ფატმანის ეჭვიც გამართლდება!

ცოტა ხნის მერე ავთანდილი, მართლაც, „საჭაბუკო“ ტანსაცმელს აირჩევს — „ყოვლი საჭაბუკო შეიმოსა ტანსა მხნესა... დაემსგავსა ლომი მზესა“. ასე „მოკაზმული“ ავთანდილი, რომელიც წინასწარ გულში ილიმება ფატმანის გაოცებული სახის წარმოდგენაზე, მეორე ოთახში გავა. ფატმანიც არ გაუწბილებს მოლოდინს, თუმცა, მისთვის ეს უკვე მოულოდნელი არაა — „გაუკვირდა“-ო, იტყვის რუსთაველი, ანუ ქალმა ისეთი სახე მიიღო, როგორსაც ავთანდილი ელოდა და უთხრა, ასეთი მირჩევნიხარო: „შემოსცინა: „აგრე სჯობსო, შენთვის ხელთა სასურველად“.

ავთანდილი სარკის წინ ტრიალებს, თავს აკვირდება, უფრო სწორად — თავის თავს იხსენებს, ფიქრებშია ჩაფლული, ტანსაცმელმა ძველი ცხოვრება მოაგონა, მთელი წელი ასე რომ მაღავდა („მან პასუხი არა გასცა, თავის წინა ღიმდებოდა“), ავთანდილს უკვე გადაწყვეტილი

აქვს, გაამხილოს თავისი ნამდვილი ვინაობა, წარმოუდგენია კიდეც, რა დაემართება ფატმანს, როცა გაიგებს, რომ ის ვაჭარი კი არა, არაბეთის სპასპეციალური იმიტომაც გადაწყვიტა ვინაობის გამხელა, რომ მიხვდა, ფატმანს ველარ დაუმალავდა სიმართლეს: „თუმცა რასმე იფერებდა, მეტი არა გაჰვიდოდა“.

დასხდნენ, ისაუზმეს, ღვინოც დალიეს. ავთანდილი ძალიან კარგ გუნებაზეა, საიდუმლოს გამხელას არ ჩქარობს. რაც უფრო დაძაბავს, გაჭიმავს მოლოდინს, ეფექტი მით უფრო მეტი იქნება.

საუზმის შემდეგ შინ წამოვა, დაწვება და მაშინვე ტკბილად დაიძინებს („ამოდ დაეძინა“), მას ხომ ღამე თეთრადა აქვს გათენებული!

მთელი დღე ეძინა. „სალამო-ეამ გაიღვიძა“ და ფატმანთან მსახური გაგზავნა, ჩემთან მოდიო („ფატმანს უხმო“). პოემის ტექსტის ბევრ გამომცემელს, მათ შორის ისეთებს, როგორიცაა ვახტანგი, ჩუბინაშვილი, ქართველიშვილი, კარიჭაშვილი, აბულაძე და ჭიჭინაძე, ეს ადგილი სწორედ ასე აქვთ წაკითხული და სამართლიანადაც. პოემის 1957 წლის გამოცემაში კი წერია: „ფატმან უხმო“-ო, ალბათ იმიტომ, რომ მისი რედაქტორები ფიქრობდნენ, სტუმარს არ შეუძლია მასპინძელი ქალი თავისთან მიიპატიჟოსო, ეს „ეთიკური თვალსაზრისით“ მიუღებლად მიიჩნიეს. ისინი შეიძლება მართალნი ყოფილიყვნენ იმ შემთხვევაში, თუკი ამ სტუმარ ვაჟსა და მასპინძელ ქალს ერთმანეთი არ ეყვარებოდათ! სიყვარულს თავისი ეთიკეტი აქვს და, ერთი შეხედვით, ამ ქვეყნად ბევრი რამ არ არის ისეთი ალოგიკური, როგორიც ეს ეთიკეტია. მართლაც, გასაოცარი რამ არის ავთანდილისა

და ფატმანის სიყვარული, თითქოს მეცხრამეტე საუკუნის მწერლის წიგნს კითხულობდე!..

„მოდი, მნახე, მარტო ვარო, თავის წინა“, თვლის ავთანდილი ფატმანს და ფატმანიც გავარდება, გაიქცევა დაფეთებული, თითქოს მთელი წელი არ ენახოს, თითქოს მხოლოდ ამ დილით არ დაშორებულიყვნენ ერთმანეთს.

ავთანდილმა ფატმანი „გვერდსა დაისვა, ბალიში მისცა მისისა ნოხისა, ვარდისა ბაღსა უჩრდილობს ჩრდილი წამწამთა ქოხისა“. აქ სრულიად ნათელია, ვინ ვის ესტუმრა. ავთანდილივით სწორედ რომ მასპინძელი იქცევა და არა სტუმარი!

რასაკვირველია, ავთანდილს შეეძლო ისე დაშორებოდა ფატმანს, არც კი გაემხილა თავისი ნამდვილი ვინაობა, მითუმეტეს, ფატმანს ის ასეთივე უყვარდა, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ფატმანს უყვარდა, სწორედ იმიტომ, რომ ფატმანმა იშვიათი ადამიანური თვისებები გამოამჟღავნა, სწორედ იმიტომ, რომ ფატმანმა ნესტანი შეიფარა და ახლა კი ავთანდილს აპოვნინა, ავთანდილმაც ვერ აკადრა ტყუილი და ფატმანს მოექცა, როგორც ღირსეული ღირსეულს, თუ, საერთოდ, ფატმანი თავისი თვისებებით ისედაც ავთანდილის ტოლი და ღირსი არ იყო!

მაგრამ ავთანდილმა გაცილებით მეტი და მნიშვნელოვანი რამ გაუმხილა ფატმანს, ვიდრე მისი ნამდვილი ვინაობა იყო, უთხრა — თინათინი მიყვარსო: „იგია ჩემი დამწველი და ჩემი დამადნობელი“. ეს კი, არა მარტო ავთანდილის აშკარა კეთილშობილებაზე მეტყველებს, არამედ ფატმანის პიროვნულ მნიშვნელობაზეც, რომელიც ღირსია, უთხრა მხოლოდ და მხოლოდ სიმართლე! მაგრამ ავთანდილი აქაც არ შეჩერებულა, არა და, თითქოს შეუძლე-

ბელია ამაზე შორს წასვლა ქალთან საუბრის დროს, ქალთან, რომელსაც უყვარხარ... ფატმანს სთხოვა, დაბრუნებო! ხედავთ, რა ხდება! რა ცეცხლს ანთებს ეს ქალქარი რუსთაველი! შეიძლება ვინმემ იკითხოს, ეს ხომ უკვე ცინიზმიო? არა, ეს მხოლოდ ბეწვის ხიდზე გავლაა, ეს, მართლაც, ცინიზმი იქნებოდა, თანაც ჩვენი საყვარელი გმირისათვის ყოვლად შეუფერებელი და გაუმართლებელიც, რომ ამასთანავე უცნაური, მაგრამ ნამდვილად ადამიანური რამ არ გვეგრძნო — ავთანდილს ფატმანი უყვარდა და ეს იყო, მართლაც, „მოულოდნელი სიყვარული“, რომელიც ასე ზუსტად შეამჩნია შ. ნუცუბიძემ. შეიძლება ითქვას, არსად, არც ერთ სიტუაციაში ავთანდილი ისეთი გულწრფელი არ არის, როგორც ფატმანთან ურთიერთობის დროს.

ფატმანის პასუხიც მისი კეთილშობილებისა და ღირსების კიდევ ერთი დადასტურებაა:

„ფატმან თქვა: „ღმერთსა დიდება, საქმენი მომხვდეს, მო, რანი, დღეს რომე მესმნეს ამბავნი, უკვდავებისა სწორანი!“

თუ ქალი რაინდის წარმოდგენა შეგვიძლია, ეს, უპირველეს ყოვლისა, ფატმანია!

სწორედ ასეთი ეპიზოდები („უკვდავებისა სწორანი“), სადაც გადმოცემულია ადამიანის სულის უნატიფესი რბევა, ანიჭებს პოემას მაღალი ხელოვნების იერს. სწორედ ასეთი დეტალებია განსაკუთრებით ძვირფასი, რადგან ეს არის ჭეშმარიტი პოეზია, სადაც, დიდი ინგლისელი პოეტისა არ იყოს, ბევრი რამ ხდება ისეთი, რაც ფილოსოფოსთ სიზმრადაც არ დასიზმრებიათ. ზემოთ მოყვანილი ტანსაცმლის არჩევის სცენა მხოლოდ ერთ-ერთია

იმ უამრავი გენიალური პასაჟიდან, რომლითაც სავსეა ეს პოემა. მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათად თუ შევხვდებით ტალანტის ასეთ გულუხვობას. აქ გადმოქმეულია სინათლე გენიისა, „უთვალავი და უღვევი“ და რა არის მასთან შედარებით ფსევდო-დიონისე არეობაგელის რომელიმე მისტიკური თუ სქოლასტიკური დოგმის ანარეკლი, რომელიც ოდნავადაც კი არ მოქმედებს ამ პოემის მხატვრულობის ხარისხზე, ანუ მისი ქეშმარიტი მნიშვნელობის დონეზე.

აღბათ დროა, გავიხსენოთა ფატმანის სიტყვები, ქაჯეთის ციხიდან გამოხსნილ ნესტანს რომ მიმართავს:

„იტყვის: „ღმერთო, რა გმსახურო, განმინათლა რადგან ბნელიცა ვეან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი“.

კი მაგრამ, ეს ხომ ზუსტად იმ სიტყვების გამეორებაა, რომლებიც ცოტათი ადრე ავთანდილმა ასმათს უთხრა:

„ბოროტსა სძლია კეთილმან, —  
არსება მისი გრძელია“!

ღიახ, ეს ერთი და იგივე აზრია, ოღონდ, ოდნავ სხვანაირად გამოთქმული, კიდევ ერთი მეტყველი შტრიხია რუსთაველის ღიადი ოსტატობისა — ჩვენ ვხვდებით, რომ ფატმანი და ავთანდილი იმდენად მახლობელნი არიან ერთმანეთისათვის, თითქმის ერთნაირად აზროვნებენ. მართლაც, ორივესათვის ერთნაირადაა ბოროტება ნესტანის დაკარგვა და ორივესათვის ერთნაირადაა სიკეთე მისი გამოხსნის ამბავი!

არც ისაა შემთხვევითი (ამ პოემაში შემთხვევითი არაფერია. შ. ნუცუბიძის მოსწრებული თქმით: „რუსთაველმა იცის, რასაც აკეთებს“!), რომ მხოლოდ ორი ადა-

მიანი — ავთანდილი და ფატმანი — ახსენებს ობლებს  
სახლს — ხანაგას, იმიტომ, რომ ბუნებით, მოწოდებით  
ორივე მშველელია, დამხმარეა, კეთილია...

ნურც იმას დავივიწყებთ, ავთანდილი ფატმანთან  
ურთიერთობას თამაშით რომ იწყებს და ცრემლით ამ-  
თავრებს:

„მაგრა დაგდება უმძიმდა ფატმანის გულ-მდუღარისა;  
მისთა გამურელთა ნაკადი ჩასდის სისხლისა ღვარისა“...

ასე რომ, თუკი ფატმანს ბოროტების განსახიერებად  
გამოვაცხადებთ, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რუსთა-  
ველს სიკეთის გამარჯვება მხოლოდ ბოროტების დახმა-  
რებით რომ მიაჩნდა შესაძლებლად. რუსთაველი კი გარ-  
კვევით ამბობს: „ბოროტსა სძლია კეთილმან“-ო! ე. ი.  
ბოროტების დაძლევის, დამხობის, დამარცხების გზით  
მიიღწევა სიკეთეო. ამიტომ, ბოროტება ამ პოემაში სხვა-  
გან, ფატმანისგან ძალიან შორს უნდა ვეძებოთ.

„ბოროტსა სძლია კეთილმან“ — ეს დიდებული სიტ-  
ყვები ქაჯებსაც რომ მოესმინათ, ისინიც კი იტყოდნენ,  
მართალს ბრძანებთო, რადგან ამ პოემაში ისეთი არაფერი  
გაუკეთებიათ, რასაც სხვები — არაქაჯები — არ  
გააკეთებდნენ. წაიყვანეს ღამით მინდორში მარტო მიმა-  
ვალი ქალი, პატივისცემით მიაბრძანეს ციხეში (იქნებ  
იმის აღნიშვნაც იყოს საჭირო, რომ ქაჯეთის ციხე საპ-  
ყრობილეს არ ნიშნავს) და უფლისწულზე დაუპირეს  
გათხოვება. ამის გამო, რატომ უნდა იყვნენ ბოროტები  
ისინი და არა, ვთქვათ გულანშაროს მეფე, რომელიც თი-  
თქმის ზუსტად ასევე მოიქცა?!

ბოროტება ის პოლიტიკური და მორალური დესპო-  
ტიზმია, რომელიც, ერთი მკვლევარის თქმით, ქაჯეთის ცი-

ხემდე მიიყვანს ნესტანს-და რომელსაც უპირისპირდება  
ნესტანის გამომხსნელ ადამიანთა თავისუფალი ნება  
სიკეთე. აი, ეს არის ახალი, დიდი, ჭეშმარიტად რენესანს-  
სული იდეა.

თვით ფსევდო-დიონისე არეოპაგელი რომ ყოფილი-  
ლიყო ვეფხის ტყავით შემოსილი მთავარი პერსონაჟი და  
იმას ეძებნა ნესტან-დარეჯანი, მაშინაც კი დაუჭერებელი  
იქნებოდა პოემაში არეოპაგეტიკური მოძღვრების ისეთი  
სრული სახით არსებობა, როგორც ამას ჩვენი ფილოსო-  
ფოსი მკვლევარები წარმოგვიდგენენ.

შ. ნუცუბიძე აღნიშნავს, დიონისე არეოპაგელს „იერა-  
რქიის დოქტორი“ უწოდესო, „ღვთაებრივ კომედიაში“ ის  
ჩირალდნით შემოხვდა სამოთხეში ჩასულ დანტესო, მაგ-  
რამ, ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში იმ ფაქტს უფრო დი-  
დი მნიშვნელობა ენიჭება, რომ ის „სამოთხეში“ „საშუა-  
ლო საუკუნეების სქოლასტიკის მთავარი დამცველის“ —  
თომა აქვინელის „გვერდიგვერდ“ არის დასახელებული.  
შ. ნუცუბიძის თქმით, თომა აქვინელსაც, ანუ „მახარო-  
ბელსაც“, ჩირალდანი უჭირავს (სხვათაშორის, „ღვთაებ-  
რივ კომედიაში“ არც თომა აქვინელს და არც დიონისე  
არეოპაგელს ჩირალდანი არ უჭირავთ!), მაგრამ, ამასთან-  
ავე, მას „რევოლუციონერობას“ და „ერეტიკოსობას“  
ვერ დავწამებთ. ასეთად, ანუ „რევოლუციონერად“ და  
„ერეტიკოსად“ სურთ წარმოგვიდგინონ ჩვენმა მკვლე-  
ვარებმა ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, რათა როგორმე  
რენესანსის იდეოლოგიურ საფუძვლებს მიუსადაგონ მი-  
სი მოძღვრება.

დანტე ფიქრობს, რომ ორივე — დიონისე არეოპა-  
გელიც და თომა აქვინელიც — ეკლესიის მამაა, „სქო-  
ლასტიკის მთავარი დამცველია“, საყრდენია, ბურჯია. და-



ნტე დიონისე არეოპაგელს აშკარად არ იცნობს, როგორც „ერეტიკოსს“, როგორც „რევოლუციონერს“, როგორც „მეამბოხეს“, ის მისთვის მხოლოდ ერთ-ერთი ევანგელისტის თეოლოგია, „სამოთხეში“ ერთმანეთის გვერდით დასახელებული პიროვნებები — თომა აქვინელი, დიონისე არეოპაგელი, ალბერტ დიდი, პეტრე ლომბარდიელი... — მართლაც, ეკლესიის ვარსკვლავები არიან, მათ შორის არც ერთი „ერეტიკოსი“ არ ურევია! თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სხვანაირად ისინი დანტეს „სამოთხეში“ ვერ მოხვდებოდნენ.

6

რუსთაველის ეპოქაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო კულტურული მოვლენა იყო კარის მწერლობა, მეფის ხაზინის მიერ დაფინანსებული პროფესიული კავშირი მწერლობისა, მტკიცე წესდებით, ჩვევებითა თუ საერთო მიზნით განმტკიცებული ორგანიზაცია, რომელსაც უზარმაზარი როლი მიუძღვის როგორც ძველი ლიტერატურის ძვირფასი ტრადიციების შენახვისა და გაგრძელების, ასევე თვისობრივად სრულიად ახალი საერო ლიტერატურის დამკვიდრების საქმეში.

საქართველოს მეფის კარზე, ისევე როგორც აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში, უამრავი მწერალი მოღვაწეობს, უამრავი პროფესიონალი ლიტერატორი: მთარგმნელი, პოეტი, მემატრიანე, პროზაიკოსი. საერთოდ ქართული კარის მწერლისთვის დამახასიათებელია ერთგვარი უნივერსალიზმი, ის ერთდროულად პოეტიც არის, მთარგმნელიც და პროზაიკოსიც. ეს თვისება შემდეგ და შემდეგ ტრადიციად გაჰყვა ქართულ მწერლობას.

აქაზ

თამარის კარის მწერლობა მეტად მნიშვნელოვანია, გავლენიანი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტია, რომელსაც საფუძველი დავით აღმაშენებელმა ჩაუყარა და რომელიც თამარის დროსაც წარმატებით განაგრძობს თავის მისიას — უმაღლეს დონეზე წყვეტს ქართული კულტურის პრობლემებს.

ცნება „კარის ლიტერატურა“ არ ნიშნავს მხოლოდ სახოტბო პოეზიას, ეს უკანასკნელი მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ისევე, როგორც პროზა, თარგმანი და ისტორიოგრაფია...

შეიძლება ითქვას, კარის ლიტერატურა იმ დროს საქართველოში საერო მწერლობის დამკვიდრების ინსტიტუტია. დასავლეთ ევროპის ლიტერატურის მკვლევარების მიერ აღნიშნულია სარაინდო რომანის დიდი როლი ფეოდალური იდეოლოგიის ჩამოყალიბებასა და ამ იდეოლოგიის კოდიფიკაციაში. საერო მწერლობა საქართველოშიც დიდად უწყობდა ხელს საზოგადოების მორალურ-ეთიკური კოდექსისა თუ ქცევის ახალი ნორმების შექმნასა და დამკვიდრებას.

ვეფხისტყაოსნის პროლოგში წარმოდგენილ მოშაირეთა ტიპებს, ჩვეულებრივ რუსთაველის დროინდელ პოეტებად მიიჩნევენ ხოლმე. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ეს აზრი სინამდვილეს არ შეეფერება. ჩვენი მეცნიერების წყალობით ვიცით, თუ როგორი იყო ის ლიტერატურული გარემო, ის შემოქმედებითი ატმოსფერო, რომელშიაც ყალიბდებოდა რუსთაველის პოეტური სული, ფრთას შლიდა მისი გენია. შეიძლება ითქვას, რომ ეს გარემო რუსთაველის დიოსი და შესაფერი!

„მაღალ ტაძარში მაღალია სულისკვეთება“-ო, თქვა დიდმა ინგლისელმა პოეტმა. დღეს ჩვენთვის ცნობილია

იმ მწერლების შემოქმედებითი შესაძლებლობანი, რომლებიც რუსთაველის მხარდამხარ იღვწოდნენ, ვიცით, თუ რა დიდი ოსტატობის ნიმუშები დაუტოვეს მათ მშობლიურ ლიტერატურას. მათ მიერ შექმნილი ვალე მხატვრული ტილოები დღესაც განსაკუთრებულად აღივსება იკავებენ ქართულ მწერლობაში. ამიტომაცაა, რომ ყველაზე უფრო ყალბად პროლოგის ეს სტროფები გვეჩვენება, სადაც პოეტებია დახასიათებული და დაჯგუფებული. პროლოგის ეს სტროფები (14, 15, 16, 17, 18) აშკარად მერეა დაწერილი, უფრო სწორად — მერეა ჩამატებული, თანაც. სხვადასხვა დროს, შეიძლება სხვადასხვა საუკუნეშიც. ასეთი პოეტები, ამ სტროფების მიხედვით რომ ვეცნობით, ასეთი საუბარი პოეზიაზე — უფრო შემდგომი, მორალურად და კულტურულად დაქვეითებული ეპოქებისთვისაა დამახასიათებელი და ბუნებრივი (რუსთაველი ამბობს: „მობურთალსა — მოედანი“-ო, ინტერპოლატორი კი აზუსტებს: „ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა“-ო. როცა ამ ფრაზას ვკითხულობ, რატომღაც მახსენდება კასტელის ჩანახატი: „ჩოგანი“. მგონი, ეს ფრაზაც იმდროინდელი უნდა იყოს...).

ვეფხისტყაოსნის ტექსტის გადამწერები ალბათ თვითონაც ჩუმ-ჩუმად პოეტები იყვნენ და, ისევე როგორც ყველა იმდროინდელი ანუ დაცემის ხანის პოეტი, შეპყრობილნიც რუსთაველისადმი ჯიბრის გრძნობით. გენიამ იცის ასეთი წათამამება, გენიოსი გათქმევიანებს, ასე ხომ მეც ვიტყვდიო, მაგრამ „ასე“ რომ თქვა, უსათუოდ... გენიოსიც უნდა იყო!

შავთელი, ჩახრუხაძე, მოსე ხონელი, რუსთაველი — აი, ჩვენამდე მოღწეული სახელები იმ მწერლებისა, მე-

ფის კარზე ერთდროულად, გვერდიგვერდ რომ მოღვაწეობდნენ.

მკვლევართა ცნობით, იმდროინდელი ქართველი მწერლები „განსაკუთრებული ყურადღებით“ ეპყრობოდნენ სპარსულ ლიტერატურას და ქართულადაც თარგმნიდნენ სპარსული მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს. მაშინ სპარსული ლიტერატურა უცხო და ახალი ხილი იყო ქართველი მწერლებისათვის, ისინი პირველად ეცნობოდნენ ამ დიდ, მაღალპოეტურ სამყაროს. მაგრამ თავად ქართული ლიტერატურის დონე იმდენად მაღალი იყო, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მაშინდელი გაგებით „თარგმნა“ ჩვენი გაგებით „გადმოქართულებას“ უდრიდა, ამის შესანიშნავი მაგალითი გახლავთ, თუნდაც, მსოფლიო ლიტერატურის ისეთი შედევრი, როგორიც „ვისრამიანი“.

„ვისრამიანის“ ქართული თარგმანი, ანუ ქართული „ვისრამიანი“, მართლაც, განსაკუთრებული მოვლენაა ჩვენს ლიტერატურაში, იმდენად განსაკუთრებული, რომ უაღრესად მოულოდნელ, უცნაურ და თამამ ფიქრებსაც კი აღძრავს ამ საკითხით დაინტერესებული ადამიანის გულში. ამავე დროს, თუ გავითვალისწინებთ ჩვენი მკვლევარების მიერ ქართული „ვისრამიანისა“ და ვეფხისტყაოსნის ტექსტების საფუძვლიან შეჯერება-ანალიზს, ენობრივ შეპირისპირებასა და, რაც მთავარია, მათ მიერ აღმოჩენილ „საოცარ მსგავსებას“ ორი პოემის ტექსტებისა, მაშინ ადვილი დასაშვებია, ჩვენი „მოულოდნელი, უცნაური და თამამი“ ფიქრები უკვე მეცნიერული ჰიპოთეზის სახითაც წარმოვიდგინოთ.

მე პირადად, სავსებით შესაძლებლდა მიმაჩნია, რომ „ვისრამიანი“ ქართულად შოთა რუსთაველის თარგმნილი

იყოს. თუმცა, ახალს არაფერს ვამბობ, რადგან ჩვენი მეცნიერების მიერ, არსებითად, ეს უკვე დამტკიცებული ფაქტია, ოღონდ ასე ხმამაღლა, მგონი, არც ერთმა თანამოქალაქისმა არ აღუნიშნავს.

ჩემი ნათქვამი ჰაერში გამოკიდებული რომ არ დარჩეს, შეძლებისდაგვარად მივყვები და თქვენს ყურადღებას მივაპყრობ ჩვენი გამოჩენილი მკვლევარების გამო-ნათქვამებს ამ ორი პოემის „საოცარი მსგავსების“ თაობაზე:

„ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ „ვისრამიანი“ ვეფხისტყაოსანზე“ აღრეა დაწერილი“-ო, ამბობს იუსტინე აბულაძე. ეს არსებითად, ჩვენი მეცნიერების მიერ, მართლაც უკვე დამტკიცებული ფაქტია. როცა, ქართული „ვისრამიანისა“ და ვეფხისტყაოსნის მსგავსებაზე, იუსტინე აბულაძის ღრმად მეცნიერულ დაკვირვებებს ეცნობი, ყოველ წამს ელოდები: აი, ახლა, აი, ახლა იტყვის, ორივე თხზულება ერთ ავტორს ეკუთვნისო, ანუ ერთმა და იმავე ავტორმა თარგმნა სპარსულიდან „ვისრამიანი“ და დაწერა ვეფხისტყაოსანიო. მაგრამ... არ ამბობს. ერთი რამ კი უეჭველია — მეცნიერს აფორიაქებს, აწვალებს, სიმშვიდეს უფრთხობს ამ ორი ნაწარმოების „საოცარი მსგავსება“! დიახ, მას ეკუთვნის ეს გამოთქმა. მან იცის (ვინ უნდა იცოდეს უკეთესად!), რომ ვეფხისტყაოსანი სპარსული პოემებისაგან განსხვავდება და არა მარტო განსხვავდება, რუსთაველი, როგორც პოეტი, უპირისპირდება კიდევ აღმოსავლურ პოეზიას; მას გააჩნია განსაკუთრებული „ნიშანდობლივი თვისება, რომელიც საგრძნობლად განასხვავებს აღმოსავლური პოეზიის ყველა წარმომადგენლისაგან“. სწორედ ამიტომაც აწუხებს, არ ასვენებს მეცნიერს ის ფაქტი, რომ ქართულად ნათარგ-

მნი „ვისრამიანი“ ასე ჰგავს ვეფხისტყაოსანს, უფრო ვეფხისტყაოსანს, ვიდრე თავის სპარსულ დედანს!

„ქართული და სპარსული „ვისრამიანი“ ცალ-ცალკე თითქოს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებული თხზულებებია“, — წერს დავით კობიძე.

ნიკო მარი „ვისრამიანის“ ქართულად მთარგმნელს „თარგმანის ავტორს“ უწოდებს! ნიკო მარის გამჭრიახი თვალი იმასაც ამჩნევს, ეს თარგმანი სრულიად სხვა მთარგმნელობით სკოლას რომ ეკუთვნის, გამოირჩევა სასულიერო ლიტერატურის თარგმანებისაგან, მთარგმნელს კი მეტად ძლიერი ხელი აქვს, რასაც შეეხება, ყველაფერს საკუთარ დაღს ასვამს. ნიკო მარი უაღრესად საინტერესო დაკვირვებებს გამოთქვამს „ვისრამიანისა“ და ვეფხისტყაოსნის მსგავსებაზე, კონკრეტულად კი — ამ ორი პოემის პარალელურ სახეებსა თუ პასაჟებზე. ერთ ადგილას, როცა ვეფხისტყაოსნის ზოგიერთ შედარებას იხილავს, წამოიძახებს კიდევ: „ზუსტად ისევეა, როგორც „ვისრამიანის“ თარგმანშიო“!

ა. გაწერელიას აღნიშნული აქვს „ვისრამიანისა“ და ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი ადგილის დამთხვევა.

ა. ბარამიძე ფიქრობს, ქართული „ვისრამიანი“ თავისუფალი თარგმანიაო.

ი. ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ პროზად დაწერილი ქართული „ვისრამიანი“ არაფრით ჩამოუვარდება „მშვენიერ ლექსად დაწერილ“ სპარსულ დედანს.

ნაწარმოები, უნდა თუ არა ეს ავტორს, ყოველთვის ატარებს მისი სულის ანაბეჭდს, „ერთი და იმავე მწერლის ნაწარმოებები ყოველთვის ინარჩუნებენ რაღაცნაირ ფიზიოგნომიურ მსგავსებას“.

იუსტინე აბულაძე ვეფხისტყაოსანს ჰომეროსის

„ოდისეას“ ადარებს და ამით კიდევ ერთხელ უპირის-  
პირებს მას აღმოსავლურ, კერძოდ, სპარსულ პოეზიას.  
მისივე ნათქვამია: „ვისრამიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“  
ორივე ერთსა და იმავე ბრწყინვალე კლასიკური ეპოქის  
ნაწარმოებია“-ო.

„ჩვენს ყურადღებას იპყრობს... ამ ორი ნაწარმოების  
საოცარი მსგავსება გარეგანი ფორმის მხრით“!

„პოეტური ფიგურები და სიმბოლიკა ერთგვარია ორ-  
სავე მწერლის ენაში“!

„ვეფხისტყაოსანი“... გარეგანი ფორმით უახლოვდე-  
ბა „ვისრამიანს“!

„შოთას სტილი და გრამატიკული წყობილება და სა-  
ერთოდ, ენის ნორმები, სრულიად იგივეა, რაც „ვისრა-  
მიანის“ მთარგმნელის“! — აქედან ერთი ნაბიჯიღაა და-  
რჩენილი, ორივე პოემა ერთი და იმავე ბრწყინვალე პო-  
ეტის ნაწარმოებად რომ აღიაროს. საერთოდ, იუსტინე  
აბულაძის ნარკვევში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ამ  
ორი პოემის დეტალური მსგავსების (იგულისხმება ენა  
და სტილი) ფაქტებს...

ამავე დროს, „ვისრამიანი“ და ვეფხისტყაოსანი გა-  
რეგნულად მიილტვიან რა ერთმანეთისაკენ, შინაგანად  
ეთიშებიან, ებრძვიან, „კლავენ“ ერთმანეთს, თუმცა,  
სხვანაირად არც არის მოსალოდნელი, — რუსთაველის  
პოეზია სრულიად განსხვავდება სპარსული პოეზიისა-  
გან. მართალია, „ვისრამიანმა“ აშკარად მოახდინა გავ-  
ლენა ვეფხისტყაოსანზე, მაგრამ ეს იყო სულ სხვა სა-  
ხის გავლენა, ანუ გავლენა საპირისპირო შედეგით. ვეფ-  
ხისტყაოსანი არის „ვისრამიანისადმი“ დაპირისპირებული  
რომანი, ფსიქოლოგიური სტრუქტურით, ადამიანთა ურ-  
თიერთობათა თავისებურებით. დიახ, აქ უკვე სულ სხვა

სამყაროა, სხვა ადამიანები, სხვა ურთიერთობანი, სხვა  
იდეალები...

გავიხსენოთ, თუნდაც, ნესტანისა და ტარიელის მიჯ-  
ნურობის ერთი პატარა ფრაგმენტი, რომელშიაც ცხა-  
დად მოჩანს ეს დაპირისპირება, განსხვავება, ერთგვარი  
პროფესიონალური ჯიბრი და, ამავე დროს, აშკარა უპი-  
რატესობაც რუსთაველისა.

„მერმე ავღეგ წამოსავლად, მან დამიწყო ქვექვე წვევა,  
მწაღდა, მაგრა ვერ შევქმართე შემოქლომა, შემოხვევა“.

ტარიელის ეს სიტყვები ზოგიერთი მკვლევარისათვის  
მისი, ანუ ტარიელის, „ბუნებრიობის“, „უცოდველობის“  
და წესიერების საბუთია. მაგრამ განა ნესტანის სურვი-  
ლიც ასევე „ბუნებრივი და უცოდველი“ არ იყო? ამ ქვე-  
ყნად ზომ ბევრი რამ არ არის ისეთი „ბუნებრივი და  
უცოდველი“. როგორც ახალგაზრდა ქალისა და კაცის  
ურთიერთ ლტოლვა, მითუმეტეს, როცა მათ ერთმანეთი  
უყვართ... არაბუნებრივი იქნებოდა, მათ რომ ასეთი  
ლტოლვა არ ჰქონოდათ.

რუსთაველი დიდი პოეტია. რომლისთვისაც ცხადია,  
რომ „მაღალზნეობრივი“ სიყვარული არის მხოლოდ და  
მხოლოდ ადამიანური, ბუნებრივი, ჯანსაღი სიყვარული.  
ეს „დიდებული უსიტყვო სცენა“ იმითაც არის მართა-  
ლაც დიდებული, რომ ვგრძნობთ მხურვალებას ქალ-ვა-  
ყის ვნებისა, ვგრძნობთ, თუ რა ძალით მიილტვიან ისინი  
ერთმანეთისაკენ და ვგრძნობთ იმ გასაოცარ, ადამიანურად  
კი მეტად გასაგებ და ამიტომაც დიდი სიმართლით აღბეჭ-  
დილ მომენტსაც, როცა გმირი, რომლისთვისაც არაფერია  
გახელებული ვეფხის კოცნა, ხელის შეხებასაც ვერ უბე-  
დავს სასურველ არსებას („ვერ შევქმართე“!), თუმცა მას-



აღ ნესტანივით სული მისდიოდა („მწაღდა“) „შემოქლო-  
მა, შემოხვევისათვის“. აქ კიდევ ერთი საიდუმლოა ამოხ-  
სნილი ადამიანის ბუნებისა, ამიტომაცაა სწორედ „სწავნი-  
სხვევებელი“ „ვისრამიანის“ შესატყვისი ეპიზოდისაგან,  
ამიტომაცაა ის გაცილებით მნიშვნელოვანი.

რუსთაველს ამ შემთხვევაში სხვა ამოცანა ჰქონდა გა-  
დასაჭრელი და გენიალურად გადაჭრა კიდევ, თორემ  
მას, რამდენადაც მის პოემას ვიცნობთ, აზრადაც არ გაუ-  
ვლია, გაეკიცხა ეს მშვენიერი, ბუნებრივი, ადამიანური  
კავშირი ორ მოსიყვარულე არსებას შორის. უფრო მეტ-  
საც ვიტყვი: თვითონ ტარიელიც კი, რომელიც მთლად  
ახალი გამოჩანმრთელებულია სიყვარულის პირველი  
ელდის შემდეგ, ნესტანის გამოგზავნილ, საგანგებოდ პირ-  
შებურვილ ასმათს ვერ იცნობს და არშიყობას დაუპირ-  
რებს:

„შევე, დავჯე ტახტსა ზედა; ქალი მოდგა ნოხთა პირსა,  
ჩემსა ახლოს დასაჯდომად თავი მისი არ აღირსა;  
ვარქვი: „მანდა რად ჰზი შენ, თუ სიყვარული ჩემი გვირსა?“  
მან პასუხი არა მითხრა, ჩემთვის ჰვეინდა სიტყვა-ჭვირსა“.

მართლაც, თუკი თინათინისა და ავთანდილის, ნესტა-  
ნისა და ტარიელის სიყვარულს „მაღალი ზნეობის“ პო-  
ზიციებიდან სექსუალურ საფუძველს გამოვაცლით, ნამ-  
დვილად იდეალიზებულ სქემებად გადავაქცევთ ამ მშვე-  
ნიერ ადამიანებს.

პასკალი ამბობდა: „ადამიანი არც ანგელოზია და არც  
მხეცი, და მისი უბედურება ისაა, რომ რაც უფრო მი-  
ელტვის დაემსგავსოს ანგელოზს, მით უფრო მხეცად  
გარდაიქმნება ხოლმე“-ო. სწორედ ამ აზრის ძალისხმე-

ვასა ვგრობობთ ბელინსკის აფორიზმში: „...ადამიანი არც მხეცია და არც ანგელოზი, ამიტომ ვალდებულია უყვარდეს მხეცურად ან პლატონურად კია არა, არამედ ადამიანურად“. სხვათაშორის, „ანგელოზური სიყვარული“ „მხეცურ სიყვარულზე“ ნაკლებად პათოლოგიური როდია...

როგორც უკვე ვთქვი, მე პირადად, სავსებით შესაძლებლად მიმაჩნია ის ამბავი, რომ რუსთაველმა სიჭაბუკეში თარგმნა „ვისრამიანი“, ხოლო შემდეგ, გაცილებით გვიან, ანუ სიჭარმაგეში, სხვა პოეტურ თუ მსოფლმხედველობით სიმალღებე მდგარმა, დაწერა ვეფხისტყაოსანი. ორივე ნაწარმოები გენიალური მოვლენაა, ორივე გამარჯვებაა ქართული კულტურისა.

„ვისრამიანი“ გენიის სიჭაბუკის წიგნია, ვეფხისტყაოსანი კი სიჭარმაგის დროინდელი, არსებითად, უკვე სხვა (ანდა ძალზე გარდაქმნილი!) პიროვნების მიერ დაწერილი, პიროვნებისა, რომელსაც არა მარტო ლიტერატურული პოზიცია აქვს სრულიად სხვა, არამედ ცხოვრებისეულიც!

პროზად თარგმნილი ქართული „ვისრამიანი“ (თუკი ეს მართლაც პროზაა და თავისუფალი ლექსი არ არის. ნიკო მარს აკი უნდოდა მისი ორ სტრიქონიან ლექსებად დაწყობა!) გაცილებით დეკორატიულია, ორნამენტულია, მღელვარეა, ვიდრე ლექსად დაწერილი ვეფხისტყაოსანი. აქ ჯერ კიდევ სიჭაბუკის ვნებები დულს. ხოლო ვეფხისტყაოსანში ემოციურობის ნაკადი გონიერების ფილტრშია გატარებული. შემთხვევით არ არის პოემაში ავთანდილი, რომელიც, თავისი ბუნების გამო, წარმოუდგენელია აღმოსავლური პოეზიისათვის, აღმოსავლური სადევგმირო ეპოსისათვის. ავთანდილი ღირიკული გმი-



რია! „ავთანდილი, როგორც ჰამლეტი, მუდამ კონკრეტული, სიტუაციურად გასაგები და ადამიანურად მდგომარეობილი განსხვავდება აღმოსავლეთის გმირებისგან. მანქანისაა ლი მორალური და რაინდული ხასიათით“-ო, წერდა კონსტანტინე კაპანელი.

7

კარის მწერლობის ყველაზე კოლორიტული წარმომადგენლები მაინც მეხოტბეები არიან! იმდროინდელი სახოტბო პოეზია გამოკვეთილად ინტელექტუალური ხასიათისაა, აქ უკვე მხატვრულ ხერხადაა ქცეული ფილოსოფიური აზრი, ციტატი, ან, თუნდაც, რომელიმე ფილოსოფოსის სახელი. ეს, როგორც ჩანს, იმდენად დაკანონებული წესია, თვით რუსთაველიც კი ვერ არიდებს თავს, თუმცა, თავისი სულისკვეთებით სახოტბო პოეზიისაგან ძალიან შორსა დგას. რუსთაველი, გარკვეული თვალსაზრისით, მაინც შებოროკილია წესითა თუ ტრადიციით. მაგრამ ერთი რამ არის საინტერესო, კერძოდ, ის ფაქტი, თუ როგორ იძია შური გენიამ თავის შემბოროკავ სქემაზე, დააკვირდით როგორ ერთობა, როგორ თამაშობს, როგორ ხუმრობს, როგორ თავისუფლად, ლალად ეპყრობა რუსთაველი იმ ზვიად, კუშტ და შემადრწუნებლად სერიოზულ ცნებას, რასაც ფილოსოფიური ციტატი ჰქვია. რუსთაველისათვის არ არსებობს ფილოსოფიური ავტორიტეტი, მას შეუძლია საკუთარი აზრი ჩინურად გაასაღოს და მის საძებნელად, მართლაც, ჩინეთში გააგზავნოს მკვლევარი, რომელსაც ფილოსოფიური ეპიგონობა პოეტისათვის დიდ პატივად მიაჩნია (ასეთი

მკვლევარები, საკვირველია, მაგრამ მაინც არიან!). რუსთაველს შეუძლია თავისი აზრი სხვას მიაწეროს. თუნდაც, პლატონს. ფსევდო-ლიონისე არეოპაგელს, ბრძენსა კი უწოდებს, მაგრამ პოემიდან არ ჩანს, რომელი უფრო ბრძენია მისთვის, ლიონისე, უსამი თუ დავარი. პოემაში ვერ ამოიკითხავთ სახელს მწერლისას თუ ფილოსოფოსისას, რომლის მიმართაც რუსთაველს ქვეშევრდომული დამოკიდებულება ჰქონდეს. ამ სიტყვას იმიტომ ვახსენებ, რომ ჩვენს მეხოტბეებს ახასიათებთ ასეთი რამ, ამიტომაც მათ პოემებში ერთგვარი შემაწუხებელი ინტელექტუალური სიმძიმეა დამკვიდრებული. რუსთაველი ჩვენს თვალწინ ამსხვრევს მისთვის არასასურველი ტრადიციის ბორკილს („ათავისუფლე მონები“!), ოღონდ, ეს მსხვრევა ჯერ დამთავრებული არ არის. პოეტი ჯერ კიდევ აუღრიალებს მაჯებზე შერჩენილ ჯაჭვის ნაწყვეტებს. მართალია, სწორედ ამ ბორკილების გამო ის პირველ ფილოსოფოსადაა გამოცხადებული ზოგიერთი მკვლევარის მიერ, მაგრამ ერთია მკვლევარის სურვილი და მეორე კი ის სინამდვილე, რომელიც ჩვენს წინაშეა გადაშლილი პოემის სახით. ლომის გალიის ღირსება ის კი არ არის, რომ რკინისაა, არამედ — ლომი რომ ზის შიგ!

იმდროინდელ კარის სახოტბო პოეზიას ამშვენებს ორი შესანიშნავი პოეტი: ჩახრუხაძე და შავთელი.

თუნდაც, ეს ორი სახელი ამტკიცებს, რომ ქართული საერო პოეზია თავიდანვე სულდგმულობდა აქტუალური ეროვნული პრობლემატიკით, იღებდა რა თავის მაცოცხლებელ საზრდოს ქართული ლიტერატურის ტრადიციებიდან, გვევლინებოდა აღმოსავლური, კერძოდ, სპარსული მწერლობის, დაპირისპირებულ ფენომენად. „თამარიანიც“ კი, რომელიც, მკვლევარების სამართლიანი მო-

საზრებით, უფრო მეტადაა დავალებული სპარსული პო-  
ეზიისაგან, ვიდრე „აბდულ მესია“, საინტერესოა მაშინ,  
როცა ებრძვის ამ გავლენას, უფრო სწორად რომ  
სძლევს ამ გავლენას, როცა საკუთარ, ანუ ქართულ გზა-  
ზე გადის.

უპირისპირდებოდა რა ჩახრუხადისა და შავთელის  
შემოქმედებით მეთოდს, რუსთაველი, როგორც მათი მე-  
ტოქე, განიცდიდა გავლენასაც, რომელსაც არ შეიძლე-  
ბოდა სასიკეთო კვალი არ დაეტოვებინა მის გენიალურ  
შემოქმედებაზე. რუსთაველის სტროფის სიმკვრივე, თუ  
შეიძლება ითქვას — სტროფის ფსიქოლოგიური სტრუქ-  
ტურა, მისი სტრუქტურული დასრულებულობა უსა-  
თუოდ ზემოთ ნახსენები პოეტების საერთო სკოლაშია  
დამუშავებული. მართალია, რუსთაველი უპირისპირ-  
დება ეგრეთწოდებულ „წიგნურ ლექსთწყობას“, მაგრამ  
უსათუოდ უნდა დავსძინოთ, რომ ცნება „წიგნური“  
მისი შემოქმედებითი მეთოდისათვის ორგანულია და,  
ამდენად, შეიძლება ითქვას (და ასე უფრო ზუსტი  
ვიქნებით), რომ რუსთაველის პოემაში უკუგდებულია  
ისეთი „წიგნური ლექსთწყობა“, როგორიც დამახასია-  
თებელი იყო შავთელისა თუ ჩახრუხადისთვის. რუსთავე-  
ლის პოემაში ხალხური შაირი გატარებულია „წიგნური  
ლექსთწყობის“ მძლავრ კულტურულ ბრძმედებში და მი-  
ღებულია სრულიად ახალი, თვისობრივად ახალ საფეხურ-  
ზე მდგარი რუსთაველის (და არა ხალხური!) შაი-  
რი, რომელშიც გაძლიერებულია (და არა  
„შენარჩუნებული“) პოლიფონიურობა.

თუკი რუსთაველის შაირი ნამდვილად რაიმეს უპი-  
რისპირდება, უპირველეს ყოვლისა, ხალხურ შაირს. ეს  
ჩვეულებრივი, მარტივი პარალელიზმებითაც ადვილად



მტკიცდება. რუსთაველის ლექსი ინტელექტუალურია ფართო გაგებით, ეს არის ძირითადი, სამხსოვნო პირობა, როცა რაიმე ასეთი სახის მსგავსებაზე ვფიქრობთ საუბარს. მისი პოემა ფოლკლორული სტიმულებით კი არ არის წარმოშობილი, არამედ, პირიქით, ფოლკლორული სტიმულების დაძლევის გზით (ასევეა ვაჟა-ფშაველას პოეზიაც!). რუსთაველის ლექსის მუსიკალური სინტაქსი, ელერა, საერთოდ, საგრძნობლად განსხვავდება ხალხური შაირისაგან.

თუკი ლირიკული პოემების ავტორები თავიანთი ვირტუოზულობის მოჩადობებულ წრეში ტრიალებენ, საკუთარი ელვარებით მოხიბლულნი, რუსთაველისათვის წრე არც კი არსებობს. მისი ყოველი სახე ფრთებით არის დაბადებული, ამიტომაც მას სჭირდება სივრცე, რათა თავისი რაობა ბოლომდე გამოაჩინოს.

ის ოქროს გალია, შავთელსა და ჩახრუხაძეს თავიანთი ზღაპრულად მგალობელი ჩიტებისათვის რომ გაუმზადებიათ, რუსთაველისათვის წარმოუდგენელია.

რუსთაველის ყველა მეტაფორა ოთხივე მხარეს გახსნილია, ბუნებრივად ერთვის სივრცეს და სივრცეც იფინება მასში, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი. რუსთაველის მეტაფორა მრავალსაფეხურიანია, მრავალგანზომილებიანი, ჯადოსნური ყუთიდან ამოდის ახალი ჯადოსნური ყუთი, ოღონდ, უფრო დიდი, ვიდრე პირველი („დიდი მცირესა შინა“ — „ძეგლისწერის“ ფრაზაა!) და ასე დაუსრულებლად. ყოველ მეტაფორაში მოქცეულია შეკუმშული სივრცე, სამგზავროდ, სატრანზიტოდ ჩაკეცილი ქვეყანა, რომელიც შემდეგ ჩვენს თვალწინ იშლება და კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ პოეზიის განზომილება უსაზღვროებაა.

„მიეფინების შზე ველად“ — ეს ტარიელი მიდის ცხენით! „თავგაგლეჯილი ასმათი“-ო, ამბობს რუსთაველი ნესტანის დაკარგვით გაგიყებულ ქალზე და არ შევიძლება ამაზე ღრამატული, ტრაგიკული ხატის შექმნა სულ ერთი სიტყვით. თუმცა, სწორედ ერთი სიტყვითაა შექმნილი ასეთი საოცრება: „გასისხლმდინარდა“ — ეს უგრძესი, უმძაფრესი, უწითლესი მეტაფორა ქართულ ენაში!

რუსთაველს შეუძლია ერთი ფრაზით პლასტიკის ასეთი ზუსტი დეტალიზაცია მოახდინოს: „ლილ-ჩახსნილი საამბობლად დაჯდა, მხარნი ამოყარნა“, ანდა მიზანსცენა ერთი მოძრაობით შეკრას, გაამთლიანოს: „ადგა, ამყვა და წავედით“.

„რა შეუღამდის, ვარსკვლავთა ამოსვლა ეამებოდის“-ო, იტყვის პოეტი ავთანდილზე და ჩვენც მოგვეჩვენება, თითქოს სამყარომ საკინძე შეიხსნაო.

აი, სიტყვით მხატვრობის კიდევ ერთი მაგალითი:

„ღღისით ვლეს და საღამო-ვამ გამოუჩნდეს დიდი კლდენი,  
კლდეთა შიგან ქვაბნი იყვნენ, ძირსა წყალი ჩანადენი.  
წყლისა პირსა, არ ითქმოდა, შამბი იყო თუ რასდენი!  
ხე დიდრონი, თვალ-უწვდომი, მალღა კლდემდის ანაყრდენი“.

როგორი ფერადია ეს სურათი, თუმცა, არც ერთი ფერი არ არის ნახსენები! ამ ნახატიდან საამური, თითქოს საყდრული სიგრილე გვეფინება. შამბში გამკრთალი წყლის „ჩხაპუნებაც“ კი გვესმის. „დიდრონ“, ტანაყრილ, ლაღად ტოტებგაშლილ ხეებს შორის შიშველი კლდეები იღანდება.

„ველი აჩნდა მზიან-ჩრდილნი“-ო, წერს პოეტი და ეს სურათი უცნაური, მოულოდნელი მანერითაა შესრულებული: მარტო ველს კი არ ვხედავთ, თუმცა ველს ახსე-


ნებს სწორედ, არამედ—ცასაც, ალაგ-ალაგ ღრუბლებით დაფარულს, რომელთა შორის მზე იჭყიტება.

პოეტი მზეს, ლამპარით, იქ ჩამოკიდებს ხელში, საიდანაც ყველაზე მეტი ინტენსივობით ეფინება მუქი საგნებს, სახეებს, გარემოს. რუსთაველს უყვარს სინათლე: მისი დღე მზით არის გაჩაღებული, ღამე — მთვარით, კოცონით, ჩირაღდნით. პოემას თითქოს ცეცხლი უკიდია, ცეცხლი გიზგიზებს შედარებებში, მეტაფორებში. ჩვენს წარმოდგენაში სამუდამოდ რჩება ხატი ცეცხლის დასანთებლად ჩამუხლული ავთანდილისა: „ცეცხლი დააგზო კვესითა“...

კიდევ ერთ სურათს გავიხსენებ, რომელიც შეიძლება სიტყვით მხატვრობის მწვერვალად ჩაითვალოს, სასწაულად, სიტყვის გრანდიოზული შესაძლებლობის ზეიმად. ხაზი და ხმა ერთმანეთშია თითქოს შენივთული, რათა ახალი, მაგრამ უკვე სულჩადგმული ხაზი და ხმა წარმოქმნას: „ერთსა წავსწვდი უტევანსა, წავგრძელდი და წავე გრძელად“ — ეს შუბოსანი მხედრის სურათია და ვხედავთ კიდევ, როგორ მიდის, როგორ გრძელდება, გრძელდება, გრძელდება, სანამ მიზანს მიაღწევდეს!

რუსთაველის პოეტური სახე, მეტაფორა ასოციაციებით არის მოქსოვილი, შეკრული, გაცოცხლებული. ეს ფილოსოფიური, სოციალური, პოლიტიკური, მისტიკური, კოსმიური, რელიგიური, ყოფითი, ცხოვრებისეული ხასიათის ასოციაციები ავსებენ, ამაგრებენ, ამდიდრებენ, ამძაფრებენ, უსასრულობამდე აგრძელებენ ჩვენს ფანტაზიას, რადგან ფანტაზიაზე თამამები არიან, ქმნიან პოეტური წარმოდგენების ჯაჭვურ რეაქციას, გარდაიქმნებიან ოცნების ბიძგად, საყრდენად.





პოემის მხატვრულ შედარებებში ჩანს უზარმაზარი ცოდნა ხალხის ყოველდღიური ყოფისა, ადამიანთა მოკიდებულებებისა, ურთიერთობებისა. პოეტის მხატვრული შედარებების საფუძველი ცხოვრებაა, ჩვენი ხალხის ყოფაა, თავისებურებაა, ჩვევებია. როგორი მეტყველია, თუნდაც ეს სურათი: „ერთგან დაწვეს, ვით მაყრები.“ მოვუსმინოთ, რა გემრიელად აფიცებს ვაჟრებს აეთანდილი: „მე სავაჟროსა ჩავიცვამ, დავიწყებ ჭუბაჩობასა; თქვენ შემინახეთ ნამუსი, თქვენსა და ჩემსა ძმობასა!“ თითქოს აი, ამ წუთას გავიგონეთ ეს ფრაზა: „რად მინდა მომცეთ, რას ვაქნევ? მე ვარ და ჩემი ცხენია“. „გული მი და მო მიარდა“-ო, იტყვის ტარიელი და ფიზიკურად შეიგრძნობ საკუთარი გულის ფეთქვას. ნახეთ, როგორი ცოცხალი, პლასტიკური სურათია, თითქოს შენი თვალთ ხედავ: „ამხანაგობდეს, ლალობდეს, იქით და აქეთ დგებოდეს“. „ხრმალი გავსტყორცე, გარდვიჰერ, ვეფხი შევიბყარ ხელითა, მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა“, — ამბობს ტარიელი, ანუ ცეცხლზე უფრო მხურვალე, ცეცხლზე უფრო დამწველი, ცეცხლის ცეცხლითო, თითქოს ცეცხლს სულს უბერავს, აჩაღებს, აძლიერებს.

„მობრუნდეს, ყმამან აეთანდილს ხელი შეუბყარა ხელითა, ერთგან დასხდეს და იტირეს დიდხან ცრემლითა ცხელითა“.

ეს უხმო სცენა ერთ დიდ პოემას უდრის. რამდენი რამეა ნათქვამი ამ ერთად ტირილით. ეს სულთა ნათესაობის, ერთნაირობის მიხვედრის სიხარულია, იმის ნეტარი განცდაა, რომ თითოეული მათგანი „სულითობოლი“ არ არის! ერთდროულად წამსკდარი ცრემლი სწორედ ამის დამამტკიცებელია. არ არსებობს უფრო მე-



ტყველი რამ, ვიდრე ორი მახლობელი სულის ერთ-  
დროული ღუმელია.

ასევე დიდებულია პოეტის მიერ ნაგრძნობი ჩვეულებრივი ძალით გადმოცემული სამყაროს დუმილი, როცა ავთანდილი ფიქრით ვარსკვლავებს ესაუბრება. ეს არის, თუ შეიძლება ითქვას, ღუმელის სიმღერა, ადამიანის ფიქრის იღუმალი გამოსხივება გარესამყაროში და, ამიტომაცაა, რომ ეს სიმღერა, ანუ ამეტყველებული ფიქრი, ერთნაირად ესმის ყველას და ყველადფერს: ადამიანს, წყალს, ხეს, ქვას, ნადირსა თუ ფრინველს...

ნახეთ, როგორი მოძრაობაა სულისა, როგორი ზუსტი გამოვლენაა განცდისა:

„ქალი ადგა, გამეყარა, დავწევ, ამაოდ დამეძინა,  
მაგრა შევკართი, საყვარელი ჩემი ენახე ძილსა შინა;  
გამელეძია, აღარა მყვა, სულ-დგმულობა მომეწყინა,  
ღამე ასრე გავათენე, მისი ხმაცა არ მესმინა“.

გაიხსენეთ ხალხური:

„ღამის-ღამ მომაგონდები,  
წამოვჯდები და ვტირიო“.

განა შეიძლება, თუნდაც ამ პატარა ფრაგმენტის შემდეგ, პოემაზე არ ილაპარაკო, როგორც ფსიქოლოგიურ ნაწარმოებზე? განა შეიძლება, ის სარაინდო რომანების ვიწროდ შემორკალულ ჩარჩოში ჩატოვო და არ განიხილო, როგორც თანამედროვე ფსიქოლოგიური პროზის საფუძველი და სტიმული?

საერთოდ, რუსთაველი ჩარჩოს ვერ იტანს. ის, რაც დასავლურ სარაინდო რომანში ქანრის დამახასიათებელ

ნიშნად ან რაინდობის თვისებად აღიქმებოდა, ვეფხის-  
ტყაოსანში ჩვენი ერის სულსკვეთებად, მისწრაფებად,  
თავისებურებად აღიქმებოდა. მაგალითად: „ვინ მოყვარესა  
არ ეძებს...“ კრეტიენ დე ტრუას რომანში ეს შეგონება რა-  
ინდს უნდა ახსოვდეს, რუსთაველის აზრით—ყველას!

რუსთაველი წერს ისე, როგორც მანამდე არავის  
დაუწერია, უპირისპირდება ყველას და ამ განდგომით  
ხდება ყველასი. მისი გმირები ცხოვრობენ და მოქმედებ-  
ენ ისე, რომ სრულიად განსხვავდებიან მანამდე ცნობილ  
ყველა გმირისაგან. ტარიელი რიდეს უგზავნის საჩუქრად  
ნესტანს, როცა ჩვენ საჩუქრების უზომობას შევე-  
ჩვიეთ არა მარტო აღმოსავლურ, არამედ მედიევლიური  
დასავლეთის ლიტერატურაშიც. ძალზე მოკრძალებულად  
ვიტყვი, თუმცა სითამამისთვის საფუძველი საკმარისად  
გამაჩნია, რომ შეიძლება ეს ერთგვარი ირონია ცი-  
იყოს იმდროინდელ პოეზიაში გამეფებული საჩუქრობა-  
მანიის მიმართ, იმის მსგავსი რამ, რაც შემდგომში სერ-  
ვანტესმა სარაინდო რომანის მისამართით გამოავლინა...

პოემის ტექსტის მდინარეებიდან რამდენიმე სიტყვა ის-  
მის განსაკუთრებული სიმძაფრით, მაგალითად: ცეცხლი,  
ცრემლი, ვეფხი, სისხლი, მზე... ეს სიტყვები, წყლიდან  
ამომსხლტარი თევზებივით, გაიბრწყინებენ ხოლმე  
ჰაერში, რათა ისევ იმაზე მიგვანიშნონ, რომ პოემის დი-  
დებული სტიქიონი სიცოცხლითაა სავსე.

ყველა ხალხი თავის მშობლიურ ენაში კითხულობს,  
ხედავს იმ ემოციურ-ხატოვან წარმოსახვათა ანბანს, რო-  
მელიც მთელი თავისი არსებობის მანძილზე შეუქმნია  
და რომელიც ემყარება ხალხის ისტორიულად ჩამოყა-  
ლიბებულ დამოკიდებულებას გარესამყაროსთან, მოვ-  
ლენების ფსიქოლოგიურ აღქმასა და შეფასებას. ადა-

მიანი მშობლიური ენის თავისთავადი პოეტურობიდან იღებს ბიძგს თავისი ფანტაზიის გასაშლელად, არც ერთი ენა, გარდა მშობლიურისა, მას ასეთ პოეტურ ხალღებს არ მოუვლენს. მშობლიური ენა ადამიანს ბიოლოგიური არსებიდან შემოქმედად გარდაქმნის. კაცი, რომელიც თავის მშობლიურ ენაზე მეტყველებს, ფიქრობს ან წერს, უკვე თავისთავად შემოქმედია, უკვე სახეებით აზროვნებს, ყოველი სიტყვა მისთვის, მართლაც, მხატვრული სახეა, გარკვეული სმენითი თუ მხედველობითი ასოციაციების აღმძვრელი. ადამიანი, ფაქტიურად, თავისი მშობლიური ენის სარკმლიდან უყურებს და აღიქვამს გარესამყაროს. ენა აყალიბებს არა მარტო ჩვენს წარმოდგენებს, არამედ ჩვენს ხასიათსაც. მართლაც, შეიძლება ითქვას, არსად ისე სრულყოფილად არ ასახულა, არ შენახულა საერთო-სახალხო ხასიათი, როგორც ენაში. მშობლიური ენა სხვა არაფერია, თუ არა მეტყველი საერთო ეროვნული ხასიათი, ბუნება. გარკვეული თვალსაზრისით, ენა ისტორიაა ერისა.

ერთი და იმავე ცნების მიმართ სხვადასხვა ხალხის დამოკიდებულება სხვადასხვანაირია, ისევე როგორც სხვადასხვაა მათი ისტორიული ბედი, გეოგრაფია, ბუნება, რწმენა, ცხოვრების წესი, ადამ-ჩვევები. აი, თუნდაც, სიტყვა ვეფხი, რომელიც ალბათ მთავარი სიტყვაა პოემისა, სიტყვა-ნეტაფორაა, ვეფხისტყაოსანში, ისევე როგორც საერთოდ ქართველი ხალხის წარმოდგენაში (და ესეც ვეფხისტყაოსნის წყალობით!) უკავშირდება სილამაზეს, სიმტკიცეს, შეუპოვრობას, გაბედულებას, რისხვასაც კი („ვეფხი პირ-გამეხებული“!). ეს სიტყვა ფერებითაა სავსე, მუსიკით, პლასტიკით და, რაც მთავარია, იგი ქალური საწყისის, ქალური მშვენიერების სიმ-

ბოლოცაა. ასეთი წარმოდგენა კი, რასაკვირველია, ძალიან განსხვავდება თუნდაც ვეფხისაგან გამწარებული, დაწითლებული ინდოელის წარმოდგენისაგან...

პომის სხეული იმდენად მკვრივია, იმდენად მოქნილი, რომ ცოცხალი არსების მოძრაობას მოგვაგონებს. ვეფხისტყაოსანზე შეიძლება ისევ რუსთაველის სიტყვებით ითქვას: „სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა“-ო. ეს პოემა ისეა სავსე პოეზიით, რომ დაკარგულია საზღვარი ფორმისა და შინაარსს შორის, იქმნება ფორმისა და შინაარსის აბსოლუტური ერთიანობის განცდა.

პომის ერთიანი მელოდია მკვრივი, პლასტიკური სხეულია, თითქოს ცალკე არსებობს თავისთვის, შევიძლება ხელითაც კი შევხხო, თითქოს შეიძლება კიდევ ამ მელოდიის მუსიკალური პარტიტურის შექმნა პომისაგან დამოუკიდებლად. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვითაა ასე. მუსიკა და სიტყვა ამ პოემაში გენიოსის ნებით სამუდამოდ ერთმანეთთან დაკავშირებული სიამის ტყუპები კი არ არიან, არამედ ერთდროულად, ერთმანეთში წარმოშობილი, საერთო სიცოცხლით გაერთიანებული ფენომენები.

არსებობს აშკარა, პირობითად მარტივი გარეგანი მელოდიურობა და არსებობს ფარული, შინაგანი მელოდია, მუსიკა, რომელიც ისევე უნდა აღმოაჩინო შენთვის, როგორც შენი სულის ცალი, შესატყვისი, ანუ შენი პოეზია ამ საუნჯეში, და რომელიც, ამავე დროს, არ ექვემდებარება არავითარ ლოგიკურ ახსნას. აქ გრძნობა ბატონობს და თუ გრძნობ, გესმის კიდევ! ეს მელოდია მკითხველის პოეტური სმენის პირდაპირპროპორციულია: რაც უფრო დახვეწილია და ფაქიზი მკითხველის მუსი-

კალური, პოეტური სმენა, რაც უფრო ღრმად შეუძლია მკითხველს მუსიკის განცდა, მით უფრო მდიდრულად ღრმა პოემის მელოდიაც. ამ მელოდიამ დაატყვევებდა გაამდიდრა ქართველი ხალხის გულისყური, ჩაესმოდა რა ბავშვობიდანვე, ისეთივე პირველი და დიდებული, როგორც დედის ნანიჩაა, ის ამ მელოდიაში იზრდებოდა, ამ მელოდიით ითქვამდა სულს და ამ მელოდიით კვდებოდა. „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა“ — ეს იყო ყველაზე ამაყი სიმღერა ჩვენი სულისა, რომელიც ჩვენს არსებობას ამ ქვეყნად ყველაზე სწორ გამართლებას აძლევდა.

ამრიგად, პოემის მთავარ მელოდიად მე მივიჩნევ არა სპეციფიკურად მუსიკალურ, გარეგნულ მხარეს, არამედ იმ დიად პოეტურ აზრს, რომელიც ისახება პოემის მხატვრობის თვალჩაუწვდენელ სიღრმეებში, როგორც სიცოცხლე ოკეანის წიაღში, ამოდის, თანდათანობით იძენს ძალას და უკვე სრულყოფილი გვევლინება, როგორც აზრის აზრი, სიტყვის სიტყვა, სიმღერის სიმღერა...

პოემა სავსეა ცოცხალი ხმებით: ტალღის ტყლაშუნით, ნაკადულის რაკრაკით, ცეცხლის ტკაცუნით, ცხენების ჭიხვინით... ისმის ძაღლების ყეფა, ნიჩბების ჩქაფუნე, დარაჯთა ყივილი და ყველაფერი ეს იმ „ბგერით პეიზაჟს“ ჭმნის, რომელიც კიდევ უფრო თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს ნაწარმოების შინაგან სამყაროს, ჩვენს თვალწინ მუსიკაში მხატვრობა ისახება!..


რუსთაველმა შესძლო, ბუნების მარადიულ და საიდუმლოებით სავსე მოვლენებისათვის, როგორცაა, ვთქვათ, მნათობთა ბრუნვა, მდინარეთა დინება, დღისა და ღამის მონაცვლეობა, ზღვათა ღელვა — დაეწყვილებინა, დაეკავშირებინა ასევე საიდუმლო მოძრაობა ადამიანის სულისა და ეს დიადი ერთიანობა ექცია ახალ სამ-

ყაროდ, თვისობრივად ახალ ადამიანთა ქვეყნად, რომელსაც თავისი მორალი, თავისი წეს-ჩვეულება, თავისი ბრწყინვა, ანუ ესთეტიკა გააჩნია, და ეს ქვეყანა ეხუჭებიანა კაცობრიობისათვის, როგორც ადამიანის შესაძლებლობათა პიმნი, ამდენად, როგორც ნუგეში, როგორც გამხნეება და, რაც მთავარია, როგორც იმედი. რუსთაველმა შექმნა გამოგონილი სამყარო, მაგრამ არც ერთ ქართველ ადამიანს არ შეუქმნია უფრო ქართული რამ, ვიდრეს ეს სამყაროა...

რუსთაველის გენიამ წარმოაჩინა ქართული ენის მზადყოფნა დიდი რომანული ამბების გადმოსაცემად, ადამიანის სულის უფაქიზესი ნიუანსების დასახასიათებლად, ყოველგვარი ადამიანური ვნების გასაანალიზებლად.

დანტე „ნადიმში“ იტალიურ ენას ქერის პურს უწოდებს, ანუ ყველასათვის ხელმისაწვდომს; რუსთაველმაც სწორედ ასეთ, ყველასთვის გასაგებ, ნათელ ენაზე დაწერა თავისი უკვდავი პოემა. აიყვანა რა უმაღლეს მწვერვალზე ქართული სალიტერატურო ენა, აქცია ის ქართველი ხალხის სულიერი აღზრდის ინსტიტუტად, შეიძლება ითქვას, ქართული ეროვნული ზნეობის საფუძვლად, ზნეობისა, რომელიც მოყვრის ერთგულებას, პიროვნების პატივისცემასა და ხალხთა მეგობრობას ქადაგებს.

რუსთაველმა აიღო ორი ერთნაირი, პარალელური ამბავი, პერსონაჟთა თითქმის ერთნაირი კონფიგურაციით და ამ თითქმის ერთნაირ ამბებს მიანიჭა აბსოლუტური განსხვავებულობის იერი, გმირთა ხასიათების ღრმად ფსიქოლოგიური განვითარების შედეგად. ის, რაც მიღწეულია ამ პოემაში, როგორც ხელოვნების ქმნილებაში, რასაკვირველია, გმირთა იდეალიზაციის გზით ვერ მიიღწეოდა. უკეთეს შემთხვევაში, ორი სხვადასხვა ფერის



ნახევარსფერო დაეხურებოდა ერთმანეთს, შეიკვრებოდა წრე, ბურთი, იდეალურად დასრულებული, სრულყოფილი, მაგრამ ეს იქნებოდა მხოლოდ ლამაზი, უაზრო-გაზრდასი თობის საგანი.

ვეფხისტყაოსანი პოლიფონიური რომანია. ორი, სხვადასხვა მხრიდან ერთდროულად დაძრული სიუჟეტი გზას მიიკვლევს პოეტური ხილვების ლაბირინთში. ისევე, როგორც გვირაბის გაყვანის დროს, პოემაშიც „გზა“ ერთდროულად ორი საპირისპირო მხრიდან იჭრება, ერთმანეთის შესახვედრად მიილტვის ორი სიუჟეტური ამბავი, პირობითი აღნიშვნით — „არაბეთი“ და „ინდოეთი“. აეთანდისა და ტარიელს, სიუჟეტური თოკების ამ პირველ გამკვანძავებს, მოსდევს „უთვალავი ფერით“ აჭრელებული ორი სამყარო, ორი სისტემა, ორი გალაქტიკა, დიდი შემოქმედის წყალობით, ერთმანეთის გვერდით და ერთმანეთში ჰარმონიულად განფენილი, ასეთი ძალით რომ ავსებენ და ამდიდრებენ ჩვენს წარმოდგენებს.

ამავე დროს, ეს ორი სამყარო, რაც უფრო უახლოვდება ერთმანეთს, მით უფრო ნათელი ხდება მათი განსხვავებაც. გრანდიოზული მეტაფორები თუ სახეები, რა თქმა უნდა, არ შეიძლება აღვიქვათ, როგორც კონკრეტული სინამდვილის, კონკრეტული ისტორიული სიტუაციისა თუ მომენტის ამსახველი ჩვენებანი, ამოდ შევეცდებით მათში ისტორიული ალეგორიების აღმოჩენას, რადგან, როგორც ეს მოხდება, ანუ როგორც კი პოემის რომელიმე მხატვრულ სახეს დაუუკავშირებთ ნებისმიერ ისტორიულ პიროვნებასა თუ ფაქტს, დაიკარგება კიდევ ის მთავარი, რითაც ეს პოემა ერთდროულად განუმეორებლობის, იდუმალებისა და მიუღწევლობის განცდას ბადებს, ანუ დაიკარგება პოეტური სიმართლე, რომლის



წყალობითაც პოემაში არ არის არც ერთი არამოტივირებული ეპიზოდი და რაც თითქოს ალოგიკურად გვეჩვენება, სწორედ ისაა სილიადე პოეტისა, საკვირველო პოეტური ლოგიკით გამართლებული, რაც ძირითადად განსაზღვრავს კიდევ პოემის ღირსებას. ეს არის ადამიანის ბუნებრივი ქცევის ლოგიკა, ადამიანურობის აქამდე შეუმჩნეველი ნიუანსების ჩვენება.

ადამიანთა ურთიერთობის ერთ-ერთი ასეთი ნიუანსია ვეფხისტყაოსანში ხშირად ნახსენები „ჭრელად ლაპარაკი“! ნათქვამია, კაცი ერთს ფიქრობს, მეორეს კი ამბობსო. ვეფხისტყაოსანში ადამიანის ეს თვისება მხატვრულ ხერხადაა ქცეული და სრულყოფილებამდე მიყვანილი. ამიტომაც, ზოგ შემთხვევაში, წმინდა წყლის სიმართლედ, ანდა უფრო ზუსტად — გმირის ნამდვილ აზრად არ უნდა მივიღოთ ის, რასაც ხმამაღლა ამბობს, უსათუოდ უნდა ვეცადოთ, მივხედეთ, თუ რას მალავს! ეს კი მნიშვნელოვანია თუნდაც იმიტომ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მკვლევარები ვერ ანსხვავებენ ერთმანეთისაგან ავტორისა და მისი პერსონაჟების შეხედულებებს, პოზიციებს...

ვეფხისტყაოსანში „ჭრელად ლაპარაკი“ ორჭოფულ ლაპარაკს ნიშნავს, ცარიელი სიტყვებით შენიღბულ სიცრუეს. „მომისმინე, მართლად ვითხოვ, არა ჭრელად“, — მიმართავს ავთანდილი შერმადინს. საგულისხმოა, რომ ტარიელს საკადრისად არ მიაჩნია ჭრელად ლაპარაკი: „რადმცა რა ვჰკადრე მეფესა თხოვრა სასაცა ჭრელისა“, მაგრამ „ჭრელად“ ელაპარაკება თინათინი ავთანდილს, ავთანდილი — როსტევანს, როსტევანი — ავთანდილს და თვით ტარიელი — ფარსადანს: იმიტომ მოვკალი ნესტანის საქმრო, ინდოეთის ტახტს



ვერავის დავუთმობო. ფარსადანი ამ ჭრელი ლაპარაკის  
 ნამდვილ აზრს ჩაწვდება — თუ ჩემი ქალი გინდოდა, რატომ  
 ტომ არ მითხარო? — ასე უპასუხებს და უპასუხებს  
 „ჭრელად“ — ეს უსინდისო კაცის პასუხია, რადგან  
 ფარსადანმა ძალიან კარგად იცოდა, ნესტანსა და ტარი-  
 ელს ერთმანეთი რომ უყვარდათ. „ვიცი, ვიცი... მას  
 უყვარდა ქალი ჩემი“ — ესეც ფარსადანის სიტყვებია!

„ჭრელად ლაპარაკი“ სასახლის ენაა! პოემის  
 გმირთა ხასიათების განხილვისას ამის გაუთვალისწინე-  
 ბლობა არ შეიძლება.

მკვრივი, თავისთავადი და მხურვალე სიუჟეტი „სპარ-  
 სულ“ ანუ ზღაპრულ, უცნაურ ამბავს სიცოცხლის ტემ-  
 პერატურას ანიჭებს, ჭრის გზებს ახალი სივრცეების წია-  
 ლში, იმ ყრუ კედელში, რომელიც აქამდე გარს ერტყა  
 ჩვენს წარმოდგენებს, ჭრის სარკმელს, რათა გმირებმა  
 თავისუფლად ისუნთქონ. სიუჟეტის საოცრად სიმეტრიუ-  
 ლი განტოტებები ნაწარმოების თვალუწვდენელ ველებ-  
 ზე წყალუხვი არხებივით განფენილან. მართლაც, სიუ-  
 ჟეტს პოემაში დიდი როლი აკისრია ამ პოეტური წალ-  
 კოტის აყვავებისათვის.

ვეფხისტყაოსანი მაქსიმალურად შეკრული, მოკლე  
 პოემაა, ალბათ იმ ტექსტზეც მოკლე, ამჟამად ხელთ რომ  
 გვაქვს, (ვგულისხმობ 1957 წლის გამოცემას). მკვლევარ-  
 რების სამართლიანი მოსაზრებით, ინტერპოლატორები და  
 გადამწერები ტექსტს არ ამოკლებდნენ, არ კვეცავდნენ,  
 დამატებით კი საკმაოდ ბლომად ამატებდნენ, მით უფრო,  
 რომ ამგვარი დამატება სანაქებო საქმიანობადაც კი ით-  
 ვლებოდა.

„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“-ო, გვასწავლის  
 შოთა რუსთაველი. რუსთაველის აზრით, ბრძენი ის არის,



ვისაც გრძელი სიტყვის მოკლედ თქმა შეუძლია. ასეთი შეხედულება ბრძენზე საერთოდ გავრცელებულია. ახლა შეუა საუკუნეებში. აი, არჩილი ფიქრობს, რომ ბრძენისაა, რუსთაველისაგან განსხვავებით, არ იცოდა გრძელი სიტყვის მოკლედ თქმა, ამიტომაც არ იყო ბრძენიო: „თუმც უხვია თეიმურაზ, მაგრამ სიბრძნეს კი არ გაცემს“!

„ჰამლეტის“ ერთ-ერთი უჭკვიანესი პერსონაჟი (იქ ყველანი საოცრად ჭკვიანები არიან!) — პოლონიუსი ამბობს: „მაშ, მოკლედ ვიტყვი, მოკლე სიტყვა სულია ჭკუისა, გრძელი სიტყვა კი მხოლოდ მისი სამოსელია“-ო. სწორედ ჭკუის, გონების სულია ის შუქი, ვეფხისტყაოსანს შიგნიდან რომ ანათებს, ერთნაირად რომ გვიზიდავს, მოგვიხმობს ყველას, რადგან გენია თავის მკითხველს არ ანსხვავებს, ის ყველას ეკუთვნის და ყველა მისია.

ჩვენი ტექსტოლოგი მეცნიერების მიერ პოემის ტექსტის კვლევისა და დადგენის სფეროში მიღწეულმა აშკარა წარმატებებმა ერთგვარად არასასურველი შედეგიც გამოიღო: ტექსტოლოგებს გაუჩნდთ პრეტენზია პოემის მხატვრული რაობაც თვითონვე დაედგინათ. ეს, რასაკვირველია, ცოდვა არ არის, როგორც ვთქვი, გენია ყველას ეკუთვნის, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ტექსტოლოგებმა იმავე ინსტრუმენტებით, იმავე კაბინეტში დაუპირეს პოემას ოპერირება, სადაც ადრე მხოლოდ ასე რიგ საჭირო ფილოლოგიურ პრობლემებს სწყვეტდნენ.

თუკი მეცნიერული ტექსტის ლოგიკა არსებობს, და მის არსებობაში ეჭვი არც შეიძლება ვინმეს შეეპაროს, ასევე მის გვერდით, მის პარალელურად არსებობს პოე-



ტური ტექსტის ლოგიკაც და ესეც ყველასთვის ცნობილი ამბავია... ამავე დროს, ეს ერთდროული, პარალელური არსებობა სრულებითაც არ არის მშვიდი და უმტკივნეულო პროცესი. ეს ორი „ლოგიკა“ ერთმანეთის გვერდით ვერაფრით ვერ თავსდება, ვერ ეგუება ერთმანეთს და, რა თქმა უნდა, ესეც არ არის საკვირველი. ამ ორი „ლოგიკის“ ერთმანეთთან ბრძოლის ტიპიურ ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი ფრაგმენტის წაკითხვის ამბავი. ჯერ გავიხსენოთ ეს ფრაგმენტი: თინათინი ავთანდილს უცხო მოყმის საქმბნელად წასვლას უბრძანებს, თავის სამფლობელოში მიბრუნებული ავთანდილი ერთგულ მსახურს შერმადინს ეტყვის:

„უბრძანა: „აჰა, შერმადინ, ამაღ მე შენგან მრცხვენიან, ჩემნი საქმენი ყოველნი გცოდნიან, გაგივლენიან, მაგრა არ იცი, აქამდის რანიცა ცრემლი მდენიან! მე ვისგან მქონდეს პატიენი, აჲ მასვე მოუღბენიან. (151)

„მოვეკლავარ თინათინის სურვილსა და სიყვარულსა, ცრემლი ცხელი ასოვლებდის ნარგისთავან ვარდსა ზრულსა, ვერ ვაჩენდი აქანამდის ჰირსა ჩემგან დაფარულსა, აჲ მიბრძანა სიამედო, ამაღ მხედავ მხიარულსა. (152)

„მიბრძანა: „მიცან ამბავი მის ყმისა დაკარგულისა, მოხვიდე, სრულ-ვქნა მაშინდა შენი წაღილი გულისა, ქმარი არ მინდა უშენოდ, მომხედეს ხისაცა რგულისა!“ მომცა წამალი გულისა, აქამდის დადაგულისა“. (153)

ეს ადგილი ასე იკითხება 1957 წელს დასტამბულ პოემაში, ისევე, როგორც თითქმის ყველა ჩემთვის ცნობილ ტექსტში, გარდა ვახტანგ VI მიერ გამოცემული ტექსტისა. ყველა მკვლევარი, რომელიც მხარს უჭერს აღნიშნული ადგილის ასეთ ვარიანტს, ფიქრობს, რომ შუა (152) სტროფი ხელს უწყობს დანარჩენი ორი სტროფის (151, 153) აზრობრივ დაკავშირებას. ვახტანგ VI კი, როგორც

ვთქვი, ეს სტროფი თავის გამოცემაში ამოღებული აქვს, რასაც „ხარვეზად“ უთვლიან. როგორც ჩანს, ვახტანგს ეს სტროფი ჩამატებულად, ზედმეტად მიუჩნევია და, ჩემი ღრმა რწმენით, სამართლიანადაც.

საქმე ის არის, რომ თუ არ გავითვალისწინებთ მოსაუბრეთა — ავთანდილისა და შერმანდინის — ურთიერთდამოკიდებულებას, თუ არ გავითვალისწინებთ თითოეული მათგანის ხასიათს, იმ მორალურ თუ ეთიკურ, თუნდაც კასტურ (რაინდულ) კოდექსს, რომლის დაცვაც ორივეს (განსაკუთრებით — ავთანდილს!) ევალება, თუ არ გავითვალისწინებთ მიჯნურისადმი ან საერთოდ სიყვარულის გაგებისადმი რაინდთა დამოკიდებულების მაშინდელ თავისებურებას, მაშინ ეს შუა (152) სტროფი პოემის ტექსტში მართლაც აუცილებელი მოგვეჩვენება, მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ ყველაფერს იმას, რაც ზემოთ მოგახსენეთ და რისი გაუთვალისწინებლობაც დაუშვებელია, მაშინ კიდევ ერთხელ უნდა ვირწმუნოთ ვახტანგის გამპრიახობა და ეს სტროფი ტექსტიდან უსათუოდ ამოვიღოთ!

ვახტანგ VI ამ შემთხვევაშიც გამოამჟღავნა რუსთაველის ერთი უპირველესი მწერლური თვისების ღრმა ცოდნა: პოეტისათვის დამახასიათებელია მაქსიმალური ლაკონიურობა, გარდა ამისა, ის უალრესად ზუსტია ხასიათთა ფსიქოლოგიური შენების დროს, ფხიზლად მისდევს მხატვრულ, პოეტურ ლოგიკას, ნაწარმოების შინაგან კანონზომიერებას.

განა ავთანდილმა არ იცის, შერმანდინს მისი და თინათინის ამბავი შეტყობილი რომა აქვს? განა ეს ამბავი არაბეთში ვინმესთვის საიდუმლოა? მაგრამ, ამავე დროს, არავის, თვით შერმანდინსაც კი, ავთანდილისაგან არ გაუ-

გია ეს ამბავი, ავთანდილს ერთხელაც კი არ დასცდენია თავისი მიჯნურის სახელი, რადგან ეს დაუშვებელია რძალული იყო რაინდული კოდექსით. დასავლეთ ევროპის კურტუზიაში რაინდისთვის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მძიმე დანაშაულად ითვლებოდა სატრფოს სახელის გამხელა!

„არს პირველი მიჯნურობა არ-დაჩენა ჳირთა, მალვა“, — ამბობს რუსთაველი და ამასაც ამბობს: მიჯნური „ხამს, თვისსა ხვაშიადსა არვისთანა ამჟღავნებდეს“-ო. და კიდევ: „ავად შეჰფერობს მიჯნურსა მიჯნურობისა ცხადება“! ყველას გვახსოვს, რასაკვირველია, ავთანდილის შემდეგი სიტყვები: „ღმერთო, მიჯნურობა არ დამაჩნდეს, და-მცა-ვფარე“! ამასთანავე, ყველას გვახსოვს ის საბედისწერო ღუმელიც ტარიელისა, როდესაც ნესტანის და, ამდენად, მისი ბედიც წყდებოდა საბჭოზე. ვერ თქვა, მე მიყვარს ნესტან-დარეჯანიო და ვერც იტყოდა, არა მარტო იმიტომ, ნესტანმა რომ აუკრძალა, არამედ იმიტომაც, ჳეშმარიტი რაინდი რომ გაზღდათ და უმალ სიკვდილს არჩევდა სატრფოს სახელის გათქმას.

„მრცხვენიან“-ო, ამბობს ავთანდილი, მაგრამ დარწმუნებულია, შერმადინი გაუგებს და აპატიებს. ისიც იცის, შერმადინისთვის, ისევე როგორც მრავლისთვის და მრავალისთვის, ცნობილი რომაა მისი მიჯნურის სახელი. შეიძლება ითქვას, თინათინი ავთანდილის ოფიციალური სატრფოა: „...ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არ ნაჳორად“, — ეუბნება თინათინი ავთანდილს. აი, შერმადინი იმას კი ვერ აპატიებდა ავთანდილს, მისთვის სატრფოს სახელი რომ გაემხილა, ანუ პირიქით რომ მომხდარიყო და არა ისე, როგორც მოხდა.

„მრცხვენიან“-ო! — არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ



ამას ავთანდილი ამბობს, „ჭრელად ლაპარაკის“ ოსტატი. თანაც, რად უნდა მის სიტყვებს დაზუსტებასა და საჭიროა იმის ახსნა, თუ ვინ უბრძანა ავთანდილს უცხო მოყმის მოძებნა, რა ისეთი გაუგებარია შერმანდინი, ვერ მიხვდეს, ვის შეეძლო დაევალებინა, ებრძანებინა ავთანდილისთვის ეს? ასეთი ადამიანი არაბეთში ორია — როსტევანი და თინათინი. მაგრამ ავთანდილი ხომ ამბობს, მან მიბრძანა, ვისი გულისთვისაც „ცრემლი მდენიან“-ო, ვინც მითხრა, „ქმარი არ მინდა უშენოდ“-ო! ამას რაღა გამოცნობა უნდა, რაღა ახსნა, რაღა დაზუსტება? ისღა დაგვრჩენია, სინანულით ვთქვათ, რამდენად უფრო ეკონომიურად და გონივრულად ხმარობდნენ სიტყვებს ძველად...

ისევე, როგორც მუსიკალურ ინსტრუმენტს ვერ ააწყობ, თუკი მუსიკალური სმენა არა გაქვს, პოეტური ტექსტსაც (მეცნიერულსაც!) ვერ დაადგენ, თუკი პოეტური სმენა არ გაგაჩნია...

ვახტანგმა იმიტომ ამოიღო ეს სტროფი (152), კარგად რომ იცოდა, კარგად რომ გრძნობდა რუსთაველის ხელწერის თავისებურებას, პოემის ერთიანი მელოდიის ჟღერას. უამსტროფოდ ეს პაწაწინა ფრაგმენტი უცებ ღრმა ქვეტექსტით იტვირთება, კიდევ ახალ განზომილებას იძენს. ის, მართლაც, აისბერგსა ჰგავს, რომელსაც მხოლოდ თავი მოუჩანს წყლიდან. ოღონდ, შუბლზე ნუ წავაწერთ, ეს აისბერგიაო...

ორი ძლიერი სვეტი, ორი შემოქმედებითი იდეა, რომელზედაც დგას ვეფხისტყაოსანი, არის ძეგლი და პოვნა! ისევე, როგორც ევროპული სარაინდო რომანის ერთ-ერთმა ცნობილმა მკვლევარმა თქვა, „ტრისტანი და იზოლდა“ შუა საუკუნეების დასავლეთის ყველაზე „სა-

ზღვაო“ რომანიაო, ჩვენც შეგვიძლია, ვეფხისტყაოსანთან დაკავშირებით გავიმეოროთ, რომ ის ყველაზე უფრო ზღვაო“ ნაწარმოებია ქართულ ლიტერატურაში!

შეიძლება ითქვას, პოემაში ყველაზე აშკარა სიმბოლო — ზღვაა. სწორედ ზღვასთანაა დაკავშირებული ძებნის იდეა, რომელიც სიუჟეტის მამოძრავებელი მოტორის როლს ასრულებს.

ამ პოემაში დაეძებენ ერთმანეთს და პოულობენ საკუთარ თავს: „იგი პოვეს, რაცა ძებნეს“.

ზღვა პოემის დასაწყისშივე შემოეგებება მკითხველს („უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების“). ამის შემდეგ, სხვადასხვა ვითარებაში, სხვადასხვა სახით ხშირად გამოჩნდება იგი: ზოგჯერ, როგორც პოემის გეოგრაფიის ისეთივე შემადგენელი ნაწილი, როგორც ველია, ტყეა, ანდა მთებია; ზოგჯერ კი, როგორც რთული მეტაფორის საწყისი საფეხური, უფრო სწორად — საფუძველი. აი, სიყვარულის პირველი ელდისაგან თავზარდაცემული ტარიელი გაშოტილი წევს, აქეთ-იქიდან „ჯალაბნი“ უსხედან, ვით მენავენი: „გარე მომრტყმოდეს ჯალაბნი, ვითა ჩამსხდომნი ნავისა“. ტარიელის — ინდოეთის ამირბარის, ანუ აღმირალის — ასოციაცია მეზღვაურის ასოციაციაა: მაშინ ხომ ორივე მხარეს ჩარიგებულ მენიჩბეები მართავდნენ ხომალდს! ამ მეტაფორაში ყველაფერი მოძრაობს, შეიძლება ითქვას, ეს „მოძრავი“ მეტაფორაა. მოძრაობა კი, თავისთავად, მეტაფორის მეორე მნიშვნელობასაც ცხადყოფს, უფრო განზოგადებულსა და იდუმალს: ამ ნავით ტარიელი სხვა, ახალ სამყაროში გადადის, ამ ახალ სამყაროს კი სიყვარული ჰქვია.

ზღვა ამ პოემაში, შეიძლება ითქვას, შინაა, ხოლო





ამ პოემის ავტორი თითქოს ზღვის ნაპირზეა დაბადებული და გაზრდილი („ზღვისა პირსა“), ზღვასთანაა შერწყმული და დაკავშირებული მისი ფიქრი და ოცნება მორეულ ქვეყნებსა და ფათერაკებით სავსე მოგზაურობაზე, ვხედავთ ნავსადგურებს („ზღვის კიდე“), ნაევებს, ხომალდებს („მეფემან ნავი-ხომალდი მოკაზმა ზღვასა კიდესა“), ვხედავთ მეკობრეთა გრძელდროშიან გემს, რომელსაც ნავთა დასამსხვრევად ცხვირზე სახნისი აქვს მიმაგრებული. „გამოჩნდა ნავი მეკობრე, დროშითა მეტად გრძელითა, მას ნავსა ნავთა სალექწად სახნისი ჰგია ძელითა“, მართლაც, შემზარავია მეკობრეთა ხომალდის დროშის დანახვა მოგზაურთათვის, ამიტომაცაა, ასე „გრძლად“ რომ მოსჩანს (თუ ეჩვენებათ), მთელ ცას რომ ფარავს...

ზღვა არის ის ორიენტირი, რომელსაც ადამიანი მგზავრობის დროს განსაკუთრებით გამოჰყოფს: „აღმოსავლეთით წადიო, პირსა იარე ზღვისასა“. ადამიანი ცდილობს ზღვასთან, როგორც კეთილ სტიქიასთან, მუდამ ახლოს იყოს: ზღვის პირას ნადირობს, კოცონს ზღვის პირას ანთებს, ზღვის პირას ათევს ღამეს: „თხა მოკლეს და მიითრიეს, ცეცხლი შეჰქმნეს ზღვისა პირსა“...

ზღვასთან პოეტი ასე ძლიერად რომ არ იყოს დაკავშირებული, ნამდვილად ვერ შეიქმნებოდა ასეთი ბრწყინვალე სახე: „ზღვასა შეველ, მომეგება მეომარი, ვითა ღელვა“.

და, რაც მთავარია, პოემაში ზღვა უკავშირდება ნე სტანის ძებნას.

მართალია, ზღვა პოემაში რეალისტურად წარმოდგენილი სამყაროა (არც ზღვის „ქვიშიანი“ ნაპირი გამორჩა პოეტის თვალს, ამიტომაც, მეჭარავნეთა და მეზღვაურთა

ფეხის ხმაც გვესმის, ნაპირზე ხრამხარეში რომ და-  
დიან!), მაინც აშკარა იღუმალეებით არის მოცულნი. ნეს-  
ტანი ზღვაში დაკარგეს („იქ, სადაც ზღვისა ქიპია“), მზე  
ზღვაში ჩაიკარგა. რუსთაველის ცნობილი მხატვრული სა-  
ხე „მზიანი ღამე“ ამ შემთხვევაში მთელი ნაწარ-  
მოების მამოძრავებელი იდეის — ძე ბნის სიმბოლური,  
განზოგადებული ხატია, რომელშიაც, არსებითად, მოქ-  
ცეულია მთელი პოემის დედააზრი: ღამეში ჩაკარგული  
მზის პოვნა და დაბრუნება, ანუ სიკეთის გამარჯვება ბო-  
როტებაზე!

ამრიგად, თეოლოგიურმა კლიშემ ამ პოემაში ასეთი  
პოეტური მნიშვნელობა, აზრი შეიძინა: მზე ზღვაში ჩაინ-  
თქა, ჩაიმალა, ქვეყანაზე ბინდი ჩამოწვა, მაგრამ ადამიან-  
ის გულმაც და გონებამაც იცის, რომ ამ ბინდში სად-  
ღაც მზე იმალება, ამდენად, ეს ბინდი მზიანია! ბნელში  
ჩაკარგულ მზეს დაეძებენ პოემის გმირები — ტარიელი, ავ-  
თანდილი და ფრიდონი. მზის ძებნა გაცილებით დიადი მი-  
ზანია, ვიდრე სატრფოს ძებნა, ანდა უკეთესია თუ ვიტყვი,  
რომ რუსთაველის მიერ სატრფოს ძებნა გათანაბრებულია  
მზის ძებნასთან. მალე ამ ნაპოვნი მზით, ანუ ღამიდან  
გამოხსნილი მნათობით, გაკაშკაშდება გმირთა სახეები  
და ის აზრიც გაკაწრავს ჩვენს გონებას, რომ ისინი იმი-  
ტომ ეძებდნენ მზეს, რათა ეპოვნათ და დაენახათ საკუ-  
თარი თავი! აი, ის დიადი პოეტური აზრი, რომელმაც  
პოემა ყველაზე მაღალ რენესანსულ ქმნილებათა შორის  
მოაქცია.

„მზიან ღამეს“ — ამ თეოლოგიურ კლიშეს, პოემაში  
სხვა მნიშვნელობაც აქვს მინიჭებული მაგრამ ამაზე  
ქვემოთ ვილაპარაკებ.

რადგან ზღვაზე ჩამოვარდა საუბარი, მინდა თქვენი



ყურადღება ერთ გენიალურ სიტყვას მივაპყრო. დიხს, ერთი სიტყვაც შეიძლება იყოს გენიალური, თუცა მისი ტად თავის დროზე და თავის ადგილზე იქნებამანამ არ იქნა თუკი შესძლებს მთელი ამბის მაგივრობა იკისროს. ეს სიტყვა გახლავთ „მომეწყინა“ ტარიელის ფრაზაში: „ზღვა-ზღვა ცურვა მომეწყინა“!

ტარიელისთვის ხომ ზღვა, ისევე როგორც ვეფხის ტყავი, ნესტანის განსახიერებაა, ამიტომაც არ არსებობს მისთვის უფრო პოეტური რამ, ვიდრე ზღვაა! და მაინც სწორედ ეს ადამიანი ამბობს ამ სიტყვას — „მომეწყინაო“ და იტყვის თუ არა, მაშინვე ზღვას დაუბრუნდება კიდევ თავისი ჩვეულებრიობა. ჩვენს წარმოდგენაში მაშინვე წამოიშლება ყოველდღიური ერთფეროვნებით გაბეზრებული მეზღვაურების სახეები, ანძაზე ზურგით აკრული მათი მეთაურის მუღმივი სიფხიზლისაგან დაძაბული და დაღლილი თვალები, მეზღვაურთა ღარიბი, ერთფეროვანი ტრაპეზი, გემბანის ხეხვასა თუ ნიჩბებისაგან დაბეზრებული ხელისგულები. აი, რა შეუძლია ერთ სიტყვას, აი, რა ძალით შეუძლია ერთი სიტყვით მაქსიმალური ეფექტის მიღწევა რუსთაველს...

რუსთაველის სიდიადე პოეზიის ენაზე ამეტყველებული ცხოვრებისეული სიბრძნეა, სიმართლეა ადამიანის ბუნების შესახებ. ზემოთ ვთქვი, რუსთაველი ფილოსოფოსი კი არა, პოეტია-მეთქი დამაინც, თუკი რომელიმე ქართველი პოეტი იმსახურებს იწოდებოდეს ფილოსოფოსად, ეს, რასაკვირველია, რუსთაველია, თუკი ფილოსოფიის ცნებას ძალიან ფართო გაგებით ავიღებთ, ერთგვარი სისტემის სახით წარმოვიდგენთ რუსთაველის დამოკიდებულებას ადამიანებსა, ღმერთსა, განგებასა თუ ბუნების მოვლენებთან.



გრანდიოზული პოეტურობით გასხივოსნებულ ამ „სისტემას“ საფუძვლად უდევს აზრის მიზანდასახულობის მოძრაობა ბოროტების დასათრგუნავად. ასე რომ, მთელი „ფილოსოფია“ ამ ცენტრად ქცეული იდეის გარშემო თავმოყრილი, ამ იდეის გარშემო ბრუნავს, ბრწყინავს, ცოცხლობს...

რუსთაველის მიხედვით, ადამიანის ცხოვრებას ორი უზენაესი ფენომენი განაგებს: „სოფელი“ („საწუთრო... ყოვლისა დამამხობელი“), რომელიც დაუნდობელია, რომელსაც განსაკუთრებით ტარიელი ვერ შეთვისებია, და ღმერთი („ღმერთი ერთი“), რომელთანაც მეტად საინტერესო, მეტად „ადამიანური“ დამოკიდებულება აქვს აეთანდილს.

„სოფელი“ პოემაში მეტაფიზიკური ცნებაა, მეტაფიზიკური კეტეგორიაა. ეს ამბავი უკვე თავისთავად მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ უზენაესი ფენომენის ასეთი წარმოდგენა პოეტური აზრია და არა პოეტის პირადი რელიგიური რწმენა, რომელიც უდავოდ ქრისტიანულია. რუსთაველი ავტორია პოეტური რელიგიისა და, თუნდაც ამიტომ, არ შეიძლება ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თეოლოგიური მოძღვრების „ადეპტად“ ჩაითვალოს.

პოემაში „სოფელი“ და „ღმერთი“ ორ, ერთმანეთთან დაპირისპირებულ მხარეს წარმოადგენს, ამავე დროს, ორივე ერთად განგებაა! განგება მკაცრია: სინათლეს „ახლავს“ სიბნელე, ყველაფერი ისე ხდება, როგორც განგებას სურს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანი განგების ყურმომჭრილი მონაა. თუნდაც, ეს ფრაზა: „ვის მოუკლავს სიკვდილამდე თავი კაცსა მეცნიერსა“ — გვაუწყებს ადამიანის თავისუფალ ნებაზე — წარმართოს თავისი სი-



ცოცხლე ისე, როგორც თვითონ უნდა, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ბოლომდე, სიკვდილამდე იბრძოდეს მისი სიცოცხლისთვის.

სადაც სიცოცხლეზეა საუბარი, იქ უსათუოდ სიკვდილიცაა ნაგულისხმევი. ამიტომ, ეს დრამატიზებული სიცოცხლე თითქოს უფსკრულებზე გადადის, ამ უფსკრულების იღუმალი სიჩუმითა თუ სიბნელითაა შემოხაზული, შემოწერილი მისი წრე, სივრცე, თუნდაც უსასრულობა, რადგან ამ პოემაში ერთი ნათელი უსასრულობა (სიცოცხლე) მეორე ბნელი უსასრულობით (სიკვდილით) იზომება. ამიტომაც, პოემაში ყველაზე მარტივ კონტრასტს — სიცოცხლესა და სიკვდილს, სინათლესა და სიბნელეს — ასეთი ღრმა აზრი რომ ენიჭება.

ამ ერთ-ერთ ყველაზე უფრო მართალ წიგნში, არც სიკვდილის შიშია დავიწყებული. გავიხსენოთ თუნდაც ამბავი შერმადინისა, რომლის სახელიც ქართველი კაცის წარმოდგენაში ერთგულების სინონიმად ქცეულა. ხომ დაუჭერებელია, რომ მან ავთანდილს უღალატოს (შეიძლება ეს სიტყვა — „ღალატი“ მისი მისამართით არც კი უნდა მეხმარა, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა ვერ მოვიძებნე), მაგრამ აი, შეხედეთ, როგორ იქცევა ის როსტევან მეფესთან შეხვედრის დროს და დასკვნა მერე გამოვიტანოთ, თუმცა, აქვე უნდა ვთქვა, ეს საქციელი მას სრულებითაც არ ამცირებს ჩვენს თვალში, ოდნავადაც არ ბლალავს მის კეთილშობილებას, რამდენადაც, რაც მთავარია, ამის გამო არაფერი უშავდება ავთანდილს.

შერმადინი როსტევანს ავთანდილის ანდერძს რომ გადასცემს, ეტყვის:

მოახსენა: საწოლს ვპოვე  
ესე მისგან დანაწერი“-ო.

კი მაგრამ, ავთანდილმა ხომ უბრძანა, სთხოვა, წერილი შენი ხელით მთავარი მეფეს და ყველაფერი შენებურად, ბრძნულად მოახსენეო?

„მისცა ანდერძი შერმადინს, რა გაათავა წერითა, უთხრა: „ჰადრეო მეფესა საქმითა მეცნიერთა, შენ დაგამეტებს ვერავინ მსახურებითა ვერთა“. მოეხვია და ატირდა ცრემლითა სისხლთა ფერთა“!

ეტყობა, ავთანდილს შერმადინის იმედიც ჰქონდა, სიტყვას შემაწევსო. რაც უნდა ძნელი წარმოსადგენი იყოს, სიმართლე ის გახლავთ, რომ შერმადინი არ ასრულებს ავთანდილის თხოვნას, ბრძანებას და ეს იმიტომ ხდება, სიკვდილის რომ ეშინია. ტყუილად არ წერს რუსთაველი: „მოვიდა მონა შერმადინ მოშიშრად, სირცხვილიანად“-ო. როსტევეანი მომკლავსო, ფიქრობს და ამ შიშს ამელავნებს კიდევ, უფრო სწორად, შიშს სახელს არქმევს: „მე თუ მომკლავთ, მემართლებით, სიცოცხლე მკირს შეუფერი“-ო, ეუბნება მეფეს და მასაც ატყუებს, რადგან, მართალია, ეუბნება, თუ მომკლავთ, კარგს იზამთ, სასიცოცხლო აღარა ვარო, მაგრამ გულის სიღრმეში, რასაკვირველია, სიცოცხლე სწყურია, პირველი ტყუილი ხომ სწორედ ამიტომაცაა თქვა — ეს წერილი ავთანდილის საწოლ ოთახში ვიპოვეო. მას რომ სიკვდილის არ შეშინებოდა, ავთანდილის დანაბარებს პირნათლად შეასრულებდა, აქ ის მომენტიცაა საინტერესო, რომ როსტევეანს შეუძლია სრულიად უდანაშაულო ადამიანი მოკლას! ეს უნდა დავიმახსოვროთ...

ვეფხისტყაოსანში სასწაული და გმირობა არ შორდება ადამიანის შესაძლებლობათა ფარგლებს. აი, ტარიელი, მართალია, გმირია, მაგრამ მის გმირობაში არაფერია



არაჩვეულებრივი, ზებუნებრივი, სასწაულებრივი რიელი ხატაელებს მხოლოდ იმიტომ დაამარცხებდნენ, ნასწარ რომ გააფრთხილებს ვიღაცა: ხატაელები მახეს გიგებენო. გაფრთხილებული ტარიელი უკვე თავის მხრივ ატყუებს რამაზს. ამ შემთხვევაში მისი ქმედება ელინთა უტკვიანესი და უეშმაკესი გმირის საქციელს გვაგონებს. ტარიელისთვის ყველა ხერხი, რომელიც გაამარჯვებინებს, ერთნაირად მისაღებია.

გმირი ტარიელი რივითი ჯარისკაცივით თმობს, იჭრება კიდევ ბრძოლაში („ხელსა ხრმლითა დავეკოდე, წყლულად მაჩნდა, არ-ნადებად“), ჭრილობას უხვევენ, სტკივა კიდევ, „მონა დასტაქარი“, თან რომ დაჰყავს ყველგან. ისეთი გაწაფული ქირურგია, ფრიდონს „ისრის პირნი ამოუხვნა, დაკოდინი არ ატკივნა.“ აი, ამ პატარა მხატვრული შტრიხით, თითქოს დაჭრილი ფრიდონის კვნესაც შემოგვესმა. კვნესა კი არა, ფრიდონს წყლული ისე სტკივა, ყვირილით იღებს იქაურობას, გაიხსენეთ ტარიელის სიტყვები:

„ზახილი მესმა, შევხედენ, მოყმე ამაყად ყიოდა,  
შემოირბევდა ზღვის პირ-პირ, მას თურმე წყლული სტკიოდა“.

აქ სიტყვა, „ამაყად“, რომელიც მხოლოდ იმიტომ არის ნათქვამი, უფრო ღირსეულად რომ წარმოგვიდგინოს ფრიდონი, საქმის ვითარებას, რა თქმა უნდა, არ სცვლის.

პოემის გმირები ადამიანურად, ნორმალურად, „ზომიერად“ არიან გმირები: ომში იჭრებიან, ჭრილობას იხვევენ, ექიმები თან დაჰყავთ, მტერზე პირდაპირ, ჯიქურ კი არ მიდიან, ან მიეპარებიან, ანდა დიდხანს „თათბირობენ“, თითოეულ ნაბიჯს ზომავენ, ამოწმებენ. ჩვენი ზოგიერთი მკვლევარისაგან განსხვავებით, ჩვენმა გმირე-


ბმა არ იციან, რომ „მათ რაიმე სისუსტე... არ ახასიათებთ“, ისინი უფრო ფხიზლად და გონივრულად უნდა განვიხილოთ ბიან საქმეს.

რადგან „თათბირი“ ვახსენე, იმასაც ვიტყვი, რომ ქაჯეთის ციხის ასაღებად გამართული თათბირის სცენაში არის ერთი საგულისხმო დეტალი — ვაქცაყური იუმორის მშვენიერი მაგალითი, რომელიც იმასაც ამტკიცებს, სამივე გმირი გულის სიღრმეში ბრძოლის დროს მოსალოდნელ სიკვდილზეც რომ ფიქრობს და, ამავე დროს, მზად არის მეგობრების გულისთვის თავი გასწიროს, პირველი თვითონ შეიჭრას ბრძოლაში, ფრიდონი, აკაკის სიტყვით, „უმცროსი, მაგრამ საჭირო და გამოსადეგი“, ტარიელს ღიმილით ეტყვის: ციხეში შევარდნა-დასწრებაზე თუ მიდგებოდა საქმე, მაგ სწრაფ ცხენს არ გაჩუქებდი, ჩემთვის დავიტოვებდიო. კარგი ნათქვამია, ღირსეული ადამიანის შესაფერი...

აქვე უნდა ვთქვა, რომ არაფერი ისე ჩვეულებრივი არ არის პოემაში, როგორც ქაჯეთის სამეფო. ფატმანი თავის მონებს, როცა უნდა და როგორც უნდა, ისე აგზავნის ქაჯეთში და ქაჯებს წარმოდგენაც კი არა აქვთ, რა ხდება მათ ცხვირწინ. ფატმანის მონები ვაცილებით უფრო გრძნეულები არიან, ვიდრე ქაჯეთის მკვიდრნი. ასე რომ, ვეფხისტყაოსანში, როგორც ჩვენმა მკვლევარებმა შეამჩნიეს, არაფერია ზღაპრული. ფანტასტიკა ვეფხისტყაოსანში არ სცილდება თუნდაც დღევანდელი პროზის ფანტასტიკურ პასაჟებს.

ტარიელის ცხენიც კი, რომელიც ყველაზე სწრაფი არსებაა პოემაში (ფატმანის გრძნეული მონის შემდეგ!), ქაჯური კი არა, ადამიანური წარმოდგენითაა სწრაფი.





ეს ცხენი, როგორც ვიცით, ადრე ფრიდონისა იყო, მასზე ამხედრებულმა ფრიდონმა ნესტანის მხლებლებსა მოტყუა მცველებს ვერ ჩაუსწრო ნაპირზე, სანამ ფერდოს ჩაიხრებნდა, ნავი უკვე ჩამავალ მზესავით ანათებდა პორიზონტზე.

ამიტომ, ჩემი აზრით, დევების საგანძურის, დევების საქურველის პოვნა, მხოლოდ იმიტომ, რომ ქაჯეთის ციხეზე თავდასხმის დროს ჩვენს გმირებს კარგი იარაღი ჰქონდეთ, ისევე შეუსაბამოდ მოსჩანს პოემის მთელ ფსიქოლოგიურ სინამდვილეში, როგორც აქილევის ფარი „ილიადაში“! ეს ფარი ელადის სამყაროს სარეკლამო ტრანსპარანტს, ანდა მოძრავ გამოფენას უფრო ჰგავს, ვიდრე საბრძოლო, თავდაცვით იარაღს. ფარი აქილევის დედის თხოვნით გამოჰქვდა ჰეფესტომ, თუმცა ყველაზე უკეთ თეტიდამ იცოდა, მის შვილს ფარი რომ არ სჭირდებოდა. არადა, ყველაზე დიდი ფარი პოემაში სწორედ აქილევის უჭირავს. აქილევისი, მეტად ღირსეული გმირი, სრულებთაც არ არის დამნაშავე, ამ უზარმაზარ, უაზრო ფარს რომ დაათრევს. ბრალი ორ პიროვნებას მიუძღვის და თანაც ორივე ღმერთია — ერთი აქილევისის დედაა, მეორე კი — თავად ჰომეროსი...

ვეფხისტყაოსანში არ არიან მკითხავეები, კუდიანი დედაბრები, ნათელმხილველები. რუსთაველის გმირები და ხმარებისათვის ჯაღოსნებს არ მიმართავენ, ისინი გაცილებით განათლებულები არიან, ვიდრე სხვა სარაინდო წიგნების გმირები. მათ საკუთარი თავის იმედი აქვთ, უპირველეს ყოვლისა — ცოდნის! ჩვენმა გმირებმა იციან, რა ელით, რას მიაღწევენ და რას ვერა, საითკენ უნდა წარმართონ თავიანთი გააზრებული ძალისხმევა. აქ ადამიანის შესაძლებლობათა სასწაულობა, ანდა სასწაუ-

ლებრივი შესაძლებლობანია გადმოცემული. ფეხისტყაოს-  
ნის გმირი თვითონ მიიკვლევს გზას შეუვალ სიბნელეში  
თანამავალ ვარსკვლავთა თანხლებით, მათზე დაკვირვებ-  
ით პოულობს გზას ხსნისას, გზას აღთქმული ნაპირისა-  
კენ, ახალი მიწების აღმომჩენი მეზღვაურივით, თამამი  
და მარტოხელა...

ღიას, მართლაც რომ ბევრი რამ არის ახალი, პირ-  
ველად აღმოჩენილი ამ მარადიულ წიგნში. აი, თუნდაც,  
ტერმინი „მართალი სამართალი“ გავიხსენოთ. რამდენი  
მიტქმა-მოტქმა გამოიწვია, რამდენი ცხარე, დაუნდობელი  
კამათი თუ ბრძოლა. ზოგიერთი მკვლევარი შეეცადა,  
ამ ტერმინის მოშველიებით, ტარიელის მიერ ხვარაზშმას  
ვაყის მოკვლა გაემართლებინა. ეს კი, ანუ ეს მკვლევლო-  
ბა — არც ერთი რელიგიური, მორალური თუ სამართ-  
ლებრივი ეთიკით კარგ საქციელად, სათნოებად არ ჩაი-  
თვლება და არც შეიძლება ჩაითვალოს. უპირველეს ყოვ-  
ლისა, თვითონ რუსთაველი არ თვლის ამ აქტს „ქველ-  
მოქმედებად“ და „სათნოებად“, თუნდაც იმიტომ, რომ  
ის ქრისტიანი პოეტია, „არა კაც კლა“ მისთვის სავალდებ-  
ულო ცნებაა. ასე რომ, პოეტის მაგივრად ბოდის  
მონხდა საჭირო არ არის, ჩემი აზრით, გაუმართლებელი-  
ცაა. აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა დღეში ჩა-  
ვარდებოდა შექსპირის შემოქმედების მკვლევარი, ასეთი  
რამ რომ განეზრახა!

მთავარი და მნიშვნელოვანი ის არის, რომ რუსთავე-  
ლის პოემის გმირები შეგნებულ დანაშაულს ჩა-  
დიან, ეს მათ იციან და ამიტომაც ახსენდებათ საერთოდ  
სამართალი! მართლაც, რატომ უნდა გაახსენდეს  
ადამიანს სამართალი, რატომ უნდა დაიწყოს მასზე ფიქ-




რი, თუკი ექვის ჭია არ უღრღნის გულს, თუკი არ იცის, რომ დანაშაული სჩადის?!

ეროვნული  
კავშირები

„ქმნა მართლისა სამართლისა“-ო, გაიძახებენ კავშირები, თითქოს პირველად ქმნიდნენ ამ ქვეყნად სამართალს, ამოებინებენ ქვაზე ფრჩხილებით კაწრავდნენ პირველ პარაგრაფს საკუთარი სამართლისას, რადგან სხვა ყველა დანარჩენი სამართლის თვალსაზრისით ისინი დანაშაულები არიან. ამასთანავე, მათი დანაშაული უფრო დიდი და მიუტყვევებელია, ვიდრე ხვარაზმელი სასიძოხა და ტრაბახა, ქალების მამებულარა ჭაშნაგირის მკვლელობა. ესაა მეფის ბრძანების არშესრულება, მეფის ნების წინააღმდეგ წასვლა — არ არსებობს იმდროინდელ საზოგადოებაში ამაზე უფრო მძიმე დანაშაული. შესაბამისად, სასჯელიც უმძიმესია. ნესტანი — ერთადერთი შვილი — მშობლებმა არსებითად სასიკვდილოდ გაიმეტეს. მისი დანაშაული იმდენად მძიმეა, დაუსჯელობა წარმოუდგენელია! ავთანდილის დანაშაულსა და სასჯელზე ჩვენ უფრო დაწვრილებით გვექნება ლაპარაკი. ხოლო, რაც შეეხება ფატმანს, იმისა კი არ ეშინია, ქმარმა ღალატი არ გამოგოსო, არა, ეს სრულებითაც არ ადარდებს, იმისი ეშინია, ნესტანი რომ გაპარა. მეფეს რომ უღალატა, ჭაშნაგირიც ხომ სწორედ ამის გამხელით ემუქრება, იცის, მეფის ღალატი გაცილებით დიდი დანაშაულია ქალისთვის, ვიდრე ქმრისა.

ღიახ, გმირებმა იციან, რასაც აკეთებენ და მაინც არ იხევენ უკან, თუმცა, დანაშაულის სიმძიმე აძრწუნებთ, ხმამალა არც კი ახსენებენ, სახელს არ არქმევენ, ურჩევნიათ, იცრუონ (ტარიელმა თქვა, სასიძო ინდოეთის ტახტის გულისთვის მოვკალიო!), დაიბრალონ სხვა ყველანაირი დანაშაული, ოღონდ, ის ნამდვილი, შემზარავად



დიდი არ გაამხილონ, რადგან ვერაფრით ვერ უკავშირ-  
ებენ, არ უნდათ, რომ დაუკავშირონ „სიყვარული“  
„დანაშაული“ ერთმანეთს, ან როგორ უნდა დაუკავში-  
რონ, როცა სიყვარული მათთვის იგივე „სამართალია“.

„იგი ყმა საწოლს მარტო წვა გულითა ჯავრიანიითა“-ო,  
წერს რუსთაველი ჭაშნაგირზე. აქ მეტად ზუსტი ფსი-  
ქოლოგიური მომენტი დაჭერილი: გაცოფებული ჭაშნა-  
გირი გათენებას ელოდება „გულითა ჯავრიანიითა“, მო-  
ღალატე ფატმანს შვილები რომ „კბილით დააჭმევინოს“!  
როცა ავთანდილი მის ოთახში შევიდა, ეტყობა, ძილგამ-  
ტყდარი ჭაშნაგირი ფეხზე წამოვარდა, ამიტომაც ავთან-  
დილმა: „ხელი მოჰკიდა, მიწასა დაასკვნა, დაკლა დანითა“.

დანით დაკლაო! — ჭაშნაგირი ადამიანივით კი  
არ მოკლეს, ღორივით დაკლეს! აი, ამ ერთი ზუსტად  
ნახმარი სიტყვით („დაკლა“) პოეტმა ავთანდილს მოხ-  
სნა ყოველგვარი ბრალდება: ჭაშნაგირს მიეზღო ის, რი-  
სი ღირსიც იყო!

ავთანდილი ჭაშნაგირს თითს მოსჭრის, გვამს კი ზღვა-  
ში გადაისვრის: „ზღვითაცე სარკმლით გატყორცნა,  
ზღვისა ქვიშათა დარია“. ფატმანთან მობრუნებული,  
ერთ საოცარ ფრაზას იტყვის: „აჰა, თითი და ბეჭედი და-  
დანა მაქვს სისხლიანი“ — თითქოს მხოლოდ ახლა, ამ  
წუთას შეამჩნია, სისხლიანი დანა ჯერ ისევ ხელში რომ  
სჭერია და შეცბა, ხმა გაეზზარა... ბოლოს და ბოლოს,  
რკინისა ხომ არ არის, ისიც ადამიანია და არც მისთვისაა  
ადვილი კაცის მოკვლა...

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს შემზარავია, მაგრამ  
ნუ გვავიწყდება დაუნდობელი, ბნელი, მკაცრი შუა სა-  
უკუნეები: ყველა კუთხიდან, კუნძულიდან იმზირება სი-  
კვდილის თვალი. დანაშაულისათვის შეიძლება საკუთარი



შვილის ხორცი შეგაქმევიონ: „ვარ შენთა შვილთა შენითა კბილთა დამაქმეველი“.

ალა იასტრებიცკაია წიგნში „XI—XII სსუკუნეების დასავლეთი ევროპა“ წერს: „შუა საუკუნეები არა მარტო უმოწყალობით გამოირჩეოდა, არამედ უმოწყალობას ღირსებადაც კი თვლიდა. „არ არსებობს ომი უსისხლოდ და უცეცხლოდ“, — ამბობს მეთორმეტე საუკუნის პროვანსელი ტრუბადური რაინდი ბერტრან დე ბორნი. სიკვდილის უგულვებლყოფა, სხვისი სიცოცხლის უგულვებლყოფას განაპირობებდა, სხვისი სიკვდილის უპატივემულობას“.

ეს ის ბერტრან დე ბორნი გახლავთ, რომელიც „ჯოჯოხეთში“ ასე მოველინება დანტეს:

„ხელი წაველო საკუთარი თავის ქოჩორზე, ლიფლიფასავით მოაქანებდა...“

იზოლდამ თავისი უახლოესი მეგობარი, ბრანჯანე, რომელმაც მისთვის არასასურველ სარეცელზე შესცვალა პირველ ღამეს, მოაკვლევინა და ამისთვის არავის გაუმტყუნებია იგი.

ნესტანის ფრაზა: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“, ფრაზა, რომელშიაც მკაფიოდ ჟღერს ტრაგიკული ნოტა, წარმოქმნილი ერთნაირ სიტყვათა დაწყვილებით — „მართალი“ — „სამართალი“ — და რომელიც ასე დამახასიათებელია რუსთაველისათვის (გაიხსენეთ თუნდაც ტარიელის ნათქვამი: „ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა“), ნიშნავს ერთადერთს, შეიძლება ითქვას, საბედისწეროდ ერთადერთს, უფსკრულში ჩამოშ-

ვებულ თოკს, მორევზე გადმოწვდილ ტოტს, ვანწირუ-  
ლობის უდაბნოში წვიმის წვეთს... ნესტანს უყვარს  
ასეთი გამოთქმები („ცან სამართალი მართალი“). დიან-  
ეს ნესტანის სამართალია, ეს ასეთი სახელით შევიდა  
სიყვარულის დიად ისტორიაში, სადაც „დამნაშავე“,  
„ცოდელი“ მიჯნურები ვარსკვლავებივით ბრწყინავენ,  
თავ-თავიანთი „მართალი სამართლით“ გასპეტაკებულ-  
ნი, გაუკვდავებულნი... აქ კანონის, უფრო სწორად —  
მართლმსაჯულების, თუ გნებავთ — ლოგიკის, უფრო  
მეტეც — გონიერებისა და სიყვარულის მარადიული  
შეუსაბამობის მეტყველი სურათებია. აი, მაგალითად:  
კანონის მიერ მოკვეთილი ეიულიენ სორელის თავი  
მშვენიერი მატლდა დე ლამოლის მუხლებზე...

„მართალი სამართალი“ მიჯნურთა თავშესაფარია!  
მოროას ტყეა, სადაც ტრისტანსა და იზოლდას ერთი-  
მეორის გვერდით ბედნიერებს სძინავთ, კოშკია, სადაც  
ნეტარებით გაოგნებული ვისი და რამინი ერთმანეთში  
ჩანთქმულან, ანდა, სულეთია, სადაც ცოცხლად ჩასუ-  
ლი ორფეოსი ევრიდიკეს აჩრდილს შესცქერის. განა  
ამაზე არ ოცნებობდა ნესტანი: „თუ სიცოცხლე მწარე  
მქონდა, სიკვდილიმცა მქონდა ტკბილი“-ო.

„მართალი სამართალი“ ნესტანისათვის არის მისი  
და ტარიელის არსებობის, ამქვეყნად ერთად ყოფნის,  
ერთად სიცოცხლის სამართალი, ამავე დროს, ეს არის  
საკუთარი ნების, გადაწყვეტილების, საკუთარი შეხე-  
დულების, მრწამსის დამკვიდრების ლოზუნგი, საკუთარ  
პიროვნების უსაზღვროდ თავისუფალი სივრცის კა-  
რი, არა, კარი კი არა — ამ კარის გასაღები პაროლი!

„მართალი სამართალი“, როგორც ვთქვი, ძალიან  
ბუნებრივი ფრაზაა რუსთაველისთვის. გაიხსენეთ: „ქე-



ბა საქებარი“, „ღმერთი იღმერთო, ცაცა იცო“, „თავი მონად მომიმონდეს“... პოემის პირველსავე სტროფში წერია: „ძალითა მით ძლიერითა“-ო.

შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, ამ გამოთქმას არავითარი კავშირი არა აქვს იურისპრუდენციის ტერმინოლოგიასთან. თუკი ასეთი გამოთქმა მართლაც გვხვდებოდა სასამართლოსა თუ სხვა დაწესებულების საბუთებში, მას სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა და ამ პოეტურ სახესთან არავითარი ნათესაობა არ აკავშირებს.

როდესაც ნესტანი ამ „მართალ სამართალს“ ქაჯეთის ციხეში კვლავ გაიხსენებს, საბოლოოდ დავრწმუნდებით, რომ „მართალი სამართალი“ მისთვის იგივე სიყვარულის სახელია, სინონიმია:

„რაცა ვიჩივლე ბედისა ჩემისა, კმა საჩივარად;  
 ცან, სამართალი მართალი გულისა გულსა შივა რად.  
 შენთვის მოკვდები, გავხდები უორანთა დასაყვიარად.  
 ვირე ცოცხალ ვარ, გეყოფი სატირლად და სატკივარად...“

ღიახ, ეს არის გულიდან გულში ელვასავით გადასული სიყვარული — „მართალი სამართალი“ — ყველაზე დიდი „სატკივარი“ და ყველაზე დიდი შვება ამქვეყნად, ანდა — შვება და სატკივარი ერთად, ერთ-არსებად ქცეული, შენივეთული, ღვთაებრივი ცეცხლით შედღულაბებული.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, დანაშაულისა და სასჯელის ცნებები ლიტერატურასა და იურისპრუდენციაში სხვადასხვა რომ არის! მაგალითისათვის, რა უნდა მივუსაჯოთ ოიდიპოსს, მედეას, ნესტანს, ივანე კარამაზოვს? სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლი

მიესადაგება მათ „დანაშაულს“? ანდა, რამდენად ექ-  
თილშობილური ნაბიჯი იქნება ჩვენგან, ჩვეულებრივი  
მოკვდავებისაგან, ჩვეულებრივი ინჟინრებისაგან, ექი-  
მებისაგან, ვეჟილებისაგან, პედაგოგებისაგან, ლიტერა-  
ტორებისაგან — ამგვარი ლიტერატურული „დამნაშა-  
ვეების“ გამართლება. დაცვა (თუმცა, თავისთავად იბა-  
დება არანაკლებ ღრმავროვანი კითხვა: ვისგან უნდა  
დავიცვათ, ანდა ვის თვალში უნდა გავამართლოთ ისი-  
ნი?!)...

ვის ეცოდინებოდა დღეს მედეას სახელი, თუკი  
ასეთ, მართლაც შემზარავ დანაშაულს არ ჩაიდენდა?  
კაცობრიობამ მამისა და სამშობლოს იმდენი მოღალა-  
ტის სახელი იცის, მედეასთვის ვილა მოიცლიდა, თუკი,  
ვიშეორებ, ასეთ არაადამიანურ განაჩენსა და სასჯელს  
არ გამოუტანდა საკუთარ თავსა თუ ყველას, ვინც კი  
სიცრუისა და ღალატის გზაზე შეაყენა იგი! ცნობილია,  
რომ მითში, და ალბათ სინამდვილეშიც, დიდებული  
კოლხი ქალი შვილებს არ კლავდა. მისი უკვდავება  
გენიალური ევრიპიდეს წყალობაა! ევრიპიდეს ტრაგე-  
დია, შეიძლება ითქვას, ყველაზე ცხადი მაგალითია  
წარმოდგენათა იმ უფსკრულისა, ლიტერატურასა და  
მართლმსაჯულებას შორის რომ დევს...

ნესტანის სიდიადე მისი ქცევის ალოგიკურ სიმართ-  
ლეშია. ნესტანის სიდიადე სიყვარულის ერთგულება-  
შია და ბოლოს; ნესტანის სიდიადე ის გახლავთ, რომ  
სწორედ მან დაგვანახა და დაგვარწმუნა, რომ ყველაზე  
დიდი ერთგულება ამქვეყნად სიყვარულია! აი, ეს არის  
სწორედ მისი „მართალი სამართალი“!

შოთა რუსთაველი ძალზე თავისუფლად ექცეოდა  
ლიტერატურულ თუ ფილოსოფიურ საგანძურს, რომე-



ლიც მსოფლიო ინტელექტუალურ აზრს მანამდე დაეგ-  
როვებინა, მის ხელში ყველა მანამდე არსებული სიბ-  
რძნე (პოეტური თუ ფილოსოფიური) სრულად <sup>წაშლის</sup>  
სრულიად სხვა განზომილებისა და მნიშვნელობის ფო-  
რმასა და შინაარსს იძენდა.

ნ. კონრადი ბ. როულენდის მეტად საინტერესო წი-  
გნის „დასავლეთისა და აღმოსავლეთის ხელოვნების“  
ბოლოსიტყვაობაში, როცა განიხილავს იაპონელი მხატ-  
ვრის ხიროშიგეს ნაწარმოებთა გავლენის თავისებურე-  
ბას ჯეიმს ებოტ მაკ-ნეილ უისტლერის შემოქმედებაზე,  
წერს: „ზოგიერთი თავიანთი ნიშნით, რაც უნდა მახ-  
ლობელი იყოს ხიროშიგესა და უისტლერის პეიზაჟები,  
ისინი მაინც ხელოვნების განსხვავებული მოვლენებია:  
უისტლერის სურათებში გამოყენებულმა ხიროშიგე-  
სეულმა ხელოვნების ხერხებმა სრულიად სხვა თვისება  
შეიძინეს“-ო.

ასევეა რუსთაველთან დაკავშირებითაც: ყველაფე-  
რი ის, რასაც ჩვენი მკვლევარები პარალელს უძებნიან  
უკვდავ პოემაში, რასაკვირველია, არ გვაძლევს უფლე-  
ბას, რაიმე გავლენასა თუ იდენტურობაზე ვილაპარა-  
კოთ, რადგან განსხვავებულ ლიტერატურულ სამყარო-  
დან წამოღებულ მხატვრულ ხერხს აქ შეძენილი აქვს  
„სრულიად სხვა თვისება...“

რუსთაველის მხატვრული ენის ერთ-ერთი თავისე-  
ბურება ის არის, რომ სხვის მიერ ნახმარი სიტყვა, ან  
თუ გინდ სახე — აქ სულ სხვა მნიშვნელობას, ნიუანსს,  
აზრს, ფერს იძენს. რუსთაველი აშკარად ბევრ სიტ-  
ყვას თუ ფილოსოფიურ სენტენციას ისრუტავს მწერ-  
ლობისა თუ ფილოსოფიისაგან (არ შეიძლება არ ერწ-  
მუნო ჩვენი მკვლევარების დაბეჯითებით მტკიცებებს!),

მაგრამ სახეებსა თუ ფილოსოფიურ სენტენციებს, როგორც ვთქვი, სრულიად ახალ გაგებას ანიჭებს, რომ არაფერი ვთქვა ფორმაზე. ასე რომ, რაც ვეფხვსტალო სანშია, მხოლოდ რუსთაველს ეკუთვნის, ამ დიდი პოეზიის სამფლობელოში შეღწეულ ყველა გამოთქმასა თუ ხატს რუსთაველის ქვეშევრდომობა აქვს მიღებული. რათქმა უნდა, მათი წარმომავლობის გენეტიკური ფესვების გამოჩხრეკა შეიძლება, მაგრამ... აზრი არა აქვს, რადგან ფესვისა და ნაყოფის სხვადასხვაობა ამ შემთხვევაში აბსოლუტურია!

პოემის ყველა სიტყვა რუსთაველის მიერაა ამქვეყნად პირველად თქმული!

რუსთაველმა არაბული არისტოტელიზმიც კარგად იცის, ქრისტიანული ნეოპლატონიზმიც, პანთეიზმიც, სპარსული პოეზიაც, ალბათ მანიქეველთა სექტის არსებობაც იცოდა და კიდევ ბევრი სხვაც, ჩვენი მკვლევარებისთვის ჯერ აღმოუჩინელი რამ, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, ის სრულიად ახალი სამყაროს შემქმნელია, ახალი ადამიანებით, ახალი შუქით, ახალი ხმებით რომ გავსებულა.

აი, ჩემს მიერ ზემოთ უკვე ნახსენები „მზიანი ღამე“, ერთ-ერთი იმ სახეთაგანი, რომელიც თავისი იდემალებით, თავისი ამოუხსნელობით, გაურკვეველობით ახდენს დიდ შთაბეჭდილებას (ამდენად, შეიძლება მუსიკას უფრო ეკუთვნოდეს, ვიდრე პოეზიას!), უფრო სწორად, ქმნის ლექსის იდემალ ფონს, სიღრმეს კი არა, სიღრმისეულ სივრცეს, საითაც მიილტვის ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი, აღგზნებული და, ამავე დროს, ოდნავ შემკრთალი ჩვენი გონება. ეს სახე კი თეოლოგიაში, კატაფატიკა-აპოფატიკის ერთ-ერთი ნიმუში,

ღვთის სახელის აღმნიშვნელი კლიშე იყო, რხეთივე, როგორც „უეამო ეამი“. რუსთაველის პოემაში ეს თეოლოგიური კლიშე საოცრებად იქცა, ახალი საიდუმლო სივრცე შემატა პოემას. დიახ, რუსთაველის „მზიანი ღამე“ პოეტური სახეა და არა თეოლოგიური ცნება. ამიტომაც, ის გაცილებით მეტის დამტევია, მეტს ნიშნავს, მეტს აღნიშნავს და, თქვენ წარმოიდგინეთ, მეტსაც გვაძლევს, ვიდრე თეოლოგიური „მზიანი ღამე“.

სხვათა შორის, რუსთაველი თვალისმომჭრელი, დამაბრმავებელი შუქის წარმოსადგენად მხოლოდ კონტრასტს არ მიმართავს. გავიხსენოთ სხვა, სრულიად განსხვავებული ხერხებით, აღმატებლობითი ერთნაირობით მიღწეული, შექმნილი მეტაფორა: „ანათებს ღღესა მზიანსა“! (თინათინი). ხედავთ თუ არა — შუქის უმეტეს შუქს, სინათლის სინათლეს, მზის მზეს?! „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორი, ჩემი აზრით, თვითონაც პოეტი, იტყოდა: „ნათელი უმეტეს ნათლისა“-ო.

ფილოსოფიურ ცნებასა და პოეტურ მეტაფორას შორის შეიძლება არსებობდეს რალაც კავშირი, მაგრამ არ შეიძლება არსებობდეს იდენტურობა. შეიძლება ზოგიერთი ცნება, მაგალითად, უკვე აღნიშნული „მზიანი ღამე“, რომელიმე ფილოსოფიური თუ თეოლოგიური მოძღვრების წიაღში იყოს წარმოშობილი, მაგრამ ვეფხისტყაოსანში გადმოსული, უკვე მხოლოდ და მხოლოდ პოეზიის სამყაროს ეკუთვნის, პოეტურ მეტაფორადაა ქცეული. ეს „ურთულესი ფილოსოფიური პარალელიზმი“ პოეტურ პარალელიზმადაა გარდაქმნილი და უფრო ღრმა, უფრო ფართო გაგება ენიჭება, ვიდრე თეოლოგიაში ჰქონდა. ინარჩუნებს რა მცოდნეთა თვალში თავის პირველ მნიშვნელობას, უფრო დე-

მოკრატული, ადვილად მისაწვდომი, ადვილად აღსაქმელი ხდება და, ამასთანავე, იმ მუდმივი შუქის წყაროს ფუნქციასაც იბენს, რომელიც პოემაშია განდგენილი („დღისით და ღამით ვჰხედვიდე“).

როდესაც ნესტანი ამბობს: „დღისით და ღამით ვჰხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა“-ო, აქ, ჩემი აზრით, უკვე ახსნილია „მზიანი ღამის“ რუსთაველისეული გაგების არსი. აქ პოემის ყველაზე ბრძენი ქალი რომელიმე ფილოსოფიური თუ რელიგიური მოძღვრების თეზისს კი არ ავითარებს, როგორც ზოგიერთ ჩვენს მკვლევარს მიაჩნია, არამედ თავის საწაღელს, ოცნებას გვამცნობს: მას სურს იცხოვროს, იარსებოს მხოლოდ და მხოლოდ მარადიულ სინათლეში!

ნესტანის წერილის ერთი ფრაგმენტი თვითმკვლელობამდე მისული ქალის მოთქმაა დაკარგულ ბედნიერებაზე, დაკარგულ სიყვარულზე. პირველად ვხედავთ ნესტანში სუსტ, სასოწარკვეთილ ქალს, რაც თავისთავად საოცრად მეტყველსა და ცოცხალ ფერს მატებს მის ხასიათს, ვგრძნობთ გალიაში გამოკეტილი ფრთოსანი არსების ლტოლვას ცისკენ — „მომცნეს ფრთენი და აღვფრინდე...“ (ფრთებს ის ნატრობს, ვისაც ფრენა შეუძლია!), ვხედავთ ადამიანის მისწრაფებათა გრანდიოზულობას, გვესმის ადამიანის მუსიკად ქცეული, შთაგონებული სულის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი, ტრაგიკულად დაჭიმული სიმის თრთოლვა.

რა არის ეს? ნუთუ ამის ახსნა რიგითი ფილოსოფიური თეზისით შეიძლება? „ნუ თუ ამ სულის წადილსაც ჰრქვა სიყვარული სხვათაებრ?“ — როგორც რუსთაველის ღირსეული შემგვიდრე ნიკოლოზ ბარათაშვილი იტყოდა..

არა, ეს არც პანთეიზმია, არც ნეოპლატონიზმი,  
არც... არც... არც... ეს ადამიანის სულის მუსიკაა!

ეს არის რუსთაველის პოეზია!  
ისევე, როგორც დავით აღმაშენებელმა საეკლესიო  
საგალობლების კლიშეებით შექმნა სრულიად ახალი  
საერო ხასიათის ლირიკული ნაწარმოები „გალობანი“,  
რუსთაველმაც გაქვავებული თეოლოგიური სახეები-  
საგან გამოძერწა, შექმნა მრავალი, სიცოცხლითა და  
ცნებით დატენილი, დიადი პოეტური სახე.

რუსთაველი არსებულ ლიტერატურას ზოგჯერ იყე-  
ნებდა როგორც თავისი მეტაფორების საშენ მასალას  
და მისი მიდგომა ტრადიციისადმი უალრესად შემოქ-  
მედებითი იყო. რუსთაველი, თავისი ძღვევამოსილი ტა-  
ლანტის წყალობით, მშენებელი პოეტია, მსგავსად წარ-  
სულის გენიოსებისა, პომეროსი იქნება ეს, ვერგილიუ-  
სი თუ ფირდოუსი. რუსთაველმა ააგო ახალი სამყარო,  
„ახალი რეალობა“, რომლის საძირკველშიაც ჩატანე-  
ბულია კაცობრიობის შემოქმედებითი აზრის მთელი  
ადრინდელი გამოცდილება, ცაში კი აღმართულია  
აქამდე არნახული სართული შვებისა და იმედისა —  
ადამიანის სახლი!

ნესტან-დარეჯანი ტარიელს მიმართავს:

„მზე უშენოდ ვერ იქმნების,  
რადგან შენ ხარ მისი წილი...“.

„მზე“ რომ აქ ასტრონომიული ცნება არ არის, ამა-  
ზე ლაპარაკი, რა თქმა უნდა, ზედმეტია, მაგრამ აშკა-  
რად არც რომელიმე ფილოსოფიური მიმდინარეობის  
კატეგორიაა. უფრო ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ ნეს-  
ტანი თავის თავზე ამბობდეს, თავის თავს უწოდებდეს



„მზეს“. გავიხსენოთ სხვა ადგილიც პოემიდან, სადაც ეს კიდევ უფრო ცხადად ჩანს. ეს არის ნაწყვეტთაგან ერთ-ერთის პირველი წერილიდან: „მზემან მეტი ყოს, აჰა, ბნელი გაგითენე!“, რაც მეფუროსიამაყის და ღვთაებრივი ქალურობის, სინაზის დამამტკიცებელია. მაგრამ, და ეს არის საინტერესო, ნესტანი ხომ მარტო თავის თავს არ უწოდებს „მზეს“, ტარიელიც მზეა, მზის წილია („შენ ხარ მისი წილი“), ოლონდ, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის „მზე“, ცალ-ცალკე არც ერთის სიცოცხლე არ შეიძლება, წარმოუდგენელია („ვერ იქნების“), ერთად კი, არამარტო ცოცხლობენ, ანათებენ!

აი, ასეთი ადამიანური, კონკრეტული, მიწიერი და არა ფილოსოფიურ-აბსტრაქტული ვნებები ტრიალებს ამ დიდი პოემის „მხურვალე ცის ქვეშ“.

პოეზია ადამიანის სულის მეტყველებს, იგი გამოხატავს, გამოთქვამს, წარმოგვიდგენს სიცოცხლის ხმას, სიცოცხლის დიად მოძრაობას, ადამიანის არსებობის, ადამიანურობის — თუნდაც როგორც ფილოსოფიური კატეგორიის — დამკვიდრების აქტს.

როდესაც ჩვენი მკვლევარების ურთიერთგამომრიცხავ შეხედულებებს ეცნობი, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ყველა მათგანს წაკითხვამდე პქონდა შემუშავებული თავისი შეხედულება პოემაზე, თანაც, იმის მიხედვით, თუ რაზე მუშაობდა, სანამ ვეფხისტყაოსნის კვლევას შეუდგებოდა — არისტოტელეს სწავლობდა თუ პლატონს... მართლაც, ვინც პოემაში არისტოტელიზმს პოულობს, ის ადრე არისტოტელეთი იყო გატაცებული, ხოლო ვინც — პლატონიზმს, ის უსათუოდ პლატონის ნაწარმოებებით იყო მოხიბლული

და ა. შ. და ა. შ. არ არსებობს მკვლევარი, რომელიც თავისი მოსაზრების დამამტკიცებელ მაგალითს რევნიზმის ტყაოსანში არ პოულობდეს...

ამ ჩემს ნათქვამში ოდნავი ირონიაც კი არ ურევია, როგორც შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს. პირიქით, მიმაჩნია, რომ ყველა მოსაზრებას უნდა „ყოვლად ბრძნითა დუმილითა პატივი ვცეთ“ (ფსევდო-დიონისე არეოპაგელის სიტყვებია!). ჩემი დამოკიდებულება ჩვენი სახელოვანი მკვლევარების შეხედულებების მიმართ უფრო ნათლად რომ გამოვთქვა, ახლა ფსევდო-დიონისე არეოპაგელზე დიდ ფილოსოფოსს მივმართავ დახმარებისათვის და პლატონის სიტყვებს გავიხსენებ: „ყველა ღმერთი, რა თქმა უნდა, თაყვანისცემის ღირსია, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა, თავდაპირველად თვითეული მათგანის არსი გაგვეჩვენა“...

ნესტანის წერილი, შეიძლება ითქვას, ჩვენი მკვლევარების ფილოსოფიური შეხედულებების სასინჯი ქვაა. ჩვენს მკვლევარებს თუ დავუჯერებთ, ნესტანი ტარიელს ქაჯეთის ციხიდან, სიყვარულს კი არა, საკუთარ ფილოსოფიურ თეორიას უმტკიცებს.

ნესტანი კონკრეტული ქმედების, პრაქტიკული აზროვნების, გაბედული, თამამი პიროვნებაა. გაიხსენეთ თუნდაც მის მიერ შედგენილი გეგმა, რომლის წყალობითაც ჩვენმა სამმა გმირმა ქაჯეთის ციხე აიღო. ნესტანისთვის განზოგადებული ფილოსოფიური მსჯელობანი დამახასიათებელი არ არის, ის მაქსიმალურად კონკრეტულია ლაპარაკისა თუ მოქმედების დროს. შეიძლება ითქვას, განყენებული, ზოგადი მსჯელობებისათვის ნესტანი ძალიან ბრძენია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის მეფის ასულია, განათლებულია, ბევრი რამ იცის, მაგ-

რამ საუფლისწულო-სავალდებულო განათლების არევა ფილოსოფიაში არ შეიძლება.

ეროვნული

ნესტანი, შეიძლება ითქვას, ყველაზე შემსრულებელი ხასიათია ამ პოემაში. ამას რომ ვამბობ, რასაკვირველია, რაიმე მხატვრულ მსგავსებას კი არ ვგულისხმობ, აღვნიშნავ მისი ხასიათის მიზანდასახულებას, პრაქტიკულობას, გაბედულებას, გონიერებას და, ამავე დროს, რისხვას, სინაზეს, სიყვარულს, რაც მას მსოფლიო ლიტერატურის ყველაზე თვალსაჩინო გმირთა შორის აყენებს.

აკადემიკოსი ავლიპი ზურაბაშვილი ამბობს: „ნესტანი... გმირულად უძლებს სიყვარულის რთულ ეპოპეას“-ო. მართალია, არ მესმის, როგორ შეიძლება „ეპოპეის“ გაძლება, რთული იქნება თუ მარტივი, მაგრამ მაინც ვეთანხმები პატივცემულ ფსიქიატრს, რადგან ორი სიტყვა „გ მ ი რ უ ლ ა დ“ და „უ ძ ლ ე ბ ს“ ძალიან უხდება ნესტანს, მისი ხასიათის ლირიკულ მელოდიას:

„აქათ თავსა გარდავიტყევ, ახლოს მახლვან დიდნი კლდენი,  
სული ჩემი შეივედრე, ზეცით მომხედნენ ნუთუ ფრთენი“.

და ესეც ხომ ნესტანის ნათქვამია:

„მე სიკვდილი აღარ მიმძიმს, შემოგვედრებ რათგან სულსა,  
მაგრა შენი სიყვარული ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა“!

ნუთუ ეს მხოლოდ „ფიზიოლოგიური გუნება-განწყობის დაქვეითებაა“, როგორც აკადემიკოსი ფიქრობს, და არა სიყვარულით სავსე და, ამის გამო, უკვდავი გულის ნათება სიკვდილის წყვედიადშიც კი?!

ნესტანი დავარის აღზრდილია: „დავარ იყო და მეფისა, ქვრივი, ქაჯეთს გათხოვილი, მას სიბრძნისა სასწავლებლად თვით მეფემან მისცა შვილი“.



თუ ნესტანის მიხედვით ვიმსჯელებთ, დავარი საუკეთესო აღმზრდელია. თვალის ზერელე გადავლებით, შეიძლებოდა დავარი აკაკი წერეთლის ჰაჯი-უსუბის წინაპრადაც მიგვეჩინა, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ აკაკის გმირის სიტყვები „სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდინარ!“ — დავარის საბედისწერო მოქმედებით არის შთაგონებული: „დავარ თქვა: „მქმნელი ამისი ვინ არ დამქოლოს, ვინ არ, და!.. დანა დაიცა, მო-ცა-კვდა, დაეცა, გასისხლმდინარდა“. თუმცა, რასაკვირველია, ჰაჯი-უსუბის აღზრდილი და ნესტანი აბსოლუტურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ ასეთი მსგავსება, ვგულისხმობ დავარსა და ჰაჯი-უსუბს, როგორც ვთქვი, მხოლოდ ზერელე შთაბეჭდილების შედეგი იქნებოდა. სინამდვილეში სულ სხვა ვითარებასთანა გვაქვს საქმე: დავარი ნესტანს არ ამტყუნებს, ეს მისი მისი! ეს კი საოცარი რამ გახლავთ იმ დროისათვის, მაგრამ ამასთანავე, სიყვარულზე ყველაზე დიდი პოემის ავტორს არ შეიძლებოდა სხვანაირად დაეწერა.

დავარი ძმის ბრძანებას ასრულებს მხოლოდ, მისი სიბრაზე საკუთარ თავზე, საკუთარ უმწეობაზე გამწარებული ადამიანის სიბრაზეა, ადამიანისა, რომელსაც არ შეუძლია წინ აღუდგეს დესპოტიზმს! ამიტომაც ააა ასეთი დაუნდობელი, ასეთი უხეში მისი სიტყვები, ამიტომაც იკლავს თავს — „მქმნელი ამისი!“ აბა, რატომ უნდა მოეკლა თავი, თუკი ისევე ფიქრობდა, როგორც ძმა?! არა, ის ისე ფიქრობდა, როგორც ნესტანი, ის „მართალი სამართლის“ ანუ სიყვარულის მხარეზე დადგა, ოღონდ, გაბრძოლებით მხოლოდ ის შესძლო, რაზედაც ხელი მიუწვდებოდა: საკუთარ თავს მო-

უსწრაფა სიცოცხლე! ასე რომ, დავარის საქციელი პროტესტია, ამბოხია. დიახ, სულ სხვა გრივალი დაქრის ამ პოემაში, სულ სხვა, ახალი ხასიათები ეძებება, როგორც ქალაქები — კლდეში...

ნესტანი ბრძენია, მას მამიდა დავარმა „სიბრძნე“ ასწავლა და არა ფილოსოფია. ამავე დროს, ისიცაა საინტერესო, რომ გენიალური პოეტის მიერ ამ პოემაში ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული, უფრო მეტიც — დანათესავებული, თვით ქაჩეთი და ინდოეთიც კი. აი, ჩვენ ვხედავთ, როგორ დადის ნესტანი ქაჩეთის ციხის ეზოსა თუ ტალანებში, როგორ აკვირდება ყველაფერს, თითქოს რალაცას იხსენებს, თითქოს ბავშვობის ენაადგმულ მოგონებებს უგდებს ყურს, თითქოს მამიდა დავარის ხმა ესმის... ვხედავთ მცველებსაც, თვალს რომ აყოლებენ ამ მზეთუნახავ ქალს („მჭკრეტთა მზარავს“), ბნელ ღერეფნებს რომ ანათებს თავისი შუქით, ბედისწერასავით ამაყი და გამოუცნობი, და მართლაც, სულ მალე, ამ ლამაზი ქალის გულისათვის, ყველანი უკლებლად ჩაიხოცებიან გვირაბებსა თუ ხერცღების მისადგომებთან.

ნესტანი ქაჩეთის ციხეში მთლად უცხოდ არ უნდა გრძნობდეს თავს, მთლად უცხო სამყაროში არ მოხვედრილა. მისთვის აქ თითქმის ყველაფერი ნაცნობია. მამიდა ალბათ ბევრს მოუთხრობდა ამ საოცარ ქვეყანაზე, სადაც გათხოვილი იყო და სადაც დაქვრივდა კიდეც. უნდა ვიფიქროთ, რომ დავარი ნესტანს სწორედ ქაჩეთში აგზავნიდა, რადგან იმ მონებს („პირითა მის ქაჩეებითა“), რომლებსაც ნესტანი ჩააბარა და უბრძანა: „წადით, დაკარგეთ მუნ, სადა ზღვისა ქიპია“-ო, ძალიან გაუხარდათ („მათ გაეხარნეს“), ასე გაუხარდება ალა-

მიანს სამშობლოში დაბრუნება, მათ სიხარულისთვის სხვა მიზეზი არ ჰქონდათ.

მაგრამ ნესტანი მარტო მამიდამისის აჩრდილს დაჰყავდა დაჰყავდა ციხის ეზოში, სევდიანი ფიქრებით და გონებებით შეპყრობილი, მისი პრაქტიკული გონება დაძაბული მუშაობს, იმახსოვრებს ყველაფერს, რასაც ხედავს, ყველა ხერვს, კარს, სადარაჯოს, ითელის მცველებს, ადგენს ციხის გეგმას: „ციხეს ვზი ეზომ მაღალსა, თვალნი ძლივს გარდასწედებიან, გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა დგებიან, დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან, მათთა შემბმელთა დაზოცენ, მართ ცეცხლად მოედებიან“.

„გზა გვირაბითა შემოვა“-ო! გზა! ო, როგორ უნდა ნესტანს, ტარიელი რომ მოვიდეს, გამოიხსნას, წაიყვანოს! ნესტანის წერილი ერთპერსონაჟიანი დრამაა თითქოს, სულის ხეთქების, აფორიაქების, „ხოს“ და „არას“, ლოგიკურისა და ალოგიკურის სუნთქვაშემკვრელი ბრძოლა, შეტაკება ზღვის მოქცევა-უკუქცევისათვის: წადი, ინდოეთს მიხედო, — თითქოს უბრძანებს, მაგრამ მაშინვე ემუდარება, სთხოვს, ეძახის, მოუხმობს, მოდი, გამა~~ხ~~თავისუფლო. „უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ძნელია!“ ამ სიტყვების მერე როგორ უნდა წავიდეს ტარიელი, რათა რამე „არგოს“ ნესტანის მშობლებს? ის ვერსად ვერ წავა, გარდა... ქაჯეთის ციხისა!

ზოგიერთ მკვლევარს უკვირს, ქაჯეთის ციხის აღება სულ რამდენიმე სტროფით რომ არის გადმოცემული, უფრო დეტალურ, ეპიკური ხასიათის „მხატვრულ აღწერას“ ელოდებოდნენ. პოეტმა კი იმედი გაუქარწყალათ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ საერთოდ არ ახასია-

თებს ამბის დაწვრილებით აღწერა, ერთი მეტაფორის წყალობით ეპიკოსის ერთი წლის საეაღს ერთ წამში გადის, „მოკლედ თქმის“ ოსტატია, არა მარტო რამდენიმე სტროფით, ერთი სტრიქონით შეუძლია მთელი სიცხადით წარმოგვიდგინოს სიუჟეტის რომელიმე მეტად მნიშვნელოვანი ასპექტი. მეორეც, აქ ხომ ციხის ალების სცენის სრულიად ორიგინალური მწერლური გადაწყვეტაა. ეს არის ბატალური სცენის აღწერის სრულიად ახალი ხერხი მსოფლიო ლიტერატურაში.

ქაჯეთის ციხის ალების სცენა პოემაში ზოგიერთ მკვლევარს შეიძლება იმიტომ „ეპატარავება“, ნესტანის წერილებს რომ ივიწყებს, ფატმანსა და ტარიელს რომ გაუგზავნა ციხიდან, სადაც დაწვრილებით აღწერს ქაჯეთის ციხის გეგმას. ბრძოლის დროს ეს წერილები ჩვენს მახსოვრობაში ცოცხლდება და ბრძოლაც ჩვენი გონების თვალწინ, იმ დერეფნებსა, გვირაბებსა თუ ხვრელებში მიმდინარეობს, რომლებზედაც ნესტანი აღწერს, თავის წერილებში ლაპარაკობდა. ამიტომაცაა „მოკლედ“ ეს ნაწილი და ამიტომაცაა სწორედ იშვიათი, განუთქმობელი, რუსთაველის ოსტატობის ერთ-ერთი ყველაზე მეტყველი ნიმუში.

არის კიდევ ერთი პატარა დეტალი, რომელიც ამ ბრძოლას უაღრესად რეალისტურ იერს ანიჭებს: როგორც ვიცით, ჩვენი გმირები ქაჯეთის ციხის ასაღებად სამას მეომარს წაიყვანენ, მაგრამ „სამასისა კაცისაგან ას-სამოცი შეჰყოლოდა“-ო. იტყვის პოეტი ბრძოლის დამთავრების შემდეგ. ის ას ორმოცი, ბრძოლის ველზე დაცემული ჯარისკაცი უაღრესად აკონკრეტებს ბრძოლას, ეიზუალურად აღსაქმელს ხდის გვამებით მოფენილ ქაჯეთის ციხის ეზოსა და სანგრებს...

მწერლის შრომა ხვანა-თესვასა ჰგავს. მართლაც, ვინც კარგად, ღრმად მოხნავს მიწას, ვინც საფუძვლიანად ჩამალავს ხნულში მარცვალს, ის მიიღებს მეტ ნაყოფს, ანუ ყველაზე უკეთ გაამჟღავნებს მარცვლის ჭეშმარიტ არსს. წერა, შეიძლება ითქვას, ერთგვარი მისტიკური პროცესია, რადგან დაფარვის საშუალებით აზრის გამდიდრებას გულისხმობს, მეტაფორა ხომ სწორედ ამისთვისაა გაჩენილი. მართლაც, არის იდუმალების ელემენტი ამ საქმიანობაში, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველა მხატვრული ტექსტი მისტიკის საკუთრებად გამოვაცხადოთ. აქედან კაბალისტიკამდე ერთი ნაბიჯია. ამას იმიტომ ვამბობ, რომ არის რამდენიმე ცდა რუსთველოლოგიაში, პოეტი მისტიკისადმი მიდრეკილ მოაზროვნედ წარმოგვიდგინონ. რუსთაველი ხალხის წიაღიდან ამოზრდილი, უნათლესი პოეტია...

8

ვეფხისტყაოსანი შავთელისა და ჩახრუხადის პოემებისაგან განსხვავდება არა მარტო გრანდიოზული მხატვრულობით — თუმცა, ისინიც მაღალმხატვრული ნაწარმოებებია — არამედ პროგრესული პოლიტიკური პრობლემითაც, პოზიციითაც, რაც განსაკუთრებით საინტერესოა.

თუ შავთელისა და ჩახრუხადისთვის მეფე (პირველ შემთხვევაში — დავით აღმაშენებელი და თამარი, ხოლო მეორე შემთხვევაში — თამარი!) ღმერთისგან არის მოვლინებული, შეიძლება ითქვას, ამქვეყნიური ღმერ-



თია, ვეფხისტყაოსანში მეფისადმი კრიტიკული დამოკიდებულება იგრძნობა, უფრო ზუსტად — რუსთაველის ანსხვავებს მეფეებს, ყველა მეფე მისთვის ერთნაირი არ არის, „დიდი ძეს“ კარგ მეფეს და ცუდ მეფეს შორის.

რასაკვირველია, ეს იდეა, ეს იმდროისათვის მკრეხელური აზრი, ანუ ანტიფეოდალური, ანტიპატრონყმური გაბრძოლება, პოემის ზედაპირზე ხელშესახებად არ დევს, მაგრამ ნაწარმოების ანალიზი, გმირთა ხასიათების გადასინჯვა ფსიქოლოგიური რეალიზმის კრიტიკრიუმებით (ამის საშუალებას პოემა იძლევა), ცხადსა ხდის პოეტის პოლიტიკურ მრწამსს, რომელიც ძალიან განსხვავდება ლირიკული პოემების ავტორთა ქვეშევრდომული ალტაცებისაგან და, როგორც რადიკალური სიახლე იმ დროის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში, წარმოადგენს ნამდვილად რენესანსულ მოვლენას.

ვეფხისტყაოსანში ახალი ცხოვრება იწყება, იქმნება ახალი ოჯახები. და ეს ხდება დიდი ბრძოლითა და დრამატიზმით. ეს კი იმითაც არის საყურადღებო, რომ პოემაში აშკარად შეიმჩნევა ძველისადმი, არსებულისადმი დაპირისპირების ტენდენცია. დიახ, აქ ძველის წიაღში ისახება ახალი ცხოვრება! არც ერთი იმდროინდელი სარაინდო რომანი, როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ ლიტერატურაში, ასეთ სიმაღლეზე არ ასულა! თუნდაც ამიტომ, არ შეიძლება სწორი იყოს მკვლევარების ის მოსაზრება, თითქოს პოემაში გამოხატული სამყარო, საზოგადოება ჰარმონიულია და, ამავე დროს, ზუსტად გამოსახავს სინამდვილეში არსებულ ასევე ჰარმონიულ საზოგადოებას, ქართულმა პატრონყმურმა

ურთიერთობამ რომ წარმოშვა „ციხე-კოშკების, გალავნიანი ქალაქების, ჭაღმანში ჩამსხდარი რაინდების გარემოთი“, სადაც „ყველა კმაყოფილია თავისი ხვედრით“ და სადაც „საზოგადოებრივი სინამდვილე აყენებს ადამიანის პიროვნული დრამის პრობლემებს, მაგრამ არა სოციალურს“. ასეთ მოსაზრებებს კ. კეკელიძის მართალი სიტყვები უნდა დავუპირისპიროთ: „... არაბეთში არაა... „პარმონიული“ მდგომარეობა და სულისკვეთება... პოემა ამ მხრივ სულ სხვა სურათს იძლევა“.

მართლაც, თვალის ერთი გადავლებითაც კი ჩანს, რომ არაბეთსა და ინდოეთში მაინცდამაინც დიდი სიამატებილობით არ ცხოვრობენ. ნუთუ ის სამი ძმა, ტარიელის გაძარცვას რომ მოინდომებენ, კმაყოფილები არიან თავიანთი ხვედრით? ნუთუ ავაზაკობა, მეკობრეობა კმაყოფილებას გამოხატავს, საზოგადოებრივი პარმონიის ნიშანია? ჩვენ ხომ ვიცით, რომ სწორედ იმ ეპოქაში ძალიან იყო გავრცელებული ყაჩაღობა და მეკობრეობა. ტყუილად კი არ იყო შემოღებული „კაცისა ძელზე აღბმა“ ქურდობისათვის, რომელ კმაყოფილებაზე, რომელ პარმონიაზე შეიძლება ლაპარაკი, სადაც ერთი „თხაა“, მეორე კი — „მგელი“? განა „მიეც გლახაკთა საჭურჭლე“ სოციალურ პარმონიას ნიშნავს? ან ამდენი „ობოლი“, „ქვრივი“, „მათხოვარი“ მხოლოდ „პიროვნული დრამის პრობლემებია“? განა ტარიელის დრამა სოციალური ხასიათისა არ არის? გაზარდეს, მისი სამეფო შემოიერთეს, მიესიყვარულნენ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ასული ცოლად არ გაატანეს, იმიტომ, რომ ვასალის შვილი და თვითონაც ვასალი იყო. იცოდნენ, ნესტანს რომ უყვარდა, მაგრამ მისი გრძნობა არაფრად ჩააგდეს. ჩვენ ვნახეთ, თუ რა სასტიკად დასაჯეს

მშობლებმა ნესტანი წინააღმდეგობის გაწევისთვის —  
რაც საკუთარი სიცოცხლისათვის ბრძოლა უფრო იყო,  
ვიდრე მშობლების წინააღმდეგ ამბოხი, — გულდას  
მოიწყვიტეს, მოიშორეს, გადაადგეს, დაკარგეს, სასიკვდი-  
ლოდ გაიმეტეს!

როგორც ჩვენმა მკვლევარებმაც შეამჩნიეს, ფარსა-  
დანი — ნესტანის მამა — სასტიკი მმართველია და  
დადებითი თვისებებით არ გამოირჩევა. მერე და მერე  
დავინახავთ და დავრწმუნდებით, რომ როსტევანი ფარ-  
სადანზე სასტიკი და დაუნდობელი ყოფილა. ერთი წუ-  
თით დავეუშვათ, ხვარაზმშას მეორე ვაჟი რომ ჰყოლო-  
და და იმ ვაჟს თინათინის შერთვა მოენდომებინა, განა  
თინათინსა და ავთანდილს შეეძლებოდათ მშვიდად ყო-  
ფილიყვნენ?

„მისი გმირების მთავარი სილამაზე მათ სიმართლე-  
შია“-ო, ამბობდა დოსტოევსკი პუშკინის შესახებ. დიახ,  
„მთავარი სილამაზე“ რუსთაველის გმირებისა ის გახ-  
ლავთ, რომ მიწაზე უდგათ ფეხი და, აკაკი წერეთლისა  
არ იყოს, ნაოცნებარი და ჰაეროვანი კი არ არიან, არა-  
მედ ცოცხალი, ნამდვილი არსებანი. ამითაა სწორედ  
საინტერესო ეს პოემა. ამავე დროს, უსათუოდ გასათ-  
ვალისწინებელია ის ამბავიც, რომ მისი გმირების ურთი-  
ერთობის საშინაო პირი (თუ შეიძლება, ასე ითქვას)  
სხვაა, საგარეო კი — სხვა, გარეთ ნიღბები უკე-  
თიათ და „ქრულად“ ელაპარაკებიან ერთმანეთს. თუკი  
ავტორის მიერ შემოთავაზებულ ამ პირობითობას არ  
გავითვალისწინებთ, მორიდებით რომ ვთქვა, უხერხულ  
მდგომარეობაში აღმოვჩნდებით.

ტარიელი სასიძოს მოკლავს, ფარსადანი ამ ამბავს  
რომ გაიგებს, გაბრაზდება და ტარიელს შეუთვლის:





„ხვარაზმშას სისხლი უბრალო სახლად რად დამადებინე“-ო.. ტარიელი კი უპასუხებს: სასიძო იმიტომ მოგეკალი, რომ ინდოეთის ტახტს ცოცხალი თავით დაუთმობო. ამით ნესტანის (რომელმაც ჩაიფიქრა ეს მკვლელობა) დანაშაულს თავის თავზე იღებს („დანაშაულზე ფიქრიც დანაშაულივით შემზარავია“-ო, ამბობს რასინი „ფედრას“ წინასიტყვაობაში), ცდილობს ნესტანს აარიდოს ოდნავი ექვიც კი, საერთოდ ჩამოაშოროს ნესტანის სახელი ამ სისხლიან დრამას. გრძნეული დავარი მაინც მიხვდება სიმართლეს და ნესტანს ეტყვის: „როსკიპო, ბოზო დიაცო, საქმრო რად მოაკვლევინე“-ო! ტარიელი კი გაიძახის: „სხვა მეფე იჯდეს ინდოეთს, მე პერტყას ჩემი ხრმალია?!“ (ესეც ნესტანმა ასწავლა!).

ეს არ არის „ქართველო, ხელი ხმალს იყარ“, რომელიც დიდიხნის მერე, სულ სხვა პოლიტიკურ ვითარებაში გაჩნდა, როგორც ამბოხებულთა მოწოდება. ტარიელი თავისუფალი, გალალებული, ძლიერი, თვითონ დამპყრობი ქვეყნის შვილია. ტარიელი რომ ინდოეთიდან წამოვა და ნესტანის ძებნას დაიწყებს, მას მერე ერთხელაც კი არ გაახსენდება ინდოეთი, რა ბედი ეწია, გამძვინვარებულმა, გამწარებულმა ხვარაზმშამ ზომ არ აიკლო იქაურობა, რაც სავსებით მოსალოდნელია. არა, ტარიელს ეს სრულებითაც არ აღელვებს, მან იცის, ამ ქვეყნად არ არსებობს ძალა, მის სამშობლოს რაიმეს რომ დააკლებს.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ტარიელი ხვარაზმშას ვაჟს იმიტომ ჰკლავს, ინდოეთის დამოუკიდებლობისთვის იბრძვისო.

ტარიელს ნესტანის სიყვარულის მეტი სხვა იდეა

არ ამოდრავებს, არც სასიძოს მოკვლამდე და არც სასიძოს მოკვლის შემდეგ. სასიძოსაც ნესტანის ჯიქტის წაქეზებით კლავს. მართალია, ფეხს ითრევს, არ უნდა, მაგრამ ბოლოს მაინც ნესტანის ხათრი დასძლევს და ეს მძლეთა მძლე გმირი, რომელიც კეთილშობილების, რაინდობის განსახიერებაა, მიეპარება სტუმარს და მოკლავს...

აი, რა ძალა აქვს სიყვარულს, აი, როგორ „ამრმავებს“ ზოგჯერ ის ყველაზე ნათელ გონებასაც კი!

ხოლო, რაც შეეხება ბრძოლას სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, ტარიელი ამ ცნებას საერთოდ არ იცნობს და არც შეიძლება, იცნობდეს. მისი სამშობლო ისედაც დამოუკიდებელია, აღზევებულია და ძლიერი. საგმირო საქმეებს, რომლებსაც მისგან ნესტანი მოითხოვს, თავდაცვითი კი არა, პირიქით, შემტევი ხასიათი აქვს.

ქართველმა ხალხმა ეს იღუპა მერე ამოიკითხა ვეფხისტყაოსანში, მერე, როცა თავისუფლება დაკარგა და გამაჰმადიანებული მბრძანებლების ხელში აღმოჩნდა. ზევით ვთქვი, ჩვენმა ხალხმა პოემაში თავისი ბედის ამოცნობა სცადა-შეთქი. დიახ, მან იქ იპოვა ერთი დიდი, სახელმძღვანელო აზრი: თავისუფლებას ისევე უნდა გაფრთხილება, როგორც თვალის ჩინს და ამისათვის არასოდეს არ არის გვიან, მაშინაც კი, როცა იმედის ნატამალიც კი აღარ კიაფობს, რადგან თავისუფლებისათვის ბრძოლა იგივე თავისუფლებაა! ასე იქცა ვეფხისტყაოსანი ეროვნულ-გამანათავისუფლებელი ბრძოლის დროშად.

„სჯობს მონობაში გადიდკაცებულს  
თავისუფლების ძებნაში მკვდარი“-ო,

წამოისერის აკაკი წერეთელი კონკრეტული ხასიათის ლოზუნგს, შთაგონებულს შოთა რუსთაველის ზოგადსაკაცობრიო უღერადობის სტრიქონით: „სჯობს სიკოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!“

რუსთაველი ამბობს: „ხამს მეფეთა ერთგულება“-ო, მაგრამ აშკარაა, რომ მისთვის სულერთი არ არის, რომელ, უფრო სწორად, როგორ მეფეზეა ლაპარაკი. მკვლევარებმა შენიშნეს, რომ პოეტი ძალიან დაუნდობელია ფარსადანის მიმართო, მაგრამ პოეტს არა მარტო ფარსადანი, როსტევეანიც არ ახატია გულზე, როსტევეანის მიმართაც დაუნდობელია, როსტევეანის, რომელიც საერთო სიმპათიით სარგებლობს ჩვენი მკვლევარების შრომებში. რუსთაველი ფარსადანს როსტევეანს კი არ უპირისპირებს, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, არამედ ფარსადანსა და როსტევეანს აერთიანებს საერთო — დესპოტიზმის — ნიშნით და მათ, ანუ ფარსადანსა და როსტევეანს, უპირისპირებს ახალ მეფეებს, საკუთარი ღირსებით რომ მოიპოვებენ ტახტს — ავთანდილსა და ტარიელს!

რუსთაველის ბრძოლა მეფის წინააღმდეგ უკეთესი მეფის სახელით, ბაგრატიონების დინასტიის წინააღმდეგ ბრძოლა კი არ არის, არ შეიძლება ასე დავაკონკრეტოთ პოემა, ისტორიული ანალოგიები ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება, არამედ ეს არის დიდი რენესანსული იდეა, ანუ „ოცნება იდეალურ მმართველზე“.

„იყო არაბეთს როსტევეან, მეფე ღმრთისაგან სვიანი,  
მაღალი, უბვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი,  
მოსამართლე და მოწყალე, მორკმული, განგებიანი,  
თვის მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი“ —

თიქმის მთელი ცხოვრებაა დაფორმულებული ამ  
ოთხ სტრიქონში, ერთ სტროფშია ჩატეული თიქმის  
ყველა მნიშვნელოვანი თვისება ხელმწიფისა. ეს სტრო-  
ფი, როგორც ხედავთ, არაბეთს მეფე როსტევანის ქე-  
ბათაქებაა. ყველა მეფე, რაც უნდა დიდი წარმოდგენი-  
სა ყოფილიყო საკუთარ თავზე, უსათუოდ კმაყოფილი  
დარჩებოდა, მისთვისაც ასეთი სტრიქონები რომ ეძღე-  
ნათ. მაგრამ ეს დასაწყისი, შესავალია მხოლოდ, ამი-  
ტომაც სიფრთხილე გვმართებს, დაკვირვებით უნდა მი-  
ვადევნოთ თვალი როსტევანის ხასიათის განვითარებას.  
მართლაც, როდესაც პოემის სიღრმეში შევდივართ,  
როცა როსტევანის ხასიათს მოქმედების დროს —  
ს ც ე ნ ა ზ ე ვაკვირდებით, ვგრძნობთ, ნამდვილად ისე  
რომ არ არის საქმე, როგორც ზემოთ მოყვანილ სტრო-  
ფშია წარმოდგენილი. როსტევანის ბიოგრაფიის პირ-  
ველ აბზაცში გამოთქმული ეპითეტები ცალკე რჩება,  
მეფის ნამდვილი სახე კი — ცალკე. მერე კი (თანდა-  
თანობით!) ვრწმუნდებით, რომ პოემაში ფარულად  
(„შეფარვით“) სასტიკადაა გაკრიტიკებული  
ყველას გასაგონად ნაქები მეფე. თანდათანობით  
იმაშიც დავრწმუნდებით, რომ ხასიათის ორპლანიანობა,  
ქვეტექსტურობა საერთოდ დამახასიათებელია რუსთა-  
ველისთვის, რაც ამალღებს კიდევ მას ძველი დროის  
ყველაზე დიდ შემოქმედთა შორის.

ქართულ კრიტიკაში შეინიშნება მხატვრული ნაწარ-  
მოების პერსონაჟთა ერთგვარი გაფეტიშება. ასეთი ბე-  
დი ეწია, მაგალითად, იაკობ ცურტაველის ცნობილი  
რომანის მთავარ პერსონაჟს — შუშანიკს. რუსთავე-  
ლის გმირები ხომ კერპთა ქანდაკებებივით არიან წამო-  
მართულნი მკვლევარების წიგნებში. არადა, ისინი, პოე-

ტის ჩანაფიქრით, იმიტომ არიან მშვენიერები, ნამდვი-  
ლი ადამიანები რომ არიან!




„მეფემან იხმნა ეზირნი,  
თვით ზის ლალი და წყნარია“.

რა მშვენიერი სიტყვაა „წყნარი“, რა ზუსტად გა-  
მოხატავს როსტევეანის სულიერ მდგომარეობას: მას ხომ  
თინათინის გამეფების საქმე მოგვარებული აქვს, ხოლო  
ის, რაც ამის შემდეგ ჩვენს თვალწინ გათამაშდება, კარ-  
გად დადგმული სპექტაკლია, მეტი არაფერი. მეფე ვე-  
ზირებს გაანდობს თავის სურვილს, თუმცა უნდა ვიფიქ-  
როთ, რომ ეს მხოლოდ ფორმალური ეესტია, რადგან  
ვეზირებმა ალბათ კარგახანია იციან მეფის განზრახვა,  
ანდა ხედებიან, გრძნობენ მაინც, მართლაც არც ისე  
ძნელი მისახვედრია, რა უნდა აწუხებდეს უმემკვიდრო  
მეფეს.

„მე გარდავსულვარ, სიბერე მჭირს, კირთა უფრო ძნელია,  
დღეს არა, ხვალე მოვეცდები, სოფელი ასრე მქნელია,  
რალა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!  
ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია“.

ჯერ „მეს“ ამბობს, „ასულს“ — არა, ყოველ  
შემთხვევისათვის. არ უნდა, გაამწვაოს ვითარება, ჯერ  
ნიადაგს სინჯავს, ცოტახნის მერე კი უფრო თამამად  
იტყვის: „თინათინ ჩემი ხელმწიფედ დავსვი მე, მისმან  
მშობელმან“-ო. ხედავთ, რა უცებ კარგავს მნიშვნელო-  
ბას ზმნის მრავლობითი ფორმა „დავსვით“ — საპ-  
ნის ბუშტსა ჰგავს იგი, ანდა წყალზე დაწერილ ფიცს,  
ხელმწიფის ზვიად „დავსვი“ — სთან შედარებით.  
საინტერესოა, რომ ვეზირებმა მაინც გაიბრძოლეს: „მა-  
გას ნუ ჰბრძანებთ, მეფეო, ჯერთ ვარდი არ დაგჭნო-  
ბია...“ ორფსკერიან ყუთივითაა ეს ფრაზა: აქ არა მარ-



ტო ქათინაურია გამოთქმული, არამედ იმის ნამდვილი მიზეზიც, თუ რატომ თანხმდებიან ვეზირები, როგორც სურვილს (“ჯეროთ ვარდი არ დაგჭნობია“!). როსტევენი ჯერ კიდევ ძლიერია, არა მარტო როგორც მეფე, არამედ — როგორც მეომარიც, აქ მის ფიზიკურ სიძლიერესაც აქვს გასმული ხაზი. მართალია, ჩვენს ზოგიერთ მკვლევარს როსტევენი „ღრმა მოხუცებული“ ჰგონია, მაგრამ ეს ასე რომ არ არის, პოემაში სულ მალე გამოჩნდება ნადირობის დროს, რომელიც სამხედრო მანევრებს უფრო ჰგავს ამ ვითარებაში, ვიდრე სპორტულ გართობას. როსტევენი სწორედ აქ ამტკიცებს თავის ფიზიკურ სიძლიერეს, თავის ახალ გზადობას. მან იცის, რომ სხვანაირად (თუკი ის მართლაც ბებერი და უძლური იქნება), მის ქალიშვილს ტახტს არავინ გააკარებს; ამიტომაც თვითონ, საკუთარი ხელით უნდა გააკეთოს ეს და ამიტომაც სწორედ საჭირო, რომ მისი ეშინოდეთ ისევე, როგორც ადრე. ეტყობა, ამ სამეფო კარზე ნადირობა ხშირად იმართება, თანაც, როგორც წესი, ყოველთვის როსტევენი იმარჯვებს.

„ლეკი ლომისა სწორია,  
ძუ იყოს, თუნდა ხვადია“ —

დაიკნავლებენ ვეზირები და ამ არაჩვეულებრივი ვირტუოზული ლიქნით აბრჭყვიალებულ ფრაზაში გვირგვინოსანი ლომის ბუბუნნი გაისმის. დიახ, აქ „ლომს“ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე „ძუს“ ან „ხვადს“...

„არაბეთს გასცა ბრძანება დიდმან არაბთა მფლობელმან:  
„თინათინ ჩემი ხელმწიფედ დავსვი მე, მისმან მშობელმან;  
მან განანათლეს ყოველნი, ვით მზემან მანათობელმან,  
მოღით და ნახეთ ყოველმან შემსხმელმან, შემამკობელმან!“

ეს მარტო ბრძანება კი არაა, გაფრთხილებაცაა: სხვა არაინ, მხოლოდ მაქებარი, „შემამკობელი“ მოვიდესო.

თინათინის გამეფებასთან დაკავშირებით გამართულ ნადიმზე როსტევეანი უეცრად მოიწყენს. ავთანდილი და ვეზირი სოგრატი დაღვრემილ მეფესთან გასამხიარულებლად მივლენ... მეფე შესჩივლებს, დავბერდი, მემკვიდრე არა მყავსო. მან უკვე მიაღწია თავის საწადელს: ასული დასვა ხელმწიფედ, ახლა შეუძლია სიმართლე თქვას — „ღმერთმან არ მომცა ყმა-შვილი“-ო, აი, რა აწუხებს მას. მახსენდება კ. კეკელიძის ძალზე მახვილგონივრულად ნათქვამი სიტყვები: როსტევეანს რომ ვაეი ჰყოლოდა, იმას გაამეფებდა და არა თინათინსო. მეფისთვის რომ გუნება გამოესწორებინა, ავთანდილმა შესთავაზა, მოდი, ნადირობაში შევეჭიბროთო. ავთანდილმა და მეფემ დათქვეს:

„ვინცა იყოს უარესი,  
თავ-შიშველი სამ დღეს ვლიდეს“-ო.

უქუდოდ სიარული შეიძლება. სამარცხვინოდ ითვლებოდა იმ დროს, მაგრამ ნამდვილად უმნიშვნელო სანაძლეოა ისეთი პიროვნებებისათვის, რომელთაგან ერთი მეფეა, ხოლო მეორე — სპასპეტი, ახალგამეფებული თინათინის მიჯნური! ამასთანავე, ჭკვიანი კაცი მეფეს შეჯიბრს რომ შესთავაზებს, თანაც გუნების გამოსასწორებლად, გასამხიარულებლად, სიბერის დასავეიწყებლად, რასაც როსტევეანი უჩივის („სიბერე მჭირს“), რასაკვირველია, წინასწარაა მზად სანაძლეს წასაგებად, ძალიანაც რომ სჯობდეს მეფეს. მაგრამ ავთანდილს ისიც უნდა სცოდნოდა, რომ მეფე არ შეიძლებოდა ყოფილიყო „უარესი“. აი, სად დაუშვა მან

თავისი ერთადერთი, საბედისწერო შეცდომა, რაც სამი წლით განდევნის ფასად დაუჯდა, თუმცა, როგორც აღამიანმა, ამ განდევნის წყალობით, ბევრი რამ შეიძინა კიდევ, თუნდაც როგორც პიროვნებამ, შეიცნო საკუთარი თავი.

ამავე დროს, სანაძლეო, რა თქმა უნდა, სულ სხვა, შეუღარებლად მნიშვნელოვან რამეზე იყო დადებული, ბრჭყალები რომ გავხსნათ — გამარჯვებული სამეფოს იგებდა! ანუ ერთი ინარჩუნებდა, მეორე კი — იძენდა! და ორივემ, მეფემაც და სპასპეტმაც, ეს ძალიან კარგად იცოდა, ასეთი სანაძლეოს დადება მეფესთან, ჯერ კიდევ არ იყო მთავარი შეცდომა ავთანდილისა. როცა მეფემ თქვა, ჩემს სამეფოში ჩემი ბადალი მონადირე არ მეგულებაო, ავთანდილმა უპასუხა: „მოსაპარეზედ ვინ მგავსო? — ცუდნილა უკუთქმანია. გარდამწყვედელი მისიცა ბურთი და მოედანია“—ო. მერე, გინდაც სხვა არაფერი მომხდარიყო, ესეც კმაროდა მეფის გასარისხებლად, მარტო ამ ორ სიტყვას — „ცუდნილა უკუთქმანია“ — არ აპატიებდა ავთანდილს როსტევანი.

როსტევანი, რა თქმა უნდა, შეჩვეულია გამარჯვებას. უფრო მეტიც — სხვანაირად ვერც კი წარმოუდგენია! „მონა თორმეტი შევსხათ ჩვენთანა მარებლად... ნასროლ-ნაკრავსა სთვალვიდენ უტყუვრად, მიუმცდარებლად“ — ეუბნება ავთანდილს და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ამ თორმეტ მხლებელ მონასთან ერთად შერმადინსაც ასახელებს: „ერთაი შენი შერმადინ...“ ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეფეს არ უნდა მათი არბიტრები ობიექტურები იყვნენ! შერმადინის ჭკუის იმედი აქვს, ავთანდილს ხელს



დაუჭერს, გააფრთხილებს, გამოაფხიზლებს, მეტი არ მოგივიდეს, მეფეზე მეტი არ დახოცოო. მაგრამ იმის ილუზიურმა წარმოდგენამ, ავთანდილი მალე თვითონვე რომ გახდებოდა მეფე, როგორც თინათინის ქმარი, შერმადინის ჩვეული სიფხიზლე დაავიწყა, თავბრუ დაახვია, თუმცა რას წარმოიდგენდა ვინმე, მათ შორის შერმადინიც, სრულებით რომ არ აპირებდა როსტევანი ტახტის დათმობას, თუნდაც თინათინისთვის. მან თინათინი ტახტზე მხოლოდ იმიტომ დასვა, ყველას რომ დაპყარგვოდა მადა ამ ტახტის დაუფლებისა.

არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ როსტევანი მარტო თორმეტი მონისა და შერმადინის თანდასწრებით არ აპირებს ავთანდილთან შეჯიბრებას, არამედ — მთელი ხალხის თვალწინ, ანუ უამრავი და უამრავი მოწმის თანდასწრებით: „ლაშქარნი სამზოდ აწვივნეს: მოდით და მოიჯარენით“. ასე სახალხოდ თავის მოჭრას კი არც ერთი მეფე არ აპატიებს არავის, თუნდაც ის ავთანდილი იყოს, მისი ქალიშვილის საქმრო. თუმცა, შეიძლება განსაკუთრებით მას არ აპატიოს!

ამრიგად, მოხდა ის, რასაც როსტევანი ყველაზე ნაკლებად ავთანდილისგან ელოდა: ავთანდილი ვერ მიხვდა, რომ ეს ნამდვილი ნადირობა კი არ იყო, არამედ, როგორც უკვე ვთქვი, მანევრები, ანუ მეფის ძლიერების ჩვენება, ანუ მათი გაფრთხილება, ვინც ერთი წამით მაინც დაიჯერა როსტევანის სიბერე.

„ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ-სპასალარისა,  
საროსა მყოფი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა,  
ჯეროთ უწვერული, სადარო ბროლ-მინა საცნობარისა;  
მას თინათინის შევენება კელევედის წამწამთა ქარისა“ —



ეს არის და ეს! გენიალური პოეტი ამით გვეუბნება, რომ ავთანდილი, ჯერჯერობით, ფიზიკურად ~~მძლიერად~~ ლამაზი კარისკაცია მხოლოდ, არავითარი განსაკუთრებული თვისება არ გააჩნია და არც მოეთხოვება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ პოემის დასაწყისის ავთანდილი ბევრი-ბევრი მომავალი როსტევანია, იგი ხომ როსტევანის მიერაა აღზრდილი და გაწვრთნილი! ყოველ შემთხვევაში, ავთანდილი უსათუოდ ასეთი იქნებოდა, არა-ბეთიდან უცხო მოყმის საძებნელად რომ არ წასულიყო. სხვათა შორის, ზემოთ მოყვანილ სტროფში ტყუილად არ არის ნახმარი სიტყვა: „ჯეროთ“! დიახ, ჯერჯერობით, ავთანდილი მარტო „უწვერული“ კი არა, საერთოდ, ავთანდილი არ არის! სასწაულმოქმედის ხელითაა ჩასმული ეს პაწაწინა სიტყვა სწორედ იმ ადგილას, სწორედ იმ ბორცვზე დასკუბებული, საიდანაც სტროფში განფენილი სივრცე, მის გამო, რალაცა დიდის, მნიშვნელოვანის მოლოდინით ივსება (პირველად ნამდვილ ავთანდილს მაშინ დავინახავთ, როცა ასმათს დაიყოლიებს. მას ხომ დარწმუნების, დაყოლიების, დამორჩილების გასაოცარი უნარი აღმოაჩნდა! შეიძლება ეს თვისება მისთვისაც მოულოდნელია, შეიძლება კი არა, ნამდვილად ასეა, მაგრამ ავთანდილი კიდევ ბევრ ახალ რამეს აღმოაჩენს საკუთარი არსების სიღრმეში!).

ავთანდილმა როსტევანზე „ოცითა უფროსი“ დაბოცა მხოლოდ-თუ გავიხსენებთ ავთანდილის ბრძოლას მეკობრეებთან, რომელიც ავთანდილის ფიზიკური შესაძლებლობის დემონსტრაციაა, დავინახავთ, თუ რა ძლიერი ყოფილა როსტევანი! მართლაც, სწორედ ასეთი ძლიერი უნდა ყოფილიყო, ტახტზე რომ თავისი ასული დაესვა.

ავთანდილმა როსტევანზე ოცი ნადიროთ მეტო და-  
ხოცა და... დაისაჯა კიდევ! პირველი ხელმწიფე-  
რი აქტი, რომელიც კი თინათინმა განახორციელა  
(თუ განახორციელებინეს!) თავისი საქმროს დასასჯე-  
ლად იყო მიმართული: ავთანდილი სამი წლით მოიშო-  
რეს თავიდან. უცხო მოყმის ამბავი მშვენიერ მიზეზად  
იქცა ამისათვის. სხვანაირად არც იყო მოსალოდნელი,  
ყველა იმდროინდელი ხელმწიფე იგივეს გააკეთებდა,  
ფეოდალური სახელმწიფოს სათავეში ძლიერი მეფე-  
მომარო უნდა მდგარიყო. ბუნებრივია, რომ ასეთი მე-  
ფე მეტოქეს ვერ აიტანდა. ამიტომ, არც მეტოქეს უნდა  
დაეშვა შეცდომა, არ უნდა განერისხებინა მბრძანებე-  
ლი.

(ნადირობის სცენაში არის ერთი ფრაზა, იმდენად  
დინამიკური, უნებლიედ გინდა, ხელი წაატანო, ფურც-  
ლიდან რომ არ გასხლტეს, არ გაიქცეს: „მიჯხოცდეს და  
მიისროდეს, მინდორს სისხლთა მიასხმიდეს“...)

ნადირობის დროს როსტევანმა და მისმა ამაღამ ნა-  
ხა „უცხო მოყმე“, რომელიც წყლის პირას იჯდა და  
ტიროდა, როსტევანმა მის დასაძახებლად მონა გაგზავ-  
ნა, მაგრამ რაინდმა მონას ყური არ ათხოვა, არც კი  
გაუგია მისი ხმა. „იგი ტირს და არა ესმის მისგან, გაუ-  
უმეცარდა“. მონა გაწბილებული დაბრუნდა, როსტევა-  
ნი განრისხდა: „მეფე გაპკვირდა, გა-ცა-წყრა, გული უც  
მისთვის მწყრომარე“. ახლა თორმეტი მონა გააგზავნა,  
„მიდით და აქა მომგვარეთ“-ო, ანუ შეპყრობა დაუპი-  
რა რაინდს. იმ რაინდმა კი, რაც მეტად ბუნებრივია და  
სხვანაირად ძნელი წარმოსადგენიც, არ შეაპყრო-  
ბინა თავი მონებს. ახლა მეფემ მთელი ლაშქარი მიუსია  
და თვითონაც გაექანა რაინდის შესაპყრობად. როსტე-

ვანისგან განსხვავებით, რაინდმა დაინახა რა მეფე, ადგა და გაერიდა, პატივი სცა, როგორც ნამდვილ მეფეს და შეეფერებოდა.

ტარიელი გაქრა.

როსტევანი გადაირია!

„ლაშქარი მკვდართა სტიროდეს, სწრაფვა პქვს წყლულთა ხვევისა...“ როსტევანი კი იმაზეა გაცოფებული, უცხო რაინდი რომ ვერ შეიპყრო (სხვათაშორის, ვინც კი ტარიელს დაინახავს, თავდაპირველად მისი შეპყრობის მწველი სურვილით განიმსჭვალემა ხოლმე. „მისი მოგვინდა შეპყრობა“-ო, ამას სამნი ძმანი ხატაელნი ამბობენ, ტარიელის შეპყრობა, როსტევანივით, უნდოდა ერთ ჩვენთვის უცნობ მეფესაც, ცოტახნით ადრე, სანამ ტარიელი ავთანდილს შეხვდებოდა).

„ვნახეთ მიზეზი ლხინთა ლევისა“, — ეს როსტევანის სიტყვებია. არ ყოფილა ჯერ შემთხვევა, რომ მისი ბრძანება, სურვილი არ შესრულებულიყოს და აი, აქ რუსთაველი იტყვის ფრაზას, რომლის წყალობითაც დაეინახავთ, რომ როსტევანს სხვებიც, მათ შორის მისი აქლობლებიც. ამტყუნებენ: „ზოგთა თქვეს, თუ „მართალია“, ზოგი: „ღმერთო!“ უზრახვიდა“.

გურამ პეტრიაშვილი თავის სტატიაში „გვაქვს უთვალავი ფერითა“ როსტევანის მართლაც უცნაურ განრისხებას უცხო მოყმეზე სამართლიანად ხსნის იმ წყენით, რომელიც ნადირობის დროს ავთანდილთან დამარცხებამ მიაყენა. აი, აქ იფეთქა მისმა ბრაზმაო. საერთოდ, როსტევანის ხასიათის გაანალიზებისას გურამ პეტრიაშვილი, ძირითადად, სწორ პოზიციასზე დგას, არც როსტევანის „ნებიერობა“ რჩება შეუმჩნეველი და არც ის,



„თუ როგორ ესროლა სკამი სოგრატს“ ამ „მოწყალე“ ხელმწიფემ. მაგრამ, ჩემი აზრით, სცდება, წერს: „როგორც მეფეს, ცხადია, გაეხარდა ლის გამარჯვება (ხომ სწორედ ამისთვის იყო ნადიმზე დაღონებული, ვერავენ მჯობნისო), მაგრამ როგორც ადამიანმა, ეს მიიღო მოხუცებულობისა და სიკვდილის მიახლოვებად და მის ქვეცნობიერებაში დარჩა უსიამოვნო შეგრძნებად, რომელმაც მაშინვე წამოჰყო თავი, როგორც კი საბაბი მიეცა ამისაო“. არა! როსტევეანი ნადიმზე აშკარად თამაშობდა დაღონებას. დიახ, თამაშობდა! რუსთაველმა ტყუილად როდი იხმარა ტერმინი „ჭრელი“. თუკი არსებობს „ჭრელი საუბარი“, არსებობს „ჭრელი ქცევაც“. ამას თუ დავივიწყებთ, ბევრი ფსიქოლოგიურად მეტად საინტერესო ნიუანსი შეუმჩნეველი დაგვრჩება და იმ მკითხველებს დავემსგავსებით, რომლებსაც თვითონ გ. პეტრიაშვილი ასე მკაცრად, თუმცა სამართლიანად აკრიტიკებს. სწორედ რომ მეფეს არ გაუხარდა ავთანდილის გამარჯვება! ზემოთ უკვე ვთქვი და კიდევ დავამატებ, რომ ყველაფერზე მეტად, მას, რასაკვირველია, ის არ ესიამოვნა, მისმა აღზრდილმა იმდენი ჭკუა რომ ვერ იხმარა, მეფისთვის არ ეჯობნა, თანაც მაშინ, როცა მეფეს ასე სჭირდებოდა გამარჯვება!

როსტევეანი რის როსტევეანი იქნებოდა, თავისი სიბრაზე სახალხოდ გამოეხატა. ეს ხომ კიდევ უფრო გაამძაფრებდა მისი დამარცხების ამბავს სხვათა თვალში. მან, როგორც ეს ძლიერ პიროვნებას და ჭკვიან მმართველს ეკადრება, საქვეყნოდ, სხვების გასაგონად სიხარულიც კი გამოთქვა ავთანდილის გამარჯვების გამო.

მაგრამ დააკვირდით აქ ერთ, თითქოსდა უმნიშვნელო ნიუანსს — „უხარის ეგრე სიკეთე მისისა განაზარდისა“! — ამ ფრაზაში მთავარი აზრობრივი აქცენტი მოდის სიტყვებზე: „მისისა განაზარდისა“! ანუ მეფემ ავთანდილის გამარჯვება ღიმილითა თუ სიცილით („სიცილით ლალობს“) მაინც თვითონ მიიწერა: ეს მან ასწავლა, მან გაზარდა, მან გაწვრთვნა ასეთი ავთანდილი, მხოლოდ და მხოლოდ მისი წყალობაა, ავთანდილმა ასე კარგად რომ ინადირა! მას სიბრაზის გადმოსანთხევად სხვა საბაბი სჭირდება და, როგორც გ. პეტრიაშვილი აღნიშნავს, იპოვა კიდევ — „უცხო მოყმე“ სწორედ რომ ბედზე გამოჩნდა!

მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათად თუ მოიპოვება ასე „უკუთქმით“ შესრულებული პორტრეტი პერსონაჟისა. ასე რომ, რუსთაველი არა მარტო „შეფარვით ქების“ დიდოსტატია, არამედ — შეფარვით ძაგებისაც! ესეც ზომ რუსთაველის ნათქვამია: „მე თუ ზეპირ მიცინია, ქვე-ქვე მითქვამს იღუმალ ვა...“

შევეცდები, სხვა მაგალითებიც მოვიყვანო, თუმცა უკვე ნათელია, რომ რუსთაველის დამოკიდებულება მეფისადმი, უზენაესი მმართველისადმი, მბრძანებლისადმი — კრიტიკულია. მას ეჭვი ეპარება აბსოლუტური მბრძანებლის სამართლიანობაში და მიტომაც მისივე სიტყვებს პოემის პროლოგიდან: „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს“-ო, მეფისადმი პოეტის დამოკიდებულების გარკვევის დროს ვერ გამოვიყენებთ.

რა თქმა უნდა, როსტევეანს დადებითი თვისებებიც აქვს, მაგრამ, როცა ამ თვისებებს ვიხსენებთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს როსტევეანის ვეზირი „ბერი სოგრატი“. რუსთაველი პოემაში შემთხვევით,

თუნდაც ერთი შთამბეჭდავი პასაჟის გულისთვის, აბა-  
ვის შემოიყვანდა. როგორც ჩანს, როსტევეანის სიბრძ-  
ნის, სამართლიანობის, გონივრული მმართველობის  
უდიდესი ნაწილი სოგრატის წყალობაა. ეს ისეთივე  
სონაჟია, რომელიც პოემაში ორ როლს ასრულებს:  
ერთს აშკარას, ანუ ვეზირისას (რომელიც „მოსამართ-  
ლე და მორკმული“ მეფის ხელით უსათუოდ დაიღუპე-  
ბოდა, მისგან ნასროლი სკამი რომ არ აეცდინა) და მეო-  
რეს — ფარულს, ანუ მეფის მოკარანახისას,  
მეფის საჯარო გამოსვლების უჩინარი ავტორი-  
სას, კულისებიდან რომ მუხტავს ენერგიით როსტევა-  
ნის ხელმწიფურ ძლევამოსილებას.

მეფე თინათინმა სარდალი ავთანდილი დაიბარა და  
უბრძანა, უცხო მოყმის ამბავი გაგვიგეო. შენ იმიტომ  
გავალებ ამას, რომ „სამსახური ჩემი გმართებს“-ო, არ  
დაგავიწყდეს „ყმა“ და, თანაც, „ჩემი მიჯნური“ რომ  
ხარო (ამ შემთხვევაში რაინდი და ვასალი ერთ ცნება-  
შია გაერთიანებული).

ავთანდილისთვის ეს ამბავი მოულოდნელი არ არის  
(„მე სიკვდილსა მოველოდი“), იცის (უკვე მიხვდა).  
რაც ჩაიღინა, იმის პატიება არ შეიძლება. მას ახლა თა-  
ვის ადგილზე უთითებენ, რადგან ნადირობის დროს  
მიღწეულმა წარმატებამ შეიძლება თავბრუ დაახვიოს  
და ახალი სისულელე ჩაადენინოს.

ეს რომ ასეა და ავთანდილმაც სწორედ ასე გაიგო.  
შევიტყობთ ცოტა ხნის მერე, როდესაც ავთანდილი  
შერმადინს აუხსნის თავისი მოულოდნელი გამგზავრე-  
ბის მიზეზს: „პირველ ყმა ვარ. წასვლა მინდა პატრონი-  
სა სამსახურად“. ეს ხომ თინათინის სიტყვების გამეო-  
რებაა („სამსახური ჩემი გმართებს“). ოღონდ, ამ შემთ-

ხვევაში, კიდევ უფრო აქცენტირებულია ავთანდილის  
ვასალობა.

ავთანდილი მიხვდა, რატომაც სჯიან: „ყოფა გემარ-  
თებს უმასა უმურად“! ჯერჯერობით ის ხომ მორჩილი  
ვასალია მხოლოდ, გაბრუებული თინათინის ვარდისფე-  
რი სიყვარულით, დამჯერე ჯარისკაცია, რომელიც თა-  
ვის დანაშაულს მიხვედრილა („ხამს შეფეთა ერთგუ-  
ლება“), ჯერ ძალიან აღრეა ამ დიდებულ ფრაზამდე:

„რაზომცა სწყრები, შემინდევ შეცვლა თქვენისა მცნებისა.  
ძალი არ მქონდა ტყვე-ქმნილსა მე მაგისისა თნებისა;  
აწ წასვლა იყო წამალი ჩემთა სახმილთა გზნებისა.  
სადა გინდ ვიყო, რა მგამა, ყოფამცა მქონდა ნებისა!“

აი, აქ კი (ვიმეორებ — დიდიხნის მერე!) დაუბირო-  
სპირდება ერთიმეორეს „სამსახური“ და „ნება“!

როგორც ვიცით, სწორედ თინათინმა ურჩია მამას  
(საკვირველია, თვითონ როსტევანი რატომ ვერ მიხვ-  
და!), რომ კაცები გაეგზავნა და მთელ ქვეყანაზე მოე-  
კითხა იმ უცხო მოყმის ამბავი („გაგზავნე კაცი ყოველ-  
გან მისთა ამბავთა მცოდნელი“). რა იცი, იქნებ მოჩვენ-  
ებაც კი იყო. ან ეშმაკისეული „სიცრუე“-ო..

მართლაც, თინათინის რჩევის შემდეგ „მოასხნეს  
კაცი, გაგზავნეს ოთხთავე ცისა კიდეთა“. გაგზავნი-  
ლებმა მთელი წელი ძებნეს უცხო მოყმე, ქვაც კი არ  
დარჩენიათ გადაუბრუნებელი, მაგრამ ვერაფერი შეიტ-  
ყვეს და ხელცარიელები დაბრუნდნენ არაბეთში.

როსტევანმა თქვა, მართალი ყოფილა ჩემი ასული,  
ის უცხო მოყმე სინამდვილეში არც კი არსებულა („გა-  
რდმოჭრილი ზეცით ზეო“), ასე რომ, გვეყო „შეჭირ-  
ვება“, დავივიწყოთ ეს ამბავიო.



როსტევეანი რომ გალიმებული ნახეს, ყველამ გაიხბრა. აქამდე ძალიან უკვირდათ მეფის უაზრო რისხვას, სწორედ რომ უაზრო, რადგან უცხო მოყმე არავის არაფერს უშავებდა და, რაც მთავარია, მხოლოდ პატივისცემისა და მოწიწების გრძნობას იწვევდა. როგორც ყველა განმარტოებული და ღრმად დამწუხრებული, კეთილშობილი ადამიანი.

ამგვარად, გაიარა ხანმა და იმ უცნაური მოყმის ამბავი ყველას გულიდან გადაუვიდა, ყველას... როსტევეანის გარდა! ნუ ვენდობით მის ღიმილს, რადგან არსებობს „ჭრელი საუბარი“, უნდა ვიგულისხმოთ, რომ არსებობს „ჭრელი ღიმილიც“. „ჭრელი ცრემლიც“, „ჭრელი რისხვაც“. ამის მაგალითებს პოემაში მრავლად ვხვდებით. როსტევეანს არ შეიძლებოდა ეს ამბავი დაევიწყებინა, უპირველეს ყოვლისა, როგორც მეფეს. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას თინათინისაგან შევიტყობთ: თინათინი ავთანდილს ეტყვის:

„გახსოვს, ოდეს უენ და როსტანს მინდორს მხეცი დაგეზოცა,  
ყმა გენაზა უცხო ვინმე, რომე ცრემლი მოეზოცა?  
მას უკანით გონებაჲმან მისმან ასრე დამამზოცა,  
შენ გენუკვი მონახვასა, კიღით კიდე მოკლახო ცა.“

„გახსოვს“-ო! — ვითომც არაფერი, ვითომც ეს არ იყოს მთავარი, ვითომც ავთანდილსაც ეს ამბავი ისევე არ ახსოვდეს, როგორც როსტევეანს, ოღონდ, შიშითა და ცუდის წინათგრძნობით შეპყრობილს („მე სიკვდილსა მოველოდი...“). „შენ გენუკვი მონახვასა“-ო, ამას ის ქალი ამბობს, რომელსაც არც კი სჯეროდა, უცხო მოყმე სინამდვილეში საერთოდ თუ არსებობდა. მაინც რა მოხდა, რამ გაახსენა ის უცნაური რაინდი



ხელმეორედ, მას ხომ არსებითად არც კი აინტერესებდა ეს ამბავი და ყველაზე მშვიდი, გონიერული მითხრობდა ცია ეჭირა?

საქმე ის არის, რომ თუმცა უცხო მოყმის ამბავი ყველას გადააფიწყდა, სამაგიეროდ, ყველას ახსოვს, ავთანდილმა საქვეყნოდ როგორ დაამარცხა როსტევეანი! დიახ, ჩვენ ვხედავთ ბოლშვიან მეფეს, რომელსაც ვერაფერით ვერ მოუნელებია თავისი დამარცხება და ახლა ქალიშვილის ხელით სჯის ავთანდილს, სამი წლით აძევებს!

„სამსა ძებნე წელიწადსა“-ო, ეუბნება თინათინი ავთანდილს — ქვეყნის სპასპეტს, სახელმწიფოებრივი საქმეებით უაღრესად დატვირთულ ვეზირს. მოვესმინოთ ავთანდილს, თუ რას უბარებს იგი შერმადინს, თავის ერთგულ მსახურს წასვლის წინ („ჩემ წილ დაგაგდებ პატრონად“) და ჩვენთვის ნათელი გახდება, თუ რამდენ საქმეს აკეთებდა ავთანდილი, თუნდაც, თავის საფეოდალოში:

„ლაშქართა და დიდებულთა აღაშქრებდი, პატრონობდი; დარბაზს კაცსა გაგზავნიდი და ამბავსა მათსა სცნობდი, წიგნსა სწერდი ჩემ მაგიერ, უფასოსა ძღვენსა სძღვნობდი...“

შემდეგ:

„ლაშქრობა და ნადირობა შენი ჩემსა დაასახე“-.

შემდეგ:

„გლახაკთა მიეც საპურკლე, ოქრო, ვერცხლი და რვალია“.

შემდეგ:

„სანაპირო გაამაგრე, მტერმან ახლოს ვერ იზარგა“..

ხოლო წერილში „თავის ყმათა თანა“. ავთანდილი წერს:



„მე შერმადინ დამიგდია ჩემად კერძად პატრონობდეს, სიკედილსა და სიციცხლესა სადამდისცა ჩემსა სცნობდეს, ყოვლთა მზებერ მოგეფინოს, ვარდს არ ზვრიდეს, ანუ ცხელსობდეს, შემეცოდესა ყველაჟასა ვითა ცვილსა დაადნობდეს“.

ამ სტროფში ერთი საინტერესო დეტალიცაა: ავთანდილი ზუსტად იმეორებს ერთ ადგილს როსტევისანის სიტყვიდან, თინათინის კორონაციის დროს რომ წარმოსთქვა მეფემ, გახსოვთ „ვარდთა და ნახვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების“?! მას შემდეგ დიდი ხანი არ არის გასული, ეს ეფექტური ფრაზა, ეტყობა, ხსოვნაში ჩარჩენია ერთგულ სპასპეტს, ამიტომაც ლაპარაკობს თავისი გამზრდელის სიტყვებით: „ყოვლთა მზებერ მოგეფინოს...“

აი, რამდენ საქმეს აკეთებდა ავთანდილი მართო თავის სამფლობელოში, მაგრამ, ამასთანავე, ის ხომ სპასპეტიც იყო! განა შეიძლებოდა ასეთი კარისკაცის სამი წლით მოშორება, კარისკაცისა, რომელიც, ამავე დროს, თვითონ მეფეს — თინათინს უყვარს?! ცხადზე ცხადია, რომ ეს თინათინის სურვილით არ ხდება!

თინათინი, საერთოდ, უინიციატივო, მშვიდი პიროვნებაა, გართულებები მისი სტიქია არ არის. „თინათინი სხვა ბუნებისაა და ნესტან-დარეჯანი — სხვა“-ო, თქვა ილია ჭავჭავაძემ. თინათინის სიყვარული მშვიდია, ნესტანისა — შმაგი. ნესტანი იბრძვის, თინათინი მეფობს. ან უფრო სწორად — მეფობანას თამაშობს. დიახ, ბავშვები კი არა, უფროსები თამაშობენ, მითუმეტეს, თუკი გავიხსენებთ, რომ მონტენი ბავშვების თამაშს „ამ ასაკის ყველაზე მნიშვნელოვან და ღრმააზროვან საქმიანობას“ უწოდებს. თინათინს, სინამდვილეში, თამაშის



მეტი არც არაფერი დარჩენია. სახელმწიფოს მართვის  
 საპქესთან მას არაფერი მიუშვებს, უკვე დაავიწყდათ...  
 ზუნგი: „ლევკი ლომისა სწორია...“ ამ ლოზუნგმა აწერა...  
 სი მისია უკვე შეასრულა, ახლა მართლაც შეიძლება  
 დავიწყებული იქნეს...

აშკარაა, თინათინს შამა უფრო უყვარს (თუ ემი-  
 ნია?), ვიდრე ავთანდილი. ნესტანი კი სიყვარულისათ-  
 ვის შამასაც სწირავს. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის  
 ფრაზა, მარი ბროსემ რომ თქვა: „თინათინ და ავთანდი-  
 ლი წარმოადგენენ მარტივ სიყვარულსა“-ო.

თინათინი, ერთი შეხედვით, ლამაზი სკულპტურის შთა-  
 ბეჭდილებას ტოვებს. სკულპტურულია მისი პროზა, ეეს-  
 ტი, საერთოდ, მისი პლასტიკური ინტონაცია ამ პოემაში.  
 დადის წელგამართული, თავაწეული, ოდნავ რბევაც კი  
 არ იგრძნობა მისი ნაკვეთებისა, ამიტომ უეცრად ვიგრ-  
 ძნობთ გენიის სიმბურვალეს, როდესაც თავდაჭერილი,  
 მედიდური თინათინი მოულოდნელად აღელდება, თით-  
 ქოს წონასწორობა დაკარგავს და სწორედ ის ფიცი.  
 ავთანდილს რომ მისცემს სხაპასხუპით, ჩურჩულით  
 (თან თვალი კარისკენ უქირავს), ნათელს გახდის ჩვენ-  
 თვის იმ ფაქტს, რომ მას ყველაზე მეტად არ უნდა  
 ავთანდილის წასვლა, თანაც სამი წლით. რომელ ქალს  
 უნდა ეს, თინათინს რომ უნდოდეს? პოეტმა თითქოს  
 ერთი წამით გადასწია ფარდა და თინათინის ნამდვილი  
 სახე დაგვანახვა.

თინათინის ხასიათი, შეიძლება ითქვას, თითქმის ყვე-  
 ლა ხასიათთან შედარებით, გაცილებით რთულია იმ  
 თვალსაზრისით. რომ აქ უფრო ღრმად უფსკრული ხი-  
 ლულსა და უხილავს შორის, ანუ დაწერილსა და ნაგუ-  
 ლისხმევს, სხვა სიტყვით — ქვეტექსტს შორის.

თინათინი ავთანდილის წინაშე თავს დამნაშავედ  
გრძნობს, როგორც მიჯნური, მაგრამ სხვა გზა არა აქვს!  
ვის? თინათინს? მეფეს? დიახ, თინათინს! მეფეს

რუსთაველის ხნული ძალიან ღრმად, მარცვალნი ძა-  
ლიან ღრმად და მიწაში ჩაფლული, ზემოთ ვთქვი და ახ-  
ლაც ვიმეორებ, რომ წერა, გარკვეული თვალსაზრი-  
სით, ხენა-თესვასა ჰგავს, რაც უფრო ღრმად არის გავ-  
ლებული ხნული, რაც უფრო ღრმად და ხნულში ჩაფ-  
ლული, ჩამალული მარცვალნი, მით უფრო სავარაუდე-  
ბელია კარგი მოსავალიც. მარცვალნი ხნულიდან ჩიტმა  
კი ვერ უნდა ამოკენკოს, არამედ მხოლოდ ბუნების ძა-  
ლას უნდა შეეძლოს მისი ისევ ზევით ამოტაცება, აღმო-  
ცენება!

ზოგიერთი მკვლევარი ერთმანეთს უპირისპირებს  
„იდეალიზებულ“ და „ემპირიულ“ გმირებს, მაგალითად,  
თინათინს უპირისპირებს ფატმანს, მაგრამ ამ ნიშნით  
გმირთა დაჯგუფება შეუძლებელია, რადგან ეს გმირები,  
ილიას სიტყვით რომ ვთქვათ, „ყველაზე უწინარეს ადა-  
მიანები არიან“, და ესაა მათი საერთო ნიშანიც და თვი-  
სებაც.

მაშ ასე: თინათინმა ავთანდილს უცხო მოყმის მოსა-  
ძებნად წასვლა უბრძანა. ავთანდილის პასუხი ააშკარა-  
ვებს ამ „ჭრელი“ საუბრის ჭეშმარიტ არსს და ისიც სა-  
ინტერესოა, რომ ავთანდილი იქით ამშვიდებს თინა-  
თინს: „მე სიკვდილსა მოველოდი, შენ სიცოცხლე გამი-  
წამე, ვითა მონა სამსახურად განალამცა წავე, წა მე!“

აქ განგებ აქვს ხაზი გასმული „სამსახურს“. ავთან-  
დილი თინათინს ელაპარაკება, როგორც მეფეს, არ  
იმჩნევს, რომ იცის, ვინც არის ამ ქვეყანაში ნამდვილი  
მბრძანებელი, ის ხომ ერთხელ იმის მოწმეც გახდა, თი-



ნათინი დაუკითხავად რომ ვერ შემოვიდა მამასთან, ვერ გაბედა შემოსვლა. ნუ დავეუჯერებთ რომსტევეანს გაკვირვებას: „რად დაპბრუნდი შენ, მამისა ლეო?“ როსტევეანს ყველაფერი არ უნდა დავეუჯეროთ, უნდა ვეცადოთ, მისი ნათქვამის ქვეტექსტი ამოვიკითხოთ. ავთანდილი იყო იმ დროს იქ, ამ ამბავს ის ესწრებოდა და იმიტომაც შეიცხადა ასე როსტევეანმა, თორემ, ეტყობა, თინათინი ყოველთვის მხოლოდ მამის ნებართვის ან დაძახების შემდეგ შედიოდა მასთან. მეფეთა საუბარი „ჭრელია“, მათ ენას საგანგებოდ უნდა შესწავლა. კრავივით მორჩილად ლაპარაკობს შექსპირის რიჩარდ III სიყვარულზე, სათნოებაზე, მაგრამ განა მისი სიტყვის ნდობა შეიძლება? მართალია, როსტევეანისა და რიჩარდის ხასიათების დაკავშირება ზოგს ხელოვნურად შეიძლება მოეჩვენოს, მართლაც, როსტევეანი ასე შორს, რასაკვირველია, არ წასულა, მაგრამ სჯობს რუსთაველი ისევ შექსპირს შევადაროთ (საგულისხმო მსგავსებებია ამ ორ ბუმბერაზს შორის!), ვიდრე ჩვენი ზოგიერთი მკვლევარის ვეგეტარიანულ კერძებს დავეჯერდეთ.

ავთანდილის გაძევება, ვითომ უცხო მოყმის საძებნელად გაგზავნა, რა თქმა უნდა, უროსტევეანოდ არ მოხდებოდა, იმიტომ, რომ ნამდვილი მბრძანებელი არაბეთში როსტევეანია და არა თინათინი. პოემაში ტყუილად როდია ნათქვამი: „მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდა“-ო. ეს ტახტი „მამისად“ დარჩება კიდევ დიდხანს! ამაში ადვილად დავრწმუნდებით, როცა ავთანდილი მეორედ, უკეთ თვითონ მოინდომებს წასვლას. მაგრამ იქამდე ერთი რამეც უნდა ვთქვა: ავთანდილს პირველად უცხო მოყმის საძებნელად ნამდვილად



იძულებით აგზავნიან და ეს იქიდანაც ჩანს, თავად მას  
 აშკარად რომ არ მიუწევს გული წასასვლელად;

„მე სოფელმან მომაშორვა  
 უკეთესსა ჩემსა მზესა“-ო,

ამბობს გულდაწყვეტილი. მაგრამ ის ბრძანების უსიტყვო  
 ამსრულებელია. თანაც, როგორც ჩანს, სულ იმას აკე-  
 თებს, რაც თვითონ არ უნდა, მაგრამ აუცილებლად კი  
 მიაჩნია:

„რაც არა გწადდეს, იგი ქმენ,  
 ნუ სდევ წადილთა ნებასა“.

როსტევეანს თავი ისე უჭირავს, თითქოს არც კი  
 იცის, სად და რისთვის მიდის ავთანდილი. ეს ერთგვარი  
 თამაშია, პირდაპირ რომ ვთქვა, ცინიზმამდე მისული და-  
 მოკიდებულება ქვეშევრდომისადმი, ბოროტად გამოყენე-  
 ბული ძალაუფლება. ამ შემთხვევაშიც, ავთანდილი როს-  
 ტევეანის ღირსეული პარტნიორია, არც თვითონ ეუბნე-  
 ბა წასვლის მიზეზს, ისიც თამაშობს. მან უკვე ძალიან  
 კარგად იცის, რომ მისი გაძევება როსტევეანის წყალო-  
 ბაა, ამაში თინათინის მხურვალე ფიცმა (რომელიც პა-  
 ტიების თხოვნას უფრო ჰგავდა!) დაარწმუნა. თანაც, ეს  
 არც ისე ძნელი მისახვედრი იყო — როგორ შეიძლებო-  
 და სპასპეტის სამი წლით წასვლის ამბავი მეფეს არ  
 სცოდნოდა? ის კი არა, ავთანდილი უკვე იმასაც მიხვდა,  
 წასვლის ნამდვილი მიზეზი ხმამაღლა რომ არ უნდა  
 ეთქვა, არავისთვის არ უნდა გაემხილა. ამიტომაცაა,  
 რომ ყველა ეს გასაგონად ამბობს:

„მე წავიდე, მოვიარო, ვილაშქრო და ვინაპირო,  
 თინათინის ხელმწიფობა მტერთა თქვენთა გულსა ეკგმირო.“

მორჩილ-ქმნილი გავაზარო, ურჩი ყოვლი ავატირო.  
ძღვენი გადრნე ზედა-ზედა, არ სალაში დავაძვირო“.



ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეს ყველაფერი მისევეა, როგორც  
შერმადინმა უნდა შეასრულოს, რადგან ავთანდილი სი-  
ნამდვილეში სულ სხვა საქმეზე მიდის არაბეთიდან, უც-  
ხო მოყმე უნდა მოძებნოს, რის შესახებაც ავთანდილს  
სიტყვაც კი არ დაუძრავს. რა არის ეს, ნუთუ ავთანდი-  
ლი როსტევანს ატყუებს? არა, მისი სიტყვა კარისკაცთა  
გასაგონად არის წარმოთქმული, ეს არის ოფიციალური  
ვერსია მისი „მივლინებისა“, სწორედ ისეთი, როგორც  
მისი მდგომარეობის დიდებულს შეეფერება, უპირვე-  
ლეს ყოვლისა— სპასპეტს. აკი პოეტი წერს: „დარბაზს  
ეჯიბი შეგზავნა, მათ მისგან შენარონია, შესთვალა...“!  
ხედავთ—ს ხ ვ ი ს ი პ ი რ ი თ, ე ჯ ი ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ე-  
ბ ი თ, ყ ვ ე ლ ა ს გ ა ს ა გ ო ნ ა დ შე ე უ თ ვ ა ლ ა მ ე ფ-  
ე ს ის, რაზედაც ზემოთ ვლაპარაკობდით. ავთანდილი ამ  
შემთხვევაში ეხმარება როსტევანს, როგორც ვთქვი, მისი  
„ქრელი თამაშის“ ღირსეული პარტნიორია. ზოგჯერ  
თვით შეფეებსაც კი ერიდებათ, თავიანთი უაზრო გუ-  
ლისწყრომა რაიმეს საბუთად რომ მოიყვანონ!

ავთანდილი გონიერი ქვეშევრდომია. მან ერთხელ,  
ნადირობისას, დაუშვა შეცდომა, მაგრამ აღარ გაიმეო-  
რებს...

ავთანდილის სიდიადე ის არის, რომ თუკი პირვე-  
ლად ძალით აგზავნიან უცხო მოყმის მოსაძებნად, მეო-  
რედ თვითონ, თავისი ნებით მიდის! პოემის მანძილზე  
ავთანდილი იზრდება, როგორც პიროვნება, იმიტომ,  
რომ თანდათანობით შეიცნობს თავის ამქვეყნიურ მო-  
წოდებას — ა ვ თ ა ნ დ ი ლ ო ბ ა ს! პოემის დასაწყისში,  
მართალია, ის კარგი მონადირეა, კარგი ჯარისკაცია





(„არა გჭირს შენ ომთა გარდუხდელობა“), მაგრამ ვერ  
 „გონიერთა დასტაქარი“ არ არის.

ავთანდილი თავის მეგობარ ტარიელთან ნახვდის  
 რომ დააპირებს, თინათინს გაანდობს თავის სურვილს.  
 თინათინი ნებას დართავს, განზრახვას მოუწონებს კი-  
 დეც: „შენ არ გატეხა კარგი გჭირს ზენაარისა ფიცისა,  
 ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა“.  
 თინათინი სხვანაირად ვერ მოიქცეოდა, არც ავთანდილი  
 ელოდა მისგან სხვანაირ გადაწყვეტილებას. მაგრამ თი-  
 ნათინის ნებართვა ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, თუმცა,  
 როგორც ვიცით, თინათინი უკვე კარგახნის მეფეა.

მართალია, ავთანდილი ამაყად აცხადებს: „ჩემსა  
 მზესა დავეთხოვე, გავუშვივარ, დავდგე მე რად“-ო,  
 მაგრამ გულის სიღრმეში იცის, რომ მთავარია როსტე-  
 ვანმა გაუშვას, როსტევანმა დართოს ნება, იმიტომ, რომ  
 ნამდვილი მბრძანებელი, გამგებელი ისევ როსტევანია,  
 ის როსტევანი, ოთხი წლის წინ ვეზირებს რომ შესჩი-  
 ოდა: „სიბერე მჭირს“-ო!

ავთანდილი არც კი იფიქრებდა, არაბეთში ამ მხრივ  
 რაიმე დაბრკოლებას თუ შეხვდებოდა, რაიმე თუ შეა-  
 ფერხებდა მისი რაინდული მოვალეობის აღსრულებას.  
 ახლა კი მეფესთან შესვლაც კი ვერ გაუბედავს, გული  
 უგრძობს, არ გაუშვებენ და იცის კიდევ, რატომ: სწო-  
 რედ იმიტომ, რატომაც გაუშვეს პირველად!

როსტევანს ის კი არ ეწყინა, ავთანდილი მეორედ რომ  
 მიდიოდა არაბეთიდან, არამედ—თ ა ვ ი ს ი ნ ე ბ ი თ რ ო მ  
 მ ი დ ი ო დ ა! აქ შეეტყო სწორედ, იმ უცხო მოყმის ამ-  
 ბავი სრულებითაც რომ არ აინტერესებდა, თორემ სხვა-  
 ნაირად, ანუ უცხო მოყმის ამბით გულწრფელად რომ  
 ყოფილიყო დაინტერესებული, არ შეიძლებოდა, ავთან-



დიდი არ გაეშვა. თვითონაც ხომ, ბოლოს და ბოლოს რაინდი გახლდათ და სარაინდო კოდექსის ის „მოყვრობაზე“ რომ ქადაგებდა, მისთვისაც და, სხვათა შორის, მისთვისაც სავალდებულო იყო. მაგრამ საქმე ისაა, რომ ავთანდილმა უკვე მოიხადა სასჯელი, ახლა ის აქ უფრო სჭირდებოდათ — არაბეთში. მეფეს უცხო მოყმის გაგონებაც აღარ უნდოდა. ავთანდილის ხეტიალი დამთავრდა, მან ახლა თავის პირად მოვალეობას — სპასპეტობას უნდა მიხედოს, თინათინსაც ეყო ამდენი ხნის მოლოდინი. საკმარისია....

მკვლევარები, რომლებიც გრძნობენ, როსტევეანი იდეალური გმირის მოთხოვნილებებს რომ ვერ აკმაყოფილებს, მაგრამ არ უნდათ საკუთარი ხელით გამოძერწილი კერპი დაამსხვრიონ, ავთანდილის გაპარვას მეფის ღალატად თვლიან, როსტევეანს სჭირდებოდათ, თუმცა, იმასაც დასძენენ, „სხვა გამოსავალი“ არ ჰქონდაო. არა, ავთანდილი იმიტომ არ წასულა, „სხვა გამოსავალი“ რომ არ ჰქონდა, იგი იმიტომ წავიდა, ასე რომ უნდა და! ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, მისი წასვლა, მართლაც, როსტევეანის ღალატი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ავთანდილს ეცოდინებოდა, უიმი-სოდ მართლა რომ ვერ გაძლებდნენ ვერც მეფე და ვერც „სპანი“, მაგრამ განა სამი წლის წინაც ის სპასპეტი არ იყო? ვინ უშვებს ვიღაც მოყმის საძებნელად სპასპეტს, ურომლისოდაც, მკვლევარებისა არ იყოს, სახელმწიფოს შეიძლება საფრთხე დაემუქროს? სამი წლის წინ ავთანდილი როსტევეანს სრულებითაც არ სჭირდებოდა, თვითონაც მშვენივრად უძღვებოდა საქმეს. სამი წლის მერე კი, რაღაც შეიცვალა არაბეთის სამეფოში. ნუთუ როსტევეანი მართლა დაბერდა? მას ხომ სიბერისა ყვე-

ლაზე მეტად ეწინოდა! და მაინც, ავთანდილი მოლაპტევ  
იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუკი როსტევე-  
ნი მას არჩევანის საშუალებას მისცემდა. ავთანდილს  
როსტევეანი არაფერს ეკითხება, როგორც მოესურვება,  
ისე ექცევა, უშვებს ან არ უშვებს, მაგრამ პირველ ავ-  
თანდილსა, რომელიც დასაჯეს და სამი წლით გააძევეს,  
და მეორეს, რომელიც თვითონ, თავისი ნებით წავიდა,  
გაიპარა („ჰე, მეფეო, გავიპარე“), რადგან არ გაუშვეს—  
ძალიან დიდი განსხვავებაა. როგორც უკვე ვთქვე, ჩვენს  
თვალწინ გვიჩინებს ხასიათის იმ დროისათვის თითქმის  
წარმოუდგენელი სახეცვლილება, განვითარება მოხდა.

რასაკვირველია, ეს არ არის ფეოდალის ჩვეულებ-  
რივი თავნებობა, რაც მეფეს არც თუ ისე გაუკვირდე-  
ბოდა, ეს არის ადამიანის ბრძოლა თავისი პიროვნული  
ღირსების დასამკვიდრებლად. ამდენად, ეს აქტი (ავთან-  
დილის გაპარვა) უფრო სულიერ სფეროს განეკუთვნე-  
ბა, ვიდრე პოლიტიკურს.

ნუ ვიფიქრებთ, თითქოს ავთანდილს ტარიელისავენ,  
ილიას სიტყვით რომ ვთქვათ, თოკით ეწევიან, არაბეთ-  
ში კი ძაფიც არ ამაგრებს. არის წუთი, როცა ავთანდი-  
ლი ნანობს კიდევ შინიდან წამოსვლას: „რად შემასწარ  
ამა ბედსა“-ო, მიმართავს საყვედურით ღმერთს („იტყ-  
ვის: „ღმერთო, რა შეგცოდე...“), მაგრამ ეს მხოლოდ  
წამიერი სინანულია.

ავთანდილი და ტარიელი სწორედ იმით გამოირჩე-  
ვიან, განსხვავდებიან იმდროინდელი ლიტერატურის  
სხვა რაინდებისაგან, რომ გაცილებით უფრო თავი-  
ს უფლებები არიან. ავთანდილი როსტევეანის ერთგუ-  
ლი კი არ არის, არამედ, საკუთარი თავისა, საკუთარი  
იდეალებისა. ვერც ტარიელზე ვიტყვი, პატრონის ერთ-

გულიაო. ისიც თავისი სიყვარულის ერთგულია, ამდენად, ერთგულია საკუთარი მრწამსისა.

აი, რას ამბობს ავთანდილი ტარიელზე:

„იგი ძმად მიხმობს, ძმა ხარო,  
თუმცა ძლივ ღირს ვარ ყმობისა“!

რითია მაინც ასეთი განსაკუთრებული, რითი გამოირჩევა თუნდაც ავთანდილისაგან ტარიელი? უპირველეს ყოვლისა, ალბათ იმით, რომ ამ პოემაში ის ერთადერთია, რომელიც კი არ ცხოვრობს, კი არ იბრძვის, არამედ კვდება სიყვარულისთვის („აქა ვარ და აქა ვკვდები“). ტარიელი წამებულისა, მაგრამ წამების გზა მან თვითონვე აირჩია. სწორედ ღთაებრივი და ამდენად ქეშმეარიტად ადამიანური ტანჯვაა, მას რომ სხვებისაგან გამოარჩევს, განსაკუთრებულობის შარავანდედს რომ ადგამს. ბოკაჩომ დანტეს „კომედიას“ „ღთაებრივი“ უწოდა იმიტომ, რომ ეს ნაწარმოები არაჩვეულებრივი ძალით გამოხატავდა ადამიანის ნიჭის შესაძლებლობათა, მიღწევათა უმაღლეს ზღვარს, მაგრამ, ამავე დროს, რასაც ჩვენ „ღვთაებრივს“ ვუწოდებთ, მისი გრანდიოზულობის გამო, შრომა იქნება ეს, ტანჯვა, სიმამაცე თუ მოთმენა, სწორედ ის არის ყველაზე მეტად დამახასიათებელი ადამიანისათვის, სწორედ ის არის ადამიანური. ადამიანის შესაძლებლობათა საზღვარი დადგენილი არ არის და არც შეიძლება მისი დადგენა. ადამიანს საკუთარ შესაძლებლობათა სასაზღვრო ბოძი, მხარზე გადებული, როგორც საკუთარი ჯვარი, ყოველდღე უფრო და უფრო შორს გადააქვს იმ სამყაროში, რომელსაც „ღვთაებრივს“ ვუწოდებთ მისი შეუცნობლობისა და იღუმალობის გა-



მო. ამას კი იმიტომ ვამბობ, რომ დიადმა, მართლაც და ღვთაებრივმა ტარჯვან ეახადა ჩვენთვის ძვირფასი და მახლობელი ტარიელი. ეს ის ადამიანია, რომელიც შეგნებულად მიიღტვის სიკვდილისაკენ, როგორც მარადიული სიცოცხლისაკენ, რადგან იმქვეყნად აპირებს ნამდვილი ცხოვრების დაწყებას. და ჩვენც, როცა მისი მღუღარე ცრემლით დათუთქული სიტყვები გვესმის, გვჯერა, ამ ძღვევამოსილი პიროვნების თავის საყვარელთან შეერთება სასწაულს მოახდენს — სიკვდილს სიცოცხლედ გარდაქმნის!

ეს არ არის რომელიმე რელიგიის მიერ აღთქმულ სამოთხეზე ოცნება, ეს არის ამქვეყნიური საზღვრის გადალახვის მძლავრი სურვილი. განა ასეთივე ღვთაებბრივი ცეცხლი არ უკიდია ნესტანის ამ სიტყვებსაც:

„მომცეს ფრთენი და აღფრინდე,  
მივჭვდე მას ჩემსა ნდომასა“!

ტარიელი იმითაც არის დიდი, რომ პატრონყმურ საზოგადოებაში, სადაც ყველა ვინმეზეა დამოკიდებული და ყველას კი ერთი მბრძანებელი — მეფე ჰყავს, არ ეშინია ასეთი რამ თქვას:

„ღია მძულს მეტი მოყვრისა შიში, კრძალვა და რიღობა,  
მძულს განუწყვეტლად კუშტობა და სულ-მძიმობა, დიდობა;  
თუ მოყვარება, გულისა ქმნას ჩემკენ მონაზიდობა,  
თვარა მე ჩემდა, იგი მისდა, ღია სჯობს კიდის-კიდობა“.

ეს ბრწყინვალე სიტყვები მეგობრობის ნამდვილი არსის გაცხადებაა, მეგობრობისა, სადაც ყველანი სწორნი თუ არ იქნებიან, თუ ერთი მათგანი „დიღობას“ არ



მოიშლის, მეგობრობა, მოყვრობა აღარ იქნება! დე, ის  
 „ერთი“ თუნდაც მეფე იყოს! ვინც მოყვარეს უძებს —  
 ეძებს ტოლს, ცალს, ღირსეულ მეგობარს. ტარიელის მიხ-  
 ედვით, მეგობრობა ის დიადი მონაპოვარია, რომლის ყვე-  
 ლა წვერი მეფეა, უფრო ზუსტად — მეუფეა სა-  
 კუთარი თავისა, საკუთარი სინდისი-  
 სა! ამ სიტყვების ფონზე დასავლეთევროპული კურ-  
 ტუაზია მოძველებულ და მოსაწყენ ერთფეროვნებად  
 გვეჩვენება. ამ სიტყვებში უკვე ახალი მზის პირველი  
 სხივი ჭიატებს...

9.

ქართული რენესანსი უკვე აღიარებული ფაქტია არა  
 მარტო ჩვენი მკვლევარების, არამედ უცხოელი მეცნიე-  
 რების მიერაც. აი, ახლახან ცნობილმა ჩეხმა მეცნიერმა,  
 მთარგმნელმა და ქართველოლოგმა ვაცლავ ჩერნიმ გა-  
 ნაცხადა: „თამარის მეფობის პერიოდში, რომელიც ით-  
 ვლება ოქროს ხანად საქართველოს ისტორიაში, საქარ-  
 თველო დაადგა განვითარების იმ გზას, რომელიც შემ-  
 დგომში გაიარა ყველა დასავლეთევროპულმა ქვეყა-  
 ნამ“-ო. ხოლო ვეფხისტყაოსნის იტალიურ ენაზე პო-  
 ეტური თარგმანის ერთ-ერთმა ავტორმა, ჩემს მიერ ერ-  
 თხელ უკვე მოხსენიებულმა მარიო პიკიმ თქვა: „თამა-  
 რის სამეფო კარზე... ჩამოყალიბდა ჭეშმარიტად ქარ-  
 თული რენესანსი“-ო. როგორც მოგეხსენებათ, აღრე  
 უამრავ და უამრავ უცხოელ მეცნიერს გამოუთქვამს  
 მსგავსი მოსაზრება.

პროფესორი მ. ა. გუკოვსკი ჟურნალ „ვობროსი ის-



ტორიის“ ფუტკლებზე გაშლილი დისკუსიის დროს აბობნდა, არავეითარი საფუძველი არა გვაქვს, ამიტომ ვინაობაზე ვილაპარაკოთ იმ ქვეყნებში, სადაც შეინიშნება მოვლენის მხოლოდ ზოგიერთი ნიშანიო. მაგრამ არსებობს ერთი ნიშანი, — დასძენდა პროფესორი, — რომელიც ერთ-ერთი გადამწყვეტია ალორძინების განსაზღვრის დადგენის დროსო, ეს ნიშანი ის გახლავთ, რომ „ალორძინების ეპოქაში წარმოიშობა ადამიანის ახალი ტიპი, ახალი კულტურით, აშკარად განსხვავებული წინა ეპოქის ადამიანისაგან“-ო.

აი, სწორედ ეს „გადამწყვეტი“ ნიშანი ახასიათებდა ქართულ ალორძინებას რუსთაველის წყალობით და სწორედ ეს გვაძლევს საშუალებას, მასზე მთელი სერიოზულობით ვილაპარაკოთ და კიდევ იმიტომაც, რომ, როგორც უკვე აღვნიშნე, რუსთაველმა საზოგადოებაში აღმოაჩინა დესპოტიზმი, როგორც პოლიტიკურ-სოციალური, ასევე მორალურ-ეთიკური ფენომენი, გამოაცხადა ის ბოროტებად და დაუპირისპირა მას მისი დამთრგუნველი თავისუფალი ადამიანის პიროვნება — სიკეთე! ამით გაუსწრო მან აღმოსავლეთის დიდ პროეტებსაც!

რუსთაველი ქმნის არა „მეფეთა“, არამედ ადამიანთა წიგნს, ამიტომაც ის ადამიანს კი არ აღმერთებს, სამყაროს ცენტრში, ღმერთის ადგილზე ადამიანს კი არ წარმოგვიდგენს, არამედ ააშკარავებს ადამიანის ძლევა-მოსილებას, ადამიანს უახლოებს ადამიანურობის ცნებას, ადამიანს აჩვენებს მისი ადამიანური შესაძლებლობების სიღიადეს, აკავშირებს მეორე ადამიანთან სიყვარულით, მეგობრობის უმტკიცესი ჯაჭვით, გამოჰყავს სიმარტოვის სიბნელიდან, აჩვენებს ცას, ვარსკვლავებს,

აჩვენებს ფიქრს. ასწავლის გზას საკუთარი თავისაკენ. უნერგავს მეორე ადამიანის ნდობას. ებრძვის მტრს. თოდ არ სცნობს მიჯნას, საზღვარს, ღობეს, ჯებირს, როგორც ადამიანებს. ასევე ქვეყნებს შორის...

„... ეს მოდის მღერა ყმისა, სმუნად მხეცნი შოვილიან. მისეუ ხმისა სიტკბოსაგან, წყლით ქვანიცა გამოსხდიან. ისმენდიან, ვაკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან; იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან. მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოელნი სულიერნი: ელდით ნადირნი, წყალშიც თევზნი, ზღვით ნიანგნი, ცით მფრინველნი, ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მალრიბელნი, რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი“.

ასეა ავთანდილის მსგავსება ორფეოსთან, რომელიც „თავისი ხმის ძალით“ (დანტეს გამოთქმამა!) აცოცხლებდა უსულო საგნებსაც კი. „ორფიკულ არგონავტიკაში“ ვკითხულობთ: „...ვიმღერე კაცთა სუსტ, მრავალეროვან მოდგმაზე. გამოქვაბულებსა და ხერელებში შეაღწია ჩემი ღირის თაფლივით ტკბილმა ხმამ. შეირხნენ წვეტიანი მთები და პელიონის დაბურულ ტყეებს (კენწერობებს) მისწვდა ხმა და ფესვებიანად ამოთხრილნი ადგილსამყოფელს ტოვებდნენ: გრიალებდნენ ქვები, სიმღერის გამგონე ნადირნი ბუნაგებიდან გამოდიოდნენ“-ო.

ავთანდილის სიმღერა სულიდან მოულოდნელად ამომსკდარი გალობაა განთავისუფლებული კაცისა, იმ ადამიანისა, ვინც თავისუფლებას გემო გაუგო, ჩაწვდა მის აზრს, იგრძნო მისი ფრთების ძალა, გაბრუნდა მისი თვალუწვდენელი სივრცეებით. ამდენად, ის უსაზღვროებაში მიქრის და არა რომელიმე კონკრეტულ გეოგრა-





ფიულ გარემოში. კარგი იქნებოდა, თუკი ერთხელ კიდევ გავიხსენებდით ფანტასტიკურ გეოგრაფიას. ავთანდილი თითქოს კოსმოსში მიფრინავს და პლანეტებს სულჩადგმულ არსებებივით ეფერება. ის სიხარულისაგან, აქამდე განუცდელი თავისუფლებისაგან მღერის. დიახ, მან მოიპოვა თავისუფლება, ჩაიღინა იმდროინდელი საზოგადოებისათვის წარმოუდგენელი რამ — გამოიჩინა საკუთარი ნება და ამ აქტით ავთანდილმა ზღაპრული არაბეთიდან რენესანსში გადააბიჯა. ის აღარ არის მხოლოდ სპასპეტი, ან თუ გნებავთ, მხოლოდ თინათინის საქმრო, ის ადამიანია, პიროვნებაა, გამგებელია საკუთარი ბედისა!

ვინ შეიძლება იყოს ყველაზე ახლობელი ასე უსაზღვროდ თავისუფალი და ამ თავისუფლების შეგრძნებისაგან უსაზღვროდ ბედნიერი ადამიანისათვის? ალბათ ის კოსმიური სხეულები, რომელთაც საკუთარი ორბიტა, საკუთარი თვისებები გააჩნიათ. ალბათ ამიტომაც საგანგებოდ გამოყოფილი და აღნიშნული თითოეული პლანეტის საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნები. ავთანდილიც მათი „ცალია“. ავთანდილს ესმის მათი!

კოსმოსის წყვედიადი განათებულია ადამიანის სმით, ეს ხმა აცოცხლებს სამყაროს, ავთანდილიც დღეიდან, ამ პლანეტებივით, უკვე საკუთარი გზით იღლის...

მზე და ვარსკვლავები, ან თუნდაც, მზე და მთვარე ერთად, როგორც მათ ავთანდილი ხედავს, შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ პოეზიაში და მისი სხვა ახსნა, რასაკვირველია, ხელოვნური იქნება. რუსთაველის



ცა. გიორგი ნადირაძისა არ იყოს, „არა ასტრონომიული, არამედ პოეტური ცაა“.

ავთანდილის პლანეტების რაობას, მათ დახიშნულებას პოემაში დიდიხნის მერე ახსნის ნიკოლოზ ბარათაშვილი, როცა იტყვის:

„ზოლო ვარსკვლავთა თანამავალთა  
ვაშენო გულისა მე საიდუმლო“-ო.

„თანამავალი ვარსკვლავები“ — ხატად ქცეული ოცნებებია, ღამით ცაზე რომ ელანდება მგზავრობისაგან გაწამებულ ავთანდილს. გარდა ამისა, ეს არის ბუნების გაცოცხლების დიადი აქტი, რადგან თანამავალი ვარსკვლავები სულჩადგმულ არსებებზე უსმენენ და ესიტყვებიან კიდევ ავთანდილს. ეს ბუნების დიადი წიგნის ცოდნაა და არა რომელიმე, თუნდაც, „არაბულსაბუნებისმეტყველო“ სახელმძღვანელოებისა...

ვეფხისტყაოსნის პლანეტები ზომ, თითქოს ცაში კი არა, ავთანდილის სულის უსაზღვროებაში ტრიალებენ!

ავთანდილის სიმღერასთან დაკავშირებით, შეიძლება გადავხსენებინა პასკალის „მოთქმა“, პირობითად ასე ვუწოდებ ფრანგი ფილოსოფოსის ცნობილ მაქსიმს, რომელსაც სამართლიანად მიიჩნევენ ახალი, პელიოცენტრული სისტემით შეძრწუნებული ადამიანის ჩივილად (სხვათა შორის, ამავე თვალსაზრისით, ალბათ საინტერესო იქნებოდა ისევ ავთანდილისა და დავით გურამიშვილის წიგნის ლირიკული გმირის შეპირისპირებაც).

ავთანდილი თითქოს, სამყაროს პატრონია, მისი საუბარი პლანეტებთან ამას ამტკიცებს, თითქოს მათი საიდუმლო მის ხელში იყოს: „აქა ავთანდილი ვარსკვლავთა ეუბნების თავის ბუნებას“ (ვახტანგ VI). პასკალის ლი-



რიკული გმირი კი მიწასთანაა გასწორებული გრანდიოზულ, შეუცნობელ ციურ საგანთა მიერ: ...**ეროვნული**  
 ნდგომარეობა: უბადრუკობა, უმწეობა და უბედობა

ავთანდილი — ილია ჭავჭავაძის მიერ თერგისადმი მიმართულ სიტყვებს თუ ვავიმეორებთ — „სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა“. ავთანდილი სამწყლის მარტოდმარტო ხეტიალის შემდეგ, როცა მას საკნარისი ღრო ჰქონდა, ჩაეხედა თავის სულის სიღრმეში. მიდის განთავისუფლების იდეამდე. უდარდელი, სნობისტური. უიდეო კურტუაზიული დროსტარებიდან ტანჯვითა და ხიფათებით სავსე ადამიანურ ცხოვრებაში გადადის და სწორედ ამის შემდეგ ვხედავთ ნამდვილ ავთანდილს. ვწვდებით მისი გონების საოცარ კმედებას. მის სიბრძნეს.

ავთანდილისათვის ადრე „ტანჯვა“ („ჭირი“) უცნობი იყო. მაგრამ არაბეთიდან წასვლის შემდეგ უკვე ეზიარა ნამდვილ ადამიანად გარდამქმნელ ამ აუცილებელ ფენომენს. აი, რას წერს რუსთაველი: „ნეტარ, მამაცი სხვა რაა, არ გაძლოს, რასა ჭირია!“ „ხამს, თუ კაცი არ შეუდრკეს ჭირს, მიუხდეს მამაცურად“, „წესი არის მამაცისა, მოჭირვება, ჭირთა თმენა!“ ტანჯვის საშუალებით, ტანჯვის გზით ეზიარება ადამიანი თავისი არსებობის ჭეშმარიტ არსს. აქ ნაგულისხმებია მორალური წამებით, სულიერი ტკივილით აღბეჭდილი აქტი ადამიანის არსების ეგოისტური ჩარჩოების მსხვრევისა...

აი, კიდევ ერთი, ჩემი აზრით, საინტერესო თვისება ავთანდილისა: მას ახასიათებს არსებობის ტრაგიკული განცდა! მისი ბედი, მისივე ანდერძის მიხედვით, ტრაგიკულია. ტრაგიზმი კი იმაში მდგომარეობს, ავთანდილმა იცის, მისი შესაძლებლობა, საერთოდ მისი არსება,



განგებოთ რომ ათის შეზღუდული ამ თვალსაზრისით, ავთანდილის ანდერძი ერთგვარად ეხმიანება ჰამლეტის ზოგიერთ გამონათქვამს. შეიძლება ითქვას, ეს ორი ხასიათი — ავთანდილი და ჰამლეტი — ერთი დიდი ინტელექტუალური დინების სათავე და დასასრულია. ავთანდილისთვის ადამიანის შესაძლებლობათა საზღვარი ბედისწვლითაა შემორკალული. ავთანდილი მიდის ტრაგიკულამდე, მაგრამ იქვე ჩერდება, ფილოსოფიურ იდეას არ აჭკვევს პირად ტრაგედიად, ეს მისთვის ჯერ კიდევ ძალიან ადრეა, ამას ჰამლეტი გააკეთებს რამდენიმე საუკუნის მერე და თავისი გვამით ჩაკეტავს იმ დიადი სამყაროს კარს, რომელსაც ევროპული რენესანსი ეწოდება და რომელიც ოთხი საუკუნით ადრე ავთანდილის სიმღერით გაიხსნა.

განსაკუთრებული ეკონომიურ-პოლიტიკური პირობების გამო, რომელიც საქართველოში შეიქმნა მეთერთმეტე საუკუნის დასასრულდან მთლიანად მეთორმეტე საუკუნეში, შესაძლებელი გახდა ჩვენი კულტურის ისეთი გზით განვითარება, მისთვის დღეს რენესანსული რომ გვეწოდებინა.

რენესანსი იწყებოდა ყველგან, სადაც იღვიძებდა ადამიანის პიროვნული შეგნება, სადაც მეტი საშუალება იყო შუასაუკუნეობრივი ფეოდალური ხუნდების გარღვევისა, საკუთარი არსების შეცნობისა, საკუთარი პიროვნების თვითაღზრდისა, თვითშექმნისა: სადაც კულტურის მაღალი დონე ხელს უწყობდა ახალი აზრის დამკვიდრებას.

ჯოვანი პიკო დელა მირანდოლამ (1463—1494) შეადგინა „900 თეზისი ყველაფერზე, რაც შეცნობადია“. თეზისები გამიზნული იყო რომში საერთოევროპული

დისპუტისათვის. დისპუტი აი შემდგარა, მაგრამ დარჩა  
პიკო დელა მირანდოლას შესავალი სიტყვა ასეთი სი-  
ხელწოდებით: „სიტყვა ადამიანის ღირსებაზე“. ეს რე-  
ნესანსული აზროვნების შედეგრი შედეგნილია. სიტყ-  
ურბნისის კრებიდან დაახლოებით 400 წლის შემდეგ.  
რუის-ურბნისის კრებაზე კი, როგორც ვიცით, მიიღეს  
დადგენილება, რომელშიაც თეზისს ადამიანის ღირსე-  
ბის შესახებ ერთ-ერთი ძირითადი, შეიძლება ითქვას,  
ცენტრალური ადგილი უჭირავს. ამდენად, ჰუმანისტური  
აზროვნება დამახასიათებელი ყოფილა ამა თუ იმ საზო-  
გადოებისათვის ჯერ კიდევ ჰუმანიზმის, როგორც აღორ-  
ძინების „მსოფლმხედველობითი შინაარსის“ ჩამოყა-  
ლიბებამდე.

რენესანსი გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე პეტ-  
რარკა დაიბადებოდა და დაიწყო არა მარტო იქ, სადაც  
დასრულებული სახეც მიიღო, არამედ სხვაგანაც, იტა-  
ლიისაგან საკმაოდ დაშორებით, ოლონდ, ერთი და იმა-  
ვე. გენეტიკურად საერთო კულტურის სამყაროში.

(ივანე ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიაში“ ახ-  
სენებს რა „დასავლეთ ევროპაში წარმოშობილ“ „ეგრეთ-  
წოდებულ რენესანსს“. სამართლიანად წერს: „საქართ-  
ველომ ეს მოძრაობა უკვე XII საუკ. დაიწყო, მაგრამ  
მისი დასრულება მონღოლთა შემოსევამ შეაფერხა“-ო.)  
დიდი სწავლულის მოსაზრება იმითაც არის საინტერე-  
სო, რომ იმდროინდელ საქართველოში შექმნილი ვითა-  
რება ევროპული რენესანსის პრიზმიდან არის დანახუ-  
ლი. კიდევ ერთხელ არის ხაზგასმული ქართული რენე-  
სანსის საერთოევროპულ რენესანსთან ნათესაობის  
ფაქტი.

ამრიგად, შეიძლება ითქვას — ჩვენ ევროპული რე-



ნესანსის დილის სპექტაკლს ვესწრებოდით, თანაც, სა-  
კუთარი ძალებით დადგმულს...

რენესანსის ნიშნები, რა თქმა უნდა, ყველს ში არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ისინი გვხვდება იქ. სა-  
დაც ამისთვის ყველა პირობაა შექმნილი, ან უფრო ზუს-  
ტად — ყველაფერი ისეთ სახეს იღებს, მოვლენები ისე  
თავისებურად ერთიანდება, ლაგდება, რომ შესაძლებე-  
ლი ხდება, ვილაპარაკოთ მომავალ რენესანსზე.

სწორია, როცა საქართველოში რენესანსის ნიშნებზე  
ვსაუბრობთ, რომლებიც, სხვათა შორის, გაცილებით მე-  
ტია აქ, ვიდრე იტალიის უშუალოდ მოსაზღვრე ქვეყ-  
ნებში, ისიც სწორია, როცა ქართული საზოგადოების  
განვითარებისათვის ჰუმანისტური იდეების განსაკუთ-  
რებლობას აღვნიშნავთ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს,  
რომ რენესანსული ნიშნები ჯერ კიდევ არ ნიშნავს, არ  
უდრის რენესანსს, ეს ერთი და იგივე არ არის. ნიშანი  
სწორედ იმიტომ ჰქვია, რომ წინ უსწრებს მოვლენას,  
შეიძლება ისედაც მოხდეს, ნიშანი იყოს, მოვლენა კი  
არა. მაგრამ ისიც - ფაქტია, რომ დღეს არა მარტო რენე-  
სანსის ნიშნებს, არამედ საერთოდ ქართულ რენესანსს  
ვახსენებთ და ეს უკვე, როგორც ვთქვი, საყოველთაოდ  
აღიარებული აზრია. ქართული რენესანსის ცნება კი,  
უპირველეს ყოვლისა, რუსთაველის სახელს უკავშირ-  
დება.

მართალია, საქართველოს კულტურა და მეცნიერება  
იმ დროისათვის უდავოდ დიდ აღმავლობას განიცდიდა,  
მაგრამ მხოლოდ ამის გამო ქართულ რენესანსზე ვერ  
ვილაპარაკებდით, ქართული და იტალიური რენესანსე-  
ბის სოციალურ-პოლიტიკური თუ კულტურული პარა-  
ლელების მოძებნა, დადგენა, რაიმე მსგავსებაზე ლაპა-



რაკიც კი შეუძლებელი და უხერხულიც კი იქნებოდა.  
 რომ არ გვეყოლოდა რუსთაველი — კოგორც მთელი  
 მელიც ამკარად ვერ ეტევა ლიტერატორთა მხედრობას  
 გენილ სქემებში. არღვევს კლასიკურ წარმოდგენებს,  
 ანუ ქარმონიას თეორიასა და ცდას, თეორიასა და სინამ-  
 დვილეს შორის. სწორედ მან ერთმა გახადა შესაძლე-  
 ბელი ასე დაბეჭითებით გველაპარაკა ალორძინებაზე  
 ქართულ სინამდვილეში. არაფერს და არავის ისე არ უხ-  
 დება ეს ტერმინი ალორძინება, როგორც ამ ქართ-  
 ველ პოეტს! ერთ მწერალს უთქვამს, ნამდვილად დიდი  
 ის არის, ვის გვერდითაც ყველაფერი დიდად მოჩანსო...

გენიალური ფირდოუსი და ნიზამი, რომლებთანაც  
 ხშირად მოიხსენიებენ რუსთაველს, რჩებიან შუა საუ-  
 კუნეების კულტურის უდიდეს მნათობებად, რუსთაველი  
 კი თვისობრივად უკვე სხვა ეპოქას ეკუთვნის, კაცობ-  
 რიობის სულიერი ცხოვრების ახალ ერას, რადგან მის  
 მიერ აღამიანთა მოდგმის სარბიელზე გამოყვანილია  
 ახალი აღამიანი, რომელიც უკავშირდება და შე-  
 იცნობს არა მარტო გარე სამყაროს, არამედ საკუთარ  
 თავსაც, აღმოაჩენს საკუთარი არსების წიაღში პი-  
 როვნებას. რუსთაველი თავისუფლდება შეასაუკუ-  
 ნებობრივი ტრადიციული ლიტერატურულ-ფილოსოფი-  
 ური ხუნდებისაგან, გვაძლევს არაჩვეულებრივად მკა-  
 ფიო სურათს აღამიანის ხასიათის დიალექტიკური აღმა-  
 სვლისა, აღამიანის სულის „უცნაური და უთქმელი“ თვი-  
 სებებისა.

აი, რატომაა რუსთაველი დიადი და მარადიული!

აი, რატომ აღვიქვამთ მას, როგორც განახლებას, გაღ-  
 ვიძებას, ვარდის ფურცლობის მაუწყებელ სიმღერას,  
 გაზაფხულს!...

რედაქტორი ნ. აბესაძე  
მხატვარი დ. გრიგოლია  
მხატვრული რედაქტორი თ. შარიფაშვილი  
ტექნიკური რედაქტორი ლ. კელიძე  
კორექტორი ზ. მსხილაძე  
კამომშეები ნ. ჩხეტიანი

ს. ბ. 4108

გადაეცა წაომოებას 25.02.84, ხელმოწერილია დასაბეჭდად  
17.04.84, ეე 13067 საბეჭდი ქალაქი № 1, 70×100<sup>1</sup>/<sub>32</sub>,  
გარნიტურა ვენა ბეჭდვის ხერხი მალალი პირობითი ნაბეჭდი  
თაბახი 8.19 პირ. სალ.-გატ. 8,19, საალრ-საგამომც. თაბახი 7,43.  
ტირაჟი 20 000, შუკე. № 1013.

ფასი 65 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამსახკომის თბილისის № 4 სტამბა  
380060, მედქალაქის II კორპ.

Тбилисская типография № 4 Госкомиздата  
Грузинской ССР. Тбилиси 380060. Медгородок II корп.





Чиладзе Тамаз Иванович

ПРЕДВЕСТИЕ ВЕСНЫ

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5

1984

